# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 19 დეკემბერი 2008 №26(78)

1516
2008



გივი ალხაზიშვილის დღიურის ფრაგმენტები

მაკა ჯოხაძე იაპონური პოეზიის შესახებ

ტომას ვულფის წერილი დედას

ნოდარ ანდღულაძის ნაამბობი

დალილა ბედიანიძის ლექსები

დიტო გოლუბიანის ნოველა

ეროვნული ბიბლიოთეკა



19 დეკემბერი
იონა მეუნარგიას დღე

# წიგნის თარო


ალექსანდრე სულხანიშვილი
მოგონებები შეფიცულთა რაზმზე


როსტომ ჩხეიძე
მზე და მწუხრი




ანტიკური ოლიმპიური თამაშები


იოსიფ ბროდსკი
მშვენიერი ეპოქის დასასრული
Joseph Brodsky


სიცოცხლის საზრისი


გრიგოლ I
უკანასკნელი ქართველი მეფე


ამბავი დიდი სიყვარულისა


ჯემალ ფოცხვერია

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| **რედაქტორის გვერდი** | 2 | ნუ მივატოვებთ ფილმს უთვისტომოდ |
| **პროზა** | 4 | დიტო გოლუბიანი თვალები |
| **პოეზია** | 7 | დალილა ბედიანიძე აყირავებული დედამიწა და სხვა ლექსები |
| **უცხოეთის ცხოვრებიდან** | 11 | ტომას ვულფი წერილი დედას |
| **ეპისტოლე** | 13 | ნინო ჩხიკვიშვილი რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების<br>(ღია ბარათი ნიკოლოზ ჩუბინიძეს) |
| **დაუვიწყარი სახელები** | 14 | თამარ ლონლაძე არნოლდ ჩიქობავას იშვიათი სიმკაცრე და სიზუსტე<br>(ნოდარ ანდღულაძის ნაუბარი) |
| **დოკუმენტური პროზა** | 17 | ზვიად კვარაცხელია ილია სამეგრელოში |
| **კრიტიკა** | 27 | მაკა ჯოხაძე დემონები და მფარველი ანგელოზები<br>(„ასი უძველესი იაპონური ლექსის" გამო) |
| **რეპორტაჟი** | 35 | ორსახოვანი იასე ფალავანდიშვილი<br>(შეხვედრა სოხუმის უნივერსიტეტში) |
| **პოეტის ერთი ლექსი** | 37 | შოთა ბოსტანაშვილი მამას |
| **ფიქრები** | 38 | გივი ალხაზიშვილი დღიურის ფრაგმენტები |
| **ახალი წიგნები** | 44 | როსტომ ჩხეიძე ხევსურეთის აჯანყების ქარგა<br>(1922 წლის ზაფხულის ეპოპეა) |
| **მწერლის არქივიდან** | 46 | გუბაზ მეგრელიძე გრიგოლ რობაქიძის უცნობი წერილი |
| **დეტექტივი** | 47 | ფრიდრიხ დიურენმატი მართლმსაჯულება |
| **ლიტერატურული ცხოვრება** | 62 | თეკლე ჯანელიძე სასჯელი — ღვთის წყალობად |
| **მოზაიკა** | 63 | პირველი ლექსი |



დამფუძნებელი „ილიონი"
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 41-95-21
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ორლანდო, შტატი ფლორიდა
ირმა რატიანი, ბაბუა ალუდაურის ფოტოეტიუდი

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

„ჩვენი მწერლობის" მომდევნო ნომერი გამოვა 2009 წლის 9 იანვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ მივატოვებთ ფილმს უთვისტომოდ

*

## წერილი მესამე

იმპერიული სწრაფვა, უარი გეთქვა შენს მშობლიურ ენაზე, ასე იოლად და ხელაღებით რომ ვერ განხორციელდებოდა, „გენსეკებსაც“ მოეხსენებოდათ და პოლიტბიუროსაც.

ამიტომაც:

რუსი ხალხის, რუსული გენიისა და ენის უპირატესობის ჩაგონება ერთი აუცილებელი პირობა თუ საფეხური გახლდათ ამ გზაზე.

მეორე აუცილებელი პირობა შენი მოსახლეობის მიმოფანტვა იყო რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე, შენს მიწა-წყალზე კი რუსების შემოშვება დაუსრულებელ ნაკადად, ან „მოძმე“ რესპუბლიკათა მცხოვრებლების, საურთიერთობო ენად მაინც რუსული რომ შენარჩუნებულიყო.

მესამე პირობაც საკმაოდ იკიდებდა ფეხს — ბილინგვიზმი.

დაე დაგეცვა სამეცნიერო დისერტაცია მშობლიურ ენაზე. დადგენილების მიხედვით, არამარტო დოკუმენტაციის თარგმნა გიხდებოდა რუსულად, რათა „ვაკს“ ცენზი დაემტკიცებინა, არამედ დისერტაციისაც თავიდან ბოლომდე. ეს კი ინვევდა ცთუნებას, პირდაპირ რუსულად მოგემზადებინა და დაგეცვა დისერტაცია — ხარჯიც შეგიმცირდებოდა, დროც და ენერგიაც.



კადრი კინოფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“

პირველ პირობას რატომღაც ინტერნაციონალიზმი ერქვა და არა შოვინიზმი, მეორე და მესამე პირობას კი ნებაყოფლობითი აქტი და არა იძულება თუ ბეგარა.

ვერ გეშოვნა შენთვის შესაფერისი სამსახური შენს ქვეყანაში?

აგერ რუსეთი.

შენი ენის დამცირებასა და შევიწროებას გრძნობდი?

რატომ ვითომ — ბილინგვიზმი ენას როდის გართმევდა, უბრალოდ გიჩვენებდა რუსულის ცოდნის აუცილებლობასა და მშობლიურ ენასთან გათანაბრების გარდუვალ პროცესს. ეს გათანაბრებაა სწორედ მშობლიური ენის შევიწროება? კი მაგრამ, ვისი რა ბრალია, თუ ორენოვნება თვითონვე გითრევდა თავის სამყოფელში? მაინც რაღაც გეხამუშებოდა?

ამიტომაც იყო აუცილებელი არა შიშველი პროპაგანდა, არამედ ნელ-ნელა შემოპარება, თამაშ-თამაშით ჩაგონება, სიცილ-სიცილით შეჩვევა...

საამისოდ კი კინემატოგრაფს ვერაფერი შეედრებოდა. და ბილიგვიზმის საქადაგებლადაც მიზანსწრაფულად მომართავდნენ რეჟისორებსა და სცენარისტებს.

ასე შემოუშვებდნენ ქართულ ფილმებში რუს პერსონაჟებს, რომელთა მეტყველებაც თითქოს ნატურალისტური ხერხის გამოყენებად აღიქმებოდა — დაცულიყო გმირის ეთნიკური წარმოშობა... მაგრამ მხატვრულ ხერხზე მეტად ეს ნაკადი ორენოვნებასთან შეჩვევისათვის გახლდათ გამიზნული.

შეჩვევა თანდათან დამთრგუნველად იქცევა: სიმახინჯეს რეალობად მოგაჩვენებს, სიყალბეს შეგილამაზებს და, ვინ იცის, ჭეშმარიტების გზიდან ისე გადაგაცდინოს, ვერც მიხვდე, რა დაგმართნია.

აგერ, „არაჩვეულებრივ გამოფენას“ კინოკომედიად აღიქვამ, იცინი, ხალისობ და... ვერც გაგიგია, რომ სინამდვილეში საკუთარ თავს დასცინი. საკუთარი თავის დაცინვაა, სხვა რა, როდესაც ეს ფილმი განამტკიცებს იმ ხატს, რაც რუსეთმა შეუქმნა საქართველოსა და ქართველებს — კომიკურ პერსონაჟებად რომ მოგვნათლა ისტორიის ავანსცენაზე, ფუქსავატ, მცონარა, სპეკულანტ მოდგმად, თავქარიანთა კრებულად, რუსეთისა და სხვა „მოძმე“ რესპუბლიკათა გართობა რომ გვევალებოდა და ეს უნდა ყოფილიყო ჩვენი მისია, ვიდრე გუდა-ნაბადს ავიკრავდით და დავტოვებდით ამ ავანსცენას, ძველთაძველი მოდგმის შვილებად რომ მოგვქონდა თავი, არადა, აწ კი უკვე აცდენილნი ცხოვრების ბუნებრივ მდინარებას.

საკუთარი თავის დაცინვა მარტოდენ მაშინაა გამართლებული, როდესაც ხელოვანი მანკიერ მოვლენას წრფელად წარმოაჩენს და თვითონაც ამ მოვლენის შუაგულში დგას, გულმტკივნეული ნაკლოვანების მომძლავრებით, თორემ თუ ვინმეს თავისი ქვეყანა და ერი იმპერი-

---

წერილი პირველი და მეორე იხ. „ჩვენი მწერლობა“, № 5, 10

ულ პოლიტიკას და პროპაგანდასთან შეთანადებით გაუხდია სასაცილო და საპამპულო ჩინ-ტუმლაკების გულისათვის, უპატიებელი ცოდვაა და სხვა არაფერი.

და კიდევ:

ფარზე აზიდავდა „არაჩვეულებრივ გამოფენას" საბჭოთა პროპაგანდა და არც მის რეჟისორს მოაკლებდა წყალობას, ელდარ შენგელაიას, რაკილა ოსტატურად გადაეწყვიტა საბჭოთა სახელმწიფოსათვის მეტად საჭირბოროტო საკითხი — გადაეწყვიტა, ცხადია, საკუთარ ტერიტორიაზე, მაგრამ სწორედ ეს „საკუთარი ტერიტორიებია", საბოლოოდ პროპაგანდის თვალსაჩინო ნიმუშებად რომ ლაგდებიან და საზოგადოებრივ ცნობიერებასაც ამღვრევენ.

ოთარ ჩხეიძე გახსნიდა ამ კინოკომედიის ფარულ მიზანს რომანში „მორჩილი", „არაჩვეულებრივ გამოფენას" საბჭოების დროის შედევრად რომ მოიხსენიებდა და დანანებით დასძენდა: დღესაც შედევრად მიუჩნევიათო.

და აღარ მოერიდებოდა მკაცრ შეფასებას, რაკილა ფარული მიზნის ამოტივტივება, სამწუხაროდ, საამისოდ განაწყობს ადამიანს.

— იცინიან სულელი ქართველები. იცინიან. ხითხითებენ. ჭიხვინებენ. შენ ოღონდ გააცინე სულელი!.. და იცინიან თუ როგორ ოჯახში ჩავარდნილა სამაგალითო რუსის ქალი. ქართულ ოჯახში. თუ როგორი მოთმინებით იტანს — ანგელოზებრი მოთმინებითა — გამოშტერებულ მამამთილსა. შერეკილ ქმარსა. შეტამუტა შვილებსა. იტანს და ზრდის. ამაღლებს და აკეთილშობილებს გადაგვარებულ მამამთილსა. დამთხვეულ ქმარსა. გაქსუებულ შვილებსა. იცინიან და ტაშს უკრავენ. სულელებიო. ჰოი რა ნაზი დახასიათებაა!.. ველარც გაამტყუნებ პოსტავანგარდისტებსა. ღირსნი არიან ამათებრი გამოთქმებისა. იმათი მეტაფორების ღირსნი არიან.

ესეც ამ კომედიის ფარული მიზანი თუ ხლართი: რუსული შოვინიზმის პროპაგანდა, ინტერნაციონალიზმის ნიღაბმორგებული.

და ესეც ნიშანდობლივია, ბილინგვიზმითაც რომ დაღდასმულა „არაჩვეულებრივი გამოფენა". ნიშანდობლივია და აუცილებელი, რათა კიდევ უფრო მძაფრად და ძალუმად შეეგრძნო მაყურებელს რუსული იდეალ-ორიენტირის სამარადჟამობა, ვიდრე ერიან-ენიანად არ შეერწყმოდი ამ ოკეანეს.

ვითომ მხოლოდ ნატურალისტური მოთხოვნის გათვალისწინებაა.

ქალი რუსია და თავის ენაზეც მეტყველებს.

მამამთილი რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერია და იქიდან მოსდევს, რუსული ფრაზების გარეშე რომ ვერ გაუძლია.

პროპაგანდის ფსიქოლოგიური საწყისიც ესაა, რომ რაღაც გამართლება ეძებნებოდეს მაყურებლის, მკითხველის, საერთოდ მხილველის აღქმაში, და თვითონაც ვერ გაიგოს, ისე შეეჩვიოს იდეოლოგიურ კარნახს, ამ შემთხვევაში — ორენოვნების ბუნებრიობას, თითქოს მართლაც არსებობდეს იოტისოდენა ბუნებრიობაც კი ბილინგვიზმში.

რუსის ქალის მიერ წარმოთქმული ქართული ფრაზებიც ამავე ფსიქოლოგიური ჩანაფიქრითაა გამოწვეული — უფრო ადვილად შეეგუო ორენოვნებასაც და რუსის ქალის გაიდეალებასაც, ქართული ოჯახის ამაღლებისა და გაკეთილშობილებისათვის რომ მოწოდებულა, თორემ ან გამოშტერებულ პიპინია ერისთავს რა ეშველებოდა, ანდა დამთხვეულ აგული ერისთავს...

შენ კი იცინი, ხალისობ, მოხდენილი, მახვილგონივრული სიუჟეტი გითრევს და ველარ ჩაწვდომიხარ მის პროპაგანდისტულ სარჩულს, იმ შხამის წვეთებს, ცნობიერებას რომ გიმღვრევს.

გაორებული ცნობიერების ნაყოფი საზოგადოების ცნობიერების გასაორებლად მკვიდრდებოდა. ცხადია, ერთი კინოფილმი ბევრს ვერაფერს დაამავებდა, მაგრამ საერთო იდეოლოგიის, მასობრივი ზომბირების ფონზე თავის ვალს აღასრულებდა, როგორც მიზანსწრაფული ნაკადისა თუ ჩაგონების ერთი რგოლი.

შედევრის ტიტულიც ებოძებოდა.

მაგრამ საბჭოურ ეპოქას ბოლო რომ მოეღებოდა, ეს კინოკომედია მაინც დარჩებოდა მის ხსოვნას.

ზოგისთვის — გაუნელებელ ნოსტალგიადაც.

გახსენებით კი ნამდვილად უნდა ვიხსენებდეთ, როგორც ცნობიერების გაორების ნიმუშს; და ამიტომაცაა აუცილებელი, მის ჩვენებას ტელეეკრანზე წარუძღვეს შესაფერისი საუბარი, თუ რას წარმოადგენს „არაჩვეულებრივი გამოფენის" მხატვრულ-ეთიკური მრწამსი, რას ისახავდა ამ ყაიდის ფილმები და რაოდენ შმაგი გახლდათ რუსულ-იმპერიული სწრაფვა საზოგადოებრივი და ენობრივი ცნობიერების გასაორებლად, რასაც ძალდაუტანებლად მოჰყვებოდა ეროვნული შეგნებისა და თავმოყვარეობის სრული რღვევა.

ნელ-ნელა... თამაშ-თამაშით... სიცილ-სიცილით...

სხვაგვარად რა აზრი აქვს მის გაუთავებელ ტრიალს ტელეეკრანებზე, ლამის ზეპირად რომ დაასწავლეს მაყურებელს?

ვითომ დაბნეულობით?

რეჟისორის პირადი გავლენით?

კვლავ საზოგადოებრივი ზომბირებისათვის ხომ არა?

მერედა, რუსული ორიენტირის ასეთი დაუმცხრალი პროპაგანდა?!.

პროპაგანდა არა, პიარიო, — უსათუოდ შემისწორებს ვიღაც, თითქოს მთავარი ეს იყოს.

სამშაბათს, 23 დეკემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"
დარბაზში გაიმართება
განხილვა
**გურამ ბათიაშვილის**
ისტორიული რომანისა
**„ჟამი უგნოგისა და ჟამი დუმილისა"**
მომხსენებლები
**რუსუდან დაუშვილი**
და
**ნანა კუცია**
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

რა არის სიკეთე — სიტყვა თუ საქმე, ფიქრი თუ ქმედება, ოცნება თუ რეალობა?
როდის არის ადამიანი ღვთაებრივად კეთილი — როცა განიცდის თუ როცა გასცემს?
როდის შეიწირავს უფალი ჩვენს კეთილ საქმეს — როცა გული გვკარნახობს თუ როცა ვალდებულებას ვემორჩილებით?

ამ ფიქრით არის დაწერილი დიტო გოლუბიანის ეს ნოველა, რომლის მთავარ გმირს მიწის სითბო და ბალახის სუნი შთააგონებს კაცთმოყვარეობისა და თანალმობის სიხარულს, სიკეთისა და სითბოს ძალას, და გადაწყვეტილებას: იყოს იქ, სადაც სხვებს არ უნდათ ყოფნა.

დიტო გოლუბიანი

# თვალები

*ვუძღვნი თამთას*

რესტორნის ხმაურმა შეაწუხა, საჭმელ-სასმელის სუნი თითქოს მთელ ტანში გაუჯდა — სულს უხუთავდა. „გავალ გარეთ, ბუნებაში გავივლი სუფთა ჰაერზე“. გაიფიქრა და გასასვლელისკენ დაიძრა. გზად ერთ მოზრდილ ღვინის დოქს დასწვდა. — იპარები, არა?! ძებნა არ დაგვაწყებინო, შე ძველო, შენა! — სუფრიდან გამოსძახა მეგობარმა. ხელით ანიშნა, მალე მოვალო და გავიდა.

ტყით დაფარულ მთის ძირში, ძალიან ლამაზ ადგილას იყო რესტორანი. სუფთა ჰაერმა გონება გაუწმინდა, გაუხალისა. ფერდობებს შეავლო თვალი. ვეება, ფართოდ გაშლილი ცაცხვი შენიშნა, გაუხარდა. „იქ უნდა ავიდე... უნდა ავიდე!“ — და შეუდგა აღმართს. ბავშვობიდან უყვარდა განმარტოება. იპოვიდა თავის მოსაწონ ადგილს, მდინარის ან ზღვის პირას, ქვაზე ან კლდეზე ჩამომჯდარი ისე ჩაიძირებოდა ოცნებებში, ფიქრებში, რომ ღამეც კი გაუთენებია. მოენატრა ბავშვობა, ახალგაზრდობა — „ნეტა იმ დროს!“

გაუჭირდა, ძალიან გაუჭირდა, დაიღალა, მაგრამ მაინც ავიდა. ხავსმოდებულ, ჩამოტეხილ ტოტებს შორის ძლივს გაეტია და ცაცხვის ძირში მოლზე გაგორდა. სული მოითქვა. იქვე დოქი, სიგარეტი ასანთიანთურთ, ქაღალდის ხელსახოცი დაალაგა. მიმოიხედა — „კარგი ადგილია, მშვენიერი. კაცმა რომ მოინდომოს, აქ გზას გაჭრიდა, შემოღობავდა, ააშენებდა. მერე ტრაქტორი, გენერატორი!.. კარგი, რა!“ — თავისსავე აქაფებულ ტვინს შეუტია — „გეყო რა რაღაც სისულელეები! სულ აშლილი, დაძაბული როგორ უნდა იყო?! ანგრევ-აშენებ, გარბიხარ-გამორბიხარ, მისდევ-მოგდევენ, აგინებ-გაგინებენ...“ — მოისვენე, რა! — ხმამაღლა შეუძახა თავისთავს ძველმა.

მიწის სითბომ, ბალახის სუნმა დააწყნარა, დაამშვიდა, ნელ-ნელა მოეშვა. ხელებზე დაიხედა, კარგა ხანს ათვალიერა. — ვბერდები, ვბერდები, — წაიჩურჩულა. მერე თავი წამოსწია, დოქს გადასწვდა, და რამდენიმე დიდი ყლუპით მშრალზე მშრალი კახური შესვა. საამო ჟრუანტელმა დაუარა მთელ ტანში. ფოთლების შრიალი, სადღაც ბავშვების ჟრიამული, ფუმფულა ღრუბლები და შორს, შორს დათოვლილი მთები... ქუთუთოები დაუმძიმდა, ძილისკენ წაიღო — „ნეტა რამდენი დამრჩა დრო, ღმერთო დიდებულო! მინდა ცოტა კიდე ვიყო, ვუყურო ამ სილამაზეს“. — დაბინდულ გონებაში დატრიალდა ისევ...

ცალი თვალი გაახილა — „ამ ბავშვმა კი ნამდვილად შემაწუხა, საიდან გაჩნდა! მაცადოს რა!“ ისიც კიდე რო არ ჩერდება! დაძვრება ჩამოტეხილ ტოტებს შორის, ხან ზემოდან მოექცევა, ხან ქვემოდან, ჩალიჩობს, არ ისვენებს; სიგარეტს ფეხი გაჰკრა, ასანთს გაუკიდა, დოქი კინაღამ წააქცია! თითი დაუქნია, მუშტი მოუღერა, მაგრამ რად გინდა; ბოლოს სწრაფად წამოჯდა, იმარჯვა, ხელი წაავლო და მუხლებზე დაისვა. გაბერილი ბუშტივით მსუბუქი ისე მოულოდნელად აიტაცა, რომ მეორე ხელი მიახმარა — კინაღამ გაეშვა!..



— მეტკინა, ბაბუ! „რაო, ბაბუო? რა ბაბუ, რის ბაბუ... ისე ჩემსავით ყურშა და ჭორფლიანია“. სისხლი გაუთბა ბაბუს. „ისე კი ნამდვილად ჩემია, ჩემიანია!“

— შენ ბიჭო! მოისვენებ თუ არა, ჰა? მაცადე რა, შემარგე ეს სასიამოვნო დღე, რა იქნება, ჰა! ძლივს ამოვედი აქ. — ვითომ მკაცრად ჩაეკითხა. იმანაც გაკვირვებული, დიდი თვალები შემოანათა, ათასი მხიარული ნაპერწკალი ესროლა და ხელიდან დასხლტომა სცადა.

— ბიჭო! შენ ყურები და თვალები გამძიმებენ მარტო, არაფერს გაჭმევენ?

— მაჭმევენ, — სწრაფად უპასუხა პატარამ და პირდაპირ თვალებში შეხედა.

— იცი, რას გეტყვი? მაგ შენი სუფთა, ლამაზი, კრიალა თვალებით ვერ მომთაფლავ!

— მე, იცი, როგორი თვალები მინახავს?.. არ იცი. მოიცა, ცოტა ღვინოს დავლევ და მოგიყვები, როგორი თვალები მინახავს — დოქი მაღლა ასწია და ზემოდან რაკრაკით წამოსული ღვინო პირლიამ გაზვიადებული სიმშვიდით ყლაპა და ყლაპა, თან თვალს არ აშორებდა პატარას გალიმებულ თვალებს.

— ჰოდა, — ძლივს ამოისუნთქა — მე წიქარას უძირო, ლურჯი თვალები მინახავს. შენ?

— მინახავს.

— მე კიდე — ამირანის დიდი, ღონიერი თვალები, აბაა.

— მეც მინახავს.

— შენ ჭინჭრაქას ეშმაკუნა თვალებიც გინახავს?

— მინახავს.

— კარგიი. გლეხის თვალები გინახავს, მტევანს რო ეფერება?

— მინახავს.

— აბა, ახლა მოგიყვები: ჭიდაობა გამართა ჩვენში შემოჭრილმა უცხო ტომის სარდალმა და გამოაცხადა: იჭი-

დაეეთ, მაგრამ ვინც ჩემს ფალავანს წააქცევს, მაჯას გადაუმტვრევო — ხალხის დაჩაგვრა, გატეხვა, დაბეჩავება მოინდომა. ჰოდა, გამოვიდა ერთი ჭაბუკი, იცი, როგორი თვალები ჰქონდა? — „ნეტა არ დაეეცე, მკლავს ვინ ჩივისო!“ — ფალავნები კიდე მათ ჰყავდათ, თუ ჰყავდათ, მაშ. გინახავს იმის თვალები, მიწას რო გააკრა კლდესავით კაცი? ჩაუდეს ნაპობში მკლავი, დაჰკრეს ჩექმა და გადაუმტვრიეს მაჯაში. გინახავს იმის თვალები?

— დედამისი და მამამისიც იქ იყვნენ? — გაუბედავად იკითხა პატარამ.

— აბა რა, მთელი ქვეყანა იქ იდგა, დიდი-პატარა, ქალი-კაცი, ერი-ბერი. ჰოდა, კიდევ გამოაცხადა სარდალმა ჭიდაობა და ისევ გამოვიდა მაჯადალეწილი ის ჭაბუკი საჭიდაოდ. შეუგდო ბეჭი და კიდევ ხეთქა მიწაზე მათი ფალავანი... და ახლა მეორე მკლავიც ჩაუგდეს ნაპობში... მოიცა, ცოტას დავლევ, თორე ველარ ვყვები... — დოქს ხელი დაავლო და ყელში მოწოლილი ბოლმა ცოტა ჩაიტანა. — გინახავს იმ ჭაბუკის თვალები?!

— მინახავს.

— გინახავს, არა კიდე! რა გვარისა იყო, ნეტა გამახსენა... ჰოდა, კიდე გამართეს ჭიდაობა და ორივე მაჯადამსხვრეული კვლავ რომ გამოვიდა საჭიდაოდ, იცი, როგორი თვალები ჰქონდა იმათ ყოვლისშემძლე, სისხლით აყროლებულ, ღორისთვალება სარდალს? შეშინებული, რწმენაშერყეული! დაბნეული! რა გვარისა იყო ის ჭაბუკი, რამ გამომაშტერა!.. — ნიკაპი აუცახცახდა ძველს. პატარა თითებმა გაუჩერა ტუჩები, მაგრამ კბილებმა ისე დაიღრჭიალა, რომ სასწრაფოდ აილო ხელი ბაბუს ტუჩებიდან — ჰა, ჰა! ნუ გეშინია, არ მოგაჭამ! — ძლივს გამოსცრა კბილებში ძველმა. — ჰოდა, გინახავს იმ ჭაბუკის და მთელი იმ ხალხის თვალები? რა გვარისა იყო? შენც ხო გამოხვალ ეგეთი უტეხი?

— არ ვიცი. ისე თვალებიც მინახავს, გვარიც ვიცი. მაგრამ არ გეტყვი! — თავი ჩაქინდრა პატარამ.

— რა ყველაფერი იცი, შე მაიმუნო, — პატარა ისე შეაყანყალა, თავი არ მოძვრესო, გაიფიქრა. მერე შემოატრიალა. პირდაპირ თვალებში ჩახედა და გულში ჩაიკრა. კარგა ხანს ისხდნენ ასე.

— ეეე... შვილო, შენ რა, გინახავს. იცი, როგორი თვალები ჰქონდა დიდებულ კაცს, ძმებს შორის რომ ჩადგა, — „შეჩერდით, თორემ თავს დავიწვავო! და იცი, როგორი გაუხდა, როცა შეუძახეს — „მიდი, აბა მიდიო!“ — შენ რა იცი, ვირეშმაკა, გაბოზებული თვალების, რო გიყურებენ და გატყუებენ და შენ კიდე ვითომ ვერ ხვდები?! შენ რა გინახავს მოლალატის თვალები?! და ამის მნახველი, ნაადრევად დაბერებული სახე?! — თავისთვის ჩუმად დაწყებული ბოღმის მოყოლას ხმა აუწია ძველმა. — შენ რა, გინახავს გალახული კაცის თვალები? შენ ჩემი თვალები გინახია?! ჩასისხლიანებული, გაგიჟებულები რომ კივიან: ჩაგძირავ! დაგმარხავ! შანსს არ დაგიტოვებ!.. შენ რა გინახავს, როგორ ისიპება საყვარელი ადამიანის თვალები?! შენ რა...


მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

— კარგი! კარგი! ნუ ყვირი, ბაბუ! ნუ ყვირი! — ისეთი ამოსძახა ბავშვმა, რომ ძველს კინაღამ გული გაუჩერდა, სულ გადაავიწყდა, მარტო რომ არ იყო. თვალებში ცრემლის გუბეები ჩასდგომოდა პატარას. „როგორ, როგორ შევაშინე ბავშვი გამოყეყეჩებულმა ბებერმა! დავბერდი და ეს სიფიცხე ვერ მოვიშალე. დავთვერი ალბათ. რეებს ვუყვები, ჰა?“

— არა, ბაბუ, არ შეგეშინდეს, მაპატიე. — მუხლებიდან ჩამოსმა მოინდომა, მაგრამ გაუჭირდა, ტყვიაჩასხმულივით მძიმე მოეჩვენა პატარა. კიდე სცადა, „რამ დაამძიმა ასე“, — გაიფიქრა, — თუ მე გამომელია ძალა?! ისიც თავჩაღუნული, მძიმედ, ზლაზვნით გაშორდა, იქვე გაჩერდა და ისეთი თანაგრძნობით გამოხედა ბაბუს, თითქოს მამაო ყოფილიყოს.

— ნუ გეშინია, შენ გაგიმარჯოს და შენს სუფთა თვალებს, — თვალი ჩაუკრა, გაუღიმა. მე ერთგული, სიყვარულით სავსე თვალებიც მინახავს! მხიარული, ლაღი, თავისუფლებით ალტაცებული თვალებიც...

— მე არ მინახააააააავს! — კატასავით შემოსჩხავლა პატარამ.

— უუუჰ, შე მაიმუნო, ახლა მოვედი, გამასწარი იცოდე! — ვითომ წამოხტომა უნდოდა ბაბუს და სასაცილოდ აafართხალა ფეხები. გოჭივივით დაიჭყივლა და გავარდა, ვითომ შეშინებული ბიჭი. მერე გაჩერდა ბუჩქნარში, იქიდან ჩუმად გამოიხედა და კიდევ რომ აფართხალდა ბაბუ — მოვედი ახლაო! — ვერცხლისწყალივით გაძვრა, გასრიალდა და სიცილ-კისკისით ტყეში ბავშვების ყიჟინას შეერია.

„შენ არ გენახოს, შვილო, ის თვალები, რაც მე მინახავს!“ — დოქს დასწვდა, მაგრამ ისეთი ტკივილი იგრძნო ბეჭებში, რომ კინაღამ გაუვარდა.

— რა გინდოდა! რას ერჩი! რახან უპატრონო იპოვნე, არა! — ზურგსუკან ჩახრინწული ხმა და ზუზუნი გაისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჯერად მოასწრო და სახრე, სახრე კი არა და დიდი, მოქნეული კეტი დაუჭირა მომხდურს.

— შენ გელაპარაკები, ნახე არა უპატრონო?

დაიბნა ძველი, გაფითრდა, ცალკე ტკივილისაგან, ცალკე ამ უაზრო კითხვისაგან, მაგრამ გაცოფებულ თვალებს რომ გადაანყდა, თავისმართლება სცადა:

— მე, მე თვალებზე ველაპარაკებოდი, ვის როგორი თვალები აქვს, მეტი არაფერი, გეფიცები!

მომხდური კარგა ხანს ჩაშტერებული ჩუმად ადგა თავს, მერე სიცილი აუტყდა:

— ვის ასწავლი, ბიჭო, თვალებს. მაგ უპატრონოებს? მაგ უპატრონოებმა რო თვალები იციან, ისე შენ რა იცი?! ერთს შეგხედავენ და უკვე იციან, ვინ ხარ, რით სუნთქავ!

ახლა კი გამოვიჭირე სიტყვაზე — იფიქრა ძველმა და იქით შეუტია:

— რა უპატრონო და უპატრონოები აგიტყდა — შე მართლა უპატრონო, შენა!..

— ჰო! მეც უპატრონო ვარ, გააწყვეტინეს უცებ — აი, იქ, ხევში, რომ უპატრონოთა სახლია, იქ გავიზარდე. ახლა დარაჯად ვმუშაობ. როცა კარგი ამინდია, ბავშვებს ტყეში მატანენ. იქ პროფესორებივით დაიარებიან, აქ კიდე გაცოცხლდებიან, გამხიარულდებიან, ბავშვებს დაემსგავსებიან, აბა! ისე, არ უნდა ამბობდე ტყუილს, თორე გველივით გაგიჭეჭყავ თავს, — ისევ შეუტია დარაჯმა.

ძველი ჯერ გაშავდა, გალურჯდა, თეთრი ფერი დაედო, მერე გაწითლდა. დარაჯი ცოტა შეშინდა — ცუდად ხო არა ხარ, კაცო, არ დამღუპო ახლა, ბავშვები მყავს უკან დასაბრუნებელი, შენ აქ ვერ მოგხედავ. ისე ამ დოქში ღვინო თუა, დამალევინებ? გადამთიელი ხომ არა ხარ?

ხმის ამოუღებლად მიაწოდა დოქი, იმანაც კიდე სვა და სვა მონწყურებული ხარივით.

— ცოტა დამიტოვე, რა! პირი გამიშრა! ისე, მართლა უპატრონოები არიან, არავინ არ ჰყავთ?

— ჰყავთ, როგორ არა ჰყავთ, აბა ისე როგორ გაჩნდებოდნენ. მაგრამ რომ არ ჰყავდეთ, ჯობია. თვალებიო რო იძახი, აბა მაგათი თვალები უნდა ნახო, ლობე-ყორეს რომ არიან აკრულები და გზას გაჰყურებენ. მერე თუ ვინმე გამოჩნდა, გაიფანტებიან, ვითომ რაღაც საქმეებს ჩალიჩობენ. ისეთი დაძაბულ-დაჭიმულები არიან, რო ხელები უკანკალებთ, ზოგი ისვენებს... ის ვიღაც რომ ჩაივლის, მერე ისევ აეკრობიან ლობეებს, აბა! შენ იმათი თვალები თუ გინახავს, აქ რომ ვერ ამომყავს? ქე რო დახოხავენ, დაგოგავენ, დიდი მრგვალი თვალები აქვთ და პირი სულ ღიმით, გეგონება, მათი ბრალი იყოს, ამ ქვეყანაზე რო გაჩნდნენ. ცოტა ხნით არიან მოსულები ამ ქვეყანაზე ეგ საცოდავები...

— კარგი, გეყოფა, ნუ მომკალი! დამალევინე ეგ ოხერი ღვინო, თორემ გასკდა ეს გული. — იყვირა ძველმა. დარაჯმაც მიაწოდა, მერე უკან წაილო, კიდევ რამდენიმე ყლუპი მოსვა და დადგა.

— კარგა ხანია ასეთი ღვინო არ დამილევია, ჰოდა, კიდე ჩემამდე ადრე, ვიღაც, ვითომ პატრონი, მოდიოდა და ბავშვის მოგროვებულ კანფეტებს, ორცხობილებს, რაღაც-რუღაცებს ეზიდებოდა. ჰოდა, იქიდან მოყოლებული, ყველა ჩუმ-ჩუმად აგროვებს ამ რაღაც-რუღაცებს, სასუსნავებს, — მეც ვაგროვებდი: იქნებ მომაკითხონო. მერე, როცა დრო გადიოდა, ვინმეს დაბადების დღეზე ყველა გამოაჩენს ხოლმე — ვითომდა ამისთვის ინახავდნენ. შენ რა, გინახავს ამ დროს მათი თვალები?

— შენ რა, თუ ძმა ხარ, ჩემს მოსაკლავად მოხვედი?! რეებს მიყვები. ის ბავშვი ფეხშიშველა იყო. აი, ფული, საუკეთესო ბოტასები და სპორტულები უყიდე, კიდე ხილი, — ხმა ძლივს ამოიღო ძველმა.

— არა, ძმაო, არ ჩაიცვამს, ხომ არ მოვატყუებ, მამაშენმა გიყიდაო, ან საჭმელი გამოგიგზავნაო. თუ სხვისგანაა, ყველაზე უნდა განაწილდეს. ჰოდა, არ ჩაიცვამს.

— მეტი ფული ახლა ჯიბეზე არ მაქვს. მაშინ ბურთები უყიდე ყველას, ტკბილები, რაღაცები რა. წავედი, დავეშვი ახლა ქვევით, სანამ ბოლომდე არ გამიხეთქე გული. ეს ღვინო შენ, სიგარეტიც. ძალიან არ დათვრე, იცოდე, მისახედი გყავს ბავშვები!

— ეგ არ შეგვეშლება, ძმაო! ისე თლათ ცუდი კაცი არ უნდა იყო, ხომ იცი! აბა, ფრთხილად დაეშვი, აქ ციცაბოა, ან როგორ ამოხვედი? ღმერთმა ჯანი მოგცეს!..

რესტორნის ეზოში დაქოქილი მანქანებით ძმაკაცები ელოდნენ, ცოტა აფორიაქებულები, ნასვამები.

— სად ხარ, ბიჭო, კინაღამ ძებნა გამოვაცხადეთ! — დააყარეს აქეთ-იქიდან.

— შენ სამმართველოში ხომ შემოიყვანე ავტობუსები? — ჰკითხა ერთ-ერთს. — ორხიდიანი პატარა ავტობუსები გამიცვალე ჩემს მანქანაში, დღესვე, ხვალ რომ გაფორმებული იყოს!

— კი მაგრამ რად გინდა, მაგდენიც არ მყავს, რა მოგივიდა, ახლა არ იყიდე, რა გეჩქარება?

— სამ ავტობუსს თუ მომცემ, გაგიცვლი, არ ვხუმრობ.

— სამიც ღირს და ათიც, მაგრამ რაშია საქმე? გვითხარი! — დაიბნა ავტობუსების პატრონი.

— თუ ათიც ღირს, მაშინ იცი რა ქენი, სპორტული ინვენტარი იყიდე და ერთი ავტობუსი გამივსე ბაგა-ბაღის და სკოლის ასაკის ბავშვებისთვის, პინგ-პონგი, კედები, კალათბურთი, მოკლედ ყველაფერი. ხვალ მზად იყოს! სერიოზულად გელაპარაკები, დაგაჯარიმებ, იცოდე.

— ბიჭო, ერთ ავტობუსს კი არა, სამივეს გაგივსებ და ჩემს სამმართველოსთან დილით გაფორმებულ-გამზადებული დაგხვდება.

— ჰო, კიდე! — ხმამაღლა გასძახა სამეგობროს ძველმა, — ჩემს ნახევარ წილს ვყიდი, სასწრაფოდ!

— შენ, ბიჭო, იმ ტყეში ყომარი ხომ არ წააგე? რა გჭირს, რა დაგემართა! — მანქანიდან გამოსძახა ბავშვობის მეგობარმა, — თუ ეგრეა, მე ავიღებ მაგ წილის ნახევარს.

— შენ იცი რა, მომისმინე, წავაგე კი არა, მოვიგე, ჯერ ერთი, მერე მეორეც, ჩვენ რო ყველა ფეხშიშველა ვიყოთ და შენ ვიღაცამ მაგარი ინგლისური შტიბლეტები გაჩუქოს, ჩაიცვამ?

— ჩავიცვამ კი არა... თქვენ წინ სულ ჩიჩოტკას ვიცეკვებ! რა გჭირს, არ გაგვაგებინებ?

— ჰოდა, მაგაშია საქმე! აბა სახლამდე მიმიყვანეთ და ხვალ მე ვიცი! ისეთ ედემს მოვუწყობ იმ პატარებს, რომ აქეთ გამოხედვა კი არა, ყველა იქით გარბოდეს დიდიანპატარიანად! — მაღლა აიხედა, პირჯვარი გადაიწერა, — ღმერთო, ცოტა დრო მომე, გევედრები! — ნათელი, მიზანდასახული, ბედნიერი თვალები ჰქონდა ძველს!..



დალილა ბედიანიძე — თაობის გამოკვეთილი ლიდერი, უფრო სწორად, იმედი, რომელსაც მართლაც ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა. ცოდვა გამხელილი სჯობს, მას შემდეგ ბევრს მოვითხოვთ მისგან, ალბათ შეუძლებელსაც კი, მაგრამ კარგი ის არის, რომ „მომთხოვნელობის რეჟიმი" მასზე ცუდად არ მოქმედებს, პირიქით, როგორც ჩანს, ეს ერთგვარი სტიმულიც არის, რომ მუდმივად იყოს თავის თავთან, თავისი პოეტური ეპიცენტრის სიახლოვეს, ანუ იქ, სადაც ავალებს შემოქმედებითი პასუხისმგებლობა.

იგი ისევ ისეთია — გულწრფელი, მართალი, ღრმად ლირიკული და პოეტურად ჭკვიანი, თუ საერთოდ შესაძლებელია ამ ოქსიმორონის როგორღაც წარმოდგენა. ჩვენ წინაშეა განცდებისა და პოეტური ხატების აკომპანიმენტით შექმნილი სამყარო, სადაც სიცოცხლის არსებობის უჩვეულო წესები მოქმედებს, სადაც ყველაფერი მარადიულია და, ამავე დროს, წამიერია, სადაც ყველაფერი ცხადია და, ამავე დროს, ბუნდოვანია, სადაც ყველაფერი რეალურია და, ამავე დროს, ირეალურია. ერთი სიტყვით, ყველაფერი არის ნაცნობი და, ამავე დროს, არის უცნობი, რადგან ვკითხულობთ დალილა ბედიანიძის ლექსებს, რომელსაც ყოველთვის გამოარჩევდა მაღალი გემოვნება, სიმწყობრე და მოულოდნელობის ეფექტი.

## დალილა ბედიანიძე

* * *

მე მოვიქსოვე მარტოდმარტო გატარებული ღამეებისგან
შავი კაბა და ზედ მთვარე – ღამის თვალი
ამოვაქარგე.
მე მოვიქსოვე მარტოდმარტო გატარებული დღეებისგან
თეთრი კაბა და ზედ მზე – დღის თვალი
ამოვაქარგე.
ერთმანეთს მიჰყვებიან ჩემი დღეები და ღამეები,
როგორც ბორკილებით გადაბმული პატიმრები
და დროა მათი ზედამხედველი
და მე მინდა, ძალიან მინდა
ჩემი პატიმარი დღეები და ღამეები გავათავისუფლო,
ვიხსნა დროის კლანჭებიდან და
ცხოვრება ციხეს აღარ ჰგავდეს,
არამედ ჰგავდეს მარადიულად მოყვავილე ველს,
სადაც არავინ მომიზომავს დღესა და ღამეს.
ჩემი თეთრი და შავი კაბები
მზისა და მთვარის თვალებამოქარგულები
დღესა და ღამეს შემახსენებენ
და მიცავენ ავი თვალისგან
და როდესაც კაბას ვიცვლი,
ვემსგავსები მდინარეს, რომელიც კალაპოტს იცვლის
და ადიდებული შლის ყველა საზღვარს
და ერთი წუთით, წუთით მაინც
მეუფლება თავისუფლება.

* * *

უდაბნოში დაწოლილ აქლემს ჰგავს
გაყვითლებულფოთლებიანი მთა და
მზე კუზზე ჰკიდია.
ქვიშისფერია ზეცა – ქარი ქვიშას აყრის,
აქლემი კი დაღლილია და ისვენებს
და მე ვუზივარ თავთან
და მის ნაღვლიან თვალებს ჩავჩერებივარ,
როგორც ორ პაწია ტბას,
რომელშიც ვხედავ მზის ანარეკლს,
ლამაზს, როგორც სიტყვები „საღამო მშვიდობისა!"
ბებერია აქლემი და მის კუზში
დარჩენილი დღეები დაგროვილან,
რომელიც უნდა დახარჯოს უდაბნოში ხეტიალით
და პატრონი სამშვიდობოს გაიყვანოს.
მან კარგად იცის უდაბნოს გზები,
გამოცდილია, დაბრძენებული
და გრძნობს, ახალგაზრდა პატრონი როგორ ენდობა.
უდაბნოში დაწოლილ აქლემს ჰგავს მთა და
ველოდები, როდის დაისვენებს და გზას განვაგრძობთ
და აქლემის კუზზე მოკალათებული საღამოს მზე
მოთმინებას გამოასხივებს.
ნეტავ, იმდენ ხანს გამაძლებინა,
სანამ ეს მთა არ დაიძვრება.

## ხის მოჭრა

ხე მოკლეს.
ხე რომ მოჭრეს, კაცივით დაიკვნესა,
კაცივით წაბარბაცდა და დაეცა და
ტოტებით ცა ჩამოფხაჭნა
და ცას ტკივილისგან ცრემლი წასკდა
და კენწეროდან მზე ჩამოვარდა
და დაიმსხვრა.
ეს ხე განა მხოლოდ მიწას იყო ფესვებით ჩაჭიდებული,
მისი ტოტები ცასთანაც იყო შეხორცებული
და როცა დაეცა, ცაში შავი ორმო გაჩნდა საფლავივით.
ამ ხეს თავისი ანგელოსიც ჰყავდა,
რომელიც მის ტოტებზე ცხოვრობდა.
შეშინებული, უსახლკარო ანგელოსი
ახლა ზეცას აწყდება და დედამკვდარი ბარტყივით
მოთქვამს.
ფრთხილად, ფრთხილად ხისმჭრელო!
ხის ტოტები ერთხელამც მზესთან ნახვევნი არის,
ხის სხეული ერთხელამც მთვარესთან ნაწოლი არის,
ხის ფოთლები ერთხელამც წვიმასთან ერთად ნამღერი
არის...
ხის კენწეროდან ჩამოვარდნილ დამსხვრეულ მზეს
ტყის ფერია აგროვებს და
შელოცვით ამთელებს
და მერე ფასკუნჯივით შეაფრენს ცაში
და მოჭრილი ხის ფესვზე ამოსულ ატირებულ ყლორტს
ნანას უმღერის და მზისაკენ
გზას მიასწავლის.

* * *

ჩამწყვდეულია ჩემში წვიმები
და წვიმის მიმოქცევა სისხლის მიმოქცევას ერთვის.
მღერიან ჩემში წვიმები და
სიტყვებს ისე წარმოვთქვამ,
თითქოსდა წვეთები წკაპუნობდნენ
და მტკივა თვითეული მოწყვეტილი წვეთი,
რომელიც ჩემი ნაწილია, ჩემი სისხლი ურევია.
ჩამწყვდეულია ჩემში წვიმები,
წვიმის წვეთებს ფერხული ჩაუბამთ და
მეც მაცეკვებენ თავიანთ რიტმში
და მე ადგილს ვერ ვპოულობ,
ვერ ვისვენებ ონავარი წვიმის ხელში.
დამეუფლა წვიმა,
მე მოარული წვიმა ვარ და
ჩემი თვალებიდან, როგორც ორი მოცეკვავე შადრევანი,
წვიმა იფრქვევა სინათლესავით
და წვიმის თვითეული წვეთი
თითო სიტყვაა
და მთელი წვიმა ჰგავს საგალობელს
ჩემში ჩამწყვდეული ღრუბლების ქორო რომ გალობს.
წვიმამ წვიმას ჩაჰკიდა ხელი, როგორც ძმამ – ძმას
და ჩემში ჩამწყვდეული წვიმები
ისე მებრძვიან, როგორც ქვევრს – მაჭარი.

* * *

ამ უსასრულო უდაბნოში მირაჟია ჩვენი ბავშვობა,
ოაზისია ჩვენი ბავშვობა,
რომელიც ჩვენს ხსოვნაში იმისათვის ინახება,
რომ როცა რამე გაგვიჭირდება,
მივადგეთ და აღვიდგინოთ ის გამძლეობა და სიმტკიცე,
უდაბნოს რომ აგვატანინებს.
ამ უსასრულო უდაბნოში ქარები გზას გვიბნევენ და
ჩვენს გზებს შლიან ცხელი ქვიშით, აუთოვებენ
და ამაოდ ვეძებთ საშველს და გამოსავალს,
რომელიც გვიხსნის და გაგვიყვანს უდაბნოდან.
ყველას ხვედრი უდაბნოა
და როცა უცბად ერთმანეთს ვხვდებით,
ჩვენი მოკითხვა და საუბარი
ჰგავს ქვიშის შრიალს
და აღმოვაჩენთ, რომ ვქცეულვართ ქვიშის მარცვლებად
და ქარიშხალი თავის ნებაზე მიგვერეკება
და შენახული სულში ბავშვობა
დაუხარჯავი განძია და
როცა ბავშვობის ოქროს კარს მივადგებით,
ხელუხლებელი გვხვდება განძი,
მაგრამ რად გინდა! სად წავიღოთ ამ უდაბნოში?
მივდივართ ასე დაუხარჯავი,
სულში ჩაკლული სიხარულით
და ერთადერთი იმედი გვაქვს – იქნებ, ჩვენს შემდეგ მოვიდეს ვინმე,
ვინც ქვიშაზე დაწერილ ჩვენს ბავშვობას ამოიკითხავს.

## აყირავებული დედამიწა

აყირავებულ დედამიწაზე ფეხს ვერ ვიკიდებ,
თავქვე ვეშვები
აყირავებული მზისაკენ და აყირავებული მთვარისაკენ
და ვარსკვლავები, როგორც ბავშვები,
გაოცებული შემომყურებენ.
დაირღვა სამყაროს წესრიგი, დედამიწა აყირავდა და
ამიყირავა მთელი ცხოვრება
და კაცმა რომ თქვას, რას აქნევ ისეთ ცხოვრებას,
რომელიც ერთხელ მაინც არ აყირავდება
და არ ამოგაგდებს კალაპოტიდან,
რომ სულის მინდვრები დაიტბოროს და
წარღვნით განიწმინდოს.
აყირავებულ დედამიწაზე ფეხს ვერ ვიკიდებ,
ყალყზე დგას დედამიწა, როგორც ზღაპრული რაში,
რომ მოსწყდა ადგილს და მიწაზე კი არა,
ცაში გაფრინდა და გაიყოლა მზეჭაბუკი – თავის მხედარი.
მობეზრდა დედამიწას ყოველდღე ერთიდაიგივე გზით სიარული,
როგორც ჯაგლაგი ირჯება ხოლმე დილიდან საღამომდე,
მობეზრდა და ამოყირავდა,
მაგრამ არ ვიცი, სხვებისთვისაც თუ აყირავდა დედამიწა,
რადგან როცა მე აყირავებული მზისკენ მივექანები,
სხვები მყარად დგანან მიწაზე,
ვითომცდა აქ არაფერია.

* * *

იმ ასაკში ხარ, როცა ქმარი ძმასავით უყვართ
და წლების წვიმას ჩაუქრია ვნების კოცონი.
ერთად ცხოვრება აღარ არის დღესასწაული,
თვალებში აღარ გიზგიზებენ საზეიმო მაშხალები
და თვალები ჰგავს მომკილ ყანას.
ერთად ცხოვრება ახლა მხოლოდ ჭაპანწყვეტაა
და ახლა შენ და შენი ქმარი ჰგავხართ ორ ხარს,
ურემს რომ ნელა მიათრევენ დაღლილები,
ანდა ურმიდან გამოხსნილები
დასასვენებლად ბებერი მუხის ჩრდილქვეშ წვანან
ამღვრეულ დღეში და კუდით ბუზებს იგერიებენ,
როგორც წუთიერ მოგონებებს ჰაერში რომ ბუზებად ჩანან.
იმ ასაკში ხარ, როცა ქმარი ძმასავით უყვართ
და სიცოცხლის მწვერვალიდან დაბლა ეშვებით
და ხშირ-ხშირად იხსენებთ ხოლმე,
როგორ აიტანეთ მზე ამ მწვერვალზე,
რომ თქვენს შვილებს და შვილიშვილებს
არაფერი გასჭირვებოდათ
და თავიანთ ცხოვრებაში მზის დროშით ევლოთ.
მზე კი სიზიფეს ლოდი ყოფილა
და ახლა თქვენი შთამომავლები მიაგორებენ მწვერვალისკენ,
თქვენ კი – თავქვე დაშვებულნი
უბრუნდებით მწვერვალის ფუძეს – დაბადებას,
რომელიც უდრის გარდაცვალებას.

## მაია სარიშვილს

შემომყურებს ორი მცხუნვარე თონე –
ორი თვალი და მე ვცხვები, როგორც პური
შენი თვალების თონეებში
და როდესაც მეპურე თონიდან ამომიყვანს,
ვიქნები ლექსი ჩვენი არსობისა და
შენს მაგიდასთან მოვთავსდები, როგორც სტუმარი.
გაფითრებული და თვალებანთებული ვიქნები და
გთხოვ, გამაფერადო,
როგორც შენი პატარა შვილები აფერადებენ თავის
ნახატებს
და მინვდიან სავიზიტო ბარათებივით,
რომ ხშირ-ხშირად მოვიდე თქვენთან.
გთხოვ, გამაფერადო,
რაც თონემ დაიწყო, ის დაამთავრო –
თუმცა ლოყები დამბრანვია, როგორც პურს,
მაგრამ თვალების ფერი დამიკარგავს,
რადგან თვალები დახუჭული მქონდა თონეში
და ჩემი აბაზიანებივით პრიალა ქუთუთოების მიღმა
ვერ შეაღწია მცხობელის სალებავმა.
შენ გინდა პური, რომ ოთხი შვილი დააპურო.
მე შვილები არ მყავს და პურად გადავიქცევი
შენი თვალების თონეებში და როცა შენთან სტუმრობა
დამთავრდება,
წავალ და მაგიდაზე
დაგიტოვებ ლექსს, ჩვენი არსობისა
და მერე მთელი ღამე
შენ მიერ გაფერადებული თვალებით
დავინახავ მომავალს სიზმრად.

## სასტუმრო ოთახში

სასტუმრო ოთახში ყავისფერ ოთხ თათზე
მაგიდა ამოიზარდა, როგორც გაჩერებული კუ და
ზურგი მოგვიშვირა თვინიერად,
რომ დავდგათ მასზე საფერფლე და
მდუღარე ყავით სავსე ფინჯნები.
ტელევიზორი თვალის ხამხამით
გვაკვირდება და
ჩვენი თვალები მასში შედიან,
როგორც სტუმარი – მასპინძლებით სავსე სახლში.
სკამები წელში მოხრილან თავაზიანად
და კი არ ვსხდებით,
სკამებს ვეწებებით,
როგორც ოთხი წლის ბავშვის გაკეთებული აპლიკაცია.
ჩვენ ვსვამთ ყავას,
უფრო სწორად, ყავას კი არ ვსვამთ,
შუადღეს ვყლაპავთ ყლუპყლუპებად
და ვლაპარაკობთ, რასაც შუადღის მზე გვკარნახობს.
სექტემბრის მზე აივნის ღია კარში ჩამდგარა –
აინტერესებს, როგორ მიდის სტუმრობის საქმე.
ყავას სიგარეტს მივაყოლებთ და
სიგარეტის და ყავის სურნელს
ხარბად ისრუტავენ და ინახავენ კედლები,
რომ როცა სტუმრები წავლენ,
ეს სურნელი გადმოაფრქვიონ,
როგორც სტუმრების სავიზიტო ბარათთა სუნი.

* * *

ფიქრებს ვსხლავ ვენახივით.
ჩემ ირგვლივ ბროლის ხეები დგანან
და მათში სჭვივის გაზაფხულის მადლი
და ყინვის ბროლი დნება,
რადგან ზამთარი კვდება
და კარს მარტი გვიკაკუნებს
მწვანე ხელებით.
ციდან, როგორც ვეება საცრიდან – ფქვილი,
ფიფქები მოცვივა.
დგას ქალი სახლში, როგორც ზმნა – წინადადებაში,
როგორც ბგერა – მუსიკაში
და მარტის თოვლივით ნორჩია მისი სხეული
და ქმარ-შვილი შემოხვევია, როგორც ნათლის სვეტს,
რომელმაც უნდა დააპუროს მათი სულები.
ფიქრებს ვსხლავ ვენახივით.
ბროლის ხეები დგანან, როგორც გამაში
დო-რე-მი-ფა-სოლ-ლია-სი
და დო-მაჟორს წკრიალებენ, როგორც მდნობარე
ლოლუები ყინულისა.
მარტი მოდის და კვირტებს ახელს თვალებივით
და დათოვლილი კვირტები ჰგვანან
თეთრ საფენებში გამოხვეულ ახალშობილებს.

## სახლის დალაგება

შინ ვარ და გადავწყვიტე, სახლი დავალაგო –
მტვრის გადასაწმენდი ტილოთი მოვეფერო ჩემს
ნივთებს,
მაგრამ ეს რა ხდება?
პიანინომ თავი აიხადა და კლავიშებზე
მზის სხივები დარბიან და
შავ-თეთრ ჰანგებს გამოსცემენ.
საწერი მაგიდა ყალყზე შედგა და
ჩემი ხელნაწერები ზურგიდან გადმოყარა.
სკამებს ფერხული ჩაუბამთ და
ირგვლივ მირბენენ, როგორც კრიშნას – მწყემსი
გოგონები.
ტელევიზორი ზოოპარკის მარტორქასავით
აწყდება თავის ჩარჩოს
და ახალ ამბებს გაჰყვირის მარტორქათა ენაზე.
ტახტი კუთხეში იჭიმება ჯარისკაცივით
და მთავაზობს წამოწოლას
და მე ვწვები ტახტზე, თვალებს ვხუჭავ
და ვგრძნობ, დღის ძილში როგორ ერთიანდება ცხადი და
სიზმარი,
სახლის დალაგება იქცევა ნივთების თამაშად,
რადგან მარტოხელა ვარ, ნივთები მიბრიყვებენ,
თავის ნებაზე მეთამაშებიან

და როდესაც თვალს გავახელ, სიზმარი მთავრდება,
ყველა თავის ადგილზეა და მეც შინა ვარ და აღმოვაჩენ,
რომ ჩემი სახლი თურმე უჩემოდ დალაგებულა.

## დღიური

მე ვწერ დღიურს თოვლით და წვიმით,
რომელთაც ალმოდებულ სისხლში ვაზავებ.
როგორც თეთრი მტრედის ბუმბულები,
მოფარფატებენ ფიფქები და ირთვება
ჩემი მოთმინების ძაფი
და ივსება წვიმით ჩემი მოთმინების ფიალა.
მე ვწერ დღიურს თოვლით და წვიმით
და მზის ქურაში გამოვწვავ სიტყვებს,
როგორც აგურებს,
რომლითაც უნდა ავიშენო სისხლისფერი სახლი
და ფანჯარაზე დავახატო სისხლსავსე მზე –
სარკმელი მიღმა სამყაროსაკენ,
რათა გავექცე ყოველდღიურ ამაოებას
და დავინახო ის სფეროები,
რომელიც მხოლოდ წერისას მოჩანს
და ქრება ხოლმე, როგორც კი წერას დავამთავრებ.
მე ვწერ დღიურს თოვლით და წვიმით.
ახალ-ახალ ფურცლებს მკარნახობს
ფიფქების ჩურჩული და წვეთების კვნესა
და როცა სისხლისფერი მზე ქურასავით აგიზგიზდება,
როცა მოთმინების ძაფი გამიწყდება,
მივუკაკუნებ მზის მარადიულ სარკმელს,
რათა გაიღოს და ჩემი დღიურიანად გავიდე მხსნელ ცაში,
სადაც დღეებით კი არ განიზომება სიცოცხლე,
არამედ – მარადისობით.

* * *

წვიმას ვუყვები ჩემს ამბავს და
წვიმა მიყვება თავის ამბავს –
თითო წვეთი თითო სიტყვაა
და ხეების გამოწვდილ ხელებში
წკრიალით ცვივა წვიმის ხურდა,
როგორც მათხოვრის მუჭში.
მე ვარ საქმიანი ქალი.
მე ვარ მესიტყვე
და სიტყვების ჯოგებს ვმწყემსავ
და ლექსისაკენ მივერეკები,
რათა ჩავსხა წვიმისგან დასველებული ნედლი სიტყვები
წინადადებაში, როგორც ჩიტები – ბუდეებში,
რომ როცა წვიმა გადაიღებს
და წინადადებები გაშრებიან,
მზეს ჭიკჭიკით შეეგებონ ჩემი სიტყვები.
წვიმას ვუყვები ჩემს ამბავს და
წვიმა მიყვება თავის ამბავს
და ეს მოყოლა ჰგავს დღიურს,
რომელსაც მოთმინების კალმით წერს 17 წლის გოგონა
და
ვგრძნობ, როგორ მაკლდება ასაკი,
ჩემს 17 წელს ვუბრუნდები
და ისეთი ნორჩი ვხდები, როგორც სამყარო წარღვნის
შემდეგ,
როცა ყოველდღიურობას მტვერი გადაეცლება
და დამთავრდება წვიმის ზეიმი
ჩემს სულში და ჩემს ცხოვრებაში.

## ნამგალი

ნამგალივით იქნევს ცა მთვარეს
და მოთიბული ღრუბლები მიწაზე ცვივიან ბალახებივით
და ბალახის სურნელი ასდით,
რომლითაც თვრება ღამის ქალაქი,
ქალაქი ქვისა და უბალახო
და ასფალტის არტახებით გაკოჭილი,
დედამიწის აკვანში რომ გამოჭიმულა
და ქარი არწევს და უნანავებს.
ნამგალივით იქნევს ცა მთვარეს
და ბასრი მთვარე პრიალებს, ელავს,
ისე ელავს, რომ მელვიძება და
გონს ვერ მოვსულვარ,
სად ვარ, არ ვიცი:
ჩრდილების ხალიჩებით მორთულ მეჩეთში,
თუ ხატებით გადაჭედილ ეკლესიაში.
მავიწყდება, რომ ჩემს სახლში ვარ და ჩემს საწოლში,
რადგან ნამგალა მთვარემ გააპო რეალობა და
სადღაც, მიღმა გადამახედა.
ნამგალივით იქნევს ცა მთვარეს,
თიბავს ღრუბლებს და ნათიბი ბალახივით მოცვივა და
მფარავს, როგორც თბილი საბანი.

* * *

მოთმინებითა შენითაო...
მე მოთმინებას უროსავით ვიქნევ,
რათა გამოვჭედო ჩემი მომავლის დღეების ჯაჭვი,
რომლითაც დავაბამ ჩემს ბედს, როგორც ძაღლს
ბედნიერების ოქროს პალოზე
და მისი დაკარგვისა აღარ შემეშინდება.
მე უროსავით ვიქნევ ვედრებას
და ვაჭედებ ვედრების სიტყვებს კლდეზე სოლებივით,
რომ ავიდე მწვერვალზე და
მივაღწიო ბედნიერებას,
რომელიც შორეულია და ახლობელი, როგორც ცა და
რაც უფრო მაღლა ავდივარ,
მით უფრო მაღლა მიიწევს.
სანამ ბედს არ ვეწევი, ვერ მოვისვენებ.
მოფენილია ბედნიერებისაკენ მიმავალი გზა
ოქროს ქვიშით – ოქროს წუთებით
და ოქროს საათები კი არ წიკწიკებენ,
ოქროს ქვიშა შრიალებს, როცა ნაბიჯს გადავდგამ.
ვიპოვე ბედნიერებისაკენ მიმავალი გზა და ახლა
მოთმინებას უროსავით ვიქნევ,
მოთმინებით მივუყვები, რომ არ ავცდე
და ბედნიერების ნაცვლად უბედურება არ გამოვჭედო.

შარლ ბოდლერი და ტომას ვულფი, როგორც სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის შვილები, არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს. თითქოს არც ანთოლოგიებში შეიძლება მოხვდნენ გვერდიგვერდ ჟანრობრივი სხვადასხვაობის გამო, მაგრამ თურმე არ უნდა ვიჩქაროთ დასკვნების გამოტანა, რადგანაც ერთიც და მეორეც ავტორია ისეთი ეპისტოლური მემკვიდრეობისა, ამ ყაიდის გამოცემაში არცერთის გამოტოვება რომ არ შეიძლება. მათი რჩეული პირადი წერილები ესეებს ჩამოჰგავს სიღრმითა და გაქანებით, და, ცხადია, ინტიმურ, დაფარულ გრძნობათა იმგვარი გაშიშვლებით, რაც ერთნაირად მოეთხოვება კერძო მიმოწერასა და ესეისტიკას.

ამჯერად კი ისე მოხდა, რომ დედასთან ტომას ვულფის მიერ მიწერილი ბარათის თარგმნა უშუალოდ გამოიწვია დედასთან შარლ ბოდლერის მიერ გაგზავნილ ბარათთა პუბლიკაციამ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე. ასე შეეხმიანა მთარგმნელი მთარგმნელს — ლაშა გიორგაძე თინა ღარიბაშვილს, და ასე შეახვედრეს ერთმანეთს ფრანგი და ამერიკელი კლასიკოსები.

ვინ იცის, რამდენი ასეთი კეთილისმყოფელი ზეგავლენა მომხდარა ჩვენს ლიტერატურაში საერთოდ და თარგმანში კერძოდ, მაგრამ გამქრალა შემაერთებელი ფარული ძაფები. ხან კიდეც მოჩანს კვალი, განა არა, მაგრამ ხან ველარავინ შენიშნავს, თუმც სასურველი კი არის ყოველი ასეთი შეხმიანების გამოვლენა, როგორც სამწერლო ცხოვრების კოლორიტული დეტალებისა.

ის კიდევ სხვაა, ბოდლერისა და ვულფის თუნდაც ეს ეპისტოლეები სულიერად რომ გაამდიდრებს ყველა შემოქმედს და ისე შეიძლება იჩინოს თავი ამ განწყობილებამ თუ შთაბეჭდილებამ მათ ნაწერებში, რომ თვითონაც ვერ გაიგონ.

გალაკტიონ ტაბიძეს ამგვარ შეხვედრათა ასახსნელად თავისი ფორმულა ჰქონდა: ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარიო... სასიამოვნო ის არის, რომ ორივე თარგმანი ამ „სივრცეებში თანაბრობის“ შესაფერისია.

ტომას ვულფი

# წერილი დედას

*1927 წ., 3 ივნისი, ნიუ-იორკი*

ჩემო დედიკო!

დაწყებული იმ დროიდან, წერილი რომ გამოგიგზავნე, განვაგრძობ მუშაობას — ამინდი ჯერჯერობით ასატანია ჰოდა, მოვკალათდი ჩემს სხვენზე. ოღონდ ვშიშობ, რომ ორ-სამ კვირაში ისეთი პაპანაქება ჩამოდგება, ველარ იმუშავებ. სასტიკად დავიქანცე, მაგრამ ვიდრე არ გავასრულებ, არ შევჩერდები. უკვე დავრწმუნდი: საკმარისია თუნდაც ერთი დღე გამოტოვო და მერე ძალზე ძნელია ხელახლა ჩართვა. ნიუ-იორკის უნივერსიტეტიდან გამუდმებით მომდის გზავნილები, რომლებიც მაუწყებენ, თუ როგორ წარიმართება ჩემი შემდგომი სამასწავლებლო მოღვაწეობა: ეს-ესაა მივიღე მორიგი დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ სექტემბრიდან კვლავ მელოდებიან. მაგრამ გარკვეული პასუხი ვერ გავეცი. ვიდრე არ დავამთავრებ წიგნს, ჩემი თავის ბატონი არა ვარ. არ ვიცი, შემდგომში რა მოხდება, მაგრამ სასტიკად რომ დავიღლები, ამას წყალი არ გაუვა. ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი რიგზეა. მართალია, მადა დამეკარგა, რაც ძალიან მწყინს, მაგრამ მერე გავარკვიე, რომ სინამდვილეში გაცილებით ნაკლები საკვები გვესაჭიროება საარსებოდ, ვიდრე ჩვენა გვგონია.

თქვენგან არავინ სულ არაფერს არა მწერს. კაცმა რომ თქვას, თვითეულ თქვენგანს თითო-თითო წერილი მაინც ექნება ჩემს ვალად, ეგებ ორ-ორიც კი. მე მივწერე მისის რობერტსს[1] მეიბლის[2] მისამართზე, რადგანაც მისის რობერტსის ახალი მისამართი დამეკარგა. ჰკითხე ერთი მეიბლს, გადასცა თუ არა ჩემი წერილი. ბოლო წერილში შენ მილოცავ, „მდიდარი მეგობრები“ გყავსო. მე მგონი, უნდა მომილოცო ის, რომ არავითარი სურვილი არ გამაჩნია, მათ ექსპლუატაცია გავუწიო, ვწველო და ვწველო — ისინი ისედაც დიდად დამეხმარნენ. ეს წელიწადი ისე ვმუშაობდი, როგორც არასოდეს. ვმუშაობდი ბევრს — გაცილებით მეტს, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობა მუშაობს და ფულს ვხარჯავდი მხოლოდ სარჩოში. და კიდევ მაჩუქეს მანსარდა (რომელსაც სხვა კაცი დროდადრო იყენებდა, როგორც სტუდიას). თუკი ისევ ჩავდგები სამსახურში, რასაკვირველია, პირობები უფრო კომფორტული მექნება.


დედასთან — ჯულია ვულფთან ერთად

ვგონებ, ბევრი არ მოიძებნება ამერიკაში ჩემნაირი, ვინაც შეძლო ერთგული დარჩენილიყო იმისა, რაზედაც ოცნებობდა, და ფეხებზე დაიკიდა გარშემომყოფთა შეხედულებანი. რამდენადაც შემიძლია განვსაჯო, ამერიკელთაგან ძალზე ცოტანი ეწევიან იმ საქმეს, რაც სწადიათ. მე არასოდეს ვუყურებდი საკმაოდ სერიოზულად ფულის შოვნას, მაგრამ რადგანაც ას მილიონ ჩემს თვისტომს ამის გარდა არაფერზე არა სურს ფიქრი, მე მგონი, ამერიკაში რამდენიმე ჩემისთანა კაცისთვისაც უნდა გამოინახოს ადგილი. მე — ოღონდ არ შეძრწუნდე — პატრიოტიზმთან მწყრალადა ვარ. რომ არ არსებობდეს გარკვეული გარემოებანი და ძალზე მიჩვეული რომ არ ვიყო რამდენიმე ადამიანს, წუთითაც არ შევყოყმანდებოდი და ამ უზარმაზარი, ხმაურიანი, მყვირალა ბედლამიდან გავიქცეოდი სადმე უფრო სასიამოვნო ალაგას ამ დედამიწაზე. მე ვიცნობ და დიდად ვაფასებ რამდენიმე ჩინებულ ამერი-

კელს, რომლებიც არათუ ჩამოუვარდებიან, არამედ რაღაცით კიდევაც ალემატებიან სხვა ხალხთა წარმომადგენლებს, მაგრამ მთლიანობაში ჩვენა ვართ ნაცია ცუდად აღზრდილი, გადამწიფებული ყმაწვილებისა, ყველას რომ გამოუჭედავენ ყურთასმენას უსაშველო ტრაბახით თავიანთი სათნოების თაობაზე; ჩვენა ვართ ნაცია უტიფარი მყვირალებისა, რომლებმაც ვითომდა „მოიგეს ომი“ და რომელთაც, გარდა ფულისა, არაფერი აინტერესებთ; ჩვენა ვართ ნაცია ბაქიებისა, ლაჩრების და მლიქვნელებისა. ვაგლახ, ამგვარია ჩემი თავისუფალი შეხედულება ამ კეთილშობილი ქვეყნის დიდებულ, ბრძენ და თვითმმართველ ხალხზე — ესაა გაერთიანება ლომებისა, როტარელთა[3] და მიმწოლთა; ესაა მთელი დედამიწის ზურგიდან ჩამობრძანებულ ნარევ-ნაზავთა ფედერაცია. ვიმედოვნებ, რომ შენ ძალიან არ გამიჯავრდები, მით უმეტეს, რომ სხვა ქვეყნებშიც თითქოსდა ბევრად უკეთესად არ უნდა იყოს საქმე. ბრბო ყველგან ერთნაირია — მოყაყანე, უბადრუკი და უმეცარი. და თუნდაც იქაური პრემიერები და პრეზიდენტები ჩვენებივით ჩერჩეტნი არ არიან (დიახ, დიახ, მე მხედველობაში მყავს დიდი, შორსმჭვრეტელი, ღვთაებრივად ნიჭიერი, კეთილშობილი და დიდსულოვანი სახელმწიფო მოღვაწე აბრაამ ლინკოლნი[4]; ყველა ბებიტი[5], ფრიად პატივცემული კელვინ კულიჯი[6], მთელი თავისი სიცოცხლე რაიმე ხეირიანი რომ არ უთქვამს და არც გაუკეთებია). ასე რომ, ვიმეორებ, თუკი იქაური თავკაცები ჩვენებივით ჩერჩეტნი არ არიან, მათი პოლიტიკანები ზუსტად ასეთივე თაღლითნი ბრძანდებიან. მაგრამ იმ ქვეყნებში ეს ვაჟბატონები შესაძლოა ცოტა ხნით მაინც დაგავიწყდეს, როცა შეექცევი ლუდსა თუ ღვინოს, რომლისგანაც თვალები შუბლზე არ აგივა. იქ ასეთი დოღრიალები და აბეზარნი არ არიან, როგორც ჩვენში. მე მიყვარს ზოგიერთი ჩემი თვისტომი და ჩვენ მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ას მილიონს, გარს რომ მახვევია, მათ სულაც არ ვაქცევ ყურადღებას, ვიდრე თავიანთ უბადრუკ სისულელეებს პირდაპირ ყურში არ ჩამძახებენ და თავიანთ აყროლებულ პირს არ მომასუნთქებენ, ტრაბახითა და ჭყვიტინით რომ მაცნობონ, სინამდვილეში ვინ მოიგო ომი, როგორი მოღალატენი არიან ინგლისელები, როგორი უტვინონი არიან ფრანგები და ამქვეყნიურ სამოთხეში კი, რომელსაც ჰქვია ამერიკა, ცხოვრობს ხალხი — რჩეული ღვთისა. როდესაც ვისმენ ასეთ რამეს, პასუხად ვეუბნები, რა საძირალებიც არიან ყველანი. სამხრეთელები, მთლიანობაში, იანკებზე[7] უკეთესნი არიან, მაგრამ უფალი ხომ ხედავს, რომ ისინი ასევე უვიცნი და ცრუმორწმუნენი არიან, სამაგიეროდ — უფრო მშვიდნი, გულითადნი, ლმობიერნი და არცთუ ასე აგრესიულნი. მე მძულს ნიუ-იორკი, ეს თავმოსაყარი ბარბაროსობისა და სიგიჟისა. მაგრამ ვცხოვრობ აქ, რადგანაც აქვე ცხოვრობენ ისინი, ვინც მიყვარს და რადგანაც აქ შეიძლება სამუშაოს შოვნა. კაი ფულსაც გავაკეთებდი, ყოჩაღი მენეჯერი რომ მყავდეს. შემეძლო დამეწერა სცენარები კინოსთვის, რეკლამაც (გავამზადებდი სიცრუის ვეებერთელა ჩაშაქრულ აბებს, რომელთა ყლაპვა ასე ძალიან ეჭაშნიკებათ ჩვენი „ბუბუაზიის“[8] წარმომადგენლებს). მე რაღაც-რაღაცეები ვიცი რაღაც-რაღაცეებზე (მართალია, მრავალმა ჩემმა თვისტომმა, განსხვავებით ჩემგან, ყველაფერი იცის ყველაფერზე), მაგრამ უამრავი რამ წამიკითხავს, შემისწავლია და მინახავს. ეგებ ერთ მშვენიერ დღეს დაიწყო ჩვენი კრეტინების დარწმუნება, რომ საუკეთესო ხერხი ორმოცი წლით სიცოცხლის გაგრძელებისა — ესაა ყოველდღე მიირთვა საფუარი, ხოლო იმათ, ვინც „ლაკი სტრაიკს“ ეწევა, ხავერდოვანი ხმა დაუდგება. თუკი გამუდმებით ჩასჩიჩინებ, ისინი, რასაც გნებავთ, იმას დაიჯერებენ.

ვიმედოვნებ, რომ შენი ჯანმრთელობა ყოველმხრივ რიგზეა და ფულს, რომელიც უძრავ ქონებაში გაქვს დაბანდებული, მოაქვს ის მოგება, რაც უზურში გქონდა. ვიმედოვნებ, რომ იუარე პანსიონის გახსნა — მე მგონი, ისეთი გაჭირვება აღარ გადგას, რომ ისევ ჩაება კატორღულ შრომაში და მოემსახურო მესამეხარისხოვან ვაჟბატონ-ქალბატონებს. სცადე, ახლა მაინც იცხოვრო შენს გემოზე, კომფორტსა და სიამეში. შენ ხომ ძალზე მძიმე ცხოვრება გამოიარე, მრავალი სხვადასხვა ფათერაკი და წყენა გადაგიტანია, მაგრამ, ვგონებ, ყველაფერი როდი ილონე, რომ შენი არსებობა რამენაირად გაგეიოლებინა. ვიმედოვნებ, რომ ურთიერთობანი ჩვენს ოჯახში ამჟამად გამოკეთდა — ჩვენ ხომ ძალზე ბლომად გვქონდა ეს აყალმაყალი, ისტერიკული, ჭირვეული შეჯახებანი, უაზრო თავკერძობის გამოვლინება. ადამიანი არ უნდა გაიტაცოს მსჯელობამ იმაზე, როგორი კარგი, უანგარო, კეთილშობილი და პატიოსანივარო, სხვანი ყველანი კი რაოდენ საშინელნი არიანო. არაერთხელ შემიმჩნევია, რომ ვინც ყველაზე ხმამაღლა გაჰკივის ღირსების შესახებ, სხვებზე ნაკლებად ხვდება ამ სიტყვის მნიშვნელობას. ცხოვრებამ თითქოსდა უზარმაზარი ჭურვი გვტყორცნა და აქეთ-იქით მიმოგვფანტა. ბენის[9] სიკვდილის შემდეგ ჩემთვის პრაქტიკულად შეუძლებელი შეიქნა ცხოვრება სამშობლოში. მას აქეთ ძალზე ბლომად დავღვარე სისხლიანი ოფლი. და მაინც ეჭვი მეპარება, რომ თქვენ ყველანი ფიქრობთ ჩემზე ისევე ბევრს და ისევე გულითადად, როგორც მე — თქვენზე. დროდადრო მაგონდება ხოლმე განვლილი წლები — უწინარეს ყოვლისა, ბავშვობის წლები, — ისე როგორც ადამიანს აგონდება კოშმარული სიზმარი, სადაც ძალზე უხვადაა ტკივილი, გაუგებლობა, სიმახინჯე და საშინელებანი. მაგრამ დარწმუნებული ვარ: არც ერთ ჩვენგანს არ შეიძლება დასდო ბრალი იმაში, რაც ჩაუდენია. ეულ ყარიბებად მოვდივართ ამ უცნობ სამყაროში, ეულად და ერთმანეთთან გაუცხოებულად ვცხოვრობთ, როგორც ცხოვრობდა ბენი, და ერთმანეთის შეუცნობლად ვკვდებით. მაშასადამე, არც ერთ ჩვენგანს არ ძალუძს გაკიცხოს, განსაჯოს ვინმე. ჭეშმარიტება არავინ უწყის. გარშემო მყოფთა მიმართ განვიცდი უზომო სიბრალულს. ყოველ ჩვენგანს ჰაერივით სჭირდება, რომ შეიბრალონ.

ღმერთმა გაკურთხოს და გფარვიდეს იგი — გადმოაფინოს თქვენზე ლხენა. მალე მომწერე წერილი. არ ვიცი, რამდენ ხანს დავყოფ აქ. როდესაც მოვრჩები წერას, შესაძლოა, ისევ საზღვარგარეთ გავემგზავრო.

მრავალი მოკითხვა მთელს ოჯახს.

ტომი

თარგმნა
**ლაშა გიორგაძემ**

## უცხოეთის ცხოვრებიდან

შენიშვნები:

1. მარგარეტ რობერტსი — ტომას ვულფის მასწავლებელი სკოლაში, შემდგომში — მისი შემოქმედებითი მესაიდუმლე.
2. მეიბლ ვულფი — ტომის უფროსი და.
3. როტარელი — წევრი „როტარის" კლუბისა; გადატანითი მნიშვნელობით — ბიზნესმენი.
4. აბრაამ ლინკოლნი — აშშ პრეზიდენტი (1861-1865).
5. ბებიტი — მთავარი გმირი სინკლერ ლუისის რომანისა „ბებიტი"; გადაიქცა ფილისტერთა კრებით სახელად.
6. კელვინ კულიჯი — აშშ პრეზიდენტი (1923-1929).
7. იანკი — ამერიკის ჩრდილოეთ შტატების მკვიდრი.
8. ბუბუაზია — ნეოლოგიზმი, რომელიც გამოიგონა ამერიკელმა პუბლიცისტმა ჰენრი მენკენმა (1880-1956); შექმნილია ორი სიტყვიდან: „ბუბი" (შტერი) და „ბურჟუაზია".
9. ბენი — ტომის უფროსი ძმა, ერთ-ერთი პერსონაჟი მისი ავტობიოგრაფიული რომანისა „მოხედე შენს სახლს, ანგელოზო".

## ეპისტოლე

# რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...

*

### ღია ბარათი ნიკოლოზ ჩუბინიძეს

ბუკა, შენმა სენტიმენტალურმა ბარათმა „განრისხებული ოთარ ჩხეიძე" შემძრა და ამაფორიაქა. იგი ნოველასავით იკითხება და გამოცდილი ოსტატის ხელიც ეტყობა.

ოსტატის ხელი — ეს შენც კარგად იცი, რასაც ნიშნავს. მხოლოდ ეგ არის სამწუხარო, ქართველი მკითხველი შენ – ნიკოლოზ ჩუბინიძეს, როგორც ცნობილ და პოპულარულ მწერალს, ისე რომ არ გიცნობს. მხოლოდ რამდენიმესთვისაა ცნობილი შენი შემოქმედება, მხოლოდ იმათთვის, რომლებიც თავის დროზე უნივერსიტეტის მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის სპეცკურსს გავდიოდით ოთარ ჩხეიძესთან და მაშინ 19-20 წლის ყმაწვილებს ჯერ კიდევ ხეირიანად არც კი გვქონდა გაცნობიერებული თუ როგორ გაგვაფოფინა ამ მხრივ განგებამ!..

რას იზამ, ყმაწვილური დაუდევრობით გავფლანგეთ სტუდენტური წლები და ახლაღა ვხვდები: უფრო მეტი უნდა შემოგვენახა, კიდევ უფრო მეტად უნდა გავფრთხილებოდით იმ ყველაფერს, რაც ოთარ ჩხეიძეს უკავშირდებოდა.

ბუკა, შენ ბატონი ოთარის ერთ-ერთი გამორჩეული შეგირდი იყავი და არ მეგონა, ასე დაუდევრად თუ მოექცეოდი შენს ნიჭს — სიტყვის, ფრაზის გრძნობასა და მწერლობის უნარს, ჩვენმა ძვირფასმა მოძღვარმა რომ აღმოაჩინა შენში.

აი, ამიტომაც გწერ, შენმა ბარათმა შემძრა-მეთქი!

უთუოდ გეხსომება, ზოგ-ზოგიერთები, სხვა რომ ვერაფერი მოუძებნეს საქილიკო ოთარ ჩხეიძეს, ასე აცხადებდნენ: კაცო, ვინა ყოფილა ეს ოთარ ჩხეიძე, გააგიჟებს ამ პატარა ბავშვებს და მერე მართლა მწერლებად მოაქვთ თავიო. არადა, დრომ საპირისპირო რამ დაგვანახა. შენ, ბუკა, ნიკოლოზ ჩუბინიძე, მწერალ ოთარ ჩხეიძის გამორჩეული შეგირდი, ისე გამოიკეტე საკუთარ თავში, რომ ახლა ნიგნიერ ქართველ საზოგადოებას შენი სახელისა და გვარის გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე ახალი მოვლენა ჰგონია.

ისე, რომ იცოდე, რამდენჯერ მიძებნია შენი გვარი ახალგაზრდა — უკვე პრემირებულ თუ ჯერაც საკონკურსოდ არჩეულ — ავტორებს შორის და ვერსად რომ ვერ წავწყდომივარ, გამიფიქრებია: ბუკა რა, ვისზე ნაკლები მწერალია? მაგათ, ეტყობა, არ წაუკითხავთ მისი მოთხრობები, თორემ!..

თორემ ის, რომ... დარწმუნებული ვარ, ნამდვილად არ მოაბეზრებდი საჯარო გამოსვლებით (არც ტელევიზიითა და არც პრესით) თავს საზოგადოებას და არც ჭკუისდამრიგებლისა და მოძღვრის როლს მიისაკუთრებდი, რადგან შენთვის ეს ოთარ ჩხეიძეს არ უსწავლებია. თვითონ მუდამ მოკრძალებასა და ჩრდილში ყოფნას უფრო არჩევდა და ჩვენც ეს გვასწავლა, მაგრამ შენ მეტისმეტი რომ მოგივიდა, ხომ მეთანხმები?!

ბუკა, არ გეწყინოს, ასეთი ტონით რომ გელაპარაკები, მაგრამ... წუთით ძალიან მომინდა, რომ უკან, ძველ დროში დავბრუნებულიყავით და უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ერთ პატარა აუდიტორაში შეკრებილებს ბატონ ოთართან ერთად წაგვეკითხა ეს შენი ახალი მხატვრული ტექსტი, მე რომ ნოველად აღვიქვი, და მერე ყველას ერთად გვემსჯელა მასზე.

სამწუხაროდ, ეს უკვე შეუძლებელია. მაგრამ ბარათაშვილისა არ იყოს, რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდებისო...

ბუკა, უნდა დამპირდე, რომ მწერლობას აუცილებლად დაუბრუნდები. ჩემი თუ არ გჯერა და ფიქრობ, რომ ძველი მეგობრობა და გადაჭარბებული სენტიმენტალიზმი მალაპარაკებს, მაშინ თამაზ ნატროშვილს მაინც დაუჯერე. ბატონი თამაზი საერთოდ არ გიცნობს, აქამდე შენი არცერთი სტრიქონი არ წაუკითხავს და ისიც იმავეს გთხოვს. მე თუ სუბიექტური ვარ, თამაზ ნატროშვილს რაღა რჯიდა? შემიძლია დაბეჯითებით გაგიმეორო და არ შემრცხვეს ჩემი ნათქვამისა, შენ მართლაც კარგი მწერალი ხარ!

ჟურნალ „კლდეკარის" ის ნომრები, სადაც შენი მოთხრობებია გამოქვეყნებული, უკვე ისტორიაა, და შენი შემოქმედების ასე მიტოვება არ გეპატიება, ამას არც შენი (და ჩვენი) დიდი მასწავლებლის ხსოვნა არ გაპატიებს!

ამიტომაც დამპირდი, რომ არქივში დაუდევრად მიტოვებულ შენს ძველ და ზოგიერთ ახალ მოთხრობას ერთად შეკრებ და, ვიდრე წიგნად შეკრავდე, მანამდე „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე გამოაქვეყნებ!

გისურვებ წარმატებებს!!!

მეგობრული სიყვარულით

**ნინო ჩხიკვიშვილი**

# არნოლდ ჩიქობავას იშვიათი სიმკაცრე და სიზუსტე

*

## ნოდარ ანდღულაძის ნაუბარი

**დიდი ენათმეცნიერის, არნოლდ ჩიქობავას 110 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული, გაერთიანებული საერთაშორისო კონფერენცია. დასახელებულ ღონისძიებაში ავადმყოფობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო არნოლდ ჩიქობავას სახელოვანმა მოწაფემ, ბატონმა ნოდარ ანღულაძემ. ვაქვეყნებთ მის ნაუბარს, რის თქმასაც ბატონი ნოდარი დიდი მასწავლებლის საიუბილეო საღამოზე აპირებდა.**

ჩემი ძველი კოლეგებისაგან მერგო პატივი, საორგანიზაციო კომიტეტში შევეყვანე როგორც არნოლდ ჩიქობავას უძველესი მოწაფე. და ასევე, როდესაც გადაწყდა ამ დიდი მეცნიერის ნაშრომთა სრული, თორმეტტომეულის გამოქვეყნება, საგამომცემლო საბჭოს წევრადაც დამასახელეს, რისთვისაც ყველას დიდ მადლობას მოვახსენებ. სხვათა შორის, ჩემი 80 წლისთავიც მხოლოდ ენათმეცნიერების ინსტიტუტში აღინიშნა და ეს ისევ ჩემი ძველი კოლეგების დამსახურებაა, თორემ არც ოპერას და არც მუსიკალურ საზოგადოებას არ გავხსენებივარ... ასეთია, სამწუხაროდ, რეალობა... ახლა ჩემს დიდ მასწავლებელზე...

არნოლდ ჩიქობავასთან ძალიან ახლოს ვიყავი სტუდენტობიდანვე. მე და გივი მაჭავარიანი ერთად მოვდიოდით, ჯერ როგორც დაახლოებული სტუდენტები და შემდეგ — როგორც ასპირანტები. მოგვიანებით უფრო გაღრმავდა ეს ურთიერთობა — ექვსი წელი ვიმუშავე კავკასიური ენების კათედრაზე. ოჯახურადაც ძალიან ხშირად ვიყავით მასთან შინ. მისი ცხოვრების პერიპეტიები ზედმიწევნით ვიცი, რადგან ყველაფერმა ჩემ თვალწინ გაიარა, მოყოლებული 1945 წლიდან. ქარტეხილების ეპოქა იყო, ძალიან დაკლაკნილი გზებითა და მძიმე სავალით. ამ მიმართებით ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა. მხოლოდ რკინისებური ნებისყოფისა და საოცრად მობილიზებულ-კონცენტრირებული გონების ადამიანს შეეძლო იმის გაძლება, რასაც, კერძოდ, არნოლდ ჩიქობავამ გაუძლო.

ყველას მოეხსენება, მან შექმნა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება და აღზარდა მთელი თაობა კადრებისა, რომელიც ამ ყველაფერს სწავლობდა და იკვლევდა. დაამყარა შესაბამისი კავშირები არა მხოლოდ ჩრდილოკავკასიასთან, არამედ მთელ მსოფლიოსთან; სადაც კი იკვლევდნენ ამ ენებს — რუსეთთან, ახლო აღმოსავლეთთან, ნორვეგიასა და გერმანიასთან... მაგრამ არა მხოლოდ საორგანიზაციო თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი ეს კავშირი, ამ ურთიერთობის წყალობით განათლებაც შეჰქონდა საენათმეცნიერო წრეებში, განსაკუთრებით, ჩრდილოკავკასიაში. ასეთი ძიება და სისტემა, რა თქმა უნდა, მოითხოვდა სკოლის შექმნას და, ფაქტობრივად, არნოლდ ჩიქობავას მიერ შეიქმნა ახალი საენათმეცნიერო სკოლა, რომელიც ეფუძნებოდა თანმიმდევრულ მეთოდოლოგიას კავკასიოლოგიაში.

იმხანად საზოგადოებრივი ცხოვრება წნეხის ქვეშ იყო, ანუ ბოლშევიკურ-კომუნისტური ხელისუფლება ცდილობდა ყველა ჰუმანიტარული მეცნიერება იდეოლოგიის მარწუხებში მოექცია. ამას ემატებოდა კიდევ ნიკო მარის, ეგრეთწოდებული ახალი მოძღვრების ავტორისა, და მისი ადეპტების მძლავრობა. ეს იყო არა მხოლოდ სამეცნიერო სარბიელზე პაექრობა, არამედ პირდაპირი ჩაგვრა. საქმე ლამის დაჭერამდე მივიდა. მაგალითად, გაიდენკო, ჩრდილოკავკასიელი მეცნიერი დაიჭირეს და ოჯახიც დაღუპეს. ის ენათმეცნიერების ჩვეულებრივ, ტრადიციულ მეთოდებს იზიარებდა და არა მარის მარქსისტულად მონათლულ იდეებს. არადა, მარის თეორიას მარქსიზმთანაც არაფერი ჰქონდა საერთო. ესეც ერთგვარი ნიღაბი იყო, რომ მარს თავისი გაეტანა და თავისი აზრები იოლად გაეტარებინა. საქმე იქამდე მივიდა, რომ საბჭოთა კავშირში, იმავე რუსეთში, ასეც შეგვიძლია ვთქვათ, მეცნიერებს კლასიკურ ენათმეცნიერებაში მუშაობის შესაძლებლობა არ ეძლეოდათ.

თავიდან ასე დაიწყო: მარს ჩიქობავა დაუპირისპირდა და არა მარი ჩიქობავას. რა იყო მარის მოძღვრება? ეს გახლდათ ვულგარულად გაგებული მარქსიზმი. რაკი ამ მოძღვრების თანახმად, საზოგადოება კლასებისაგან შედგება და საზოგადოებრივი მოვლენები კლასობრივი ცნობიერების მატარებელია, ხოლო ენა არის ცნობიერების გამტარებელი, ამიტომ ენა კლასობრივი მოვლენააო. გარდა ასეთი „ქადაგებისა“, რაღაც გზებით შემოტანილი იქნა ოთხელემენტიანი ანალიზის მეთოდი. მარს უნდოდა ყველა ენა დაეყვანა ოთხ ელემენტზე. ესენი იყო: სალ, ბენ, იონ, როშ. მისი თქმით, ყველა ენა აქედანაა წარმოშობილი. იგი ენათა განვითარებას საზოგადოებრივი ფორმაციების განვითარებას უკავშირებდა. ენის განვითარების შინაგან კანონებს არ ცნობდა. ენის ფენომენი ასე უნდა ყოფილიყო გაგებული: პირველყოფილი საზოგადოების ენა, მონათმფლობელური ენა და ასე შემდეგ. ეს თეორია მარქსისტულ სქემას იყო მორგებული და მსჯელობა დეკლარაციების სახით წარმოდგენილი, რადგან, ბუნებრივია, ამის დამტკიცება არავის შეეძლო. ერთად ძალიან არეული, აბურდული რამ გამოდიოდა. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ მართან ჩიქობავას დაპირისპირება უნდა გავიხსენოთ.

მარმა გამოაქვეყნა ძველი ქართული ენის გრამატიკა. ამ წიგნში ერთი ნაწილი ძველი მეთოდოლოგიით იყო შედგენილი და იქვე მეორე, ახალი მეთოდოლოგია იყო მოცემული. ჩიქობავამ გამოაქვეყნა მკაცრი რეცენზია, რომელმაც მარი აღაშფოთა და იქიდან მოყოლებული დაიწყო ჩიქობავას, ამ მართალი და დიდი ენათმეცნიერის დევნა. შემდეგ, 1940 წელს არნოლდ ჩიქობავამ მოახერხა მოსკოვში, ენათმეცნიერების საკავშირო ინსტიტუტში წაეკითხა მოხსენება „ენის პრობლემა როგორც ენათმეცნიე-

რების ლინგვისტიკის საგნისა ენათმეცნიერების ძირითადი ამოცანების შუქზე". ორნაწილიანი მოხსენება იყო და მთლიანად მიმოიხილავდა ენათმეცნიერებას ისტორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტში. მეორე ნაწილი დაეთმო მარის მეთოდოლოგიის კრიტიკას.

წარმოიდგინეთ, რა გმირობაა საჭირო მარქსისტული წნეხის პირობებში ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად. მარის „მოძღვრებაში" ენათა ნათესაობის ნაცვლად ენის სტადიალური განვითარება იყო ჩადებული, რომელიც ეყრდნობოდა ზემოთნახსენებ გამოგონილ ოთხ ელემენტს. არადა, საფუძველი არ გააჩნდა, ჰაერში იყო გამოკიდებული. ეს დაახლოებით ისეთივე მოვლენა გახლდათ, როგორიც ლისენკო ბიოლოგიაში. ის უარყოფდა გენეტიკას და მარქსიზმის საფუძველზე ატარებდა რაღაც ცდებს; აჯვარებდა შეუჯვარებელ მცენარეებს. კინაღამ დალუპა სოფლის მეურნეობა, თუმცა აკადემიკოსად დარჩა. ხმა ვერავინ ამოიღო მთელ რუსეთში. ყველას ეშინოდა. ასეთ ფონზე არნოლდ ჩიქობავას გამბედაობა ნამდვილი გმირობა იყო. უამრავი ასეთი პლასტია მის მოღვაწეობაში.



ნოდარ ანდღულაძე

ამას დავუმატოთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შექმნა, იმ მეთოდის დამტკიცება და დამკვიდრება, რომელიც ჩიქობავამ შექმნა — განმარტებანი არა ბუდობრივად, არამედ სალექსიკონო ცალკეული ერთეულებით. ეს ბუმბერაზული შრომაა. ამას ემატება მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა. ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ ხდებოდა. ამასთან, ახალგაზრდობაში ყველაფერს ემოციურად განვიცდიდი. სხვათა შორის, იმხანად ფიზიოლოგ გედევანიშვილს შევეჯახე. დიმიტრი უზნაძეს აკრიტიკებდა, რომლის მოსპობაც განეზრახათ. მარქსისტურ სახელმწიფოში არ შეიძლება მისი მეთოდით მუშაობდეს ინსტიტუტიო. რუსეთიდან მონწვეული კრიტიკოსები ცდილობდნენ მის განადგურებას. სხდომის მერე ხალხში შევუტიე, სულს ყიდი-მეთქი. სამარცხვინოდ მოიქცა. ვითარება იყო ასეთი. ბრწყინალე ლიტერატორსა და მკვლევარს — გრიგოლ კიკნაძესაც ასე არ უტევდნენ?! მან ხომ მსოფლიოში გაიტანა ვაჟაფშაველას სახელი. მისი ინტუიციისა და მიღმური ხედვების სრულიად ორიგინალური და თავისთავადი გააზრება და თეორია ნამდვილი აღმოჩენა იყო, როგორც ფიროსმანი თავისი ფერწერით.

ჰაიდეგერს აქვს ასეთი ორიგინალური დაყოფა: აზროვნებაში არსებობს ორი სახე ცნობიერებისა. ერთი არის სიზუსტე, მეორე — სიმკაცრე. ეს ორი რამ ყოველთვის ერთად არ არის. მათემატიკური მეცნიერებები, მაგალითად, ფიზიკა, და მათი რიგის საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი სიზუსტით ხასიათდება და უამისოდ წინ ვერ წახვალ. ფილოსოფიური ხასიათისა და კულტურის მეცნიერებებისთვის კი აზროვნების სიმკაცრეა საჭირო, ანუ დახვეწილი აზროვნება. სულერთია, რა იქნება ეს — ჰერმენევტიკა, დიალექტიკა თუ ლოგიკა. აქ საჭიროა სიმკაცრე, როგორც პრინციპი. იქ, სადაც სიმკაცრე არ არის, დამაჯერებლობა იკარგება. ჩემი დაკვირვებით, ერთსა და იმავე დისციპლინაში მეცნიერები ერთმანეთს ამის გამო უპირისპირდებიან: ერთნი სიზუსტისკენ იხრებიან, მეორენი — სიმკაცრისკენ. არნოლდ ჩიქობავას ორივე თვისება, სიმკაცრეც და სიზუსტეც, ჰარმონიულად ჰქონდა ენათმეცნიერების მიმართ გამოხატული.

მას სწამდა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის ენათმეცნიერება ყველაზე ზუსტი მეცნიერებაა. ეს ენობრივი ფაქტია და ამას ვერ გავექცევით. მას თუ მოწყდი, ჰაერში ხარ გამოკიდებული. ენათმეცნიერება უახლოვდება ცდისეულ მეცნიერებებს. მისი დებულებებისა და კანონთა შემოწმება შეიძლება.

კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ: მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი დანიელი მეცნიერი რასმუს რასკი. მას ეკუთვნოდა ერთი კანონის აღმოჩენა. ორი წლის შემდეგ გერმანელმა გრიმმა აღმოაჩინა იგივე და ამ კანონს გრიმის სახელი დაერქვა. ეს არის ბგერათა გადაწევის კანონი. რასკის კი ხანდახან სახელმძღვანელოებში მოიხსენიებენ ხოლმე. ჩემი სტუდენტობის დროს სხდომა მიეძღვნა რასმუს რასკის საიუბილეო თარიღს. არნოლდ ჩიქობავა გამოვიდა სიტყვით. აქვე უნდა ვთქვათ, ზემოთხსენებულმა ბგერათა გადაწევის კანონმა აიყვანა ენათმეცნიერება ზუსტი მეცნიერების დონეზე. მაშინ ბრძანა არნოლდ ჩიქობავამ, რასმუს რასკი რომ პატარა ერის შვილი არ ყოფილიყო, ამ კანონს მისი სახელი დაერქმეოდა. რაკი გრიმი დიდი ერის შვილია, ამან განაპირობა, რომ რასკის აღმოჩენილ კანონს გრიმის სახელი დაერქვაო. ეს ნიშანდობლივი შენიშვნა გახლდათ და სამუდამოდ დამამახსოვრდა. ენათმეცნიერების სიზუსტის კუთხით განხილვაც საინტერესო იყო და, ამასთან, ეროვნულმა მოტივმა, გულისტკივილმაც გაიჟღერა, დიდი ერისა და მცირე ერის თანაფარდობის შესახებ ტკივილივით გამოთქმულმა აზრმა.

საოცრება იყო ისიც, რომ არნოლდ ჩიქობავამ მიაღწია სტალინთან შეხვედრას. ამ საქმეში მას, სხვათა შორის, კანდიდ ჩარკვიანი დაეხმარა. ახალგამოსული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გაუგზავნეს სტალინს. წიგნს ახლდა ძალიან კარგი წინასიტყვაობა, რომელიც

არნოლდ ჩიქობავას ეკუთვნოდა. არ ვიცი, სტალინმა მოითხოვა თვითონ თუ აქედან სთხოვეს შეხვედრა, მოკლედ, ჩიქობავა წაიყვანეს მოსკოვში. კრიტიკული ვითარება იყო მართან ბრძოლის გამო. არნოლდ ჩიქობავამ თვითონ მიამბო, სტალინთან საუბარმა შვიდ საათს გასტანაო. იმხანად სომეხი აკადემიკოსები ხაფანციანი და აჭარიანი, რომლებიც ასევე უარყოფდნენ მარს და ძველი, ანუ ნამდვილი მეთოდებით მუშაობდნენ, გააძევეს აკადემიის შემადგენლობიდან და საშინელ პირობებში ჩააყენეს. არნოლდ ჩიქობავას სტალინისთვის უთქვამს, რეპრესიებამდე მიდის მარისტებთან დავა-კამათის საქმეო, და მაგალითად სომეხი აკადემიკოსები დაუსახელებია. სტალინს მაშინვე აუღია ყურმილი და დაურეკავს სომხეთის მაშინდელი პირველი პირისთვის. წარმოიდგინეთ სტალინის ტონი! უკითხავს, როგორ გყავთ, როგორ არიან ხაფანციანი და აჭარიანიო. სომხეთის კომპარტიის პირველ მდივანს ამაყად და ომახიანად უთქვამს, ისინი სათანადოდ არიან დასჯილებიო. სტალინს საპასუხოდ მხოლოდ ერთი კითხვა დაუსვამს, ხომ არ აჩქარდითო. მეორე დღესვე აღუდგენიათ ორივე აკადემიკოსი სომხეთის აკადემიაში.

გარდა ამისა, სტალინისა და ჩიქობავას შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ საკავშირო გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე უნდა გაშლილიყო დისკუსია. პირველი სტატია ჩიქობავას უნდა დაეწერა და დაწერა კიდეც, ხოლო ბოლო სტატია (სტალინისა) თვე-ნახევრის შემდეგ დაიბეჭდა. ეს ხომ ისტორიაა, მაგრამ ყველაზე საინტერესო აქ ერთი რამ იყო და არის. სტალინს თავის შრომაში მოუხდა იმის თქმა და აღიარება, რომ ენა კლასობრივი მოვლენა არ არის. 1950 წელი იდგა. მიმაჩნია, რომ მარქსიზმის იდეოლოგიის პირველი ბზარი, გნებავთ, რღვევის ნიშანი დავარქვათ, სწორედ ეს იყო. შემდეგ სტალინის ეს ფრაზა აიტაცა მთელმა დასავლურმა სამყარომ და დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა: მართლაც, ენა კლასობრივი მოვლენა არ არის, მაგრამ არაქჩეევის რეჟიმი, რაზედაც ლაპარაკობს სტალინი, ენათმეცნიერებაში კი არა, მთელ საბჭოთა კავშირშია გამეფებულიო.

დისკუსიამდე დაიბეჭდა ქეთევან ლომთათიძის გამანადგურებელი სტატია სერდიუჩენკოს შესახებ, რომელმაც ლომთათიძეს მოჰპარა აღმოჩენა აფხაზურ-ადიღეურ ენებში, ხოლო გაიდენკო დააჭერინა. აკადემიკოსმა კრაჩკოვსკიმ, რომელიც უდიდესი არაბისტი იყო, აღფრთოვანებული წერილი დაწერა და მხარი დაუჭირა ქეთევან ლომთათიძეს. მან თავის სტატიაში ერთი არაბული ანდაზა გაიხსენა, რომლის შინაარსი ასეთია: ტყუილით მთელ მსოფლიოს შემოივლი, მაგრამ შინ ვერასოდეს დაბრუნდები. ჩემი აზრით, ეს სიბრძნე კაცობრიობის მიერ განცდილი ცხოვრების ერთი უმთავრესი მაქსიმაა. მოკლედ, მარის თეორიას უკვე ის ძალა აღარ ჰქონდა, რაც უწინ.

სტალინს იმდროინდელ ერთ-ერთ შრომაში ჰქონდა ნათქვამი, რაკი ენა ასახავს იდეოლოგიას, ანუ იდეოლოგიის მტვირთველია, ახლო მომავალში დადგება ერთიანი, საკაცობრიო ენის შექმნის საკითხი. ერთიანი მსოფლმხედველობა, ერთიანი იდეოლოგია ამას თავისთავად მოიტანს, მოიყოლებსო. გულდასმით მუშავდებოდა ეს საკითხი, გენიოსის ნათქვამიაო.

იმხანად ვინერისა და კიბერნეტიკოსთა ახალი აღმოჩენის კვალდაკვალ გამოჩნდა სათარგმნი მანქანები. არ დამავიწყდება არნოლდ ჩიქობავას ერთ-ერთი შეხვედრა. თავის სიტყვაში სხვა საკითხებთან ერთად განიხილა, უფრო სწორად, გაბედა და თქვა, რომ საბეჭდი მანქანების შექმნამ მოხსნა საკითხი საერთო ენის აუცილებლობისა. რა თქმა უნდა, სტალინი არ უხსენებია, ისე თქვა. უკვე შესაძლებელია ნებისმიერ ენაზე შექმნილი წერილობითი ტექსტი სხვა ენებზე ითარგმნოს. ეს უკვე ტექნიკის საკითხია და არა იდეოლოგიისო. ამ ნათქვამითაც მარქსიზმი თავისებურად ისევ „ამოაბრუნა". იმ დროისათვის ძალზე საყურადღებო და თან სარისკო განცხადებაა...

ასეთი იყო ჩემთვის არნოლდ ჩიქობავა.

მინდა ერთი ბოლოდროინდელი ნაშრომი აღვნიშნო, რომელიც არნოლდ ჩიქობავასეული მეთოდის ნაყოფია. ეს გახლავთ მერაბ ჩუხუას ტიტანური შრომა „იჩქერიულ-იბერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა". ეს გამოკვლევა სწორედ იმ საფუძველზეა აღმოცენებული, რომლითაც ენათმეცნიერება ზუსტ მეცნიერებებში შედის. ამგვარი დამოკიდებულება არნოლდ ჩიქობავადან მოდის. მან ერთიანი კავკასიის იდეა წამოსწია და განავითარა როგორც ერთი მთლიანობის სული, რაც გულისხმობდა არა, ვთქვათ, ცალკე აღებული ერთი სახელმწიფოს შექმნას, არამედ კავკასიელ ხალხთა ერთობას, და ამას მეცნიერულად გააზრებულ მყარ საძირკველს უყრიდა. არნოლდ ჩიქობავა კავკასიურ ენებს მეცნიერულად განიხილავდა როგორც დამოუკიდებელ, თავისთავად, სხვის მიმართ არადამმორჩილებად მოვლენას და, ამავე დროს, თვალსაჩინოს ხდიდა ჩვენი ენების მნიშვნელობას კაცობრიობის კულტურისათვის.

ექვსი წელიწადი ვასწავლიდი უნივერსიტეტში. ენათმეცნიერებაში დისერტაციის დაცვიდან სამი წლისთავზე ხოზეს პარტია ვიმღერე ოპერის თეატრში. მალევე საზღვარგარეთის გასტროლები დამეწყო, ლექციების გაცდენა მიხდებოდა. გაცდენები მანამდეც მქონდა, მაგრამ საოპერო წარმოდგენების წინა დღეს გივი მაჭავარიანი მცვლიდა ხოლმე, ჩემი მეგობარი და ცნობილი ენათმეცნიერი. ასე ვიყავით — ორი მეგობარი — მე და გივი მაჭავარიანი უნივერსიტეტში, და ოპერაშიც მარტო არ დავრჩენილვარ, მე და ზურაბ ანჯაფარიძე განუყრელ მეგობრებად ვიქეცით. უნივერსიტეტში ორნი იყვნენ, წავიდა და ისევ დაწყვილდაო, უხუმრია არნოლდ ჩიქობავას.

ერთი პატარა კაფიით მინდა საუბარი დავასრულო. სიმღერა რომ დავიწყე, ზურაბ ანჯაფარიძემ გალექსა:

**უნივერსიტეტს თავს ანებებს,**
**მომღერლობას კისრულობს,**
**„პიკის ქალსაც" ვიმღერებო,**
**ჩიქობავას ფიცულობს.**

ჩვენი საუბრის ამ პატარა გამონათქვამით დასრულება იმის საჩვენებლად განვიზრახე, რომ მთლად სასოწარკვეთილებას არ მივცემივართ, წარსულის ხსოვნა და მომავლის იმედი გვასულდგმულებს.

ჩაიწერა
**თამარ ღონღაძემ**

ზვიად კვარაცხელია

# ილია სამეგრელოში

II

## გრიგორიოპოლი

წარმოდგენაში წლობით დალექილს, ერთხელ ნანახი და განცდილი გადაწონის ხოლმე. ჭორ-მართალსაც ყოველთვის გამოარჩევს თვალი, მითუმეტეს, თუ სალია და უტყუარ დაკვირვებაში გამეცადინებული, დაყრილი ხმების, განმაქიქებელ კორესპონდენციათა და ჩასაფრებული მოენეებისა არ სჯერა.

მზერა ჩამოჰყვება აღმოსავლური იერსახის წყებად ჩამწკრივებულ სახლებს. ბაზარი, როგორც ყველგან, აქაც განსაკუთრებული სულისკვეთებით მიიზიდავს სტუმარს კი არა, მომხმარებელს, დუქანი დუქანს აედევნება, ფარდული გადაეჭდობა ფარდულს.

სავაჭრო სუნთქვა გადაფენია თავდაპირველ, თვალშისაცემ ქალაქს, რადგან ქართველის გონება სტომაქზე ამაღლებას ძნელად ჰგუობს, გართობა-განცხრომას არაფერი ურჩევნია.

ბულვარიც ამისთვის გაუჩენია ღმერთს. ადრე დედაწულიანად, განურჩევლად ირეოდა კაციცა და საქონელიც, ახლა, მთავრობისა და დიდკაცობის მეოხებით, სისუფთავემ დაისადგურა, წმინდა წყალი მოჩუხჩუხებს, კალაპოტში კოხტად ამოყვანილი ყორე დაუტანებიათ, ლამაზად ჩამორიგებული დიდრონი ხეები ინონებენ თავს, ფაეტონი და დილიჟანი დაიარება, უსიამო სუნი, ოთხფეხის მწვირე და დუქნი-დუქანზე ჩამოკონწიალებული ფარდები მოშორდა ქალაქის მყუდროებას.

მყუდროებას-მეთქი, — შეუმცდარად გეუბნები. რაც აქაურობამ აქამდი მოსაღწევად დღე გამოიარა, იშვიათად, ვისმე ღირსებოდეს. ჯერ ჭორი მოედო მთელ საქართველოს, სად არ გაისმა და ვინ არ ათრია თავის სარგებლად. „დროებაშიც" დაიწერა, თითქოსდა, დაბა ზუგდიდს სხვაგან გადატანას უპირებენო. დუქნები გამოკეტა ხალხმა, ხელი აიღო ვაჭრობაზე, ხელოსნებმა საქმეზე გული აიყარეს, ჩამოსულის რა ვთქვა, მასპინძელმა აიკრა გუდა-ნაბადი, შიმშილმა სამშობლოზე ზრუნვა გადაავიწყა და ფუძე-კარის მოშლას მიჰყო ხელი. ხალხი სასხვათაშორისოდ კითხულობდა მიზეზებს, ზოგი რუსის ჯარს აბრალებდა, ზოგიც თავად ნიკო დადიანს, მინგრელსკის, რომელსაც ვერა და ვერ დაეთმო კუთვნილი მიწა ხალხისთვის, მეფის მხარდაჭერაც არ აკლდა და ხელსაც ვინ შეუშლიდა სანადელის აღსრულებაში.

ზოგი ცაიშში იმედოვნებდა ახალი ქალაქის გაშენებას, საეკლესიო მამულებზე, სადაც, სულ ცოტა ხნის წინ, რუსი სალდათების სადგომად, ქვის შენობა წამოეჭიმათ სახელმწიფო ხარჯით. „ახალი ზუგდიდი" დაერქმევაო, — იუწყებოდნენ მრავლისმცოდნენი.

სიახლეს სიმაღლიდან დარაჯობდა ძველი. მანცხვარკარის გორაზე, ოდითგანვე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ედგა ქალაქს რწმენის გუშაგად, ძველი ზუგდიდიც ამ გორაზე შეფენილ სამოსახლოებს ეწოდა მოგზაურთა თუ მეცნიერთა სამახსოვრო ჩანაწერებში.

ტაძარში ბრძანდებოდა დავით დადიანისგან შეკვეთილი და სწორუპოვარი ოქრომჭედლის, პეპუ მეუნარგიას მიერ შესრულებული წმინდა გიორგის ხატი. იონას ეამაყებოდა პაპამისის ღვაწლი. პეპუს თანდაყოლილ ნიჭს სამთავრო კარზეც საკადრისად აფასებდნენ და უფრთხილდებოდნენ. მთავარმა განსაკუთრებული შეტკბობა-სიყვარული იცოდა, ეძვირფასებოდა პეპუ, პატივში ჰყავდა თურმე, ლხინი-პურობის მოუკლებლად. არც ოქრომჭედელი გახლდათ ვაჟკაცობისა და გულფიცხლობისგან განაპირებული. ცაიშში ერთი მდივანბეგი გაულახავს, ულვთო, თაღლითი კაცი. ის კიდე საჯაროდ დაჩივლებას მორიდებია — ახსოვდა დადიანისა და მეუნარგიას ძმობილობა.

სახელს შეუმცდარად აედევნება თავგადასავალი, მეტნაკლებად ზუსტი ან მეტისმეტად სადაო. მკვლევართა ფანტაზიას საზღვრები არ უჩანს, ამიტომ აქედანვე სჯობს შეთანხმება, რაც ზედმეტ განსჯა-განხილვაში არ შეიყვანს გამოცდილ მკითხველს, მოკლედ და გასაგებად აუხსნის, რომ ქართულ და უცხოურ წყაროებში, უმეტესწილად, ზუგდიდი რქმევია სამეგრელოს საჭეთმპყრობლის რეზიდენციას და ისტორიკოსები, გეოგრაფები, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან საარაკოს და განსაცვიფრებლის სახილველად ჩამოსული მოგზაურ-მისიონერებიც, რომელთა სათითაოდ ჩამოთვლა დიდად სახლაფორთო საქმეა, ასე მოიხსენიებენ.

„ზუგ", მეგრულსა და სვანურ ენებში ბორცვის მნიშვნელობით გვხვდება და სავარაუდოდ, სახელიც იმ დიდი ბორცვის გამო უნდა შერქმეოდა, დღესაც რომ ამაყად გადმოჰყურებს ქალაქს მანცხვარკარიდან.

როცა მიიღებ, იგუე(მე)ბ და შეეთვისები, ცხადია, წყალობას არ მოგაკლებს ერთმორწმუნე დამპყრობელი. წარსულის გადახალისება იყო, შეჩვეულის გადაჩვევა თუ უბრალოდ, მეფის კეთილი ნება, ვერ გეტყვით, მაგრამ 1806 წლის მაისს, სამეგრელოს დედოფალ ნინოსადმი ბოძებულ რესკრიპტში (სიგელია ჩვენებურად) იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სურვილი გამოთქვა და სახსრებიც გაიღო ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესიის ასაგებად და მის გარშემო ქალაქის დაარსებაც მოსთხოვა ქვეშევრდომებს, რომელსაც, გრიგოლ დადიანის პატივსაცემად, გრიგორიოპოლი უნდა დარქმეოდა.

დიდი გრიგოლ დადიანი ჩემგან არ გესწავლება, ძვირფასო მკითხველო. ეს გახლდათ პირველი დესპანი დასავლეთ საქართველოდან, რომელმაც ნებაყოფლობით მოაწერა ხელი ხელშეკრულებას რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შესახებ და მეფისადმი უსიტყვო მორჩილების აღთქმა დადო. კიდეც ჩაერეოდნენ ერთმორწმუნე მოხელეები სამთავროს შინაურ საქმეებში, კიდეც დაევალებოდა რუსი სალდათების დაპურება და დაბინავება, ომის დროს, ჯარსაც ულაპარაკოდ გამოიყვანდა სადაც ჯერ არს. უქვეშევრდომილეს გრძნობათა სანაცვლოდ, ჯილდო ჯილდოზე, წყალობა წყალობაზე მოიხვეჭა და აგერ, იმპერატორის რესკრიპტმაც არ დაახანა.

ბრძანება შესრულდა: ტაძარი აშენდა, ქალაქი კი იმავე სახელით შემორჩა მეხსიერებას. ევროპული ცნობიერე-

* დასასრული იხ. „ჩვენი მწერლობა", № 25

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის პოლისებს, ალბათ, ვერც ველარასოდეს შეეგუება ქართული ხასიათი. ისე, კარგახანს ატრიალებდნენ სახელმწიფო ორგანოების საქმიან ქაღალდებში, შემდგომში, უფრო გვიან, და არაერთხელაც სხვა დროს, ქართველი საზოგადო მოღვაწენი პრესის ფურცლებზე დააბანაკებენ ამ სახელწოდებას, მაგრამ ამაოდ — გრიგორიოპოლს დამკვიდრება არ ეწერა.

სამაგიეროდ, დასავლური კულტურის დამკვიდრებას რა დაუდგებოდა წინ.

ანტონ ფურცელაძე მოსამართლედ ყოფილა გამწესებული ზუგდიდში. მსაჯულის ხელობა, ეტყობა, იცოტავა და სამოციანი წლების ბოლოსკენ, მძაფრად აგორებული ეროვნული „თერგდალეულობის“ კვალდაკვალ, თეატრალური ცხოვრებაც ასაძირკვლა პერიფერიაში. ზუგდიდელმა სცენისმოყვარულებმა მოლიერის „ძალად ექიმი“ ითამაშეს მცირე დარბაზში. წარმოდგენას დიდძალი მაყურებელი დაესწრო, ნატალიას — უეზდის ნაჩალნიკ ვახრამოვის მეუღლეს, გრაფინია დე როზმორდუკისას და მარიამ ფურცელაძეს განსაკუთრებული არტისტობით გამოუჩენიათ თავი. წარმოდგენა, სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად, საქველმოქმედო გახლდათ: ზუგდიდის ბიბლიოთეკას გადაეცა მიღებული შემოსავალი...

ანტონ ფურცელაძეს სამეგრელოში გატარებულმა წლებმა შთააგონა „მაცი ხვიტია“. მეგრული ხასიათის თავისებურებებმა, თხრობის დროს, ოდიშის მხარეში სახელგანთქმული ხელობა — აბრაგობა — მოიყოლა და მწერალმაც უშურველად ჩაატანა ის ხიბლი და მანკიერება, რაც ნიადაგ ახასიათებს ყველა ხელმრუდ საქციელს ხალხისა და მთავრობის თვალში.

უარი — სწავლასა და მუშაობას! ცხენის ქურდობა საკვეხურ საქციელად, ვაჟკაცობად მიიჩნეოდა მაშინ, რადგან გულადობას და დიდ მოხერხებას მოითხოვდა. ქონებაც მოსდევდა ხეირიანად ჩადენილ საქმეს.

კუნაპეტ შუაღამეში, საზარელი ამინდის თანხლებით გადიან მაცი და მისი მეგობრები მდიდარი მღვდლის, ოდიშარიას მამულში ცხენის საპარავად. ქურდებს მოახელთებენ და მეტი გამეტება რაღა გინდა, ხაფანგში გამომწყვდეულ კოჭოიას, კვალის დასაფარავად, თანშეზრდილი ამხანაგი, ძგვიბია წააჭრის თავს.

არქანჯელო ლამბერტი ისედაც მხილების პათოსსაა მიცემული, კათოლიკური უკეთესობის საქადაგებლად, ყოველ წამს განაქიქებს აქაურ ზნე-ჩვეულებას. ერთგან ამბობს, წმინდა გიორგის მეგრელები აკუთვნებენ ქურდის სახელს და ამტკიცებენ, რომ ილორობას იგი ხარს იპარავს და ეკლესიაში მიჰყავსო. ამიტომ, იმ ღამეს და შემდეგაც, დიდი სიამაყით ჩადიან ქურდობას მეგრელები. თან ნიშნისმოგებით გაიძახიან, თუ წმინდანი იპარავს, ჩვენც მას უნდა მივბაძოთო...

ჰო მართლა, — არ დაგვავიწყდეს რაფიელ ერისთავი! სამეგრელოში გლეხთა აჯანყების დასაშოშმინებლად ჩასული კნიაზი გლეხებსა და მთავრობას შორის საერთო ენად ჩადგა. უტუ მიქავას მიმართვას თარჯიმნობდა გენერალ კოლუბიაკინისადმი და მის გულშიც ქეძაფივით იწვოდა აჯანყების მოთავისგან გახმიანებული პროტესტი:

„ჩვენი სამშობლო შეგვზიზღდა, გადავწყვიტეთ მოვშორდეთ აქაურობას სამუდამოდ და სადმე ჯანდაბას გადავიკარგოთ. რაც უნდა ის გვიყონ, თუნდაც დაგვხვრიტონ ყველანი, მაგრამ ერთმანეთს შევფიცევით, არაფრის გულისთვის დავბრუნდეთ აქეთ. აი, ოხრად კი დარჩეს ისეთი სამშობლო, საცა თავიც კი ვერსად შეგვიფარებია სადმე, საცა შენზე ნადირობენ, გარეულ ნადირსავით დაგდევენ...“

რაფიელ ერისთავს მალე მაზრის უფროსად გაამწესებენ, ჭადრების საუცხოო ხეივანს გააშენებს ზუგდიდში, ჩინის შესაფერისად, ათასგვარ წვრილმანსა და სათაკილო საქმეს გამოიძიებს, ქურდობა იქნება ეს თუ ქალის მოტაცება... უტუ მიქავასაც შეიამხანაგებს და ერთხელ, მარტვილის მონასტერში ყოფნისას, ნადედოფლარ ეკატერინე ჭავჭავაძესთან წარადგენს სამეგრელოს რევოლუციის დანტონს.

როგორც ჩანს, თანამდებობრივი ვალდებულებების გარდა, შემოქმედებითი ცხოვრებითაც ულწვია აქ ყოფნისას. „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ ზუგდიდის ერთ-ერთ სოფელში მიღებული შთაბეჭდილებითაა შექმნილი. უუფლებო გლეხი ქალი მსაჯულთან სჩივის, დაუბრუნოს ბატონმა წართმეული, კერასმოწყვეტილი შვილი.

ლექსს ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა მაშინათვე, რაფიელ ერისთავმა, როცა ჯერ ბატონყმობის გადავარდნის ჩურჩულიც აღარსად იყო, ამხილა მისი უსამართლობა, გამოხატა მწვავე ჩივილი ყმობით გაუპატიურებული ადამიანისა, პირველმა დასძრა ენა ადამიანის გაუპატიურებული ღირსებისთვისო.

დიმიტრი ყიფიანი უფრო მოგვიანებით სწვევია ზუგდიდს. გლეხთა აჯანყების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ სამეგრელოში წესრიგის დასამყარებლად ჯარი შეიყვანა და უმაღლესი მმართველობა გენერალ კოლუბიაკინს ანდო. სამეგრელოს მთავრის ცოლს, ეკატერინე ჭავჭავაძეს, ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრის აღსაზრდელად, პეტერბურგში ურჩიეს დასახლება, პენსიაც დაუნიშნეს ღირსების შესაბამისად. დედოფლის არყოფნაში, მთავრის ქონებას მზრუნველობა, აპეკუნი სჭირდებოდა.

დიმიტრი ყიფიანი თავდაპირველად უარზე დადგა. ერთი მხრივ, გარყვნილი და გაუნათლებელი მაღალი წოდება, მეორე ნაპირზე უიმედოდ დარჩენილი, დაჩაგრული, დარბეული და სილატაკემდე მიყვანილი ხალხი მძიმე იყო სანახავად, ამასთან, რუსი მოხელეების თავხედურად მისაკუთრებული ძალაუფლება ბადებდა ეჭვს, რომ მიღწეულს არ იკმარებდნენ და დადიანების საუკუნეებით ნაოფლ-ნაალაფარ განძეულობასაც წაატანდნენ ხელს. იმისაც ეშინოდა, ცენტრალური ხელისუფლებისა და მთავრის წარმომადგენლები ვერ მორიგებულიყვნენ ერთმანეთში და მისი მდგომარეობა ფრიად უხერხული შექმნილიყო.

მოგვიანებით, ჯერ გენერალ კოლუბიაკინთან წარმოშობილი უთანხმოების, შემდეგ პეტერბურგის უმაღლეს წრეებში წარმოებული დავა-განხილვების ქარბუქს აყოლილი, მეუღლისადმი მიწერილ ბარათში ცხოვრების მრწამსსაც გათქვამს: „პატიოსანი სახელის მეტს ვერაფერს ვუტოვებ ჩემს შვილებს და სანამ ეს ჩემს ხელშია, ამ სახელს არ გავცვლი ჯამაგირში, ჯილდოებში და ორდენებში...“

* * *

ანტონ ფურცელაძეს ჩაუნიშნავს:

„მეგრელმა კაცმა ფულის მოხმარება იცის და ფულის ყადრიცა. ქართველის ტომში ალებ-მიცემობის ნიჭი მეგ-

რელისთანა არავისა აქვს. მეგრელი ხუთი თუმნიდან გაბედავს ვაჭრობის დაწყებას და პატარა ხანს უკან ნახავს ასის თუმნობით ვაჭრობას..."

**შორეული წარსული:** ვაჭრობასა და ხელოსნობაში დაწინაურებული კოლხეთი. უცხოეთის ბაზარზე გასაყიდად გააქვთ ხომალდების ასაშენებელი ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი, კუპრი. ჰეროდოტე აღფრთოვანებულია, სელისგან კოლხები ქსოვენ საუკეთესო ტილოს, რომელიც მეტოქეობას უწევს ეგვიპტურ ტილოსო. კოლხეთში სავაჭრო ქალაქებიც არსებობს, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნი — დიოსკურია, სადაც აღებ-მიცემობის მთელი ინდუსტრიაა გაშლილი. გაცხოველებული ვაჭრობაა ფაზისშიც, საქონელი ნავებით გააქვთ დანიშნულ ადგილას, იქიდან სახედრებითა და საურმე გზით მოედება ქვეყანას. მიმოსვლის გასაადვილებლად, კირბები (გზამკვლევები) აღიმართება, რომლებზეც ნაჩვენებია გზის მიმართულება და მგზავრთათვის დასასვენებელი ადგილები... ვაჭრობის დაწინაურება ფულის მოჭრასაც დააჩქარებს. კოლხური თეთრი, ვერცხლის დიდრაქმიანი და ნახევარდრაქმიანი ფული დატრიალდება სამეგრელოში.

**ახლო წარსული:** დავით დადიანი ოდიშის გაევროპელების ფიქრს შეუპყრია. სადაც ქალაქი, ბაზარიც იქვეო: აბრეშუმი — ივნისსა და ივლისში, თამბაქო და ბეწვეულობა — ზამთარში, სიმინდი — გაზაფხულზე, ღომი, თუთუნი, ფართალი, შუშის ჭურჭელი, რკინეულობა, — მეგრელ კაცს ეოცება შეგნების უცებისი შემობრუნება, ცოტას დაირცხვენს თავისებურად, ცოტასაც იუკადრისებს. სარგებელი არის, მაგრამ თავმოჭრის ფასად ვის რათ უნდა. ეკატერინე ჭავჭავაძის მეცადინეობით, ტომით ფრანგი გრაფი როზმორდუკი, მეაბრეშუმეობაში დახელოვნებული მენარმე პირველ ქარხანას გამართავს ზუგდიდში. დედოფლის ჩაგონებისა და სოფელ-სოფელ ქადაგების შედეგად, რომ საფაბრიკო მუშაობა არ არის ზნეობის შემლახავი და ქალთა პატიოსნების დამამცირებელი საქმე, მეგრელი ქალებიც ინაფებიან აბრეშუმის ამოხვევაში.

* * *

ახლა ზუგდიდის სასახელო სანახებისკენ გაგვიძღვებიან მასპინძლები. ილიას პეტერბურგიდან მოჰყვება დადიანების სიმდიდრე და ძლიერება, ფრანგულ ცივილიზაციასთან დამოყვრება ეიმედება. ეკატერინე ჭავჭავაძისა და ნიკო მინგრელსკისგან სმენია ლეგენდარულ სასახლეებში დაცული სიძველეთა დიდი კოლექციის — ძვირფასი ბიბლიოთეკის, ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების შესახებ. განცვიფრებას ბოლოსკენ მოიკითხავენ სტუმრები, როცა სახვითი ხელოვნების — იტალიური, ფრანგული, გერმანული და რუსული კლასიკური მხატვრობის ნიმუშებს ცქერად ვერ აუვა თვალი.



რაფიელ ერისთავი

რა გასაკვირია, ნაპოლეონ ბონაპარტის მზეს იფიცებდეს სასახლის ინტერიერი. ნაპოლეონისეული კაბინეტის ავეჯი, ბანქოს სათამაშო მაგიდა, ჟაკ-ლუი დავიდის სახელგანთქმული „ნაპოლეონის კურთხევა (კორონაცია)" და ნაპოლეონის ნიღაბი, რომელიც მისმა პირადმა ექიმმა ფრანჩესკო ანტომარკიმ აიღო იმპერატორის სახიდან და ბრინჯაოში ჩამოასხა.

სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს სჩვეოდა სასახლეებისადმი ტრფიალება. ავი ენები ამტკიცებენ, ევროპულ ყაიდაზე ცხოვრების მოთხოვნილებამ, საგრძნობლად გაალარიბა ისედაც დუხჭირი მოსახლეობა, არსებობის სახსარი შემოაკლო და წელში გატეხაო. საპირისპიროს დაამტკიცებს ნიჭითა და ღირსება-პატივით გავლენიანი არაერთი სტუმრის ჩანაწერი, მათი გაოცება, ქვეყნიერების ერთ უბრალო, უმნიშვნელო, არაფრით გამორჩეულ ადგილას, ნამდვილი ოაზისის ხილვა რომ ეღირსება.

გიდობას იონა მეუნარგია გასწევს. ზედმიწევნით იცის დადიანების ღვაწლი, სად და ვისგან არ სმენია დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ცხოვრების ბიოგრაფიული წვრილმანები. გონებაში ჩარჩენილს ისტორიულ წყაროებთან შეაჯერებს, მომხიბვლელად ჰყვება...

შემოსასვლელ კარიბჭესთან ქვატახტს შეხვდებოდითო ადრე, — ლევან დადიანს მოეტანა კონსტანტინოპოლიდან. სასახლის გარეთ, მოედანზე აღემართა მშვენივრად დაქანდაკებული და მეოხად განჩინებული. ჩვეულებად იყო, როცა მეგრელნი ძლევამოსილად გაიმარჯვებდნენ, მეორე დღეს, ტახტის წინ, სამეგრელოს მიტროპოლიტი სამადლობელ პარაკლისს აღავლენდა უფლისადმი. ლოცვის შემდგომ, მთავარი მოაღებინებდა მეგრელთა წმინდა სასმელს, ოჯალეშს, დაილოცებოდნენ გამარჯვებულთა სასახელოდ, მოღალატეთა განსაქიქებლად. ჯილდოებს ჩამოარიგებდნენ, წოდება-მამულებს დაინაწილებდნენ ჩადენილი ვაჟკაცობების გამო. საღვთოთ ყოფილა შერაცხული ქვატახტი, მაგრამ ყოფა რის ყოფაა, სიწმინდესაც თუ არ უყო ზიანი: რაღაც შინა განხეთქილება აწენილა სამეგრელოში, ტახტისკენ პოტინებამ სიმბოლო-ტახტსაც მოუთავა ხელი და დადიანების ბაღში, ხელოვნური აუზის ნახევარკუნძულზე ობლად მიუჩინა ბინა.

სანამ „ივერია" დაწერდეს სავალალო მდგომარეობათა შესახებ, რომ — „...ქალაქის მშვენება იყო ბაღი სამეგრელოს მთავრის დადიანისა, ამგვარი ბაღი, არა თუ სამეგრელოში, კავკასიაშიც არ მოიპოვებოდა, მაგრამ სადღაა ეხლა ეს ბაღი, იმისა აჩრდილიც არ არის დარჩენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს დიდი ბაღი ახლა უდაბურ ტყეთ არის გადაქცეული და შიგ კაცების მაგიერ, მგლები, ტურები და სხვა ნადირნი დასეირნობენ, ისე რომ მზის ჩასვლის შემდეგ კაცი ვერც-კი შევა შიგაო..." —

ჩვენ, გულის მოსაოხად და ჭირის დასავიწყებლად, სხივიანი წარსული გავიხსენოთ, ეგრე სჯობს, წინაპრებსაც ეამებათ მოგონების შეგზავნა მოუსავლეთში. იქნებ ეწყინოთ კიდეც უნიათობა ჩვენი, მაგრამ პირადულს მოევლება როგორმე.

ახალდაბადებული ველურია ყველა. მერე, კეთილი ადამიანების ჩარევით, ლამაზდება. დადიანებიც კულტურის მოთაყვანე ხალხი გახლდათ, ზეპური საზოგადოების ნაკადად წარმოედგინათ თავი და შენება-გამშვენების ორომტრიალს როგორ დააკლდებოდნენ. ახალგაზრდა დავით დადიანი, სამეგრელოს მთავარი, უცხოურ ზნე-ადათს განახედი იყო, მისი ზედმიწევნით გადმონერგვა უნდოდა, გაჩვენიურება. ქალიც თანამოაზრე ითხოვა — ეკატერინე ჭავჭავაძის სულში ფეთქავდა დიდი ქალაქის ელიტურობა.

ერთბაშად გაუძნელდებათ საზოგადოების მოქცევა თავიანთ ყაიდაზე. მოწინააღმდეგეც გამოჩნდება, გლეხის ნაშრომს ფუჭად აბნევენ, ხელუკულმა, გაუფრთხილებლადო, — არ დააყოვნებს ბრალდება. ბრალდების პასუხად, ტრიესტიდან, საგანგებო მოწვევით ჩამოვა ჟოზეფ ბაბინი, სახელგანთქმული მებაღე-დეკორატორი. პირველი სანერგე მაშინ მოეწყობა, გაიშლება ორანჟერეა, ფრანგული სიმეტრიას დამორჩილდება მთელი ბაღი. ნაკვეთები, ყვავილნარები, გაზონები გადაიფინება. ვერსალიდან გამოიწერენ იშვიათ ხეებს, თესლეულს: დიდფოთლა მაგნოლიები, მიმოზები, კვიპაროსები, ოლეანდრები გაჩნდება. ბუნებრივს ხელოვნური პეიზაჟები ჩაანაცვლებენ ალაგ-ალაგ, ესეც ისე, მრავალფეროვნებისთვის, თვალთ სასეიროდ.

ოდესმე ყველაფერი ცვდება და ნადგურდება. ფერხორცის საამებლად გამოსული კაცობრიობა ფიცხელი ნაბიჯებით მიისწრაფვის ხორციელი გადაშენებისკენ. გაქრობის საფრთხე მოედება კაცისგან სახელდარქმეულ საკუთრებას, უხვად დაგროვილ საქონელსა და საყოლელს. ომერ-ფაშა მხოლოდ შემსრულებელია იმ სასჯელისა, რომელიც ღვთის განგებით დაატყდება დადიანების ბაღს. მთელ დაბას გადაბუგავს ოსმალთა გარნიზონი, ყველა ძვირფას ნივთს გამოხიკავენ სასახლიდან და ორანჟერეიდან. ხეებს სათითაოდ შეესევიან თურქი ჩალმიანები, ძირში დაჭრიან და კვალწმინდად გაანადგურებენ დადიანთა ნალოლიავებ სიმდიდრეს.

... გითხარით, განცვიფრდებიან-თქო. ილიას დიდხანს არ ჩამოეხსნება შუბლიდან აღფრთოვანების ტვიფარი. ხილვა, შეგრძნება, შემეცნება, — წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის, ვრცელ დოკუმენტურ ავლადიდებასთან ერთად, ნანახ-გაგონილის ფოიერვერკიც მიაქვთ სასაუბროდ, საამაყოდ, თავშესაქცევად თუნდაც. როგორც ძველები იტყვიან — „ვისწრაფი გაცნობო, რომ..." და ჩამოითვლება რაც რამ ნიშანდობლივი დაიგულეს, თვალთაგან დაიგემოვნეს — ყოფა-ცხოვრების ნირიდან დაწყებული, ქალაქური იერისა და საზოგადო წყობილების ჩათვლით.

და კიდევ: ყოვლითურთ დაუკლებელი მეგრული მასპინძლობა, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

## III

## ოდა, ქვითკირი და სოფლის სახე

წარწერა გარკვევით იკითხება: „1879-სა წელსა, ივნისის 26-სა, სახსოვრად ქალწულის ბარბარასი მისივე დანაშთი ფულითა აღვაშენე სახლი ესე მამამან მისმან მიხაილმან და უწოდე მისი სახელი ბარბარა". სანამ ქვითკირის ორსართულიან სახლს აღმოსავლეთით ეს სიტყვები შეამკობს, მიწად დაგებულ ჩალაზე დააწვენენ მშობიარეს, თავქვეშ ამოუდებენ მაკრატელს ან ხანჯალს, რომ ავი და მავნე არ მიეკაროს. მელოგინეები „ჯინჯი ხატს" ეხვეწებიან, მარიამ ღვთისმშობელს და შეულოცავენ: „უჩა გვალას, უჩა წყარ მეურს, უჩა დეიში ზისხირ გეურს, უძალო ძალიანი, ძელ დამაგრებელიანი..." ბავშვს დედმანია (ბებიაქალი) აიყვანს პირველად, ჭიპს მაკრატლით შეაჭრის და თბილ ნაჭერში გამოახვევს.

მეუნარგიების წინაპარი მეუნაგირე ყოფილა. ურიცხვი სიგელ-გუჯარი გამოგვადგება იმის დამადასტურებლად, რომ ძველ საქართველოში კაცს არა გვარის, არამედ მამის მოსაქმეობის მიხედვით მოიხსენიებდნენ. ეტყობა, მეგრული „მეონანგერე" „მეუნარგედ" გაქართულდა და ამ გვარის საძირკველშიც, როგორც არაერთი ჩვენებური გვარ-სახელისა, ჩაეფინა ცხენისა და ცხენის შემკაზმველთა ხელობა.

ცაიშის ეკლესიის მღვდლისას, ცხენითა თუ ქვეითად მოსულ მომლოცველებს რა მოსთვლიდა იმ დღეებში. ძეობა სად არ თქმულა დღესასწაულად, მიხეილ მეუნარგიასთვის კი, რომელსაც ქალიშვილები უმშვენებდნენ ჯალაბს, მემკვიდრის გაჩენა ორმაგად სასიხარულო იყო. იონა — ასე შეარქვეს ახალშობილს — მღვდელ ანდრია ქირიას მოუნათლავს, ხოლო ამომქნელი წმიდის ენბაზითგან ყოფილა მამიდამისი თებრონია.

მეუნარგიებს ეზოში ხის მოზრდილი ოდა, საბზადი და ნაირგვარი სამეურნეო ნაგებობა ედგათ. დიდი და განიერი ეზო ტკბილად მოშურნე მზერას შემოაჭვრიტებდა ვიწრო ქუჩიდან. ხმამაღლა თუ გამხელას ვერ ბედავდნენ, გულში, ვინ იცის, განკითხვების რა კორიანტელი აღიძროდა — მოძღვარს არ შეეფერება პატრონსქუასავით არხეინი ცხოვრებაო.

ზაფხულის სიცხეში, მაგნოლიის დიდრონი ჩრდილი გადაეფარება დახეთქილ მიწას და ფოთლებს გაეთამაშება მთიდან მონაბერი სიო.

ეზოს ახსოვს წამოჩიტული ბალღის გაცილება დედის ცრემლებით. ჩვეულებად იყო თავადაზნაურებში ოჯახიდან იძულებითი მოწყვეტა ბალღისა. ურთაში გააძიძავეს. ურთა პატარა სოფელია ცაიშთან ახლოს, ორ ნაბიჯზე. ეკლესიის ყმა ხიტუ ქირია და მისი მეუღლე ხანთე გაბლაია შვილივით შეიტკბობენ იონას, თანამდევ სახილველად გადაუქცევენ ვაჟკაცობას, სილამაზესა და პატიოსნებას და ექვსი ძიძიშვილის ხელში, შენაც მოგცლია მოსაწყენად! „წიწიკვაკვა", „შინკობაია", „ციხირძინობია"... — ჩაღრმავებულ წრეს აკეთებენ პატარები, ნაწილი ამ წრეში ჩადგება, დანარჩენები მოშორებით მოიყრებიან და ცდილობენ ჩახტნენ წრეში. შიგნით მდგომნი მედგრად იგერიებენ დაწოლას. გამგელებული თავდაცვა-შემოტევა მალე წიოკო-

ბად გადაექცევათ და ბალღური ხივილით აყრუებენ გარემოს...

დიდი ხნის შემდეგ, მორდუს და ნაიას (ასე შეარქმევს ძიძას მოფერებით) კარმიდამოში ატეხილი აურზაური მოაგონდება ჟენევის განსნავლაში მყოფ იონა მეუნარგიას, როცა სასულიერო სემინარიიდან გარიცხვისთვის მამა დამდურებია და ხიტუ ქირიასგან გამოგზავნილ, ქალალდის ნაჭერში ტკუტკუბურად გამოხვეულ ფულს ეფერება, ეგებ უსულო საგანში ჰპოვოს ბავშვობის მონატრებული სურნელი.

ეზოს კი ახსოვს ალსარების მთქმელთა წინასაალდგომო თავისდრეკანი მამაოს წინაშე, საზიარებლად მორჩილი ჭვრეტა და მომნანიე გულები, ცოდვას რომ ირეკლავენ.

ახსოვს მწუხარებაც. ჯერ კიდევ თბილისში, გაკვეთილზე შეიტყო დედის მძიმე ავადმყოფობა. წინათგრძნობა ახრჩობდა. ასე იციან, დაბეჯითებით საზარელს არაფერს გაუწყებენ ტელეგრამაში... დედა გამოცვლილა, პირისახე დასივებია, ცნობაც გაუჭირდა საყვარელი შვილისა. რეკენ ზარები, სულში ბოგინობს მოუბრუნებელი სიყმანვილე, თავის სიხარულითა და ალტაცებით, ნეტარი დრო... იტანჯება ქალი. „ჩვენი სუსა გვამშვენებდაო თურმე..." — ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაისმის ეკლესიაში, ის იყო ზნეობა და სოფლის სიცოცხლის მარილი. ყველაფერი უყვარდა ქვეყანაზე. ერთი ნამცეცი ბოროტება თავის დღეში არ გამოუცდია, ღარიბი, საწყალი, დაჩაგრული და ბუნებისგან გაუპატიოსნებელი უყვარდა და ებრალებოდა. ტყუილად კი არ ეძახდნენ „ქალების ეპისკოპოსს..."

გაშლილი თმები, შემზარავი კივილი, დაკაწრული ლაწვები და დატირება გაუგონარი.

ისევ, — გაშლილი თმები, შემზარავი კივილი, დაკაწრული ლაწვები და ქალიშვილის გამოსვენება მეუნარგიების სამკვიდროდან — დედას მონატრული ბარბარა მიიბარა უფალმა...

ღმერთმა იცის, რა ახსოვს კიდევ კეთილი და ვაებითი!?

ეზოს ახსოვს ზუტნერების ფეხის ხმა. არისტოკრატული წარმოშობის გრაფინია კინსკი, ასული ავსტრიაში გამოჩენილი ფელდმარშლისა და სარდლისა, არა მხოლოდ პრალაში იყო მიღებული, პარიზშიაც, ნაპოლეონის სამეფო კარზე. ეტრფოდნენ მშვენიერი უფლისწულები, მათ შორის ქართველებიც. საქვეყნოდაა ცნობილი ერეკლე ბატონიშვილთან და ნიკო მინგრელსკისთან გავლებული გრძნობის ბმულობა... მამის თანამდებობრივმა დაქვეითებამ მაღალ საზოგადოებას მოაშორა ქალი და შეჯაჭვა ლუკმაპურის ბორკილებით. ბარონ ფონ-ზუტნერის ოჯახში გუვერნიორად მყოფი ბარონის ახალგაზრდა ვაჟს, არტურს შეუყვარდება და მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, კიდეც დაიწერენ ჯვარს. ჩვენ საქორწინო მოგზაურობა დავარქვათ, სინამდვილეში — მრისხანე მშობლებისგან გამორიდებულ ზუტნერებს საქართველოში ვაპოვნინოთ თავშესაფარი. სტუმრებს ძველი მეგობარი, ეკატერინე ჭავჭავაძე ელოდება ზუგდიდში.

„მე ნამდვილად ბედნიერი ვიყავი, როცა თავადის ქალის სახლში შევდიოდი, — გაიხსენებს შემდგომში ბერტა, — ყოველთვის ამაღლებული, სიხარულით სავსე განცდა მეუფლებოდა, ეს იყო ჩვეულებრივი, კეთილმოწყობილი სახლი, სადაც ჩქეფდა აღმოსავლური ეგზოტიკური ცხოვრება — შერეული რუსულთან და პარიზულთან, მოკაზმული რომანტიკით და მოვარაყებული საოცარი სიმდიდრით... ერთხელ მან თავის საწოლ ოთახში შემიყვანა და მოახლეს უბრძანა ძვირფასეულობათა ყუთი მოეტანა. ეს იყო ბრილიანტების, კეთილშობილი ქვების, მარგალიტების საუცხოო ნაკრები, საიდანაც დედოფალმა ერთი პატარა ბრილიანტის საკინძე ჩემთვის ამოარჩია..."

ქალაქიდან მოშორებით, ჭკადუაშში, სალომე მიურატი მასპინძლობდა, ქალაქთან ახლოს კი — ცაიშური მაგნოლიის ჩრდილქვეშ, უცხოდ ჩაცმულ სტუმრებს გაეგება დეკანოზი მიხეილ მეუნარგია. შვილის თანამოასაკენი აღმოჩნდნენ. იონასგან ჩვეული იყო ათასი ჯურის, ახლებური შემოსილობით გამორჩეულ ქალ-ვაჟთა მოულოდნელ წვეულებას, ამიტომ აღარც გაჰკვირვებია ევროპული სურნელ-საკმეველი.

მეზობლებს დიდად არ ეჭაშნიკებოდათ ბრანჯულ ენაზე მოსაუბრე გადაპრანჭული ბატონები, მაგრამ მღვდლის შიშით, კეთილ სალამს არ იშურებდა არავინ. ამ ერთხელაც აიტანდნენ მათ მომაბეზრებელ ყეყეჩობას, ჯანდაბას! — იონას სიყვარულსაც გაუზიარებდნენ თუ უნდოდათ, ოღონდ ერთადერთხელ და ისიც ძალიან ცოტა ხნით.

ჩვენი რწმენითა და საბედისწერო გამოცდილებით, უცხოები სატყვევნად, საქეიფოდ ან თავშესაფრის საძიებლად ჩამოდიან საქართველოში. ზუტნერები კარგ საქმეზე აღმოჩნდნენ მოსულები. მსგავსად იშვიათი გამონათებები არც ისე იოლი საპოვნია ქართული კულტურის რუკაზე და ვიდრე სურვილი შერჩა სტუმარს საჩვენოდ, ხელიხელ უნდა გყავდეს და აქ ტაძრებად მიუვლინო მზერა, იქ ძვირფას ხელნაწერებში უკრა თავი, იქიდან საუცხოო პეიზაჟებთან ფერებაში დალალო, ფერწერის მეტყველ ქმნილებათა მადლს უჩვენებდე გამუდმებით.

სემინარიელ იონა მეუნარგიას ჩაუწერია დღიურში:

„მსურს შევისწავლო ჩვენი კლასიკური ლიტერატურა, ე. ი. რუსთაველის პერიოდი. განსაკუთრებით ჩვენი სიამაყე „ვეფხვის ტყაოსანი"... რომ შემეძლოს რამდენიმედ მაინც შევეწიო ჩვენს ყმაწვილ ლიტერატურას..."

შეწევნა მერეც მოესწრება. ჯერ სასულიერო სემინარიიდან გაგვრიცხავენ, როგორც პოლიტიკურად საეჭვოს. „სოვრემენნიკი", კანტის, ლაიბნიცის, სპინოზას და სხვა შეუფერებელი ტექსტების კითხვა საკმარისი საბაბია სემინარიის საბჭოსათვის.

თბილისზე ხელჩაქნეული პეტერბურგს მიემგზავრება. იქაც სახიფათო ამინდი დგას, უთვალთვალებენ ჟანდარმერიის აგენტები. პეტერბურგიდან — ჟენევას. ჟენევიდან, მეგობრების რჩევით, პარიზში ამოყოფს თავს.

პარიზი? — გულს გადახსნი და თავისუფლებამოწყურებულ შენობაში უშენოდაც შემოეხეტებიან განმანათლებელთა აჩრდილები. ქუჩაში ხვდები გენიოსებს. თითქოს საქირიოს უბანში დაალაჯებდე ან ბოკოთასთან ახლო, ღელეში სათევზაოდ. უბრალო ხალხია, ამყოლი, ხალისიანი. თუ უფასებ — გაფასებენ.

თვალდათვალ იზრდება სანახავის დაუნახაობა, განცდის ჟინი. სალიტერატურო სალონების მოთაყვანე, ერთხელ ვიქტორ ჰიუგოსაც აკითხავს შინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცმა თბილად მიიღო ახალგაზრდები. საქართველოზე ისაუბრეს, პარიზზე. იონას მოუშორებლად დააქვს უბის წიგნაკი, რომ არაფერი გამორჩეს და საუბრის ნაწყვეტი შემოინახოს საისტორიოდ:

„...ვ. გ. : რუსეთიდან ბრძანდებით?

მე. არა, საქართველოდან.

გ. ლამაზი ქალებით განთქმულ ქვეყნიდამ?

მე. არა მარტო ქალებით, დიდო პოეტო, სხვებითაც.

გ. მაგალითად?

მე. პოეზიით.

გ. ვინა გყავთ გამოჩენილი პოეტი?

მე. რუსთაველი.

გ. რა დაწერა?

მე. საგმირო პოემა „ვეფხისტყაოსანი".

გ. გამიგონია, მხოლოდ შორიდან, საინტერესოა, რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა?

მე. მეთორმეტეში.

გ. კიდევ უფრო საინტერესოა"...

ვიქტორ გჲუგო (ასე იტყოდნენ იმჟამად, რუსულის მომეტებული გავლენით) არ იცნობს რუსთაველს. მხოლოდ გაუგია, შორიდან.

არც საქართველოში იციან „ვეფხისტყაოსანი". მხოლოდ გაუგიათ, რჩეულებს, გვარიშვილობით, წყალობად მომადლებიათ, რომ თვალჩენილად უწყოდნენ შოთას სადაგსიტყვაობა.

ხელნაწერებად დაფანტულა. ხან რას ჩაამატებენ, ხან სად გამოაცლიან სტროფს, სიტყვას გადაახალისებენ, ვისაც როგორ მოეპრიანება. ყოველ ოჯახსა და გვარ-ჯილაგს თავისი „ვეფხისტყაოსანი" აქვს, მათებური ხელწერითა და გაფორმებით. პოსტმოდერნული ამბავივითაა: რუსთაველმა მოიცალა და ერთგული მკითხველისთვის, სათითაოდ გააწყო შაირი.

გენიოსს ყოველთვის თავიდან უნდა აღმოჩენა, ახლებურად გაჩხრეკა, მოძველებული ეპითეტების გადარჩევა და თანამედროვე წაკითხვები. სწორუპოვარი იმიტომ ჰქვია, რომ თანაბრად ითვისებს ყოველ დროში მოსატან აუცილებლობას, მადლს ან რაც გინდა დაარქვი — სიტყვის ძალას, გაუხუნარ შთაბეჭდილებებს.

„დიდი ხანია განზრახვა გვქონდა დასტამბული „ვეფხისტყაოსანი" შეგვეთანხმებინა ხელთნაწერ „ვეფხისტყაოსანს"... — რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილისა და იონა მეუნარგიას ხელმოწერით გამოქვეყნდება მოწოდება ტექსტის გადასინჯვისა და დადგენის შესახებ, რადგან ახლოა ჟამი მისი ხელახლა და „ხელიხელ საგოგმანოდ" გამოცემისა. ყველამ, ვისთვისაც რუსთაველი შეადგენს ძვირფას ნაციონალურ სიმდიდრეს, მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საქმეში.

— საკვირველი დრო დადგა, — გრიგოლ ორბელიანი საკუთარი ხელით დააუწყებს საგვარეულოებს, სადაც უძველესი ხელნაწერები ეგულებათ, — წინათ ოჯახი როგორ იქნებოდა, რომ „ვეფხისტყაოსანი" არა ჰქონოდათ. ქალს რომ გაათხოვებდნენ, მზითევში ატანდნენ ამ წიგნს და მზითვის სიაში უწერდნენ. ეხლა სანთლითაც ვერსად იპოვნით...

სადაც ორიოდ ძვირფას სახელს ვახსენებ ქართველ მოღვაწეთა დასიდან, თქვენ საზოგადოება იგულისხმეთ, „ობოლი მარგალიტების" ძიებაში გამთლიანებული, როგორც სჩვევია ხოლმე დიდი ლხინისა თუ გაჭირვების კვალობაზე, პირადს რომ მოიდრეკენ და საქვეყნოსკენ განაპირდებიან.

რა ვაკეთეთ?!

სხდომა 7 საათზე იწყება, დილაუთენია. ჩამორიგებულია ხელნაწერები. კითხულობენ და არჩევენ უკვდავ სტრიქონებს, ათანხმებენ სხვადასხვა ვარიანტებთან, ნაკლულს აღადგენენ, განმენდნენ ყალბი სტრიქონებისგან. გამრუდებულს აღადგენენ, თორემ რუსთაველის გასწორებასთან ვის რა ხელი აქვს. პირველ ყოვლისა, გამართავენ სათაურს — „ვეფხვის ტყაოსნის" ნაცვლად იქნება „ვეფხისტყაოსანი". განიმარტება სიტყვები და გამოთქმები, ნაბიჯ-ნაბიჯ დგინდება სათქმელის ჭეშმარიტობა — რაა ნაგულისხმევი და საიდან კრთება დაფარული აზრის ჭიატი.

რას ვშვრებოდით?!

რედაქტირებული „ვეფხისტყაოსანს" გამოცემამდე გამოუჩნდება თავისი ქომაგი — უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი მის დასურათებას შეჰპირდება სტუმართმოყვარე საქართველოს, პოემის თარგმნას კი იონა მეუნარგია მოკიდებს ხელს რომელსამე ევროპულ ენაზე. „როგორც გაცნობე ამას წინათ, მე ზუტნერები სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელმეორედ შეუდექით თარგმნას, უფრო უმეტესის დაკვირვებითა და სინდისით" — იწერება ცაიშიდან.

ორი კვირა დღე-და-ღამეს გაასწორებენ. ჯერ ფრანგულით აეწყობა, შემდეგ აღარ გაუჭირდებათ გერმანულად გადმოღება. ცოტას გაფრთხილდებიან ზუტნერები, თანამედროვე ევროპულ ენაზე გადათარგმნა იმ გვარის პოემისა, რომელიც ეკუთვნის ძველს აზიურს ლიტერატურას, მძიმე და ძნელად გასაბედია და ამიტომაც ღირსი საზოგადოების სრული ყურადღებისაო.

საქმის დაგვირგვინებად მოსჩანს საფრანგეთის ელჩისათვის გამართული სადილი. ილია ჭავჭავაძის სიტყვას ელის გაყურსული საზოგადოება და ისიც მოურიდებლად გაათამაშებს თამამ მეტაფორას ამბავში, სადაც რუსთაველი მზეს შეედრება, ხოლო იონა მეუნარგია — მთვარეს, „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულად ამეტყველებისათვის. რადგანაც მზის შუქით ჰნათობს მთოვარე და დღეის იქით, რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც ჩვენს მოღვაწეთა შორის.

... მზითევს რაც შეეხება —

ერთხელ „დროების" რედაქციაში იმაზე ყოფილა ბაასი, თუ სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი" რამდენი უნდა დაებეჭდათ.

ილია ჭავჭავაძე გაჭირვეულდა, ორი ათას ორასი დავბეჭდოთო. რომ უთხრეს, მაგდენი ეგზემპლარი არ გაიყიდებაო, ილიამ, მშობლიურ დატუქსვასავით: თქვენ არა გრწამთ ეს წიგნი, ძველად მზითევში ატანდნენ „ვეფხისტყაოსანს" და ეხლაც ესე იქნება, თუ კარგად გამოვეცითო.

— ძველად რა იყო, არ ვიცი, მაგრამ ეხლა კი არც ერთი სიძე არ დასჯერდება ამგვარ მზითევსაო, — უთქვამს ერთ-ერთს, მომხვდურთაგან.

* * *

ჰამაკი ჰყვარებია ძალიან.

საგურამოში, ილიასთან ყოფნისას, მაგიდის ქვეშ უნახავს, გარეთ გაუტანია და გაუბამს კაკლის ტოტებში.

ილია კაკლის ქვეშ იყო წამოწოლილი და „ილიადას“ კითხულობდა:

**იონა:** ვიშ, სწორედ ინგლისელის მოგონილია ეს ჰამაკი.

**ილია:** არა, ამერიკელის.

**იონა:** ამერიკა და ანგლია ვის გაუყვია?

**ილია:** ოკეანეს.

ამ ოკეანეს შესჯახებია ისედაც დაშლილი და დანაოჭებული საქართველო შიშველი მკერდით. შემწე-მეოხი, ჩვეულებრივ, არავინა, ხელისშემშლელი და ყისტის გამომგდები — იცოცხლე! მათხოვარ-მახვეწარობამ რა სახელიც შეარჩინა გაოხრებულ მიწანყალს, ცხადზე ნათელი გამხდარა და ვიდრე იმ დარჩენილ მლილსა და ჭიალუას დაუნახავს, გარს რომ მოსათხრელად შემოგვჯარვია, საშველ-წამალი სჭირდება დამახინჯებულ ცნობიერებას.

თერგდალეულები შეერქვათ. თერგზე მიმოსვლა გამოუჭირეს შორით მაცქერლებმა და მიუსართეს კიდეც ზედწოდებად, თუმცა ჩვენში დარჩეს და, მთლა უმიზნოდ გამდინარე ხალხი არ ყოფილან სამოციანელები. მეტსახელის თვისება ესეცაა — არაჩვეულებრივს და მანამდე გაუგონარს მიანიჭებენ ხოლმე, სამუდამოდ, მოუცილებლად რომ შერჩეს, შეეხორცოს და დრომ ვერ მოწყვიტოს არსობიდან.

საყრდენ-თვალსაწიერი 1832 წლის შეთქმულებიდან აიღეს, სამზერად აირჩიეს წარსული გამოცდილება და ჭირვეული მერმისი. დროებაზე უფლობითა და შორსმხედველობის ტალანტით შეკაზმულმა თაობამ ყველაფრის ერთბაშად დატევა მოინდომა, საგულდაგულოდ დატეხა აზრის ხვიარები. ჩვენი დაცემულ-გაჩანაგებული ვინაობის აღდგენის მოთხოვნით, ერთძმურად მოქმედებისკენ დაანამუსა ყველა, რომ ყოველი საქმე, ყოველი საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების მომავლობაში აღმოჩნდება, სკოლა, ბანკი, გაზეთი თუ თეატრი, ამ მიმართულების სასწორზე აიწონოს.

ძლიერი ხელიც, რომელმაც უნდა დასძრას პირველი ქვა ძველი შენობისა და გაამაგროს პირველი ქვა ახლის საძირკველში, არ დაიგვიანებს მოსვლას.

* * *

ამ გზას ნახატუ ჰქვია. ოდესღაც, ერთ-ერთ დღესასწაულზე, ხატი ჩაუტარებია ცაიშის ეკლესიისკენ მიმავალ მრევლს. საცალფეხო ბილიკები იხლართება ერთმანეთში, ხის დიდრონი ფესვები ამოფენილან, მიწას ჩახუტებიან, მზისთვის მიუშვერიათ გულმკერდი.

წარმართულ ხის ქვეშ გამოწყობილა სოფლის სახე და სახელი.

ძველ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებულიყო ხის კულტი, როგორც ორი სამყაროს შემაერთებელი ღერძისა. მუხა, ცაცხვი, ნაძვი, ალვა, იფანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიიჩნეოდა საკრალურ მცენარეებად.

ცაიში (ცეში) მზე-ღვთაებას ნიშნავდა ცისა, რომლის სალოცავი ხე იყო თელა (მეგრულად „ცჱ“).

ხანი გამოხდება, ახალი და ჭეშმარიტი სარწმუნოებით მოგვნათლავენ, რწმენას განამტკიცებენ სულის საოხი საყდარ-სალოცავებით, მაგრამ ერის ზნეჩვეულებას მოუცილებელ საგზლად აეკიდება ქართული ქრისტიანობა, ანუ იესოს მოძღვრება ხალხური შენაკადებით — ხატობები, სადღესასწაულო წარმოდგენები, მთელი პაგანისტური არსენალი.



*იონა მეუნარგია ჰამაკში*

საკვირაო ქადაგებებში წარმართულ ნარჩენებზე ფიქრი ხშირად მოუწევს დეკანოზ მიხეილ მეუნარგიას. ფრთხილად მიანიშნებს, მოძველებულიაო, უკვე აღარ გვიჩნს საჭიროება ზედმიწევნით ვიცავდეთ, მთავარია, სახარებას დავენდოთ და დახავსებულ რიტუალებს არ გადავაყოლოთ ქრისტეს შეგონებანიო.

მამისგან გამორჩევით, იონა ახალი დროის ფილოსოფოსებს გაუტაცნია და ქრისტეს გვერდით, ისე აუმღვრევლად ციტირებს კანტსა და ლაიბნიცს, მღვდლის კი არა, თავგადაკლული ლიბერალის ოჯახში დაზრდილი გეგონება. ხშირად ასეც ხდება, აკრძალული სასუსნავი დაგავიწყებს შინაობაში შეგუებულ თაფლს. ნაეტანები. ფერად ლამაზია, გემოს და სურნელს ხომ ნუღარ იკითხავ, მაგრამ მადლი არ მოსდევს, ზეზეურად ილექება ფუყე ნაწრეტი და მწუთხედ იჟანგება სულში.

სემინარიელ ჭაბუკს დარდი მოსძალებია, შესევია ფარული სენი... მარტოობის შიშველ განცდას გამოჰყავს მიჯრით მიწყობილი სტრიქონები:

— წვიმს. მოწყენით ვზივარ ჩემი სახლის აივანზე და გადავცქერი ჩემი სოფლის მშვენიერ სახეს. რა რიგ მშვენიერია აქაური ბუნება, როგორ დაუსრულებლად მდიდარია ქვეყნის ეს მხარე. სტენლი სწორად მბობს ჩვენს სამეგრელოზე, რომ ეს ერთი უმშვენიერესი ქვეყანათაგანი არის მთელს ჩვენს პლანეტაზეო.

ყურს უგდებს მთის ქიმიდან მოსხლეტილი ქარის ხუილს, სოფლის პირუტყვთა ხმაურობას, ყმანვილების თავგამოდებას, შერეკონ საქონელი თავიანთ სახლებში. აგერ, სოფლის მუშა ბრუნდება ყანიდან, უკმაყოფილოდ მიდის ტყეში, შეშას მოზიდავს შინ, სადაც მეუღლე, მისი მეფა

ელოდება, რომ კერას მიაფიცხონ გულ-ბუხარი და გამჩენს ევედრებოდნენ, წვიმა გვაშორე, მზე განგვიახლე, უმზეოდ დავეზრობით მზის შვილებიო.

„ნეტა ბუნებაც გვახეირებდეს იმ დღისთვის, სწორედაც მისწრება იქნებოდა", — ნატვრას შეუპყრია მამა მიხეილი (თუ გნებავთ, ბერძნული მიქაელ იგულისხმეთ, ანაც რუსული მიხაილ, რადგან წერილობით წყაროებში სწორედ ასე მოიხსენიება მისი უსამღვდელოესობა), კრიალოსანს ჩამომარცვლავს, ნაცრეც ძაფზე გახმიანდება „უფალო შეგვიწყალენ".

— როგორც თქვენ თქვით, ისე გამოვაწყვე, მამაო, — ეუბნება გიგო მეუნარგია, ძმაი მისი, — წინდაწინვე დავიჭირე თადარიგი: ერთ დიდ ხარს გამოვჭერით კისერი! მგელივით ბიჭები დავიხმარე, ქირიები — ზურაბი, საბაია, ანტონია და გუჯა, იონას გამო თავს შეაკლავენ ვინც არ უნდა იყოს... ცხვარი იქნება, გოჭები, ინდაურები... ორი აქაური, ორიც — ზუგდიდიდან ჩამოვიყვანე მზარეული, ცაცივით გააწყობენ ყველაფერს, მაგათმა იციან თავიანთი საკეთებელი...

კმაყოფილებაში გარინდულა მამა მიხეილი. გიგო პატაკს არ ეშვება:

— ღვინო სალომე დადხემ გამოგზავნა ჭკადუაშიდან, წუწელა ოჯალეში... გვეპატიჟებიან, მამაო, სოფლად, ჩამოდით, გვიკადრეთ, და ჩვენზე იყოს არნახული პურ-მარილიო. მანამ რაფერ მოვკვდები, მიურატების სანაქებო ზვარი არ ვნახო, ვაზის პეულებს არ მივეალერსო ხელით...

— ბეჯითი ქალია სალომე, — დადიანის ქება არ უკვირს დეკანოზს, — სხვა მის ადგილას დროსტარებაში გაფანტავდა მშობლების დანატოვარს, იმან ჭკუა იხმარა, კაი ვენახი გააშენა და სამოგებოდაც წაუვიდა საქმე. ამბობენ, პარიზის მთელი არისტოკრატია სვამს მიურატების ოჯალეშსო... — წუთით გაჩერდება, ცერათითით მიეფერება კრიალოსანის ბოლოში დატანებულ ჯვარს, — ჩემს იონას არ დაადგა ოღონდ საშველი! ერთი გზობა მიხარია, განათლებულ ხალხთან რომ მეგობრობს, საშვილიშვილო საკეთებელში უდევს წვლილი, მაგრამ ცოტათი კი მეეჭვება, მარტო წიგნებით შეძლოს ოჯახის შენახვა...

გიგო არ შეისმენს ძმისშვილზე საყვედურს, „მაგასაც ვნახავთო", გაივლებს გულში. რა წუწუნი აუტყდა ამ კაიდედმამიშვილს, მე შენ გეტყვი, ყველა აზნაურის კარზე ჩამოდგება ილია ჭავჭავაძის ეტლიო.

— დიდი ხალხი გსტუმრობს, მიხეილ ჩემო, რომ იცოდე, დახვედრაც ჩვენებური უნდა... ახლო-მახლო სოფლებში შევუთვალე წარჩინებულებს, ისე მაინც გამოჩნდით, დაგვამშვენეთთქო. აფაქიძეები, ანჩაბაძეები, მხეიძეები იქნებიან ულაპარაკოდ, სოფლის ახალგაზრდობაც გვჭირდება, მთელი საცაიშლო, მარტო იმ ბედოვლათების იმედად ჩემი მტერი იქნა! სუფთად გამოვაწყოთ, ჩოხებში, დამბაჩები, ქამარ-ხანჯალი და მისი ავლადიდება... ჩიქვანს შევუთვალე, შენ რომ გყავს განთქმული მომღერალთა გუნდი, აქ უნდა მომაყენო-მეთქი. კაი ზორბა, ალალი და მსმელი კაცია, ულალატო. სოფელში დავგზავნე გამოსული ბიჭები, ხათრიანები სულ, მოცეკვავე, მეჩონგურე და მომღერალი ქალები გამოდენეთ სახლებიდან, ჭავჭავაძეს ველოდებით და უნდა გვასახელოთთქვა. იქნება, მარა რა იქნება!..

აპრილი გამოკვართავს ხასხასა ფოთლებს სუსხის საპირწონედ, ხიდან ხეს, ბუჩქიდან ბუჩქს უწვდენს, ლაღად შემოაჭდობს მინდვრის ნაქარგობას, შეუყენებს წყაროთა ჩუხჩუხს...

ქარი გამოგვრჩა.

დაქროლავს, დაბერავს, აათრთოლებს ზამთრით მიბინარებულ ბუნებას...

* * *

დილა-რიჟრაჟიდან გაცხოველებულ მზადებაშია სოფელი. ნახირი გადენეს, მოაწკრიალეს ეზო-კარი. ბავშვები შეთქმულებივით შეესივნენ ხეებს, კენწეროსკენ უწიეს. მაღლიდან უკეთ მოსჩანს ნახატუს გზა, სადაც სტუმრებმა უნდა ჩამოიარონ.

ქალები ფუსფუსებენ დეკანოზისას ხელდაკაპიწებულნი.

— ესე, ჩემო ზურიკო, შენს ქორწილში მერიქიფედ დავდგები უეჭველად, — მეზობლის ბიჭს დაუყვავებს გიგო, — შენა მყევხარ მარჯვენა ხელი, ბიძი, იონას ძმა ხარ, ძმობა უნდა უყო ბოლომდე, და-კან-ცა, — გული როგორ მოუთმენს, არ ჩაურუსულოს ბოლოში.

პატარა ხანს ჩაწყნარდება ღაბაჩი და ღრიანცელი, მერე ისევ გიგო ჩაიგდებს ასპარეზს:

— პეხუ სად არის, ბატონი პეხუ ჟორდანია! ხომ ძველებურად ილესავს კბილებს... რაც მაგას დადიანმა უყო თავის დროზე, მის ადგილას, ცხვირს არ გამოვყოფდი შინიდან,.. გა-ა-ჩა-ნა-გა!

სოფლის მოურავია პეხუ ჟორდანია, დიდი ბლენძი, თავმომწონე მამრი. როცა დავით დადიანმა რეფორმის გატარება განიზრახა სამეგრელოში, თავის ქვეშევრდომებსაც მოსთხოვა, აყოლოდნენ.

რატომღაც თვალში არ მოსდიოდა ბოხოხიანი, ჩალმიანი და წვერმოშვებული საერო პირი. პეხუსთვის შეუთვლია რამდენჯერმე, საგანგებოდ. რომ გაჯიქდა მოურავი, თავისთან მოუწვევია და ძალათი მოუპარსავს წვერი.

ეს ამბავი საარაკოდ დაჰქონდათ ოდიშში.

პეხუს კაიხანი ესირცხვილებოდა უწვერობა, მაგრამ დარდს არ გადაჰყოლია და ახალ წესებს გვარიანად აუწყო ფეხი.

გიგოს დაძახილსაც, ცხადია, ვერასგზით შეიტყობდა, რადგან ამ დროს, სტუმრების გარემოცვაში ჩამდგარი, ნახატუს ბილიკებს ჩასდევდა და საუბრის საღერღელაშლილი, ხან ალთას იყო, ხანაც ბალთას.

ბავშვები აჟივჟივდნენ, ატეხეს წივილ-კივილი და ჟრიამული. სტუმრებს ჯუმს გალმა გაეგება საპატიო მასპინძლობა. გადმოცემის თანახმად, ცაიშელებს მხარზე შეუსვამთ ილია და ციმციმ უტარებიათ აღმართი.

ამასობაში მამა მიხეილიც დაეშვა კიბეზე. სათითაოდ მიეახლნენ. გუნდს ილია გამოეყო, გულზე აკოცა, კურთხევა ითხოვა ყველას სახელით: „ღმერთმა შეგაძლებინოთ, შვილებო".

ისაუზმეს. როცა წამოიშალნენ, ილიამ ეკლესიის დათვალიერება მოისურვა.

ცაიშის ძველი ტაძარი მეათე საუკუნიდან მოითვლის წელთაღრიცხვას. გამოსახულებაც შემონახულა, თუმცა მის ადგილას ახლა ღვთისმშობლის გუმბათოვანი ეკლესია დგას.

1614 წელს საკვირველმა მიწისძვრამ, რომლის მსგავსი ოდიშის მხარეში არასოდეს ყოფილა, შემუსრა მრავალნი დაბანი და ეკლესიანი, დააქცია საყდარი ცაიშისა, მოაოხრა ყოველი ნაშენები, თავითგან ვიდრე საფუძვლამდე. გალავანი მოარღვია, დალეწა ხატები.

უფალმა წყალობა მისი რისხვად შეცვალა...

უფლის ნებითვე, კათალიკოსმა მალაქია გურიელმა აღადგინა ცაიშის ეკლესია, მოახატვინა შემკული და კეთილშენილი.

ილიას ახარებს ტაძრის სისუფთავე, მოვლილობა. პეპუ მეუნარგიას მიერ მოჭედილი ხატებს ათვალიერებს ინტერესით, წარწერებს კითხულობს გულმოდგინედ.

ტაძრის ქტიტორთა ფრესკა გამოჩნდება ჩრდილო-დასავლის სვეტზე — ლევან II დადიანი და მისი თანამეცხედრე ბიცოლა ნესტან-დარეჯან ჭილაძე.

— მამაო, მენანება, ამხელა წარსულისა და ტრადიციის მქონე ტაძარი ყავრით რომ გვაქვს გადახურული, კრამიტით აჯობებდა... უფრო გამძლეა, შეინახავს სიწმინდეებს...

ფართოდ გაშლილან ცაცხვისა და კაკლის დიდრონი ხეები.

შემოდგომის დამდეგს, ამ ეზოში სოფლის დღეობა ეწყობა.

ჯირითი საკულტო სანახაობაა ჩვენში. მონაწილეებზე უფრო, მოედანს მიშტერებული ხალხია სასეიროდ საყურებელი. სახეებზე ჩამოდენილი განცდა ირეკლავს ბრძოლის ველზე დატრიალებულს, ჩრდილებად ილენებიან მაღლა შეტყორცნილი ფიგურები, აღტაცებას ასხივებენ. ულიმლამო ყოველდღიურობას აღვიძებს კარნავალი, რომელიც, შეურაცხად გარდასახვებსა და ცოცხალ მოქცევებში მოცემული. ჰარმონიად ილვრება, ლღვება ერთფეროვნებისგან დაწყვეტამდე დაჭიმული ძაფები, იგრაგნება დაქსელილ გორგალში და უერთდება განცხრომას. გენში ილვიძებს დაჩრდილული თვისებები, გამოამტვრევს დავიწყების ყინულეთს და ფარას მოექცევა წინ, მამალი ცხვარივით...

... გადავახვიო?!

სულერთია, დრო გავა და ჩემზე უკეთ იტყვიან ამ სიტყვებს, უფრო სწორად, ჩემზე უკეთეს მნიშვნელობას მიანიჭებენ, თორემ ახალი დამწერლობაც რომ შემოიღონ, გაცვეთილი სიუჟეტების თრაქვა მოუწევთ ისევ და ისევ, ტვინის ჭულეტა თითიდან გამოწოვილ სატკივარზე.

ამაზრზენია, როცა გადასაგდებადაც არ იმეტებ და სახეში გადნება ერთი და იგივე. გეშინია, ბედს მომდურებული, ბედასლად მოგიძულოს განგებამ. თან, სხვისადაც ვერ ჰგუობ შენი სიცარიელიდან გამოტანილ და ან უკვე ურნის ფსკერზე დალეწილ ნაცოდვილარს.

* * *

ფერხული აშვებულა, სივრცეს შემოწოლია დრამატული მისტერია და ყოფით გაჯერებული სანახაობა.

„ძაბრალეს" თამაშობს ჯეელობა. ფერხისას ჩააბამენ, წრის შუაში გამოიჭრება მოთამაშე სიმღერითა და ოხუნჯობით, ქუდს დააგდებს და ხანჯალს გააძრობს ქარქაშიდან.

ხანჯლით უტრიალებს ქუდს.

„ჰაი ძაბრა!" — შიშსა და გამოწვევას აირეკლავს მოძახილი.

„ძაბრაშ წაულა!" — ქუდის გადახდას ელოდება მაცქერალი,..

„ძაბრაშ ღურა!" — ქუდქვეშ იმალება ზღაპრული გველეშაპი, წყაროს რომ გადაფოფრებია, ხალხს აწიოკებს და რჩეულები მიჰყავს თავისთან.

პეხუ ჟორდანია წმინდა გიორგის ხსენებით გახსნის სუფრას. „ჯეგეს მადლი შეგვეწიოსო", ყანწში ჩადენის კეთილსიტყვათა ოჯახს, მზერით მოსინჯავს მოზიმზიმე ოჯალეშს.

ურთის მთას ამოფარებია ჯეგეთა — წმინდა გიორგის სალოცავი. ერთ დროს მჩქეფარე სამონასტრო ცხოვრება უდრტვინველ გაყუჩებას შეუცვლია, სადღესასწაულო ფორიაქი — გულგრილობის უკუნეთს.

რა დაავიწყებს: ყოველ გიორგობაზე, აპრილის თვეში, მწყობრად ამოდიოდა ხალხი ღამისთევაზე. წინ სამღვდელონი, ჯვარი და წმინდა გიორგის ხატი მოუძღოდათ, რომელსაც კუკავას გვარის შვილები მოასვენებდნენ — მათ ევალებოდათ ხატის მსახურება. მლოცველები სწირავდნენ ამ დღისთვის ნაჭედ ბოძალებს, ფერადი სალებავებით აჭრელებდნენ იფნის, ცაცხვის და ფიჭვის ძირწანვეტილ ლატანს, შეამკობდნენ სანთლებით. სანთელზე ილვენთებოდა ბედმოხვეწეობა, ლოცვაში გამდნარი სავედრებელი, ცოდვა — გამხელილი და მისატევებელი...

„ძაბრა, ძაბრა!"

„უწმინდური!"

„გილაძაგვა!"

სიმართლე იგვიანებს და ვინ იცის, ამ გაწევ-გამოწვევაში, ერთიც რომ აიწყვიტოს, ხახა მოაღოს გველეშაპმა, ლუკმად არ ეყოფა ცეკვა-ფოუიალი.

ილია გულჩათხრობილი გასცქერის სცენას. არჩევს, ათითოვებს მოთამაშეთა სახეებს, რაკი გველეშაპი მოუხელთებია უკვე. ქუდქვეშ შეფარება ვეღარ უშველის მწიკვლიანსა და ღირსებათა მაწიოკებელს, სიწმინდის სახელით რომ შემოსულა და მყრალი სუნი დაუყენებია, ყველგან დაუჩნევია სისხლის კვალი, ჩექმის ანარეკლი.

„თექ ოჭკუმუ ჩქიმი ცვანა!" — დროზე გამორკვეულა და განგაშის ზარებს არისხებს აქტიორი, გაოხრებულ მამულში უდგას მიზანსცენა, ირკალებიან მოწყვეტილი მოქმედებები, თითქოს სიცივისგან დაკბენილი ფოთლებიაო შემოდგომის მიწურულს. ხვდები: ადვილი იჭმევა ლუკმა-ლუკმა აკეპილი, დანაწევრებული მსხვერპლი, მდუღარე სისხლსაც თუ მიაყოლებ ზედ, ყელში არ გაგეჩხირება, გულზე არ დაგადგება, ნება-ნება გადაგცდება, სვენებ-სვენებით.

„ასე ოკო დოპილე!" — ხანჯალამოწვდილი შეეხლება პირქუშ კლდესავით აწოწილ სიმაგრეს, შეასკდება, დაბზარავს, ღარს გაუჩენს. ნასვრეტებად გამოჩნდება ფონი, გადარჩენის მირაჟი. ნისლი და ჯანღი მხოლოდ პოეტური სიმბოლოები რომ იყოს, კიდევ მოუვლიდა კაცი, შესაფერის ადგილს მიუჩენდა წინადადებაში, მაგრამ სულსა და ცნობიერებაზე გაბატონებულ ბურუსს ვეღარ შველის ალაგმონაცვლეობა, შენთანაც ისეთივე სახიფათოა, როგორც შენი მოყვასის საგონებელში შემძვრალი.

„მუმეხვარით ჯიმალეფი!“ — ქუდზე კაცს აფრენს, შემოიკრებს ერთიმუჭა სამოხიოს, ერთურთის ხათრს მოიდებენ, მტერს არ დანებდებიან ნახევარგზაზე. თუნდ ყაჩაღები ეძახონ, გამოუსიონ დამსჯელი რაზმები, არ შედრკებიან, ტყეს იფარებენ, ბუნებაში გაექცევიან განსაცდელს. სიკვდილი წმინდა ჰაერს გაურბის, მადლსპეტაკი ზეწრისა ეშინია, სუფთა და დაწმენდილი სურვილების. ესიკვდილება პირჯვარი, სინანულს უფრთხის და ალსარებას.

„ვამენტანი! ობჭოფათ!“ — გაქცევას კი არა, დაყუდებას და მთელი ქვეყნიერების დამორჩილებას მისტანებია გველეშაპი, დამკვიდრება განუზრახავს მირიადი ხერხითა და მონადინებით, სადაც მოფერება ვერ გაჭრის, მუშტით გაიმყაროს დილიხორი. ენითუთქმელი ბანკეტებისა და გახრწნილ ორგიათა კვალდაკვალ, ეგზეკუციებს წამოიწყებს ხალხის დასამონებლად, დასათრგუნავად, ჭკუის სასწავლებლად.

„ასე ოკო ქომოლობა!“ — და თანდისთანობით გაჩნდებიან შეთქმულნი, შეფიცულნი, აჯანყებულნი. დროშა მაშინ აფრიალდება მალლა, სიამაყით ზეაზიდული. საგანგებო მდგომარეობა გამეფდება, კერიაში დაიგზნება საპროტესტო ცეცხლი. ხიშტის მოლოდინში, თავგანწირვას დაენდობა თავზეხელალებული. ისე დაიშრიტა, ისე განიძარცვა, ისე დაძაბუნდა, ისე გატყდა, ისე წარეკვეთა სასო წარამარა ლალატის შემყურეს, არ დაენანება უსასრულოდ სიკვდილი...

„ობჭკუმუნსდა ობჭკუმას, თენა ცოფე ჩქიმი ბედი! —

ხვედრსაც შეგუებიან, სასჯელსაც, ეშაფოტს მეამბოხეთათვის. გამეტებულისთვის სულერთია მტერ-მოყვარე, ორივეს თანაბარი უნდობლობით ეკიდება, რადგან აქამდე გადახდენილი ჭირი და ვაება სწორედ სიბრიყვისა და მალერწმენობის წყალობით დაუხვავდა.

... ზედიზედ იცლება საგვარეულო ყანწი, ოჯალეში შემღვრეულა გონებაში და გარეშემოს ახმიანებს კახური სიმღერა. „ფარინა-ფარინას“ ერთხმად აჰყვებიან მოქეიფენი...

„სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავ!“

ფერხულში ჩამდგარა ილია ჭავჭავაძე.

* * *

გახსოვთ, ძველ პიესებში როგორ არის?

— იგივენი და ჰამლეტი.

— იგივენი და მიკურტუმ გასპარიჩი.

— იგივენი და პარუნ ოსეფა.

ჩამოთვლილს ახალი წყვილი მიემატება უნებურად:

— იგივენი და ავტორი.

მოქმედება არ კმარობს მხოლოდ პერსონაჟების გამოჩენას დანიშნულ ადგილას, სცენაზე ავტორის შემოსვლაა საჭირო, რომ თავადაც გაიზიაროს გმირის ხვედრი.

მისი უდიდებულესობა მკითხველი ალბათ დასტურით შეხვდება ჩემს გადაწყვეტილებას, ამ ერთადერთხელ მოვცილდე საწერ მაგიდას და ტექსტში მოვახილო თვალი.

ცდუნებაც მომყვება არნახული: მეცხრამეტე საუკუნის სუნთქვა შევიგრძნო, ფერები გავარჩიო, დამდნარ კინოკადრებს შავთეთრად რომ შემოუნახავთ, ილია ვნახო.

„სტუმრები კაიხანია გავიდნენ ხიდსგალმა“, თავისთვის მიკელანობენ, თავდალმართზე დაშვებულან ბავშვები. თუ შევეკითხები, სხარტად გადმოისვრიან პასუხს.

„ვერ გამექცევიან მაინც...“ — ჩემი კალმის იმედად ვარ, „მაგრამ ჯერ ხომ პეტრე მეუნარგია უნდა გამოჩენილიყო, სოფელში განთქმული მოშაირე, მეგრულად მიელექსა ილიასთვის მადლობა, სტუმრობის ღირსი რომ გაგვხადა, სამეგრელო გააბედნიერა, გაახარა და აგრძნობინა მთელ ჩვენს კუთხეს, რომ მარტო არა ვართ, არამედ საქართველოს საუკეთესო შვილები ზრუნავენ ჩვენზე“.

ეტყობა, იჩქარა პეტრემ... ვაპატიოთ...

თქვენ რა გგონიათ, გიჟივით, ყველა სოფელს სჭირდება ერთი მოშაირე, რათა მემატიანის დაკვირვებით და უანგარიშო გამბედაობით გათქვას ხალხის გულისთქმა, რასაც სიზმარშიაც მოერიდებოდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი.

ცაიშის სკოლასთან წამოვეწევი სტუმრებს.

უკანასკნელი მიტროპოლიტის, გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ, კლება იწყო ცაიშის სობორმა, გაუქმდა მონასტრული ცხოვრება და სწავლა-განათლებაც მოისპო. ცაიში დაკნინდა და მიეცა უფერულ ცხოვრებას, ღრმა ძილს.

ამ სამწუხარო მოვლენამ გამოხმაურება ჰპოვა ქართველ მამულიშვილებში. მათი მონადინებით, ეკურთხა ერთკლასიანი სკოლა სოფელში.

— მე დღეს ვხედავ ერთ კაი სანუგეშო მაგალითს, — მეხსიერებას შეხორცებია მამა მიხეილის სიტყვები სკოლის გახსნაზე, — ღვთის მადლით, ყველანი ვგრძნობთ, თუ რა საჭიროა სწავლა. უსწავლელმა კაცმა არ იცის რჯული და სარწმუნოება, რომელნიც არიან დედა პატიოსნებისა და კეთილ შრომისა. უსწავლელი ვერ ცნობილობს თავის თავსა, რისთვის მოსულა ამქვეყნად და რაშია მისი დანიშნულება...

დეკანოზი გულითად მადლობას უცხადებდა პატიოსან და ღვთისმოყვარე პირებს, რომელნიც დაეხმარნენ სკოლის მოწყობაში, გასწიეს შეუფასებელი ქველმოქმედება.

სიახლის დროშას ლაქაც ბევრი აეკრობა, რაც არ უნდა გაბეჯითდე, ააცილო ჭუჭყსა და ტალახს, ცად აზიდო, აფრიალო. მაინც იპოვნის და სკინტლივით აეხუტება პირფერობა, გამორჩენა, სიყალბე...

ავადხსენებულ თადა აშორდიას გაამწესებენ მასწავლებლად ახლადშემქნილ სკოლაში ახალი იმპერიული იდეების საქადაგებლად. ისიც სათოფეზე არ გაიკარებს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, მტრად დასახავს ჭეშმარიტებას და ერთბაშად მოიძულებს.

უმეცარისგან გვსმენია ფინთი საქციელი, უსაზღვროდ აკვიატებული „მე“, მაგრამ, ჩვენში დარჩეს და, გულდასაწყვეტი კია ქართველი კაცის განდგომა ისედაც დაქსაქსულ, დარბეულ, დაბალ ღობედ მიჩნეულ ერობაში.

ილიას რჩევით, გაისად ორკლასიან სამონასტრო სასწავლებელს დააფუძნებს მამა მიხეილი, სულიერ ნიშას ალადგენს სოფელში.

ქარი კი, შარაგზაზე გამოდენილი, გამეტებით მიეხლება ჭადრებსა და ევკალიპტებს, ყანებს გადაევლება, ბაძვით აიყოლიებს ხმაში გამლილ საუკუნო საგალობელს — ბედისწერას...

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაკა ჯოხაძე

# დემონები და მფარველი ანგელოზები

*

## „ასი უძველესი იაპონური ლექსის“ გამო

სადღაც გადავაწყდი ინფორმაციას, რომ ადამიანები მთელი სიცოცხლის განმავლობაში ნახევარ ლიტრ ცრემლს ღვრიან... ყველაფერი აღნუსხულია, ყველაფერი დათვლილია, მათ შორის, თმის ღერიც კი თქვენს თავზე — ეს შეგონება გამახსენდა, ზოგი რომ „მუქარად“ მიიჩნევს რატომღაც. მაგრამ „მუქარაზე“ მეტად ნახევარი ლიტრის სიმცირემ გამაოგნა... როგორ, მხოლოდ ნახევარი... ზოგჯერ ხომ გგონია, გგონია კი არა, დარწმუნებული ხარ, რომ დიდი მწუხარების, ტანჯვისა და სინანულის ჟამს შენი ცრემლების წყალდიდობას შეუძლია მთელი ქალაქი წაილოს, დატბოროს, ჩაძიროს ურრენის ქალაქივით. თუ ქარიც ამოვარდა, მწუთხე ქარიშხლებმა სარკმლებს მომწყდარი ადამიანები მარილის სვეტებივით თუ გააშეშა, ის არქეტიპი ბიბლიური სანახაობისა აგერ, ჩვენს თვალწინ გათამაშდება... ხომ გათამაშდა, აიგო კიდეც სულ ახლახანს გოლგოთისკენ მიმავალი ტანჯვისა და მწუხარების ხატი. ვინ აწონოს ულელტეხილის უფსკრულებში ჩანურული ცრემლი ლიტრებით, ვინ დათვალოს სისხლით ჩარეცხილი ჭუბერის ქარაფები...

ნახევარი ლიტრი, ნახევარი მილიონი, ნახევარი ქალაქი და ნახევარი დედამიწა... სტატისტიკა, ინფორმაცია, ანალიზი... ეს ყველაფერი კლავს სიყვარულს, მეცნიერება აგრილებს. ამიტომ საუბრობენ არა ცოდნის სილამაზის, არამედ მისი სარგებლიანობის შესახებ.

„მოყვარული არასოდეს კითხულობს შეყვარებულის ასაკს, წარმომავლობასა და მატერიალურ კეთილდღეობას (ეს ახლო ჭირისუფალთა ან იგივე გარეშე თვალის პრეროგატივაა — მ.ჯ.) ზეშთაგონებული სული, ანუ ღვთაებრივი სიყვარულით ანთებული არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმება ღვთის ანალიზზე.

სიყვარული განდევნის განსჯას, როგორც უსარგებლო მსტოვარს. სამაგიეროდ აერთიანებს სამ სხივს — გონებას, გულსა და სულს და ერთ სანთლად აანთებს“ (წმ. ნიკოლოზ სერბი).

ირმა რატიანი, როგორც ადამიანი და როგორც ხელოვანი, ამ სანთლით შემიძლვა უძველეს იაპონურ სამყაროში, ამ სანთლით აინთო პაწია ბაღჩები, ბაღები, წალკოტები, ამ სანთლით განათდა ნისლიანი მთების, კოშკებისა და მონასტრებისაკენ მიმავალი ვიწრო ბილიკები... მთლიანად დაირღვა დროისა და სივრცის პირობითობა და ხელოვნების სასწაულმოქმედი ძალით დღეს, ამ წუთებში იაპონურ მლვიმეებში მოჩუხჩუხე წყლები უფრო ხელმისაწვდომი გახადა ჩვენთვის, ვიდრე ათონის მღვიმეებში დაუნჯებული ტბების ცრემლიანი კანკალი.

უცნაურია, რა შორეული ხდება ხანდახან ახლობელი და რა ახლობელი — შორეული.

„ასი უძველესი იაპონური ლექსი“ — ამ ჭკვიანმა წიგნმა იმდენი ემოცია, ფიქრი, განწყობა თუ სიტუაცია გააცოცხლა პირადად ჩემში, რომ კიდევ ერთხელ ვიგრძენი, უბინო სანახები როგორ თვლემენ, როგორ იმშუშნებიან და ფხიზლდებიან როგორც კი სწორფერი სიკეთის, სინათლის, სიყვარულის ხელის შეხებას იგრძნობენ. ალბათ ამიტომ არის ნამდვილ შემოქმედებასთან შეხვედრა ყოველთვის ამ ტკბობისა და განცვიფრების გამომწვევი. ტკბობა და განცვიფრება თან ახლდა უძველესი იაპონური ლექსების კითხვას.

ამ წიგნმა ბავშვობის დღეებიც გაანათა. გაიღო ჩვენი მეზობლის ბინის კარი, რომლის მყუდრო ინტერიერშიც ფაქიზად განწყობილი ლოგინი ხშირად მიცდიდა მე, ჩვენი ოჯახის ქრონიკული სტუმრიანობისა და გაშლილი სუფრების წყალობით...

სუფრის გაშლა ძაძუ ავალიანსაც უყვარდა, მაგრამ რაღაცნაირი მყუდრო და მშვიდი, გაუთხოვრად ჩაბერებულ წმინდა ქალებს რომ სჩვევიათ, ისეთი.

ჩამაწვენდნენ თუ არა საწოლში, ჩემს მარჯვნივ მაშინვე გაიშლებოდა მუქი ხის ჩარჩოში ჩასმული სურნელოვანი შირმა. ამ დაბურული აბრეშუმის კედლებით გადაიტიხრებოდა ჩემი სამზერი სივრცე და იწყებოდა ჩუმი, უხმაურო ფუსფუსი.

აბაჟურის ქვეშ განათებულ პაწია მრგვალ მაგიდას გადაეცლებოდა ფოჩიანი ბურთულებით განწყობილი ხავერდის გაცრეცილი სუფრა. გაიშლებოდა ძველთაძველი ფაიფურის ფინჯნები და დაძაბული ვაყურადებდი, როგორ შემოვიდოდა მოპირდაპირე ეზოდან გადმოსული სიფრიფანა ანიჩკა ბაქრაძე. სართულის მეზობელი, განუყრელი თაგვისფერი ორენბურგის შალით მხრებზე, მერიკო მიქელაძეც შეთქმულივით ფრთხილად შემოაღებდა კარს. იწყებოდა კარტის გაშლა თუ ლოტოს თამაში. სიჩუმეში მესმოდა მათი მზრუნველი და პატარის პატივმცემელი ჩურჩული, შაქრის კვნეტა, ჩაის ფინჯნებიდან ამომავალი ორთქლის სურნელოვანი სუნთქვა, მუყაოს ფირფიტებზე დანომრილი ლოტოს კოჭების ყრუ შეხება, ვერცხლის კოვზების ჩუმი წკარუნი და მიმაცილებდნენ ასე რწევა-რწევით ძილის მღვიმეებში ძვირფასი სახეები. ძილ-ღვიძილის საზღვარზე მყუდრო, სანუკვარ ხმებთან ერთად შირმაზე მიხატული ახალგაზრდა ქალებიც მემშვიდობებოდნენ თავიანთი უცნაური ვარცხნილობით, კუბოკრული, დაფოთლილი თუ კოპლებიანი კიმონოებითა და წელიდან

თითქმის მკერდამდე გადაკრული სხვადასხვა ფერის ბრტყელი აბრეშუმის ქამრებით. ეს იყო ჩემი ბავშვობის თანმდევი რიტუალი, რომელიც, ვინ იცის, როდის განათდებოდა, რომ არა ასი უძველესი იაპონური ტანკა, ასე უზადოდ რომ თარგმნა ირმა რატიანმა.

მე, რა თქმა უნდა, იაპონური არ ვიცი, ისევე როგორც თითქმის არავინ მთელს საქართველოში. ამიტომ არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება შეფასებისას ვახსენო სიტყვა — უზადო...

იმის გარდა, რომ უნაბისფერისა და ყვითლის შეხამება ძალიან მოუხდა ფიზიკურადაც ამ მშვენივრად გაფორმებულ წიგნს, უკანა ყდაზე ლიტერატურის მეტრებისა და ავტორიტეტების მეტად ღირებული და მნიშვნელოვანი აზრები გამოითქვა მთარგმნელისა და თარგმანის შესახებ... და მაინც უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე ჩემი პირადი დაკვირვებებითა და შეგრძნებებით მივედი ამ უზადობის განცდამდე.

ვინ იცის — როგორ გაჩნდა, რატომ გაჩნდა ეს სიყვარული, როდის დაინტერესდა, ან რატომ დაინტერესდა მთარგმნელი ამ სამყაროთი, როდის და როგორ შეისწავლა ეს ურთულესი ენა, რომლის თითო იეროგლიფიც, ჩვენი ქართული ზმნისა არ იყოს, თითო მხატვრული მეტაფორაა და მთელ სამყაროს იტევს თავისი ჰორიზონტებით, ჩამავალი და ამომავალი მზეებითა და სხვა მნათობებით... ვიცოდი, რომ ჯერ კიდევ ჩინური ენისა და დამწერლობის ოკეანეში უალრესად თვითმყოფადი კუნძულებივით იყო შეჭრილი იაპონური ენის ჟღერადობა, მისი ევფონია და, ბუნებრივია, ეს თავისთავადობა ცალკე გამოყოფას, მშვიდობიან გაყრას მოითხოვდა, როგორც ვეება სკიდან თავისით განაყარი ფუტკარი მზრუნველი ხელით შეჭედილ ხის ჩარჩოებში, თავიდან რომ დაიწყებს ფიჭური არქიტექტონიკის ღვთიური სიმეტრიით აგებას. საერთოდაც, სულ მგონია, რომ იაპონელები, ისევე როგორც ჩინელები და კორეელები სამყაროში ყველაზე უკეთ ჩასწვდნენ ფუტკართა სამყაროს იდუმალებას, მათი გარჯის საიდუმლო იეროგლიფებს, მათ მარადიულ ლტოლვას სილამაზისაკენ. უნიჭიერეს, უზუსტეს გუმანს მხოლოდ მტვრად წოდებული ყვავილთა გულიდან ამოეწუწნნათ, ამოელოთ სუბსტანცია სიბრძნის, არომატისა და მშვენიერების. მხოლოდ ამ დაუოკებელი დაწაფების შედეგად მოედინება სამყაროში ეს ქარვისფერი მალამო — თაფლი, თავისი წონადი, სიკეთით ალსავსე დარბაისლური სიმდოვრით.

ვფიქრობ, რომ დღევანდელი იაპონელი (წიგნიერსა და საკუთარი კულტურის ღრმად მცოდნეს არ ვგულისხმობ), ჩვეულებრივი, რიგითი, ცივილიზაციის ტემპით წელგაწყვეტილი, არაქათგაცლილი, ლიმონივით გამოწურული, ვერ შეიტკბობს და საერთოდაც ვერ გაიგებს ამ ძველი სამყაროსას ვერაფერს. ეს ტანკები თითქოს ჩვენთვის უფრო მისაღებია... რა თქმა უნდა, საეჭვო ვარაუდებს გამოვთქვამ. ვარაუდი რომაა, თუნდაც ამის გამო უნდა მეპატიოს, არადა, ჩემი მოსაზრების განსამტკიცებლად შესაძლოა ფრენსის ფუკუიამას რომელიმე ციტატაც კი მომიშველიო. თუნდაც აი, ეს:

„დღეს ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოზღვავებაა უფრო ღარიბი და ნაკლებ სტაბილური ქვეყნებიდან დაძრული ხალხისა, რომელთაც სამუშაო და უსაფრთხოება იზიდავს. იაპონიას, არანაკლებ ვიდრე შეერთებულ შტატებს, სჭირდება იაფი მუშახელი გარკვეული საქმიანობისათვის, მაგრამ ალბათ ყველაზე ნაკლებად შესწევს უნარი იგუოს ემიგრანტები, მისი საზოგადოების შემადგენელი ჯგუფების აბსოლუტურად არატოლერანტული ბუნების გამო. შეერთებული შტატების ატომისტური ლიბერალიზმი, პირიქით, ერთადერთი ლოგიკური საფუძველია, სადაც დიდი რაოდენობით ემიგრანტები წარმატებით შეიძლება ასიმილირდნენ".

ვფიქრობ, რომ არც ფუკუიამას ეს აზრია აქსიომა. იქნებ ამ მოსაზრების გამოც მგონია, რომ ამერიკელ ფილოსოფოსს, რომელიც ასე კარგად იცნობს საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემებსა და თეორიებს, საბირჟო მაქინაციებსა და მსოფლიო უმძლავრესი კორპორაციების ზვიგენურ მადას, პატარა ერების სახით ჩაყლაპონ პატარა ლიფსიტები ეკონომიკური ბერკეტების შემწეობით, დაიპყრონ და დაარბიონ მათი თვითმყოფადი სახე და მოთხოვნები, ობიექტურობის გარდა, რომანტიზმიც აკლია და ამიტომ ველარ შეძლებს თუნდაც მისი გენეტიკური კულტურის შეტკბობას ჩვენსავით.

მიუხედავად შრომისმოყვარეობისა, ჩვენ, ქართველები, მაინც რაღაცნაირი დარდიმანდული, მფლანგველური, მაგრამ სიყვარულითა და სიკეთით ალსავსე ჭირისა და ლხინის ურთიერთგაზიარებით შევჩერებივართ ერთმანეთს დღემდე... დასაბამიდან თითქმის არასოდეს ვიყურებოდით საათებზე, თუნდაც ეს საათები ცნობილი ფირმის — „სეიკოს" — ნაწარმი ყოფილიყო; მახსოვს, ჩვენს კაცებს უფრო „სამარიაჟოდ" რომ შეებათ მაჯაზე 60-იანი წლების თბილისში, ვიდრე საქმიანი დროის აღსანუსხავად.

ჩვენთვის დრო არასოდეს ყოფილა ფული. კარგია, ცუდია ეს, უკვე აღარ ვიცი. უფრო ზუსტად, პირადად მე მესიმპათიურება ამგვარი დამოკიდებულება. გულუბრყვილობაა ასე ფიქრი? შეიძლება ასეც იყოს.

ფუკუიამას გულუბრყვილობას კი ნამდვილად ვხედავ და პოლიტიკური პროგნოზებიც ეჭვქვეშ დგება, როდესაც ნაციონალიზმის დღევანდელი სახეობების ნაკლებ საშიშროებაზე ლაპარაკობს დიდი გლობალური მასშტაბით და მიაჩნია, რომ ნაციონალიზმების უმრავლესობა ათათურქის გზას დაადგა, საკუთარი მისია ტრადიციულის სამშობლოს ფარგლებში ეროვნული მეობის კონსოლიდაციასა და გამოკვეთაში დაინახა...

„ყველაზე საოცარი და თვალშისაცემი მაინც ის ფაქტია, რომ რუსული ნაციონალიზმიც, ჩვეულებრივ ევროპაში ყველაზე რეაქციულად მიჩნეული, სწრაფად განიცდის თურქიფიკაციის პროცესს და უარს ამბობს ყოფილ ექსპანსიონიზმზე „პატარა რუსეთის კონცეფციის" სასარგებლოდ".

ღმერთის მიერ ჩაფიქრებული და შექმნილი სამყარო იმით განსხვავდება ადამიანების მიერ შექმნილი სამყაროსაგან, რომ აბსოლუტურად დარღვეულია თანაფარდობა. ღვთის სამყაროში კენჭი კლდის ანატკეჩია, მისი სისხლი და ხორცია, მისი ნაწილია, ამიტომ ღმერთისთვის არ არსებობს მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო, ყველას და ყველაფერს თავისი ფუნქცია და მისია აქვს შესასრულებელი.




ის, თუ როგორ თქვა დიდმა რუსეთმა პატარა რუსეთის სასარგებლოდ ექსპანსიონიზმზე უარი, აგვისტოს მოვლენებმა კარგად გვიჩვენა. დიახ, ესეც მოვლენაა, თანაც საერთაშორისო მასშტაბის... თუკი შეიძლება საუბარი თერთმეტი სექტემბრის მოვლენებზე, ამერიკის ისტორიის ე.წ. ახალ წელთაღრიცხვაზე, ფუკუიამა, როგორც ფილოსოფოს-სოციოლოგ-პოლიტოლოგი ქართულ აგვისტოზეც უნდა ალაპარაკდეს დღეს. მით უფრო, რომ ეს საუბარი ე.წ. „იმპერიულ ჯორჯიაზე" უკვე დაწყებული ჰქონდა 90-იანი წლების ეროვნულ მთავრობაზე და საქართველოს პირველ პრეზიდენტზე.

მე არ ვიცი როგორი ფილოსოფოსი და მოაზროვნეა ფუკუიამა. ეს ჩემი უშუალო კომპეტენცია არ გახლავთ. უბრალოდ, როცა გამოდის გახმაურებული წიგნი ასეთი სათაურით: „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", უწიგნურიც რომ იყო, მის წასაკითხად მაინც უნდა წაგძლიოს სულმა, ჰოდა, წავიკითხე...

ზოგიერთი დარწმუნებული არც იმაშია, თავის დროზე რომ არ ჩაეჭრათ მისაღებ გამოცდებზე და ვენის ნატიფ ხელოვნებათა აკადემია რომ დაემთავრებინა ადოლფ ჰიტლერს, მსოფლიოს ბედი შეიცვლებოდაო. ამის შესახებ რომანიც არსებობს თურმე ფრანგულენოვანი მწერლის შმიტისა, რომელსაც ქართველი მკითხველი ახლახან გაეცნო ულამაზესი ვრცელი მოთხრობით: „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი". რას ვიზამთ, მწერლები ცოტათი, სულ ოდნავ მეტად მეოცნებენი არიან ჩვეულებრივ ადამიანებზე და იქნებ ამიტომაც სჯერათ ამგვარი ბედისწერების.

ახლა კი, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, მჯერა, ფუკუიამამ ინგლისურივით ქართულიც რომ იცოდეს, ყოველგვარი ნატიფ-ხელოვნებათა აკადემიების დამთავრების გარეშე ისევე აღფრთოვანდებოდა მისი გენეტიკური სამშობლოს 100 უძველესი ლექსის ირმა რატიანისეული თარგმანით, როგორც ჩვენ — ქართველები.

ჯერ თავისთავად ის ფაქტი რად ღირს, „სიენენის" წყალობით ეს ყბადაღებული „ჯორჯია" ყოველდამე რომ ციმციმებს თავისი ტახიკარდიით ეკრანებზე... შიდა თუ გარეპრობლემებში იხრჩობა ეს პატარა ქვეყანა, რომლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სილატაკისაგან სულს ლაფავს, საკუთარ სამშობლოში არაერთგზის დაბომბილი ორმაგ და სამმაგ ლტოლვილებადქცეული ხალხი ულუკმაპუროდ ყრია ცისქვეშეთში, სწორედ ცისა და ღვთისანაბარა... განვითარებადი ქვეყნის სტატუსმილებული ეს უძველესი კულტურისა და სახელმწიფოებრიობის მატარებელი ხალხი კიდევ იმის ხასიათზეა სადღაც, დედაქალაქის რომელიღაც ჩუბინაშვილის ქუჩაზე (ადრე რომ ბოლშევიკი ტერორისტის სახელს ატარებდა) ალ. ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით პირდაპირ იაპონურიდან თარგმნილი უძველესი ტანკები ისმინოს. ეს დაახლოებით ის მოვლენაა, ნიკო ყიასაშვილის ორიგინალიდან თარგმნილ „ულისეს" რომ გაეცნო საზოგადოება საბჭოურ საქართველოში. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინდელი თბილისი ასეთი კულტურული ცხოვრებისათვის აშკარად სტაბილური იყო. რაც შეეხება ქუჩას, დაუდევრად რომ ვაკადრე „სადღაც, რომელიღაც ქუჩაზე-თქო", „ოქროსუბნის" ამ პატარა მონაკვეთზე მარტო სამი სასიქადულო ქართველი მოღვაწისა და მწერლის მუზეუმია გახსნილი. „ჩვენი მწერლობის" რედაქციაც ამ ქუჩაზე სუნთქავს და ილვწის ქართული ცნობიერების გადასარჩენად. ამ საყოველთაო დამხობებისა და ნამდვილი ღირებულებების გააფთრებული გადაფასება-გადმოფასებების ჟამს, რედაქციის შენობაშივე იწყობა კომპიუტერზე რედაქტორის მონოგრაფიები და რომანები პავლე ინგოროყვაზე, არჩილ ჯორჯაძეზე, ალექსანდრე ყაზბეგზე, იაკობ გოგებაშვილზე, იასე ფალავანდიშვილზე, „ხანი უნდობარიც" აქ აიკრიფა და „ღვთაებრივ სიზარმაცესაც" აქვე ასხამენ ქებას.

სხვისთვის ეს იქნებ მართლაც ფანტასტიკის სფეროა, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის უაღრესად ორგანული, მნიშვნელოვანი და ბუნებრივი მოვლენაა.

ერთის მხრივ — ისტორიული ობლობა, თავდაცვითი ომები, სისხლისღვრები, ვინ იცის მერამდენედ გადამწვარი დედაქალაქის ფერფლიდან აღდგენა, გმინვა, ოხვრა და მწუხარება... მეორეს მხრივ, პარალელურად — სასულიერო სემინარები, აკადემიები, სამონასტრო კომპლექსები, სენაკებში შეყუჟული ბერ-მონაზვნების დაუღალავი შრომა ბერძნული, სერბული, ბულგარული, რუსული, ლათინური, სხვადასხვა ევროპული თუ აზიური კულტურული ძეგლების, წმიდა მამათა თხზულებების რუდუნებით თარგმნა, ქართული კულტურული სასიცოცხლო სივრცის გამდიდრება და მიუვალ მთებში დაყუდებული ბერების მუხლჩაუხრელი ლოცვა... ლოცვა... ლოცვა...

ასე იყო მუდამ და ღვთის შეწევნით ასეა დღესაც... მით უფრო დღეს, როცა მთელი სამყარო ინტერნეტის ხელისგულზეა გადახსნილი. შემიაკინი მახსენდება, შესანიშნავი თანამედროვე ფერმწერი, გამუდმებით რომ ხატავდა მკვდარ საქონელს, ათვალიერებდა საბაყლოებს, უთვალთვალებდა მეყასბეებს, აკვირდებოდა, როგორ ატყავებდნენ კურდღლებს, ბატკნებს, ხბოებს. აინტერესებდა, რას განიცდიდნენ მეყასბეები ამ დროს. რა სიჩქარით, როგორი მოძრაობით ჩეხავდნენ ძვალ-სახსარს, ფატრავდნენ და ქნიდნენ სხეულებს. თითქოს მხატვარი შეპყრობილი ჰყავდა სურვილს, ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოეცა არა სულიერი, ფიქრითი თუ ემოციური, არამედ წმინდა წყლის ფიზიკური შეგრძნებები, სიცოცხლის შეხება სიკვდილთან, ფერისა და ტემპერატურის კონტრასტული მონაცვლეობა. მხატვარმა გამოიწერა ამ თემაზე არსებული მსოფლიო კატალოგები, გაეცნო ყველაფერს კინოქრონიკებიდან თუ სხვადასხვა საუკუნეების მსოფლიო მხატვრობიდან. მოიარა მრავალი ქვეყანა... აღმოჩნდა, რომ უსულო სხეულთან შეხებას ფიზიკურ დონეზეც კი

სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა ესთეტიკა გააჩნია. ვფიქრობ ამ „ალმოჩენის" შესახებ ზედმეტად აჟიტირებულნი საუბრობდნენ კრიტიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები. რა თქმა უნდა, თუკი სიცოცხლესთან არსებობს ათასნაირი დამოკიდებულება, სიკვდილი ხომ სიცოცხლის ტყუპისცალია, — მისი მუდმივი თანმდევი.

„ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა". ე.ი. სიცოცხლის შემფასებელი და თუ გნებავთ, დამფასებელი სიკვდილია, განსაკუთრებით საქართველოში.

ის რიტუალიც გვახსოვს აკირა კუროსავას ფილმიდან, იაპონელთა უძველესი ტრადიაცია, ძალიან მოხუცებულ მშობელს დამჭკნარი მტევანივით რომ ჩასვამს გმირი გოდორში და მაღლა მთებში მიჰყავს, რათა იქ ხეზე ჩამოკიდებული ღვთისანაბარა დატოვოს სიკვდილთან მისაახლებლად.

შესაძლოა ზოგიერთის „ანალიტიკურმა" გონებამ ეს არქაული რიტუალი იმ ტრადიციითაც ახსნას, მამის იერარქიული ძალაუფლება ტირანულად მკაცრად რომ ვრცელდებოდა მთელ ოჯახზე და მშობელთა დაუძლურების ჟამს „დაშინებული" შვილების შურისგებას მიაწეროს. ვერაფერს იზამ. XX საუკუნემ შეურყვნელი არც დედაშვილობის ინსტინქტები დატოვა.

რაც შეეხება ნამდვილ შურისძიებას, ბრწყინვალედ აისახა ირმა რატიანის წიგნში „იაპონური დღიურები", სადაც ამ საკითხს საგანგებო თავი ეძღვნება სათაურით „სიკვდილის აჩრდილი". 1702 წლის ერთ სუსხიან ღამეში ორმოცდაექვსი მამაცი სამურაი უჩუმრად შეპარულა ფეოდალ კირა იოშინაკის სახლში და რამდენიმე წამში ჩაის ცერემონიის ოთახში დამტვრეულ ჭურჭელთან ერთად იოშინაკის მოჭრილი თავიც დაგორავდა თურმე იატაკზე. სასახლე ცეცხლში იწვოდა. სამურაებმა შური იძიეს ლეგენდარული მასწავლებლის, სანო ნაგარონის მუხანათური მკვლელობისათვის და ვალის აღსრულების შემდეგ სწორედ მის საფლავზე ჩაუტარებიათ ჯგუფური ჰარაკირის რიტუალი: ორმოცდაექვსივე სამურაიმ სიკვდილით დაუმტკიცა ერთგულება მასწავლებელს. ასე განხორციელდა თურმე თავისი მასშტაბებით არნახული ჰარაკირი.

რა არის ეს? როგორ შეიძლება ამის ახსნა? შესაძლოა ვიღაცის თვალში ეს ბარბაროსობაც იყოს, ბნელი ფანატიზმი. მაგრამ არის ნაციის შიგნით, გულისგულში რაღაც აუხსნელი, რომელსაც ასე ადვილად ვერც გაიგებ და ვერც სახელს დაარქმევ.

ჰარაკირისათვის მზადება, ძენ-ბუდიზმის პრინციპების მიხედვით, პიროვნების შინაგანი რესურსების უკიდურესი ძალების მობილიზებაა... ერთი მხრივ, რელიგია, მსოფლმხედველობა, მსოფლგანცდა, რომელიც თვითმკვლელობის ამ ფორმას უმაღლესი რანგის ვაჟკაცობად თვლის და მეორე მხრივ, ჩვენი სარწმუნოება, მართლმადიდებლობა, რომელიც ლაჩრობად, სიმფრთხალედ, სიძნელეებიდან გაქცევად, სულმოკლეობად და, ბოლოსდაბოლოს, ყველაზე მიუტევებელ ცოდვად თვლის. ეს იგივე ღვთის გაცემა და ღვთის ღალატია. მოღალატეს კი იუდას ბედი ელის...

მაგრამ მიუხედავად ამ უკიდურესი ნაპირებისა, ჩვენი ლიტერატურაც, ისევე როგორც ცხოვრება, იცნობს სუიციდის აქტებს, რომელიც, რაგინდ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ამის თქმა, თანაგრძნობით განგაწყობს და თავისი „დროულობით" გამახსოვრდება.

გურამ რჩეულიშვილის „მზია ბათარეკას ასული ჭინჭარაულია" პირადად ჩემთვის ამის ბრწყინვალე მაგალითი. დღევანდელ იერარქიამოშლილ, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტმორღვეულ ურთიერთობებში მზიას სულიერ არისტოკრატიზმს ვერაფერს გაუგებენ მისი კბილა გოგო-ბიჭები. მათ რა ხანია იციან, რომ ნაკადულები აუმღვრევლად მხოლოდ სიმღერებში კვდებიან. დიდი რამე, მამამ თუ სილა გააწნა.

არადა, ზამთარ-ზაფხულ მთებში ჩაკეტილი ეს უცნაური მეოცნებე გოგონა ინსტინქტურად, ქვეცნობიერად გრძნობს — პიროვნული ღირსების შელახვას ერთხელ მაინც თუ მოუხუჭა თვალი და ქედი მოუხარა, მორჩა, ჩამოიშლება სული ქვიშასავით, დაირღვევა და გაჩვეულებრივდება ყველაფერი. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა კიდევ...

ეს რაც შეეხება ლიტერატურას, შემოქმედებას, მაგრამ სამარადჟამოდ გვემახსოვრება ჩვენი სასტიკი რეალობაც, როცა ოთხმოცდაათიანი წლების თბილისში სიძულვილით გაჩენილ ხანძრებს ერთმა ქართველმა ვაჟკაცმა სამურაივით, გაცნობიერებულად, მიზანმიმართულად და შეგნებულად მოუნდომა ჩაქრობა. გია აბესაძემ შუაგულ მოედანზე, ყველას თვალწინ თავი დაიწვა... თავისი დიდი, კეთილი გულითა და ნეტარი გულუბრყვილობით სცადა — იქნებ ამ ხელისგულზე დადგმულმა ტრაგედიამ მაინც შეაჩეროს საყოველთაო თვითმკვლელობა და თანამემამულეები გონს მოეგონო.

ვინ დაუძახებს ამ თვითმკვლელობას ღალატს? ვინ შეაფასებს ამას ფანატიზმად, სიბნელედ, მიუტევებელ ცოდვად. ეს არ იყო ე.წ. ეგზალტაცია. ისევე, როგორც ეგზალტაცია არ იყო XX საუკუნის იაპონური ლიტერატურის კლასიკოსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ათას ცხრაას სამოცდაათი წლის ოცდახუთ ნოემბერს ტოკიოში, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე თავი რომ მოიკლა იაპონელი ახალგაზრდების კერპმა იუკიო მიშიმამ. სამურაების ტრადიციულ ოჯახში იყო აღზრდილი. ირმა რატიანი არაჩვეულებრივი სიზუსტით იტყვის ამ კაცზე, რომ დაიბადა ათას ცხრაას ოცდახუთ წელს და „კეთილსინდისიერად აღიზარდა ისტორიული ბურუსის გარემოცვაში".

შვილების კეთილსინდისიერი აღზრდა მშობლებისაგან დიდ თავდადებასა და ამაგს მოითხოვს. ხოლო როცა ამას ისინი „ისტორიული ბურუსების" ჟამს ახერხებენ, ეს უკვე გმირობად შეიძლება ჩაითვალოს. ტოკიოს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიშიმამ მოსინჯა ფინანსისტის კარიერა, მერე საზოგადოებრივ ცხოვრებას ზურგი შეაქცია, განმარტოვდა, ძენ ბუდიზმის ზედმიწევნით შესწავლას მიჰყო ხელი და ლიტერატურულ საქმიანობას მიეცა.

სამოცდაათ წელს კი ტეტრალოგიის „ნაყოფიერების ზღვის" გასრულების შემდეგ მან საჯაროდ აღასრულა ჰარაკირი, როგორც პროტესტი იაპონიის სოციალ-პოლიტიკური გარდაქმნების წინააღმდეგ და დასტური მწერლის ერთგულებისა იმპერატორის მიმართ.

მიშიმა კიმიტაკეთა მოდგმის უკანასკნელი სამურაი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა შორის, იმ საყოველთაო დაბნეულობის, ცრემლისა და შიშიანობის დროს კავაბატა იასუნარის მოულოდნელი კატეგორიულობით განუცხადებია:

„მიშიმა არასოდეს ყოფილა ჩემი მოწაფე, მისი იმპულსური ქმედება მცირედ სიმპათიასაც კი არ აღმიძრავსო".

ასეა, პოლიტიკურ ორიენტაციათა სხვადასხვაობას თვით სიკვდილიც კი ვერ ულბობს ხშირად გულს...

ორი წლის შემდეგ ტოკიოს გარეუბნის ერთ პატარა და ნახევრად ბნელ ოთახში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე კავაბატა იასუნარიმაც. საზოგადოება გააოგნა ბუმბერაზი შემოქმედის, იაპონელთა ესთეტიკის მესაიდუმლის ამ რადიკალურმა ნაბიჯმა. ვერავინ ახსნა ნობელის პრემიის ლაურეატი მწერლის საქციელი...

ირმა რატიანი ამასაც თავის ღრმა ახსნას დაუძებნის: „რა იყო ეს უკანასკნელი დიდების წამი, დემონებთან ვოიაჟი, თუ მიშიმას ლანდის ძახილი... ვინ იცის, ვინ იცის... მხოლოდ ღმერთმა"...

სიტყვა „ვოიაჟს" მთარგმნელი სქოლიოში ასე განმარტავს:

ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონიალზე კავაბატა იასუნარიმ განაცხადა:

„ადვილია ბუდას სამყაროში შეღწევა, მაგრამ ძნელია შეღწევა დემონთა სამყაროში... ყველა ხელოვანს თან სდევს საბედისწერო სურვილი დემონთა მტანჯველ სამყაროში შეჭრისა".

დემონთა სამყარო, შიშისა თუ შიშების სამყარო. შიში! თავისუფლების მარად ძველი და მარად ახალი ჯალათი, რომელსაც ჰქონია თავისი დამარცხებები, გამარჯვებები, მაგრამ რომელიც თვით ყველაზე დიდი აღზევების ჟამსაც კი ვერაფერს უხერხებდა თავის მდაბიურ წარმომავლობას. დიახ, მდაბიურს, რადგან შიში ეშმაკის დათესილია. მდაბიორებს სძულთ უშიშრები, ნიჭიერები, გენიოსები ამიტომაც მათი ნაბარტყი დემონები პირველყოვლისა ასეთ კაცებზე ნადირობენ და არც თუ ისე იშვიათად მიზანსაც აღწევენ, მათი წაყვანით...

მე უშიშრობის, უფრო ზუსტად კაცობის ჩემეული ფორმულა მაქვს — ვინც შვიდი წლისა არ არის კაცი, კაცი ვერ იქნება ჩვიდმეტისა, ვერც ოცდაშვიდისა. მით უფრო, ვერც 47-ისა იქნება კაცი. ასეა, არსებობენ კაცად დაბადებული ბიჭები და უბრალოდ ბიჭები... როგორ გამიხარდა, როცა ქენძაბურო ოეს რომანში „დაგვიანებული ახალგაზრდობა" შიშთან მებრძოლ პატარა ბიჭებს წავაწყდი, ფანტასტიკურადაა შიშის დამარცხების პროცესი დიდი მწერლის მიერ აღწერილი. ამერიკელების მიერ ოკუპირებულ ერთ იაპონურ სოფელში ვენდეტით აღსავსე პატარა ძმები გულს ასკდებიან და იმდენად სანაპიროზე უქმად მოყიალე უცხოელ ჯარისკაცებზე კი არ ბრაზობენ, რამდენადაც ლაჩრულად გასუსულ თანამემამულეებზე. ამიტომ შვების მომტანია მეხივით გავარდნილი თოფის ხმა ბნელ მდუმარებაში. დაშინებულ, დაჩოქილ სოფელში ერთი კაცი მაინც აღმოჩნდა, ქალის ღირსების დასაცავად მტერს ტყვია რომ დაახალა. ამ ტყვიის წყალობით სადღაც უგზო-უკვლოდ გაქრა დამთრგუნველი შიში და წელში გამართული პატარა ბიჭები, დაზაფრული უფროსებისაგან განსხვავებით, ამაყად გამოვიდნენ სამალავიდან.

თითქოს ამ სამალავში, ყოფიერების ამაო ფუსფუსსა და ვნებებში ჩაძირული და შეწუხებული სულები ძველ იაპონურ ლექსებში ნელ-ნელა თავისუფლდებიან, ნელ-ნელა გამოდიან, ჩნდებიან სამზეოზე. სრულიად სხვა განზომილებაში გადასულები სხვა სიმაღლისკენ მიილტვიან.

არსად აისბერგული სისტემის ცხოველმყოფელი ნიმუშები ისეთი სიცხადით არ დამინახავს ხელოვნებაში, როგორც ძველ იაპონურ პოეზიაში. სურვილი, ბაძვა და მუდმივი ნაქეზება — მოიქეცე და იყო ისეთი, როგორიც ბუნებაა — ესაა ამ ლექსებისა და მათი ავტორების ანმყო. ვულგარული, სასტიკი თუ პიკანტური თავგადასავლები გვაროვნული და კლანური შუღლისა უკვე წარსულია.

ტანკას პირველი გამოჩენა ქართულ სინამდვილეში, თუ არ ვცდები, მურმან ლებანიძის სახელს უკავშირდება. ახლაც ჩამესმის საოცარი სტრიქონები:

**გიყურებ,**
**როგორ მარტო ხარ, ცაო**
**ყორანმა მაინც გადაგიაროს.**

რომანში „ალმართ-დაღმართი" ოთარ ჩხეიძემ მის მიერ თარგმნილი ერთი ტანკა იაპონური პოეზიით აღფრთოვანებულ სტუდენტ პერსონაჟს მიაწერა:

**მსუბუქად, მჩატედ ბეჭედს მიასვამს**
**თხელ ფურცელს**
**და გასრესს კაცსა, როგორც ჭიასა.**

ეს უკვე აშკარად გვიანი პერიოდია, როცა ჩინოვნიკური ნომენკლატურა ისევეა აღზევებული იაპონიაში, როგორც დასავლეთისა თუ აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში და ერთი ხელის მოსმით შეუძლია შეცვალოს და დაამსხვრიოს კაცის ბედი. არადა, მართლაც რა მსუბუქად და მჩატედაა ჩატეული ამ სამ სტროფში ადამიანური ცხოვრების დრამა. როგორც იტყვიან, მართლაც არაფერია მზისქვეშეთში ახალი. მხოლოდ ფორმები იცვლება დროის შესატყვისად. ჩაგვრისაკენ მიდრეკილი ტენდენციები კი ქამელეონივით მხოლოდ ფერს იცვლიან.

თანამედროვე ქართული პოეზიისათვის ძალზედ ახლობელი გამოდგა იაპონური ლექსის სახეობა — ტანკა. სამყაროსთან მშვიდი მიახლების ის სისადავე, უბრალოება, რომელიც იაპონელი პოეტების წყალობით ლექსისათვის ყველაზე შთამბეჭდავი სამკაული აღმოჩნდა, ჩვენთვისაც ორგანული და ძვირფასია. ნიმუშად ვაჟა ხორნაულის ერთ ტანკას მოვიტან:

**ყვავილი გაიშალა,**
**გამოჩნდა ფუტკარი.**
**სულ მალე ცელიც...**

ბუნების ამ პაწია სურათში სიკვდილ-სიცოცხლის უცნაურად მშვიდი და ლოგიკური მონაცვლეობით კაცის მთელი ცხოვრებაა გააზრებული.

წიგნის შესავალ წერილში ირმა რატიანი წერს: „აბსოლუტური წარმმართველი ძალა სამყაროს შეცნობის, იაპონური მოდელის საფუძველია. მის წიაღში ადამიანი ეძიებს თავის თავს და ისწრაფვის შერწყმისაკენ. ერთხელ, წვიმიან დილით, ძენის დიდოსტატს კიოშას ასეთი რამ უთქვამს მოწაფისათვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გზააბნეულნი არიან ადამიანები. ისინი ხშირად გაუაზრებლად მიჰყვებიან ბუნების მოვლენებს და არ იციან, როგორ ეძიონ თავი მის წიაღში".

ამ სიტყვებმა რეზო ინანიშვილის „ბუნებისაგან სულგაუმიჯნავ" შემოქმედებასთან ერთად გენიალური პოეტი ქალი, ესმა ონიანი გამახსენა, რომლის მძლავრ ინტელექტს ხელი არ შეუშლია მისი თვითნაბადი ტალანტისათვის, ბოლომდე დარჩენილიყო უშუალო და უბიწო, მინდიას გრძნეულებით ესმინა და დაენახა როგორც რეალური, ისე მილმიური სამყაროები. ერთმანეთს დაფენილი მისი პოეტური ხილვები თავისთავად დნება და ითქვიფება როგორც მენამული ვარდის სურნელოვან ფურცლებში, ისე ლილეოს, ამომავალი მზის სხივთა გალობაში.

ხშირად მიფიქრია, რომ სწორედ მსოფლმხედველობის, აბსოლუტისადმი რწმენისა და ნდობის, მასთან შერწყმის სურვილისა და უნარის გამო, ამ ჭვრეტა მედიტაციის, მუდმივი ლვაწლის, ტრადიციებისადმი საოცარი ერთგულებისა და გაფრთხილების (მარტო „ნოს" და „კაბუკის" თეატრი რად ღირს, რომლის ნახვის ბედნიერებაც ჩვენ გვქონდა თავის დროზე, ოთხმოციანი წლების თბილისში) ყოველივე ამისა და კიდევ უამრავი სხვა რამის გამო უფალი აჯილდოებს ამ ხალხს, ამ ერს და მათ რაციონალურ გონებას XX-XXI საუკუნეების ტექნიკური აღმოჩენებისა და საოცრებების ავანგარდში აყენებს.

რამდენადაც მშვიდი, ჰარმონიული და გამჭვირვალეა ეს ლექსები, იმდენად ირმა რატიანისმიერვე შედგენილ კომენტარებში ანუ აისბერგის ქვედა ნაწილში, დუღს და ბობოქრობს ავტორთა ამბიციები, ვნებები, ამბები, შული, მტრობა, სისხლისღვრა და ხანძრები. ტანკებში კი ისევეა ყოველივე დაწმენდილი და გაფილტრული, როგორც მაჭარი ღვინოდ ქცევის ჟამს, ძვირფასია შვების მომტანი ეს ღვთაებრივი სითხე.

იქნებ ამიტომაცაა, რომ სწორედ ბუნების რიტმიდან ამოვარდნილ და ამის გამო დასჯილ, განამებულ თანამედროვე მკითხველის გულს ასე ეფონება ამ სამყაროდან წამოსული ღვთიური სიმშვიდე.

ირმა რატიანის მთარგმნელობითი ოსტატობა არა მხოლოდ ევფონიური ჟღერადობის, მთიდან წამოსული ექოების, კოშკებისა თუ მონასტრების აკუსტიკურ გახმოვანებაში, მრავალმნიშვნელოვანი სემანტიკის მქონე ერთი იაპონური სიტყვისათვის უჩვეულო სიზუსტითა და ელეგანტურობით შესატყვისი ქართული სიტყვის დაძებნა-შერჩევაშია, არამედ შუქ-ჩრდილების მონაცვლეობასა და საერთოდ განათებაში, რომელსაც ნამდვილი ფერმწერივით გრძნობს მთარგმნელი.

ამის ბრწყინვალე ნიმუშებია:

30-ე და 31-ე ტანკები.

**ტანამიდე ნიბუ**

* * *

მძულს დილის მთვარე,
შერჩენილი ცის კაბადონზე,
შორი და მტრული,
გამორიყული ალიონზე,
ვით ჩემი სული...

**კორენორი საკანოუე**

* * *

მეგონა მთვარემ, ვერცხლისფერმა
სხივთა ფანტომში
ააელვარა ღამეული, პირქუში მთები...
მიმტყუნა თვალმა:
თოვლს უქათქათესს დაეფარა იოშინოს ქედი...

მდინარეები, მთები, ხევები, მინდვრები, ტბები, მლვიმეები, მთელი ეს ირგვლივეთი მუდმივად იქცევს ყურადღებას და ფიქსირდება არა მხოლოდ როგორც უბრალოდ ლამაზი პეიზაჟი, დეკორი, სამშვენისი ან თუნდაც დიდებული ფონი, არამედ როგორც კონკრეტული, გეოგრაფიულად სახელდებული სივრცითი და დროითი საჩუქარი, რომელიც მარადისობის ამ მონაკვეთში, სწორედ აქ, ამ დროს, ამ წლებში წილად გარგუნა ბედმა.

მედიტაციები, რომლითაც ასე ცნობილია აღმოსავლეთი, ქმნის ცდუნებასა და ილუზიას, რომ აქაც, ამ ტანკებშიც გზისკენ მაცქერალი თუ მდინარის პირას გასული ქალბატონები და ბატონები ნირვანაში იმყოფებიან. სინამდვილეში ეს არის სამყაროთი გაოცების განუწყვეტელი უნარი, უპაუზო, შეუჩერებელი, მარადმდენი.

მახსოვს ერთხელ როგორ დავყურებდი მთელი დღის განმავლობაში ჩემს შვილიშვილს. გაოცებულმა მეუღლეს ვუთხარი — რა უცნაურია, საათობით დავჩერებივარ საყვარელ არსებას და არ მწყინდება. მე არა მარტო ვზრუნავ მასზე, არამედ არ მბეზრდება მისი თვალიერება, ასე მგონია, რაღაცას ვაშავებ... გაიღიმა და მიპასუხა: ჩემო კარგო, საათობით შეგიძლია უყურო გენიალურ სურათს, კაცის ხელმა რომ დახატა, შენ კი პირდაპირ ღვთის შემოქმედება გიზის კალთაში.

ძველი იაპონელები ამ ჩვილივით ათვალიერებენ, თვალს ადევნებენ ბუნების ციკლურ ცვალებადობას.

სიჩუმის მოსმენა, ალბათ, არცერთ კონტინენტზე ისე არ იციან, როგორც იაპონიაში.

ეჭვიანობა, სიყვარული, ღალატი, ოცნება, სურვილები, ღიმილი, ხსოვნა... ეს ადამიანური განცდები და სტიქიები ისეთივე საინტერესო და მშვენიერია ლექსებში, როგორც საკურას (ალუბლის) ყვავილები, მთები, ბორცვები და ხევებში წყლის ჩქაფუნი. ყოველივე მოძრაობს, მიედინება, სხვადასხვა შეფერილობასა და მხურვალებას ასხივებს ყოველწამიერად:

**საიდუმლო მრჩეველი ჰიტოში**

* * *

იდუმალი ქალის სიყვარულით აალებული
ლაწვების მალვა
უფრო ძნელია,
ვიდრე მივარდნილ ჭაობის პირას
ამოზრდილი ლელიანისა...

### იმპერატორის მრჩეველი აცუტადა

* * *

**რა ცარიელი მეჩვენება განვლილი წლები,**
**სევდიანი და მარტოსული...**
**ვიდრე არ შეგხვდი,**
**ვიდრემდის სახე არ მოვაყრდნე შენს ფერმკრთალ სახეს...**
**სჯობს სამუდამოდ დავივიწყო ფუჭი წარსული...**

ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ იაპონელებს თანდაყოლილი აქვთ წარმავლობის განცდა.

ხსოვნა თოვს ამ ტანკებში...

მისტიკურობა, იდუმალება, ყვავილის ფურცლებივით ჩახვეული ურთიერთობები, მიხვედრილობა, ნახევარი ტონით ერთმანეთის გაგების უნარი, არაჩვეულებრივად გამოჩნდა 62-ე ტანკაში. ეს ლექსი მალავს კომენტარში გამჟღავნებულ საიდუმლოს.

ამიტომ ლექს-კომენტარის, როგორც განუყოფლობის ბრწყინვალე ნიმუშს მთლიანად მოვიტან:

### ქალბატონი სეე

* * *

**დრო მიმქანცველად მიზოზინობს ჩარაზულ კართან...**
**შემოგაღამდა...**
**მარჯვედ კი ბაძავ მამლის ყივილს,**
**მაგრამ... არა და**
**არ გაიხსნება ურდულები განთიადამდე...**

ახლა ვნახოთ, რა წერია ამ ლექსის კომენტარში:

„... სეე შონაგანი ერთ-ერთი გენიალური იაპონელი მწერალია. ეს ლექსი პოეტური კომენტარია ჩინური ამბისა პრინც ტან ჩუზე, რომელიც ერთხელ თავის მომხრეებთან ერთად გამოამწყვდიეს ქალაქ კანკოკანში. ქალაქის კარიბჭე იკეტებოდა მზის ჩასვლიდან მამლის ყივილამდე, მაგრამ ღამით პრინცის ერთ-ერთმა მხლებელმა ისე წარმატებით მიბაძა მამლის ყივილს, რომ მცველებს უკვე განთიადი ეგონათ, გახსნეს კარი და დევნილებმა მოახერხეს გაქცევა.

ცნობილია ასეთი ამბავი: ერთხელ იმპერატორს შეუნიშნავს, რომ ქალბატონი სეე აღტაცებით გაჰყურებდა პირველ თოვლს და ჰკითხა: „როგორია თოვლი კოროჰოში"? ქალი მიხვდა, რომ იმპერატორის შეკითხვა იყო ქარაგმა ცნობილი ლექსისა — „თოვლი კოროჰოში მაშინ მოჩანს, თუ ფარდას ასწევ", და მანაც სასწრაფოდ ასწია ფარდა. იმპერატორს დიდად ესიამოვნა ქალის მიხვედრილობა".

თავისი მენტალობით, თავისი კულტურითა და ერთგულებით თვით დღევანდელ იაპონელ ქალს ჩვენ აღვიქვამთ, როგორც მამაკაცის მორჩილს, ნაზ, ალერსის უშრეტ წყაროს, სიმშვიდის, სითბოსა და სიმყუდროვის გარანტს... მით უფრო VIII-IX-X საუკუნეების ქალბატონებს. არადა, მათი სტოიკური, ხშირ შემთხვევაში, ჭირვეული და პიროვნული თვისებები და ხასიათები არა ერთი და ორი მამაკაცის გულისა და სულის ამაფორიაქებელია ამ ტანკებში.

მშვენიერია ტროპულად დაშიფრული ის ქარაგმები, რომლის შესახებაც პირდაპირ ამბობს ქართველი პოეტი: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე". ვნახოთ, როგორ იკითხება სამყაროს მამოძრავებელი ეს აქსიომა დიდებულად თარგმნილ ერთ დიდებულ ტანკაში:

### გადამდგარი იმპერატორი სუტოკუ

* * *

**ლოდი შუაზედ ჰყოფს მდინარის წყალს,**
**მაგრამ ორივე შენაკადი**
**ქუხილით მიჰქრის ჩანჩქერისაკენ,**
**ვიცი ნამდვილად,**
**ისინი კვლავაც შეერთდებიან.**

ვინ არიან ეს პერსონები?

ამ უცნაური სიმშვიდის მატარებელ სტრიქონთა ავტორები და პერსონაჟები? ძირითადად არისტოკრატია. პრინცები, იმპერატორები, მინისტრები, ფუჯევარათა თუ სხვა დიდგვაროვან წარმატებულთა ოჯახებიდან და კლანებიდან გამოსული ადამიანები, ქალბატონები და ბატონები, რომლებმაც ნახეს და იგემეს მიწიურ სიამეთა მრავალი ნაყოფი და ხიბლი, მივიდნენ ამა ქვეყნის ამოებათა შეგრძნებამდე და შეეცადნენ სრულად მისცემოდნენ სულის სიმშვიდეს. ისინი მიხვდნენ, რომ რაც უფრო ვიწროა ჰორიზონტი, მით მეტია მღელვარება, რაც უფრო ფართოა ჰორიზონტი, მით ნაკლებია მღელვარება. ისინი გავიდნენ ამ ფართო ჰორიზონტზე. ისინი იმასაც მიხვდნენ, რომ რაც უფრო ვიწროა ჰორიზონტი, მით უფრო მეტია წარმოდგენა საკუთარ თავზე, რაც უფრო ფართეა ჰორიზონტი, მით უფრო ნაკლებია წარმოდგენა საკუთარ თავზე. და ახლა უკვე პაწია რუის პირსაც ისეთივე მოწიწებით სხედან, როგორც ოკეანის პირას მისულები და ღვთიურ ჰორიზონტებს გაჰყურებენ, ამიტომ მთელი მათი გამოცდილებითა და კაცთმოყვარეობით სრული უფლება აქვთ, გაგვიზიარონ სიბრძნის საკუთარი მონაპოვრები, თუნდაც ასეთი:

„თუკი ჭაობის ქედმაღალი გომბეშო ოკეანის ნაპირას აღმოჩნდებოდა, იგი განიკურნებოდა ქედმაღლობისაგან".

ტრფიალება საკუთარი გონებისადმი — აი, ის საბედისწერო ვნება, რომელიც აჩანაგებს ევროპელ ადამიანებს.

წმ. იუსტინე (პოპოვიჩი), როდესაც ევროპელთა მენტალობაზე ლაპარაკობდა, მიუთითებდა იმ დროსა და სტადიებზე, თუ როგორ ყალიბდებოდა ევროპელი ადამიანების ტიპი, სანამ მაცხოვარი არ შეცვალა თავისი ფილოსოფიითა და მეცნიერებით, თავისი პოლიტიკითა და ტექნიკით, თავისი „რელიგიითა" და ეთიკით... მან მოსწრებულად შენიშნა, რომ ევროპამ ქრისტე გამოიყენა „მხოლოდ როგორც ხიდი უკულტურო ბარბაროსობიდან — კულტურული ბარბაროსობისაკენ, ანუ უხეში ბარბაროსობიდან — დახვეწილი, ნატიფი ბარბაროსობისაკენ".

ჩვენი წერილის აგება ორი კულტურის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეპირისპირება, დაპირისპირები-

თაც შეიძლებოდა. იქნებ ეს უფრო თვალშისაცემი და მომგებიანი სქემა ყოფილიყო, მით უფრო, რომ ამ სამყაროთა ანალიზი დღეს უკვე დიდძალ საინტერესო ლიტერატურას შეიცავს და მრავალი ღრმა დაკვირვება და აზრია გამოთქმული. რატომღაც სხვა გზა ავირჩიე, — თითოოროლა გამონაკლისის გარდა უფრო საკუთარ დაკვირვებებისა და შეგრძნებების მოტანა ვარჩიე თქვენამდე. იქნებ იმიტომ, რომ ზედმეტად ხელოვნური მეჩვენება ეს გაყოფა და ეს დაპირისპირება...

იაპონური ლიტერატურის ერთი შესანიშნავი რუსი ექსპერტი მიუთითებდა:

„იაპონურ სიმღერას გამახვილებული სმენა და მკვეთრი მხედველობა აქვს. პოეტს ესმის მეუღლის კაბის შრიალი, რომელიც უნდა დატოვოს შორეული მგზავრობის გამო, ხედავს ღრუბელთა ქვემოთ მფრინავი ბატების ფრთებიდან როგორ მოცურავს ეთერში პაწია ღინღლი... მისთვის დამახასიათებელია დაძაბული მგრძნობელობა, რომელიც მყისიერ გადაწყვეტას მოითხოვს“...

უნდა გითხრათ, რომ ყოველივე ეს ვიგრძენი და დავინახე ირმა რატიანის თარგმანებში.

რაღაც უჩვეულო სევდა თოვს ამ უძველეს იაპონურ ლექსებში.

მე ამ სევდაში ჩავთბუნდი, რაღაცნაირად შევიტკბე ეს უცნაური თოვლი.

სევდაც ათასნაირია და სევდის მიზეზიც. არის სევდა, მწუხარება, რომელიც ღრღნის ადამიანთა გულებს ამა ქვეყნის ამაო მხიარულებათა, ხანმოკლე დღესასწაულთა შორის, — ეს არის ანგარიშმიუცემელი სევდა (უთუოდ გაგახსენდებათ პოლ ვერლენის სტრიქონები:

**და მით უფრო არის მძაფრი**
**უმიზეზო ნაღველი,**
**არსაიდან რომ არაფრით**
**არის ნაკარნახევი.**

*(თარგმანი გივი გეგეჭკორისა).*

ალბათ, ეს არის სევდა ადამიანის სულისა, რომლის შესახებაც II საუკუნის ქრისტიან მწერალსა და ღვთისმეტყველს, ტერტულიანეს ღრმა სიტყვები უთქვამს:

„სული თავისი ბუნებით ქრისტიანია“.

ეს სევდაც სწორედ ქრისტიანული სულის მწუხარებაა, დარდია დაკარგული სამოთხისა, და დაკარგული თავდაპირველი ღირსების გამო.

უცნაური რამ უნდა ვთქვა: ძენ-ბუდიზმში ჩაღრმავებული ადამიანების მისამართით, ამ გადამდგარი მინისტრების, იმპერატორების, დედოფლებისა და პრინცების მისამართით, მეჩვენება, რომ ეს ლექსები შექმნეს იაპონელებმა, რომელთა სულიც თავისი ბუნებით ქრისტიანია. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ილუზია ირმა რატიანის ბუნების დამსახურებაა. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ ორმხრივი, ბედნიერი თანხვედრა მოხდა ამ შემთხვევაში.

ჩვენ ყველანი, ადამიანები, ინდივიდები ვართ, ჩვენი შეგრძნებებით, ტემპერამენტით, მსოფლმხედველობით, ჩვენი აზრებითა და დამოკიდებულებებით როგორც სამყაროს, ისე საკუთარი პერსონის მიმართაც.

წმინდა ნიკოლო სერბი გვესაუბრება:

„ჰკითხე ხორციელ ადამიანს „ვინ ხარ შენ“?

ის გიპასუხებს: „მე ვარ მე“ და მხედველობაში ექნება საკუთარი სხეული.

ჰკითხე მოაზროვნე ადამიანს: „ვინ ხარ შენ“?

ის გიპასუხებს:

„ჩემში ორი ანტიპოდია და მე ერთი მათგანიდან მეორესთან დავრბივარ,“ — ამას ამბობს თავისი ინსტინქტური და შეგნებული ბუნების შესახებ.

ჰკითხე სულიერ ადამიანს: „ვინ ხარ შენ“?

ის გიპასუხებს:

„არის ვიღაც ჩემს სულში, მე ხელს ვიწვდი, რათა შევეხო მას, მაგრამ მესმის, რომ ამისათვის ჩემი ხელები ზეცაზე ფართო უნდა იყოს.

მაშ, ჰკითხე იმ ზეციერს, ვინ ვარ მე?“

ირმა რატიანი ჩემთვის აღმოჩენა იყო, ისევე როგორც უძველესი იაპონური პოეზია.

ისეთი შეგრძნება რჩება, რომ იგი ძალიან ხშირად ეკითხება სწორედ იმ ზეციერს:

„ვინ ვარ მე“?

და სწორედ ამის მერე გამოაქვს სამსჯავროზე საკუთარი გონების, სულისა და გულის ნაღვაწი.

ამ ნაღვაწს, „ასი უძველესი იაპონური ლექსის თარგმნას“ ირმა რატიანმა 12 წელი შეალია, თუ გავითვალისწინებთ ბედის იმ საჩუქარსაც, რომ თავისი ოჯახით მან იაპონიაში ექვსი წელი იცხოვრა და იმოღვაწა, შედეგი ალბათ აღარც გაგვიკვირდება. დიდებული თარგმანებით სავსე ქართული ლიტერატურული სივრცე ამჯერად იაპონური პოეზიით კიდევ უფრო გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა.

ქართველოლოგმა, იაპონური ლიტერატურის ავტორიტეტმა, იასუჰირო კოჯიმამ ასე შეაფასა მთარგმნელის ღვაწლი:

„ეს წიგნი შესანიშნავი მოსაწვევია ძველი დროის იაპონიაში, ვინაიდან მასში ჩინებულადაა გადმოცემული იაპონური სამყარო. მთარგმნელმა ახალი სიცოცხლე შესძინა უძველეს იაპონურ პოეზიას“.

მაშ ასე, როგორც თეატრში, დაეშვა ფარდა, გასრულდა წიგნი.

თითქოს აღარც გვიკვირს, რომ ქართველი მკითხველის შეხვედრა ძველ იაპონიასთან ასე ბუნებრივად და ორგანულად მოხდა.

მაგრამ ამ შეხვედრამ, პირადად ჩემთვის, წიგნში შესული იაპონური გრაფიკული მინიატურებივით, ერთი რამ კიდევ უფრო მეტად გაამკვეთრა, შავით თეთრზე გაცხადდა, როგორც კონკრეტული ადამიანების, ჯგუფების, საზოგადოებების, ისე მთლიანობაში ერის, ქვეყნის ცხოვრება. ისიც, რომ დროჟამის უწყვეტ დინებაში, როგორც თითოეულ ჩვენთაგანს, ისე ქვეყანას, მის ყოფიერებასა და ცნობიერებას, თან სდევს დემონთა ლეგიონები და მფარველი ანგელოზები. ესენი კი არ სცნობენ არანაირ საზღვრებს, არანაირ კედლებსა და შლაგბაუმებს. არად დაგიდევენ თვალის ჭრილსა და კანის ფერს. ესენი უჩინარზე ნადირობენ. ყველგან, მთელს სამყაროში ჩვენი სულების დასაღუპად და გადასარჩენად იბრძვიან. მათ შორის, როგორც შორეულ იაპონიაში, ისე ჩვენს საქართველოში...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორსახოვანი იასე ფალავანდიშვილი

*

## შეხვედრა სოხუმის უნივერსიტეტში

**სოხუმის უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა მწერალსა და მეცნიერთან როსტომ ჩხეიძესთან. ამჯერად მისი ახალი ბიოგრაფიული რომანის „იასე იანუსის“ წარდგენაა ჩაფიქრებული.**

**1832 წლის შეთქმულება, გაცემა, ღალატი — საქართველოს ისტორიის თანამდევი... დამარცხებათა, ვერმიღწევათა უმთავრესი მიზეზი. ჩვენს წინაპრებს „ისტორიის საძირკველში ბევრი მაგარი და ბევრც უვარგისი ქვა“ ჩაუდევთ (ილია). შვილმა უნდა იცოდეს, რა იგულვოს წარსულში მისაბაძად და რა — უარსაყოფად. ამიტომაც უნდა ინერებოდეს წიგნები ისტორიის უკეთურ პერსონაჟებზეც. აკი ყველანი „მოვალენი ვართ სიმართლისა“.**

**ჩვენში პირველად არ ხდება, რომ ბიოგრაფიული რომანი ინერება არა გმირზე, რაინდზე, ქვეყნისთვის თავდადებულ ვაჟკაცზე, მოღვაწეზე არამედ თაღლითზე, მოღალატეზე, ხალხისა და ერის გამყიდველზე. ბიოგრაფიული რომანების თემა უკვე გამხდარა სერგო ორჯონიკიძისა და სოლომონ აშორდიას ცხოვრება, — იტყვის ბატონი როსტომი შეხვედრაზე.**

**„იასე იანუსი“ ამ ყაიდის თხზულებათაგან პირველი არ არის, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო და უჩვეულო კია. ამას სოხუმის უნივერსიტეტის 503-ე აუდიტორიაში შეკრებილი სტუდენტებისა და ლექტორების ცნობისმოყვარე, მომლოდინე მზერაც ადასტურებს.**

შეხვედრა გახსნა ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **შოთა კვირტიამ**. ბატონი როსტომი პირველად არ სწვევია სოხუმის უნივერსიტეტს. უკვე მოსმენილი გვაქვს მისი საუბრები ალექსანდრე ყაზბეგისა (წარდგინება წიგნისა „ყაზბეგიანა") და ილია ჭავჭავაძის (წარდგინება წიგნისა „ეკლიანი და პატარა გზა") ტრაგიკული ხვედრის შესახებ. სწორედ ამიტომ ვერ ველევით მწერალს, ვსარგებლობთ მისი თანადგომით და კიდევ ერთხელ ვთხოვთ, გვესაუბროს — ამჯერად 1832 წლის შეთქმულებასა და მის გამცემზე — იასე იუდაზე.

შეხვედრას უძღვებოდა პროფესორი **ნინო ვახანია**, რომელმაც მოკლედ წარუდგინა სტუმარი საზოგადოებას. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ აქ შეკრებილთათვის მარტო გამორჩეულად საყვარელი გამოცემა კი არ არის, არამედ ის საუნჯეა, ურომლისოდაც ყოფნა ძლიერ გაჭირდებოდა ამ წუთისოფელში. „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში გამართულ შეხვედრებს რაკი სულიერ ოაზისსა და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას ვუწოდებთ, უპრიანია დღევანდელი დღე ერთი ყლუპი ჰაერის ჩაყლაპვად აღვიქვათ, ოღონდ ისეთი ყლუპის, დიდხანს რომ მოგვცემს სუნთქვის, არსებობის, ცხოვრების გზის სწორად წარმართვის საშუალებას.

საუბრობს მწერალი დინჯად და ემოციურად. მსმენელის თვალწინ ცოცხლდება მეცხრამეტე საუკუნის საქართველო. ის გარემო, წრე, საზოგადოება, სადაც მომავალ აჯანყებაზე, თავისუფლების მოპოვებაზე, სახელმწიფოს აღდგენაზე ფიქრობენ, ოცნებობენ, გეგმებს აწყობენ... ვინ იცის, როგორ შეცვლიდა 1832 წ. 20 დეკემბერი ქვეყნის განვითარების გზას, რომ არა... იასე ფალავანდიშვილი.

წიგნი ავტორმა თამაზ ჯოლოგუას უძღვნა, მკვლევარს, ვისაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი 32 წლის შეთქმულების სწორად, მართლად წარმოსახვაში, ვინც აღმოგვიჩინა და თარგმნა რუსი მწერლის, სერგეი მაქსიმოვის მოგონებები იასე ფალავანდიშვილზე.

თუ მანამდე იასე ქართველისთვის მხოლოდ გამცემი და მოღალატე იყო, მასზე არც კი საუბრობდნენ, როგორც უპატიებელი ცოდვის ჩამდენსა და დამნაშავეზე, როსტომ ჩხეიძემ ახლა იასეს მეორე სახე დაგვანახა. და იხატება ჩვენ წინაშე რუსეთში, პეჩორაში სათნო, კეთილი, განათლებული, ჭკუის საკითხავი, ყველგან და ყველაფრის წარმმართველი და ჭეშმარიტი გზის გამკვალავი, წმინდანი იასე, თავადი, როგორც იქაურები ეძახდნენ. და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, საქართველოზე, თავის ქვეყანაზე თითქოსდა უზომოდ შეყვარებული კაცი, ქართული ჩოხით (მეტყევის უნიფორმის ნაცვლად), ბალახებსა და ყვავილებში თავჩარგული (ეს სურნელება საქართველოს მაგონებსო), მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრებაზე უარის მთქმელი იმ მიზეზით, თუ საქართველოში არ ვიქნები, დედაქალაქი და მივარდნილი მხარე თანასწორია ჩემთვის და სულ ერთია, სად ვიცხოვრებო. თითქოს მართლაც ვხედავთ, ხელით ვეხებით წიგნის ყდაზე გამოსახულ ორსახოვან კაცს — აქ გამცემი, იქ წმინდანი.

როსტომ ჩხეიძემ გარკვეული კუთხით ალბერტ შვაიცერსაც შეადარა იასე. შვაიცერს, რომელიც ეძებდა გარემოს, სადაც მას მიიჩნევდნენ და აღიარებდნენ წმინდანად, ყოვლისშემძლედ. მთელი სიცოცხლე აფრიკაში, კეთროვან ზანგებთან, მათ მოვლა-სამსახურში გაატარა, ოღონდ ისე, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თანასწორად არასოდეს მიუჩნევია, დაბალი განვითარების ხალხად მოიხსენიებდა მათ და სრულფასოვან ადამიანად არ აღიარებდა. იმათთვის კი ალბერტ შვაიცერი ღვთაებასთან იყო გატოლებული და ამიტომაც ვერ შეელია მეცნიერი იქაურობას.

იასეზე „გაბრაზებული“ დარბაზი, ალბათ, რა ხერხს არ იგონებს მის დასასჯელად, წარმოსახვით რა სურათები არ იხატება შურისმაძიებელთა თვალწინ, მაგრამ ჩვენს წყრომას ისევ „შურისგების“ ავტორი აშოშმინებს. ბატონი როსტომი მაჰმუდ თეიმურის მოთხრობის გახსენებით აცხრობს მსმენელთა ცეცხლმოკიდებულ გულებს. ელიზბარ ერისთავიც ვერ გაუყრიდა ხანჯალს, ვერ გაიმეტებდა მოსაკლავად, სოლომონ დოდაშვილიც მოუწონებდა ელიზბარს ასეთ საქციელს. იმ ხალხს, ვისაც იასესი სწამს და სჯერა, იმათ რაღას ვერჩით, იმათ ნუ მოვუსპობთ წმინდანსო... ჰუმანისტი მწერლის მიმტევებლობა ჩვენც გვიხსნის ცოდვისგან, გრძნობ, ბოროტების გულიდან განდევნით როგორ იწმინდები ზნეობრივად.

დიდი წინაპრის მსგავსად ჩვენც „მას დავნატრით, ვინცა სწორედ სვლად საწუთროს გზას გაჰკვალავს“.

მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი **თამარ ყალიჩავა:**

„ალექსანდრე ორბელიანის, ელიზბარ ერისთავისა და სოლომონ დოდაშვილის წმინდა სახელებს ორსახოვანი იუდას სულჩასახლებული მედროვე ნაკაცარი შესჯიბრებია და კიდევ ერთხელ „გაიმეორა ისტორიამ თავი“... თუმცა სათავეშივე დამარცხებულია ბოროტება და ღვთის განგებით XXI-ე საუკუნეში განისაჯა სამაგალითოდ წმინდანის მანტი-

ას ამოფარებული იუდა... საბედნიეროდ, არსებობს დღევანდელი რეალობის გადმოსახედი, რომელიც სულაც არა ჰგავს პეჩორაში ბედის ირონიით შეკონინებულს, ცრუს, ორსახოვანს... სიმართლეს არ უყვარს ნიღბების კარნავალი — პირუთვნელია მართალი მწერლის განაჩენი...

იცის ისტორიამ თავისი თავის გამეორებაო, იტყვის ბატონი როსტომი სევდიანად და როცა იასეს მიერ პეჩორაში „ახალი ადამიანის, ახალი ცისა და მიწის შექმნის" სცენას გვიხატავს, ამ წმინდანს გატოლებული, მაზიარებელი იუდას დანახვისას არ შეიძლება შენი გულისტკივილი მხოლოდ წარსულის შეცოდებებს მიაწერო. იგრძნობ, რომ არც შენი ეპოქაა ამ ფარისევლობის ნიღაბს მოკლებული...

მწერალს არ ავიწყდება, რომ „წუთისოფლისა და საზოგადოების წეს-კანონები თავისას მოითხოვს". და რომ „შენი ყოფა და ბედისწერა ამ მოთხოვნამ უნდა განსაზღვროს"... წმინდა მართლმადიდებლური მრწამსის მქონე, უზომოდ მიმტევებელია თვითონ — სწორედ ამის გამო თუ შეეძლო ყურადღება შეეჩერებინა ამ ღრმა და უაღრესად ტრაგიკულ ღალატზე, ჩვენი ისტორიიდან რომ ამოზიდულა, რომელმაც ლამის ხერხემალი გადაუმსხვრია საქართველოს და თავისი სიმძიმით მხოლოდ მაცხოვრის გამცემი იუდას ამბორსაც გაუთანაბრდა...

იასეს მაგალითით მწერალმა ნათლად დაგვანახა ღმერთსმოკლებული სინამდვილის დაღი ადამიანის სახეზე, დაღი — რომელმაც ორსახოვან, ვინაობადაკარგულ იუდად აქცია იგი — უდავოა, რომ ეს ტრაგედია არ შეიძლება მხოლოდ XIX-ე საუკუნისთვის იყოს დამღუპველი. ხედავს ბატონი როსტომი, რომ ხერხემალი დღესაც ვერ გამრთელებია საქართველოს და „უცდის გმირი, გამთელდება ნეტავ თუ ოდეს" წმინდანის ხატს ამოფარებულ იუდათა მიერ მიყენებული ჭრილობანი.

ვიცით, რომ ამ რომანში გამხელილი სიმართლე ემსახურება „ლამაზი არსის გადარჩენას ჩვენი კაცობისა", რადგან ჩვენს დროში, ძალიან ცოტა თუ იღებს ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვალდებულებას ამხილოს მოჭარბებული მანკიერებანი და მიუთითოს სწორი გზისაკენ ქართველობას"...

პროფესორი **ნანა კუცია:**

„ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?!" — რიტორიკულ კითხვას დასვამს დავით გურამიშვილი. ეს ქართველ მემატიანეთა ზოგადი პოზიციაა, უცვლელი და აბსოლუტურად სწორი.

ჯერ კიდევ ცურტაველთან წარმოჩნდება ნათლის და ბნელის მარადი ჭიდილის ანასხლეტი — სადაც შუშანიკის პიროვნული მადლია, იქვე — ვარსქენის სიბილწე. ერთი „ღმრთის ტარიგია", მეორე — „ღმრთისა მტერი".

არსებობს ნერსე, მამულიშვილი, და არსებობენ „ბოროტნი შემასმენელნი". არსებობს გრიგოლ ხანძთელი, უდაბნოთა ქალაქმყოფელი, და არსებობს ცქირიც — ხანძთის დარბევაზე ბოროტად მეოცნებე...

ეს ისტორიის ნათელ-ბნელია, ისტორიის ტრაგიკული ოქსიმორონი.

როსტომ ჩხეიძე, „ფერმკრთალი შეთქმულების" არსის წარმოსაჩენად, ალექსანდრე ორბელიანის ნათელ სულთან ერთად, იასე იანუსის „მწიკვლევან" სულსაც გამოიხმობს, რათა ისტორიული ოქსიმორონი, ნათლისა და ბნელის მარადისი ბრძოლა უფრო საცნაური გახდეს... ამ ბრძოლის „შედეგიც" — იასე ჟამიერი, „საწყალობელი და უბადრუკი" პერსონაჟია საქართველოს ტრაგიკული ისტორიისა, სხვის ქვეყანაში „წმინდანად" შერაცხული, საკუთარში „წყევად რომ მისცა თვის სახელი შთამომავლობას".

უცნაურია, რომ ჩრდილოური იმპერიის „პეჩორიზაცია" დღესაც გრძელდება — ახლა სტალინს უპირებენ გაწმინდანებას. ღმერთმა სიკეთეში მოახმაროთ იასეც და სტალინიც!

„იასე იანუსი" ის წიგნია, მემატიანის პირუთვნელობით რომ ჰყვება კაცის გადაგვარების ტრაგიკულ ისტორიას, „ბოროტების მოკრძალებულ ხიბლსაც" წარმოაჩენს და „ტაშტუშების" შემზარავ, მაინც ჟამიერ აღზევებასაც".

პროფესორი, სოხუმის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და დოქტორანტურის სამსახური უფროსი **ზურაბ პაპასქირი:**

„ჩვენ მოვისმინეთ უაღრესად საინტერესო ლექცია-მოხსენება, რომელმაც ნამდვილად მოჰფინა ნათელი 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებულ არაერთ ბურუსითმოსილ საკითხს. მართალია, 1832 წლის შეთქმულების ყოველმხრივ სრულფასოვან ანალიზს სერიოზულად აფერხებდა კომუნისტურ-ტოტალიტარული იდეოლოგიური კონიუნქტურა, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში სერიოზულ ჩამორჩენასთან გვქონდეს საქმე.

ყველაზე მთავარი, რამაც ჩემზე მოახდინა შთაბეჭდილება იყო იასე ფალავანდიშვილის პიროვნების როსტომ ჩხეიძისეული შეფასება და მის მიერ მოტანილი არგუმენტაცია. აქამდე, სულ მეგონა, რომ იასე ფალავანდიშვილი იყო ტრაგიკული პიროვნება, რომლის გამცემლური საქციელი წინასწარგანზრახული არ ყოფილა — ეს უფრო სიტუაციის სირთულით იყო ნაკარნახევი. ანუ, იასე ფალავანდიშვილს უბრალოდ ეჭვი შეეპარა შეთქმულების წარმატებაში და უნებლიეთ გასცა ის. ბატონი როსტომის მიერ მოხმობილი მასალა კი ერთნიშნად მიუთითებს იმაზე, რომ იასე ფალავანდიშვილი იმთავითვე სრულიად კონკრეტული მიზნით ჩაერთო შეთქმულებაში. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ის პირადი ინიციატივით მოქმედებდა თუ ხელისუფლების საგანგებო დავალებით, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო სავარაუდოა.

ამ თვალსაზრისით უდავოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ იასე ფალავანდიშვილი დაჟინებით ითხოვდა ხელისუფლებისაგან შეთქმულთა დასჯას. მისი ქმედება, რომ წუთიერი სისუსტით ყოფილიყო გამოწვეული, მას შეეძლო ათასგვარი ახსნა მოეძებნა შეთქმულთა განზრახვისათვის და პატიება ეთხოვა ხელისუფლებისათვის. მით უფრო, რომ თვით იმპერიული რეჟიმი, რომლის სათავეში ამ დროს იდგა იმპერატორი ნიკოლოზ I, რომელმაც თავისი მოღვაწეობა დეკაბრისტებზე სასტიკი ანგარიშსწორებით დაიწყო, ხოლო მოგვიანებით სისხლში ჩაახშო პოლონეთის აჯანყება, გასაოცრად ლოიალურად მოექცა 1832წ. შეთქმულების მონაწილეებს. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება თითქოს ეძებდა კიდეც ფორმალურ საბაბს მათ შესაწყალებლად.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვთვლით, რომ შექმნილ სიტუაციაში იასე ფალავანდიშვილს არ უნდა გასჭირვებოდა „თავის დაძვრენა" და თანამებრძოლების დაცვაც. ის კი პირიქით მოიქცა. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ დავით დადიანი, სამეგრელოს მთავრის ლევან V დადიანის ძე, შეთქმულების ზოგიერთი მონაწილის (გიორგი ერისთავი) განცხადებით „ჭკვიანი ახალგაზრდა, დიდი პატრიოტი", რომლის ირიბი კავშირი შეთქმულებასთან ცნობილი გამხდარა ხელისუფლებისათვის. მან დაკითხვაზე (1933წ. ივნისში) საგამოძიებო კომისიას განუცხადა, რომ იცოდა შეთქმულების თაობაზე, მაგრამ არ ემხრობოდა ამ იდეას და ურჩევდა შეთქმულებს „თავი გაენებებინათ ამგვარი საქმისათვის". „რაც შეეხება იმას, რომ მე ქართველი პატრიოტი ვარ, — აღნიშნავდა დავით დადიანი თავის ჩვენებაში, — ეს მართალია, მაგრამ მე იმასაც ვგრძნობ, რომ ჩვენს ქვეყანას არ

ძალუძს რუსეთის დაუხმარებლად არსებობა". ე.ი. დავით დადიანმა, რომლის რუსოფილობა საყოველთაოდ ცნობილი იყო (სხვათაშორის, ამის გამო არ უყვარდა იგი აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს — მიხეილ შარვაშიძეს) და, რომელმაც იცოდა შეთქმულების სამზადისის შესახებ, არ დაასმინა თავისი მეგობრები და დაკითხვისას ძალზე დიპლომატიურად მოიქცა.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დავით დადიანის ეს პოზიცია ნამდვილად გულწრფელი იყო. აქვე ისიც უნდა ვთქვა: ჩემთვის, როგორც სამეგრელოს მკვიდრისათვის, განსაკუთრებით მტკივნეულია იმის აღიარება, რომ დადიანთა სამთავრო სახლი XIXს. დამდეგიდან, როდესაც რუსეთის იმპერია თანმიმდევრულად შეუდგა ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლას, თითქმის ერთადერთი პოლიტიკური ძალა აღმოჩნდა საქართველოში, რომელიც იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის — ქართული სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი ბასტიონის — წინააღმდეგ თავისი დესტრუქციული ქმედებებით ძირს უთხრიდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობას და, ნებით თუ უნებლიეთ, რუსული იმპერიული გეგმის რეალიზაციას უწყობდა ხელს.

დაბოლოს, მე ძალიან მსიამოვნებს დღეს ჩვენს უნივერსიტეტში ისეთი ღირსეული პიროვნების მოსვლა, როგორიც ბ-ნი როსტომ ჩხეიძეა. ბ-ნმა როსტომმა დიდი ხანია მიიპყრო საზოგადოების ყურადღება თავისი ორიგინალური გამოკვლევებით და პუბლიცისტური წერილებით. მის წიგნებსა და გამოსვლებში ძლიერად იგრძნობა წიგნიერება. ჩვენს დროში, კომპიუტერის ეპოქაში, როდესაც ადამიანს უხდება ზღვა ინფორმაციის გადახარშვა და ხშირად ვერ იცლის წიგნთან სიღრმისეული მიახლოებისათვის, წიგნიერება ერთგვარ დეფიციტად იქცა. ამიტომაცაა სასიამოვნო ისეთი წიგნიერი კაცის, ნამდვილი ერუდიტის მოსმენა, როგორიც ბ-ნი როსტომია. მე ვისურვებდი, მომავალშიც არაერთხელ მის ხილვას ჩვენს უნივერსიტეტში და არა მხოლოდ აქ — თბილისში, არამედ სოხუმშიც.

დიახ, მიუხედავად აგვისტოს მოვლენების შემდეგ საზოგადოებაში დასადგურებული პესიმიზმისა, მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მიმაჩნია, რომ შორს არაა ის დრო, როდესაც ჩვენს დღევანდელ სტუმარს სოხუმში ვუმასპინძლებთ. ამ იმედის გარეშე არცა აქვს აზრი ამ უნივერსიტეტის — მე ვიტყოდი — **იმედის უნივერსიტეტის** არსებობას.

## პოეტის ერთი ლექსი

**შოთა ბოსტანაშვილი**



### მამას

სალამი მამა!
გილოცავ
დაბადების დღეს,
წელს - უკვე - ასს.
გიგზავნი
ჩემ ბენო მიწას
და ჩემ
დაწურულ ცას;
ჩემ შექუჩებულ
ნათელს და
ჩემი ჭების წყალს, -
მოგონებებს რო რწყავს,
(ან/და: ხსოვნას რო არ კლავს).
ამასთანავე გიგზავნი:
ცოტა მზეს,
ცოტა მთვარეს
და რამდენიმე ვარსკვლავს;
ხეს,
ბალახსა და ყვავილებს,
თავთავებს,
ჩემშივე ნარგავს -
- გეცნობა -
- სხვებისას არ გავს.
სამყოფია ალაგი,
მოზრდილია გვალაგი
და ყველაფერს იტევს:
ჩემი კარვის კრავებს,
ჩემი ავზის თევზებს,
ჩემი ცი/ხი/ს ჩიტებს...

გივი ალხაზიშვილი

# დღიურის ფრაგმენტები

ისევ ქაოსი. საშინელი წინათგრძნობა. ელემენტარული ლოგიკა: დღევანდელი მოვლენების მერე გზა ტრაგედიისკენ მიემართება.

მე ვარ ცოდვილი. დარჩენილი სიცოცხლე სინანულისთვის აღარ მეყოფა.

სინანული – სულის ყველაზე უფრო ბუნებრივი მდგომარეობა, ჩემი სიცოცხლის ერთადერთი გამართლება ამ სულშემხუთავ გარემოში, სადაც ერთმანეთის სისხლი სწყურიათ, სადაც ძველი ბოლშევიკების ძეგლებს იღებენ და კვარცხლბეკებს თავისთვის იტოვებენ.

თელემის ჭაობიდან გამოვტოპეთ და ახლა სულს ვლაფავთ ერთმანეთის სიძულვილში.

ყველაზე საშიში, რაც კაცობრიობას ახსოვს, ბრბოს სისასტიკეა. პირველი ის იქნება, ვინც ბრბოს უფრო გააავებს, აღაგზნებს, გააგულისებს.

*18. 6. 90 წ.*

ტყუილ-მართალი ისეა ერთმანეთში აზელილი, ეშმაკიც ვეღარ გაარჩევს.

მოტყუებულო და სიცრუით დაღლილო ხალხო, შენ ისე სწრაფად გამოგაღვიძეს, რომ ვერ მოასწარ გამოღვიძება. შეიძლება კი სამოცდაათწლოვან კოშმარულ სიზმრებს შენი ფსიქიკა არ დაერღვია?!

რას იტყვი ახლა, მონის ულუფა გირჩევნია თუ მშიერი თავისუფლება?!

როგორც ყოველთვის, ახლაც ორგვარი აზრი ებრძვის ერთიმეორეს:

ნუთუ შენ ისევ ბელადების ძებნას დაიწყებ, რომ საკუთარი მონობა კვლავ დაადასტურო?!

ნუთუ საშველი ერთმანეთის დამხობაში უნდა ვეძებოთ?!

*28. 9. 90 წ.*

თითქოს გაქრა პეიზაჟი, ის აღარაა მიმზიდველი დღევანდელი პოეზიისთვის. გამკაცრდა ფრაზა, ის დაემგვანა დღევანდელ დღეს – დაუნდობელს და გულამღვრეულს.

დიახ, სამწუხაროდ, წმინდა სიტყვა სიყვარული, მორყეული სანოლივით ისევ ჭრიალებს. ჩვენ დავაადდით ისტერიკულ პუბლიცისტიკით და გაქცევაზე აღარც ვოცნებობთ, რადგან ყველგან, სადაც დამალვა გადავწყვიტეთ, სატკივარმა მყისვე მოგვძებნა. ჩვენ შევიშალეთ, თითქმის ყველანი შევიშალეთ მოლოდინის ბუნდოვანებით.

მილიონების თვალებიდან დაუსაბამო ღამეები იმზირებიან.



დიახ, გაქრა პეიზაჟი. ის აღარაა მიმზიდველი დღევანდელი პოეზიისთვის.

დიახ, გაქრა პოეზია, ე.ი. ვქრებით ყველანი.

*28. 9. 90. წ.*

გულშიჩამწვდომად მღეროდა იგი; ასე ლაღად კი მხოლოდ მაშინ მღერიან ხოლმე, როცა ჰგონიათ არავინ უსმენთ. აჭრელებული ხეებიდან ოქროსფერი ეფინებოდა ერთდერთ ბილიკს და ფოთოლ-ფოთოლ, ფეხაკრეფით მიდიოდა შემოდგომა ჩვენი ბაღიდან.

იგი იმდენად უსუსური და ბედნიერი ჩანდა აქედან, როგორც ჩიტი გალიიდან გამოფრენილი.

არ ვიცი ასე რად შემებრალა და რად მომინდა გულში ჩამეკრა, ანდა ხელი რად გამექცა მოსაფერებლად?!

*10. 10. 90. წ.*

მიწისძვრა... ბიძგი მკვეთრი იყო. მთელი მოსახლეობა გამოცვივდა ბინებიდან და ეზოში ავიშვიშდა.

ნგრევის, კატასტროფის წინათგრძნობა გამძაფრდა. უძლურების გარდა, სტიქია რომ თავის ძლევამოსილებით შეგვახსენებს, გაურკვეველ და უცნაურ იმედსაც აჩენს. როდის მოხვალ ღრუბლებით, როდის? უწმინდურებამ წაგვლეკა ყველა, მაგრამ პირველ რიგში საკუთარ ცოდვებს ვგულისხმობ და უფრო კი იმ ცოდვებს, კიდევ რომ უნდა ჩავიდინო უნებლიეთ ანდა სულმოკლეობით.

*16. 12. 90. წ.*

ასაღელვებელი არაფერი, ჩასაფიქრებელი ყველაფერი. უძლურება და ამაოება... ეს წყვილი მხოლოდ სიკვდილს შობს. სიკვდილის მეგზურია შიში... იქნებ ამოვიდე ჭაობიდან.

*25. 5. 91. წ.*

ჩემთვის გაუგებარია რას ნიშნავს "დასასვენებლად წასვლა", ასე მექცა სიცოცხლე თანდათანობით თვითმკვლელობად. შევეგუე კიდეც.

მე არ ვიცი საით მივდივარ ან რატომ მეჩქარება, ეს დრო ხომ არასოდეს დაბრუნდება?! მაგრამ მე მაინც მეჩქარება გაურკვევლობაში. აწმყო ერთადერთი მოსაწყენი რეალობაა ჩემთვის და გავრბივარ გაურკვეველი მომავლისაკენ. 47 წელია გავრბივარ, ვნახოთ როდის დასრულდება ეს მარათონი.

ყველაზე დიდი პოეტია თამაშით გართული ბავშვი, როცა გაიზრდება ცხოვრება მოკლავს პოეტს მასში.

საოცარია ეს წუთები, როცა მიყვარხარ მე დროს კი არ ვკლავ, დროს ვანიჭებ ახალ სიცოცხლეს.

საოცარია, ის წუთები, როცა სიტყვები ლაგდებიან სუფთა ფურცელზე და აგრძელებენ გულისცემის რიტმს.

*5. 8. 91. წ.*

დანარჩენი მსოფლიოსთვის დღესაც სინონიმებად ჟღერს რუსეთი და საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც ჩვენთვის კოსმოპოლიტიზმი და საბჭოური ინტერნაციონალიზმი. საბჭოთა კავშირის სახელით რუსეთი თავის ნება-სურვილს ახვევდა თავს საბჭოთა საპყრობილეში დაპატიმრებულ ერებს.

რუსული ექსპანსიები, სამხედრო და ეკონომიკური ჩასახლებები და ხლართები, ურთიერთდამოკიდებულებები, მთელი ინდუსტრიული სექტორი და რუსულ ბაზარზე გამოკერებული

ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტი, მშენებლობებზე წარმოგზავნილი ათასობით ეთნიკური რუსი და ა. შ.

გამოხდა ხანი და რუსები აწუწუნდნენ, რომ თვითონ რუსეთი არის დაპყრობილი სხვა ხალხებისგან.

ამიტომაც რუსეთის ხელისუფლებამ თავი ანება ცრუ-ინტერნაციონალიზმს და კომპარტიას, დეკონსტრუირებული საბჭოთა ცენტრის ნაცვლად შეიქმნა რსფსრ-ის ხელისუფლება, რომელმაც ჩაანაცვლა საბჭოური ცენტრი.

გაჩნდა ხალხთა შეკავშირების მოდერნიზებული მოდელი – თანამეგობრობა – ეკონომიკურ, სამხედრო, საბაჟო და სასაზღვრო სამსახურების ინტეგრაციის აუცილებლობა. ამ იდეის ქვეტექსტში კი არა, ზედაპირზე დევს რუსული ჩანაფიქრი. ეს ხომ საბჭოეთის მეტამორფოზაა, სადაც უფროსი ძმა კვლავაც იმას გააკეთებს, რასაც ადრე აკეთებდა, ოღონდ საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

მე არაერთხელ მსმენია საბჭოთა ჩინოვნიკებისგან, რომ საქართველო რუსეთის გარეშე დაიღუპება, ვერ იარსებებს. ხალხის ნაწილიც შეშინებულია – ურუსეთოდ ვინ მოგვაწვდის ხორბალს და სხვა საჭირო ნედლეულს, ჩვენი საქმე ცუდად წავაო.

ჩვენში ისევ ძლიერია მარიონეტული, კოლონიური ფსიქოლოგია, საიდანაც ძნელი იქნება გათავისუფლება, მაგრამ დროთა განმავლობაში, ალბათ, შევძლებთ.

უპირველეს ყოვლისა გასატარებელია აგრარული რეფორმა და საჭიროა დღესვე დავიწყოთ შრომა და რაც მოსაყვანია, თვითონვე მოვიყვანოთ, მაგრამ ჯერჯერობით, მხოლოდ პოლიტიკოსების სახით და სიმრავლით ვიღებთ საეჭვო მოსავალს.

*10. 11. 91. წ.*

აღტაცების უნარი დავკარგე, ვფიქრობ სამუდამოდ. წლევანდელი გაზაფხული აღარ მახარებს ძველებურად.

*15. 3. 1992 წ.*

ბატონი როზანოვი წერდა: არ მინდობს ჩემი დრო, არც მე დავინდობ დროს ჩემსას.

— მტრობა? დიახ.

— ნუთუ ვაჯობებ? კი. რითი? უფრო ჭკუით. იგი მე მჩქმალავს მე კი მას "ავამეტყველებ".

ცხვრის უტვინო დუმილი ვერ იქნება ადამიანურ მეტყველებაზე ძლიერი.

გაივლის 50 წელი. სადღა იქნება თქვენი "დუმილი" და "მიჩქმალვა"? და როცა თქვენ აგრერიგად დადუმდებით, მე კვლავ ვიმეტყველებ და ვიმეტყველებ.

ძვირფასო ადამიანებო, მე თქვენზე ვიმეტყველებ, მაშინ, როცა თქვენ მდუმარე ცხვრები კი არა, დიდი ხნის წინათ გახრწნილები იქნებით.

ერთნი დუმილს ამჯობინებენ, მეორენი ქამელეონივით ფერს იცვლიან და ყველა დროსა და ვითარებას ერგებიან, მესამენი სიმართლის თქმით არიან დაავადებულნი. მეც მართლის თქმის ავადმყოფობა მჭირს. არაერთხელ დავისაჯე ამის გამო, მაგრამ მირჩევნია სიმართლისთვის დავისაჯო, ვიდრე წაყრუების ან სიცრუის გამო დამაჯილდოვონო...

რა გრჯის, ხმას ნუ ამოიღებ და უკეთესად იცხოვრებ. მაგრამ ვაი, ასეთ ცხოვრებას, საკუთარი თავის დაბეჩავებას და შეძულებას, ვერ შევძლებ.

*17. 4. 92 წ.*

ფიტული სიცრუით გატენილი, ლაქუცა თვალები – თუკი ვინმესი ეშინია. მრისხანე გამოხედვა – ქვეშევრდომის დანახვისას. მლიქვნელობის დიდოსტატი – მასზე რანგით მაღალთან, უკეთესი ცხოვრებისთვის გადაფურთხებულის ამლოკავი.

ცოცხალია ეს კაცი?! იგი დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა. აღარც ახსოვთ როდის გარდაიცვალა. შეიძლება თვითონ არც კი იცის, რომ კარგახნის გარდაცვლილია... თითქოს დადის, ფულს შოულობს, ჭამს, იძინებს და იღვიძებს, მაგრამ ეს ნიშნები არ კმარა ნამდვილ და ცოცხალ ადამიანად რომ ჩავთვალო.

*17. 4. 92. წ.*

ულვთო ადამიანებმა ღმერთი ჩაანაცვლეს სახელმწიფო სტრუქტურებით, კანონით და

მიწიერი იერარქია გაალმერთეს... როგორი წარმოსადგენია გალმერთებული უწყება, სამინისტრო, დეპარტამენტი და ა. შ.

*17. 4. 92 წ.*

"მონყენილობის დაძლევა მხოლოდ შემოქმედებით შეიძლება" /ბერდიაევი/.

*17. 4. 92 წ.*

გონება გამეხსნა. სამი თვე მკვდარი ვიყავი. რა საოცარ თავისუფლებას მანიჭებენ სიტყვები...

ზოგჯერ წერისას მეჩვენება, ვუკავშირდები იმათაც, ვინც ამ ქვეყნად აღარ არიან და იმათაც, მომავალში რომ დაიბადებიან. ეს ის განცდაა, რაც ყველაზე მეტად მაშინებს.

ამავე დროს უსაშველო პასუხისმგებლობით აღმავსებს სამივე დროის მიმართ, რომელთა ამეტყველებას /როზნოვი/ შევეცდები.

*17. 4 92 წ.*

მუდამ ეს ერთი კაცი ლაპარაკობს ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ფილოსოფიაზე, თანაც მენტორული ტონით, გამაღიზიანებლად თვითდაჯერებული, დაუეჭვებელი.

მისი ორიენტაცია ცნობილია, ვუსმენ და ვხვდები, რომელ მხარეს მდებარეობს ჩრდილოეთი. როგორც ხეზე ან ქვაზე ხავსი, მის ტვინშიც ხავსიანი აზრები ჩრდილოეთის მხრიდან იზრდებიან.

*18. 4. 92 წ.*

მასების მარადიული სიბნელით მანიპულაცია შესანიშნავად შეუძლიათ პოპულისტებს და სხვა ჯურის პოლიტიკურ შარლატანებს. ყველა დიდი სისხლისღვრა, ძმათაკვლა, დაუნდობელი ომები — მასების სიბნელეში იბადება ან მასების სიბნელეს იყენებს თავისი ზრახვების აღსასრულებლად.

*2. 5. 92 წ.*

რაც იყო წარსულში და რაც მძაფრად მახსოვს, იგი არსებობს ჩემში. მე ვარ გალერეა და ჩემში განაგრძობენ ცხოვრებას ისინი, ვინც აღარ არიან ამქვეყნად. მე ყოველთვის ვგრძნობ პასუხისმგებლობას მათ წინაშე. ისინი ჩემთან ერთად ცხოვრობენ და როგორღაც თანაავტორებიც არიან. მე ვარ ცოცხალი მუზეუმი, საგნები, წიგნები, ხელნაწერები, ფოტოსურათები – ჩავლილი დროის სიცოცხლეს აგრძელებენ ჩემთვის და ისინი მეხმარებიან განცდების განახლებაში. ჩემთვის უმთავრესია განცდების, არა ცალკეული ამბების აღდგენა, მაგრამ კონკრეტულ მოვლენას, საგანს, შემთხვევას ძალუძს მძაფრად გიკარნახოს ის, რაც ოდესღაც იყო.

ზოგჯერ მეჩვენება, რომ სამყაროს ხნის ვარ და ჩემი ბიოლოგიური ასაკი პირობითია.

*2. 5. 92 წ.*

რამდენი წლისაა ფოთლის ანაბეჭდი, მინაში რომ ჩატოვა რომელიღაც ფოთოლცვენამ?! დგას კი ის ხე ახლომახლო, საიდანაც ფოთოლი მოწყდა რომელიღაც ფოთოლცვენას?!

რატომაა ჩემი მეხსიერება ჩემზე უფროსი მრავალი საუკუნით?!

*10.5. 92 წ.*

ვის მხარეზე ხარ? მეკითხებიან. ორივე მხარე თხოულობს ან ერთს ან მეორეს დავუჭირო მხარი, ოღონდ უსიტყვოდ, უკრიტიკოდ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ პოლიტიკური ავტორიტეტების არ მწამს, რადგან ისინი საკუთარი იდეოლოგიის მონებს ეძებენ /ჩვენში ასეა, სამწუხაროდ/. ვერ ვიქნები ვერცერთი მხარის ყურმოჭრილი მონა. რაც არ მომწონს, ყოველთვის ვიტყვი ხმამაღლა. არ მომწონს ძალადობა, მითუმეტეს მოძალადე, როგორ იდეალებსაც არ უნდა მსახურებდეს.

კლანური, პარტიული, კასტური, ჯგუფური ინტერესებით შემოფარგვლა ჩემთვის თავისუფლების აღკვეთის ტოლფასია.

მე მწამს უფლის და მისი ერთგული ვიქნები მარად.

მე მწამს საქართველოსი და მისი ერთგული ვიქნები, ვიდრე პირში სული მიდგას.

საზოგადოებრივი აზრი მმართველი ძალის სამსახურშია და ხელისუფლების ქვემდებარეა ისევე, როგორც საეჭვო ზნეობის ადამიანები, შარლატანები, გაქნილები, ათასი ჯურის ნაძირლები. ეშმაკური ხერხებითა და ხრიკებით, უსინდისო მანიპულაციით ქმნიან, აკოწიწებენ ცრუიდეოლოგიას რადიოს, ტელევიზიის, პრესის საშუალებით.

ამგვარი თამაშები კატეგორიულად მიუღებელია. ჩემთვის უმთავრესია სულიერი ცხოვრების უწყვეტლობა უპირველესად და მარადიული საქართველო და მისი მომავალი, რასაც სულიერ ზრდაში ვხედავ ანუ იქ, სადაც მწერალმა უნდა ილვაწოს.

მონობის ასწლეულებს ჩვენთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. საგრძნობია ზნეობრივი დეგრადაცია, რასაც მხოლოდ ეკონომიკური რეფორმები, მატერიალური ფასეულობების გადანაწილება და ძალაუფლების მოპოვების სურვილი ვერაფერს უშველის, პირიქით, უფრო გააღრმავებს.

*11. 5. 92 წ.*

სიხარულს მანიჭებს ახალი ჩანაფიქრი, მეტადრე იმის გახსენება, რომ ძნელი განსახორციელებელი არ არის. აღმაფრთოვანებს მოსალოდნელი შედეგიც რჩეულთა ნააზრევის გამოქვეყნება.

*14. 5. 92 წ.*

მეცოდებიან იდეურ ბრძოლაში ჩაბმული ადამიანები, იდეების მონებად რომ იქცნენ. ყველას ძალით უნდა საკუთარი სიმართლის დამკვიდრება.

ძალადობა, ძალადობა, ძალადობა... ახლაც ისმის სამხედრო გზიდან კანტიკუნტი სროლის ხმა.

ვერ ვიქეცი მეამბოხედ, ვერ დავადექი ძალადობის გზას.

ხალხი კი ისევ ეძებს გმირს, მორიგ თავგანწირვას, ან იქნებ მორიგი მსხვერპლშეწირვის რიტუალს?!

მე რასაც ვფიქრობდი ტელევიზიით განვაცხადე, ორჯონიკიძის ამაზრზენი ბრალდებების პასუხად.

ვთქვი რომ არ შემიცვლია აზრი და იგივე პოზიციაზე ვდგავარ.

მთელი ქვეყანა იქცა ერთ უზარმაზარ არენად, სადაც მსხვერპლშეწირვა იმართება, თითქმის ყოველ ნაბიჯზე.

მე არ შემიძლია თქვენ მძულდეთ, მე არ შემიძლია ისინი მძულდეს. ამიტომაც ორივე მხარისთვის მიულებელი ალმოვჩნდი. მე თქვენ არ გემხრობით, იმიტომ რომ არ მჯერა თქვენი, მე მათ არ ვენდობი, იმიტომ რომ არ მწამს მათი. დათრგუნულია საქართველოს ის ჯანსალი ნაწილი, მოშულლეთა შორის გაჩალებულ ბრძოლაში რომ იჭყლიტება და ბეჩავდება. თქვენ ერთმანეთის დამარცხებაზე ოცნებობთ და არ გესმით, რომ თქვენ საქართველოს ებრძვით და ამარცხებთ, როცა რომელილაც მხარე მოჩვენებით წარმატებას აღწევს.

*20. 5. 92 წ.*

დარბეულ ქვეყანაში, სადაც სულიერი ცხოვრება ჩაკლულია, სადაც ინდივიდები უკიდურესად დათრგუნულნი არიან, მასობრივი ფსიქოზის ჟამს, ჩვენთვის "რჩეულთა ბიბლიოთეკა" იქცა მასტიმულირებელ ძალად, დამატებით ენერგიად.

„რჩეულთა ბიბლიოთეკამ" სწრაფად შემოიკრიბა ის ადამიანები, რომლებთან თანამშრომლობაც დიდად მაიმედებს.

ყველაფერი ენთუზიაზმით იწყება. და თუ ენთუზიაზმი სიყვარულმა შვა და წიგნებად იქცა, ამ დაქცეულ და ჩანჯყვდიადებულ ქვეყანაში, ვფიქრობ რომ დიდი ბედნიერება და ხვალინდელი დლის იმედია.

*21. 5. 92 წ.*

შეეცადნენ შხამი ჩამაწვეთონ, ჩამაწვეთეს კიდეც. მივხვდი, მათი პასკვილი ჩემს დამცირებას და მოშხამვას ისახავდა მიზნად, სწორედ ამიტომ არ უნდა მოვშხამულიყავი. ეს უკვე ახალი კამპანიის დასაწყისია. თვალში ვეჩხირები ნაკომუნისტარ მწერლებს. ეს რამხელა დანაშაული მიმიძლვის თურმე ქვეყნის წინაშე?! ხმას ნულარ ილებ, გაჩუმდიო... რას ნიშნავს გაჩუმება?! ალარ წეროო, შენი აზრი არ გქონდესო, გვაცადე ჩვენ, რასაც გვინდა იმას ვიბჟუტურებთო. მამაცხონებულებო, მთელი ცხოვრება მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინს უმლეროდით და ჩემი ერთი წერილით დაიქცა ქვეყანა?! იმ წერილში პრეზიდენტობის კანდიდატს არცთუ უსაფუძვლოდ ვახსენებდი უძველეს სიტყვებს:„კაცი მაქებარი პირისა მოციქულ არს ეშმაკისა".

მადლობა ბნელი სიტყვებისთვის ძვირფასო ეკონომისტო, ასე არაეკონომიურად რომ ხარჯავთ სიტყვებს, მაგრამ მიზანს ვერ ალწევთ. მე ვიცი თქვენი ნამდვილი ვინაობა, ტექსტში გაზავებულ ბოლმასა და სიძულვილში თქვენ მზერას მოვკარი თვალი. ასე მხოლოდ ხელმოცარული, ვერგამწერლებული ჟურნალისტები წერენ.

*27. 5 92 წ.*

ალარ უნდა ავყვე ამ მეწვრილმანეებს, პრიმიტიულ, მოჭორავე ფიტულებს. მეცოდებიან. როცა ატყუებენ, სიმართლეს ვეტყვი და მასმენენ. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ. ყველაზე დაუნდობელი ბრბოა, მეტადრე მაშინ თუ ბრბოს რაიმე აქვს გასაყოფი და როცა გასაყოფი ძლიერ ცოტაა.

დამშვიდდი გულო, ამათ ბლვერას ყურს ნუ ათხოვებ. ისინი ცხოვრობენ ფარისევლურ სამყაროში.

კოლექტივი – ყველაზე უფრო საზიზლარ სიტყვად იქცა. ყველა ბოროტება საზოგადოების და კოლექტივის სახელით ხდება. პიროვნებათა დათრგუნვის უდიდესი საშუალებაა საზოგადოებრივი აზრი და კოლექტივის გადაწყვეტილება, როგორც უმრავლესობის ვერდიქტი უმცირესობაზე ანუ ინდივიდებზე. მასები ებრძვიან და ანადგურებენ ინდივიდებს.

*28. 5 92 წ.*

მომბეზრდა პოლიტიკური ბატალიები, მოჩვენებითი სიჩუმის სილმეში რომ თუხთუხებს. პოლიტიკა გაიელვებს თვალებში, ნაძალადევ ლიმილში, ზიზლიან გამოხედვაში. სად უნდა წავიდეს კაცი, მტრულ გარემოს, შხამიან სივრცეს რომ დაალწიოს თავი. თუმცა, გარემო ჩვენი ბოროტებით, ჩვენი ზიზლით, ჩვენი შურისძიებით, ჩვენი ძალადობით მოშხამული, გაუსახურებული, გულისამრევი და დათრგუნულია.

ადამიანები გადასხვაფერდნენ. ნამდვილად ეშმაკის ხელი ურევია.

ხალხს ალარ სჯერა მართლმსაჯულების, ამიტომაც ლინჩს მოითხოვენ.

მეშინია უარესი დლეების, მეტი სისხლის, მეტი შიმშილის, მეტი წყვდიადის, მეტი დაუნდობლობის.

*29. 5 92 წ.*

გვიან გავიგე მისი სიკვდილის ამბავი. ხშირად მაგონდება. ის, ებრაელი იყო, რუსი— ებრაელი, მაგრამ რუსი ვარო ამტკიცებდა, და მამალ შოვინისტებთანაც მეგობრობდა. ხასიათით ტიპური ებრაელი იყო, ჰაბიტუსიც არასლავური ჰქონდა. ვ. შ...ს მეტად ავხორცი ცოლი ჰყავდა. მახსოვს, როცა საქართველოში იყვნენ სტუმრად, ვ. შ. ცოლს სასტუმროს ნომერში გარედან კეტავდა, გასალებს თვითომ ჩაიდებდა ჯიბეში და გზას გაუდგებოდა. ვ. შ. ეჭვიანი კაცი არ იყო. თავისი ცოლის ავხორცობის ამბავი იცოდა და შესაბამისად იქცეოდა... მის ცოლს, სურვილი რომ წამოუვლიდა, ნებისმიერ კაცთან შეეძლო გასეირნება. გარეგნობით ლამაზ ქალს სმა უყვარდა, ღვინოს „კისლიატინას" ეძახდა, არაყს გადაკრავდა და „კისლიატინას" დააყოლებდა. რამდენიმე ჭიქაში ისეთ კონდიციას ალწევდა, როცა ჯერ ჩურჩულით, მერე კი გასაგონად ჩაილაპარაკებდა ხოლმე: მუჟიკა ხაჩუ! ერთხელაც, როცა გამაგონა ეს სიტყვები, ვანიშნე რომ ვ. შ-სთვის მიემართა, როგორც ლეგიტიმური ქმრისთვის, მაგრამ ვ. შ. ძალიან შორს გააგზავნა.

სანყალი ვ. შ. ტრაგიკული პიროვნება, გაჩხერილიყო ებრაელობასა და რუსობას შორის, იმდენად, რომ დასა და დედას არ აჭაჭანებდა თავის ბინაში და მოსვლისთანავე აძევებდა. აქეთ კიდევ ცოლის მწყემსვა ყოველ ნაბიჯზე და ... გულმა ვერ გაუძლო.

მახსოვს, როგორ უხაროდა, მამაჩემმა რომ უთხრა — შენ ჩემი მეოთხე ბიჭი ხარო.

მიუხედავად წინააღმდეგობრივი და არაადეკვატური ცხოვრების წესისა, იგი მართლაც ტრაგიკული ადამიანი იყო, მაგრამ მის ლექსებს ეს ტრაგიზმი თითქმის არ შეხებია.

საბჭოურ რეალობაში, ბევრი ებრაელი მალავდა თავის ებრაელობას და ეს იყო მათი ყველაზე დიდი ტრაგედია.

*30. 5. 92 წ.*

დამძიმდა ცხოვრება. საშინელი სიძვირეა. თითქმის აღარ დადის ტრანსპორტი, სახლები აღარ თბება. ზამთარი კარს მოგვადგა. ეს სიძნელეები უკან მაბრუნებენ, ბავშვობაში, ომისშემდგომ წლებში.

მაშინაც პურის და ნავთის რიგები, ნახევრადმშიერი დღეები. ჩემთვის ნაცნობია ეს გასაჭირი, ეს სიძნელე, უცნობია მხოლოდ მასობრივი დანაშაულებანი. მასობრივ რეპრესიებს მე არ შევსწრებივარ, მაგრამ გადმოცემით და წიგნებით ბევრი რამ ვიცი. უკანონობის დამამკვიდრებელთა პარპაში ზუსტად წააგავს 30-იანი წლების რევკომულ დარბევებს, ოღონდ ხელწერა ჩეკისტური კი არა, ჩეკისტურ-კრიმინალურია. კომუნისტები და კრიმინალები ერთმანეთზე დაემყნენ, ნაყოფიც ნამყენი გამოვიდა. ხალხს აშინებენ, ხალხის დათრგუნვა უნდათ.

*22. 11. 92 წ.*

ეროვნული ხელისუფლება იმთავითვე განწირული იყო მარცხისათვის, ჯერ კიდევ მაშინ, როცა არჩევნები თითქოს პირწმინდად წააგეს კომუნისტებმა და ფაქტიურად ხელისუფლება გადასცეს დისიდენტებს, როგორც მახე, რომლის მართვასაც ისინი თავს ვერ გაართმევდნენ და ვერგართმევაში აქტიურად მიეხმარებოდა ჭრელი ოპოზიცია, თუმცა, მაშინდელ ხელისუფლებასაც არ აკლდა სიჭრელე.

ბალანსი სწრაფად დაირღვა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ეროვნული ხელისუფლება არასასურველი აღმოჩნდა არამარტო რუსეთისთვის, არამედ შეერთებული შტატებისთვისაც.

საქმე უკან და უკან მიდიოდა. ჩვენ ისლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმრავლესობა, განდევნილ პრეზიდენტს რომ ემხრობოდა, 1992 წლის 11 ოქტომბერს უკვე დემოკრატიული ძალების დამკვიდრებას მიემხრო, სხვა საქმეა გაყალბებით თუ გაუყალბებლად.

საზოგადოებრივი აზრი, მითუმეტეს თუ საზოგადოება ისეთ დაბალ დონეზეა, როგორც ჩვენში, ადვილი შესაცვლელია და ძალიან ადვილად იმართება ზევიდან.

თავისუფალია პიროვნება მაშინ თუ იგი თავისუფალია საზოგადოებრივი აზრისგან ან ბრმად არ მიჰყვება საზოგადოებრივ აზრს, რის მეშვეობითაც ავანტურისტები იოლად ბატონობენ მასებზე.

*29. 11 92 წ.*

**წონასწორობა**

იგი კვდება. ბიჭებმა მითხრეს რომ უკანასკნელ დღეშია... უცებ გამახსენდა და გამიკვირდა, მე რომ ჩვეულებრივად ვაგრძელებ სიცოცხლეს, ვწერ, ვკითხულობ, ვაზროვნებ და ეს მაშინ, როცა იგი სულმობრძავია. სამწუხაროდ, არ შემიძლია რაიმეს შეცვლა. გაივლის დრო, ასევე გაიფიქრებს ვინმე ჩემზე და მასაც არ შეეძლება რაიმეს შეცვლა. ასე აღდგება წონასწორობა.

*12. 12. 92 წ.*

ალბათ, გამუდმებით სინანული მომიწევს ჩემი შეცდომებისა და ცოდვების გამოსასყიდად.

დღიურსაც ვუმალავ ზოგიერთ სისულელეს.

შვილები მეცოდება, რა ახალგაზრდობა აქვთ?! მძიმე, უმძიმესი.

ჩემი გასაჭირი რა მოსატანია, ხალხია საცოდავ დღეში. მე როგორმე გავუძლებ...

დღე ერთი წუთით გაიზარდა, ნათელი ერთი წვეთით.

*8. 1. 93 წ.*

ამ სიძულვილში, ამ უსაზღვრო ბოროტებაში, მიკვირს ბალახი რომ ამოდის, ყვავილები რომ იშლებიან, მზე რომ ისევ გადმოხედავს გულებს — შურით დაჭაობებულს, თვალებს – ღვარძლის გუბეებად აელმებულებს, სხივს – სისხლით მოთხვრილ ხელებზე რომ აირეკლება, და სიცრუის ხავსს, თქვენს სიტყვებში რომ იზრდება ტრადიციულად, ბავშვის თვალში რომ აღმოაჩენთ ჩაბინდულ შიმშილს.

რა უნდა აქ ბალახს, რა უნდა აქ მდინარეს, რა უნდა აქ ვარსკვლავს, ან ჩვენ რა გვინდა სასაფლაოდ ქცეულ ქალაქში?!

*1. 8. 93 წ.*

გამრავლდნენ სასოწარკვეთილი ადამიანები. ბევრი მათხოვრობს მეტროსთან, მიწისქვეშა გადასასვლელებთან, მაღაზიებთან – ყველგან, სადაც ხალხი ირევა. არიან ისეთებიც, ხელს რომ არასოდეს გაიშვერენ სამათხოვროდ, მაგრამ თვალებში უჩანთ უიმედობის ნაცარი და მათხოვრობის გაუბედავი სურვილი...

*21. 8. 93 წ.*

რომ შეიძლებოდეს საქართველოს დაყოფა პარტიების, ფრაქციების, ბლოკების, საზოგადოებების, ფონდების, ასოციაციების, უკანონო შეიარაღებული ბანდფორმირებების გავლენის სფეროებად, და რომ შეიძლებოდეს ამ გავლენის სფეროების საზღვრით გამიჯვნა, მაშინ საქართველოში გაჩნდებოდა რამდენიმე ათასი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო, რამდენიმე ათასი

პრეზიდენტით და პრემიერ-მინისტრით და ყოველ მათგანს მარადიული ცილობა ექნებოდა ერთმანეთთან სადავო ტერიტორიებზე.

დღეს ერთიანი საქართველო საქმით არავის უნდა, სიტყვით, თეორიულად — ყველას.

*29. 8. 93 წ.*

შუქს საღამოს თიშავენ, კენტ რიცხვებში 19 დან 21 საათამდე, ლუწში 17 დან 19 საათამდე. გვიანი შემოდგომაა და ადრე ღამდება. ყოველ საღამოს ორ საათს სანთლის შუქზე გამყავს ცხოვრება.

თედოს წიგნს ვფურცლავ და მის გალიმებულ ფოტოს დავყურებ დროდადრო. „დილიდან დაღამებამდის"...

*20. 11. 93 წ.*

18 საათი გამორთული იყო შუქი. გავიყინეთ. საშინელი დღეა. შეშის ღუმელის ყიდვას ვფიქრობ... მაგრამ შეშა?! ბავშვები არ გამიცივდნენ.

*6. 12. 93 წ.*

ამ კედლებს შორის არის სივრცე, სადაც ხანდახან ვტოვებ ჩემს ფიტულს და სიტყვებთან ერთად მივდივარ, რადგან სიტყვებში უფრო მკაფიოდ მოისმის ჩემი გულისცემა, ვიდრე სხეულში.

სხვაგან მე სხვა ვარ, იმ სიტყვების შემგროვებელი, რომელთაც ჩემი სიცოცხლე მიაქვთ.

*18. 5. 94 წ.*

გარეთ ნურავის ეძებ, საკუთარ სულში უნდა ეძებო.

*9. 7. 94 წ.*

ნერვიული, დაძაბული დღე... შური, ღვარძლი, ბოროტება... და რის გამო? ლიტერატურულში გამოქვეყნებული მასალების გამო. 50 წელი მომილოცეს მეგობრებმა. მწერალთა კავშირის მისალოც ტექსტზე უარი ვთქვი. რამ გააღიზიანა ეს უბედურები, განსაკუთრებით ფსევდოეკონომისტია გადარეული. არც არაფერი მემატება და არც არაფერი მაკლდება იმ მოლოცვებით. ეს იყო ჩემი მეგობრების გულწრფელი ჟესტი. გამოდის, მე რომ შემაქეს, ვიღაცას მოაკლდა რაღაც, ანდა საკუთარი მწერლური არასრულფასოვნება გაახსენდა, თან მერამდენედ... საბრალო ფსევდოეკონომისტი.

მე ხომ 50 წლის მანძილზე პირველად მითხრეს თბილი სიტყვა?!

მშვიდობით პატარა ბოლმებო. თქვენ საკუთარი შურის უნდა გეშინოდეთ.

**შხამის უნდა გეშინოდეს მორიელ,**
**შხამს თუ შენსას ისევ ვერ მოერიე**
**გადაგყლაპავს შენი ღვარძლის მორევი...**

*18. 7. 94 წ.*

გრძელდება იუბილეომანია. ვწუხვარ, მაგრამ გვიანია. ბევრი გაღიზიანდება და სამართლიანადაც. რა დროს მილოცვებია, რა დროს დაბადების დღეა?! ჯანდაბას, ესეც ერთი მძლავრი იმპულსი იქნება მომავალი მწუხარებისათვის.

*20. 7. 94 წ.*

ისევ ნერვიულობა ამ პატარა წითელ იდიოტთან. გულზე სკდება „ლომისის" წარმატების გამო. მისი ყვირილი არაფერს ნიშნავს, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის. მაინც უნდა მოვიპოვო სულიერი სიმშვიდე, ჩემს საქმეებსაც გავაგრძელებ. მოდის პოეზიის დრო. ცოტათი კი გამომიყვანა მწყობრიდან, მაგრამ არაუშავს.

ეს პატარ-პატარა ეშმაკები, ალბათ, არ მომეშვებიან. გავუძლებ. მაგათ გამოცემაზე, ალბათ, უარს ვიტყვი. რა სჯობს ერთტომეული თუ ჯერ ახალი ლექსების წიგნი? ალბათ, ახალი... ვნახოთ.

*8. 8. 94 წ.*

დღეს დავკრძალეთ სოსო პაიჭაძე. სიკვდილმა ჩვენს თაობასაც შემოუტია. თედო, სოსო... ვერც ერთმა ვერ გაიხარა. მძიმე ცხოვრებამ ორივე გატეხა.

უცნაურია, მაგრამ მე ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები მგონია. ვიცი, ვერასოდს შევხვდბით, მაგრამ თითქოს, შორს არ წასულან, აქვე არიან, — ჩემში...

მერამდენედ აღმოვაჩინო, რომ კაცის სიკვდილი, სხეულის მიწაში ჩაფლვა, ჩემთვის კაცის სიცოცხლის დასასრულს არ ნიშნავს.

*3. 9. 94 წ.*

სევდისმომგვრელია ყოველგვარი მიღწევა, თვითონ მიღწევის სრული პირობითობის გამო. რაც უფრო დიდია მიღწევა, გნებავთ წარმატება, მით უფრო მძაფრია ამაოების შეგრძნება.

*13. 11. 94 წ.*

არ უნდა გავბოროტდე. სად ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს ელექტროენერგია, ავტომანქანა, ტელევიზორი, ლიფტი, ბენზინი?! ცოტახანს წინაპრებივით ვიცხოვროთ, მივეჩვიოთ ფიქრს, შრომას, მოჩვენებითად შენელებულ რიტმს, საკუთარ თავში და სამყაროში ჩაღრმავებას, მარტოობასაც მივეჩვიოთ.

ჩვენ ხომ იმ დისკომფორტის გვეშინია, ანუ იმ კომფორტის, ბუნება რომ გვთავაზობს?!

*20. 11. 94 წ.*

დღეს გია ჭანტურია მოკლეს. ძალიან შემებრალა. უნებლიეთ გავიფიქრე: რამდენი წელი გავიდა იმ გასროლიდან, ზემელზე რომ გაისმა და მოჰყვა კიდეც სამოქალაქო დაპირისპირება.

გიას 92 წელს შევხვდი ედეპ-ს ოფისში. დიდხანს ვისაუბრეთ, ლუდი ვსვით. იგი თამაზ ბაძაღუას ახლო მეგობარი იყო და ადრეც შევხვედრივარ მასთან ერთად. რაც გიამ მაშინ მიამბო, ჩემთვის სრული ნონსენსი იყო. ყველა ძალოვანი მინისტრი რუსეთიდან ყოფილა დანიშნული და ჩვენ აქ შევარდნაძე დამოუკიდებლობანას გვათამაშებდა. რაც მან მითხრა, ზოგი რამ ყურმოკვრით ვიცოდი, მაგრამ მისი არგუმენტები მეტად დამარწმუნებელი და დამთრგუნაველი აღმოჩნდა ჩემთვის.

როსტომ ჩხეიძე

# ხევსურეთის აჯანყების ქარგა

*

## 1922 წლის ზაფხულის ეპოპეა

განა არა — სამხედრო ცენტრის არსებობის ხსოვნაც შემონახულიყო და ხევსურეთის 1922 წლის ამბოხებისაც.

მაგრამ ორივე შერწყმოდა 1924 წლის აჯანყებას, როგორც მისი წინარე ტრაგიკული მოვლენები, ოღონდ უკვე მის ნაწილად ქცეულნი.

აგვისტო-სექტემბრის სისხლისღვრამ გადაფარა ისინი და თავის ფარგალში მოაქცია.

აეხსნებოდა ტაბუ გრიგოლ რობაქიძის სახელს და მისი ესეების გამომზეურება თან მოიყოლებდა სამხედრო ცენტრისა და კოტე აფხაზის ამაღლებულ და ჰეროიკულ სახებას — მისი შეთქმულების სახელით შევა ეს ეპიზოდი ქართლის ცხოვრებაშიო.

გელა საითიძის მონოგრაფია დაადასტურებდა მწერლის ამ რწმენას.

ემიგრანტთა მემუარებში ხან აქ, ხან იქ გაიელვებდა ხევსურეთის ამბოხებაც, მაგრამ მას არ გააჩნდა ისტორიული ქარგა და მხოლოდ მათ გაკვრით ცნობებს უნდა ვნდობოდით.

ვენდობოდით კიდეც, მაგრამ ყოველთვის გვაღელვებდა ამ გმირული აქტის შუაგულში შეღწევის წადილი — იქ უსათუოდ დიდი ამბები იფარებოდა და კაი ყმათა სახელებიც გარინდულიყვნენ შთამომავლობის გამძაფრებული ცნობისწადილის მოლოდინში.

ემიგრანტთა ცნობები თუ მინიშნებანი ივანე ლიქოკელის მონოგრაფიას უნდა დაედასტურებინა: „ხევსურები და ქაქუცა", გამომცემლობა „არტანუჯის" მეოხებით რომ გახდა ხელმისაწვდომი მკითხველისათვის, მათ ჩინებულ საქმეთა კიდევ ერთი სახიერი რგოლი.

მარტოოდენ ისტორიულ ცნობათა თავმოყრა-ანალიზი, საარქივო მასალათა მოძიება თუ ზეპირგადმოცემათა მოკრება იქნებ საკმარისი არც აღმოჩენილიყო ამ რანგის მონოგრაფიის შესაქმნელად, ავტორის ბავშვობა-სიყმაწვილეს იმ გარემოში რომ არ ეტრიალა და იმთავითვე ლეგენდად არ შთაბეჭდოდა ცნობიერებას ახლახან ჩავლილი ბრძოლების ექო.

ამ ექოს ვერაფერი შეენაცვლებოდა ექსპრესიით.

ვერანაირი ძიება, ვერანაირი კვლევა.

ის მხოლოდ შეავსებდა და უხვადაც შეავსებდა ყმაწვილურ განცდებსა და შთაბეჭდილებებს, ახალ-ახალი დეტალებით დახუნძლავდა და თანდათან სრულ სურათს გადაუშლიდა თვალწინ.

და ორმაგი ხედვა შეემსჭვალებოდა ერთმანეთს — გარედან და შიგნიდან, და სტრიქონებს შორის არაერთხელ ამიტომაც იგრძნობ ისეთ აღმაფრენას, რასაც ისტორიული ქრონიკის სტილისტიკა მაინცდამაინც ვერ გადაწვდება.

მკვლევარი სინანულს გამოთქვამს: სათანადო არქივთა ხელმიუწვდომლობის გამო ნაშრომს აკლია დოკუმენტური მასალა წითელი არმიის, ჩეკისტური ნაწილების შესახებო.

ცხადია, სურათის სისრულეს ესაჭიროება ეს ცნობებიც, მაგრამ დაე სხვა მუშაკთაც დარჩეთ სამკალი, ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით რისი მოძიებაც შეიძლებოდა, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მკვლევარს გამორჩენოდეს.

ზოგადი ისტორიული ფონიც — ხევსურეთის აჯანყების წინარე ამბები — მკაფიოდაა წარმოჩენილი — ლაკონურად და ტევადად, და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჰეროიკული სახებაც რელიეფურად იხატება, მეტად ღრმა, გულისშემძვრელი შტრიხებით, თუნდაც ასეთით, შიშია ქერაულის მოგონება რომ ჩაერთვის თხრობას.

მაღაროსკარის ცხარე ბრძოლისას ქაქუცა ფეხზე წამოიჭრებოდა, გადადგებოდა მდინარე მაღაროულის ბექზე და მიბრჯნით გაუხსნიდა ცეცხლს მოპირდაპირე ნაპირას შეჯგუფულ მტერს. ამის შემხედვარე შიშიაც მოინდომებდა საფარიდან გამოვარდნას, მაგრამ მეთაური ფეხს უბიძგებდა და ზევით არ ამოუშვებდა. შეტაკება რომ დასრულდებოდა, თავმოყვარე ხევსური წყრომას ვერ დაფარავდა: რა უფლებით არ გამიშვიო.

და ქაქუცა, ჩვეული სითბოთი და გულისხმიერებით:

— მე ამ საქმისა და მოქმედებისათვის თავგადადებული კაცი ვარ, ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ შენ ჩვეულებრივი კაცი, ოჯახის პატრონი, მშვიდობიანი მცხოვრები ხარ და თავს ნებას ვერ მივცემ შენი შვილები დავაობლო!

ყოველგვარმა წყენამ მაშინვე გამიარაო, — მოგონების ავტორი რომც არ დასძენდეს, ისედაც ადვილი მისახვედრია, თუ როგორ იმოქმედებდა მასზე ეს სიტყვები.

მკვლევარი ამ მოგონებას იმოწმებს ნიმუშად იმისა, თუ რაოდენ ბევრს ნიშნავდა ხევსურთათვის სიმამაცის ასეთი გაკვეთილები.

და კიდევ ქაქუცა ჩოლოყაშვილის პიროვნული კეთილშობილების დასტურად.

თუმც ნაამბობი სხვა მხრივაცაა დამაფიქრებელი.

თუ დაუკვირდით, მეამბოხე საყვედურს რომ ჰკადრებს წინამძღოლს. ის კი განუმარტავს, უბოდიშებს, იოტისოდენადაც არაფერზე ეტყობა: ეს როგორ გამიბედესო.

ეს სწორედაც ბუნებრივი მოვლენაა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეომართა შორის, გამოწვეული მისი პიროვნული ხასიათითა და იმ სულისკვეთებით, რაც ძალდაუტანებლად მკვიდრდება მის გარემოცვაში.

შეფიცულნი თუ სხვა აჯანყებულნი თან ალმერთებენ ქაქუცა ჩოლოყაშვილს და თან ტოლებივით ექცევიან. საყვედურსაც იოლად ეტყვიან, გაბრაზებასაც დაუფარავად გამოხატავენ. სამხედრო დისციპლინა სამხედრო დისციპლინად, ამ მხრივ არამცთუ რაზმში, მეამბოხეთა შორისაც სრული წესრიგია, მაგრამ ვერც ქაქუცას და ვერც მის გარშემომყოფთ ვერ წარმოუდგენიათ, რომ სათქმელი პირდაპირ არ ითქვას, განცდები შეულამაზებლად არ გამოიხატოს.

ესეც ის დემოკრატიზმი, რაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის ირგვლივ სუფევს.

ამ მხრივაც უშუალო მემკვიდრეა ალექსანდრე ბატონიშვილის, რუსული სამხედრო ექსპანსიის წინააღმდეგ

ბრძოლისას თავისი დიდ წინამორბედის. იმასაც ასევე აღმერთებდნენ და... თან ტოლებივით ექცეოდნენ თანამებრძოლნი.

ორივეს არქეტიპი კი მეფე ერეკლეა, მონარქისათვის გამაოგნებელი დემოკრატიზმით რომ მართავდა სამეფოს და წინამძღოლობდა ბრძოლებს — ხატივით დაესვენებინათ მისი სახება მთიელებს, მისი ხილვისას თითქოს უფალი გამოცხადებოდეთ და... თან ისე შინაურულად ეპყრობოდნენ, საყვედურსაც ისე ადვილად ჰკადრებდნენ, ვითომდა მათი ტოლ-სწორი ყოფილიყოს.




აშკარაა, იმისათვის ეს არ არის მხოლოდ შეთვისებული ხერხი თუ მეთოდი, უპირველესად თანდაყოლილია, უშურველი ბუნების კაცია, თავმდაბალი და პატიოსანი, და ადამიანებსაც პირადი ღირსებებით აფასებს და არა მონარქობის გადმოსახედიდან.

„არქეტიპი" ერეკლე მეორეზე ხანმოკლე ჟამის მიხედვით ითქვა, თორემ ამ ბუნების პიროვნებებით გადახუნძლულია ბაგრატიონთა საგვარეულო შტო.

გვარი განსაზღვრავდა ალექსანდრე ბატონიშვილის ურთიერთობის სტილსაც, ბაგრატიონული მოვალეობა.

და ქაქუცას ურთიერთობის სტილსაც გვარი განსაზღვრავდა, ჩოლოყაშვილური მოვალეობა.

მე თავგადადებული კაცი ვარო...

ერთი ადამიანიც ვერ გაემეტებინა და, მითუფრო, ხევსურეთს ვერ დაუთმობდა რუსებს ამოსაჟლეტ-ამოსაბუგად, და როდესაც ჩაინამქრებოდა უკანასკნელი იმედიც, რომ პირველი წარმატებების შემდეგ აჯანყებულნი ველარ შეაჩერებდნენ წითელი რაზმების წინსვლას, გულატირებული გამოეცლებოდა იქაურობას.

მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო" ისედაც მიგვანიშნებდა ამ ტრაგიკულ ჟამს ხევსურეთისათვის — წითელი ეშმას შემოჭრა ქარაგმულად გულისხმობდა აჯანყების ეპოპეას. დოკუმენტური მხარის გამოხატვას აერიდებოდა მწერალი — მკაცრი საცენზურო პირობების გათვალისწინებით, თორემ ეს სტილისტიკა უცხო რომ არ არის მისი მხატვრული ძიებებისათვის, „კვაჭი კვაჭანტირაძეც" გვიდასტურებს და „ქალის ტვირთიც", არაფერი რომ აღარ ითქვას „არსენა მარაბდელზე", ქაქუცა ჩოლოყაშვილის და მისი რაზმის ბედისწერა არსენა ოძელაშვილისა და მის თანამებრძოლთა თავგადასავალს რომ ამოაფარა.

„თეთრ საყელოში" არსადაც გაიელვებს ქაქუცას ლანდი, მაგრამ ტრაგიზმის სუნთქვა ძალუმად მოისმის და ამაოდ ლამობდა მიხეილ ჯავახიშვილი ჩეკისტური კრიტიკის აცდენას სწორი გზიდან. ეს ჟან-ჟაკ რუსოო, ეს კნუტ ჰამსუნიო, მათსავით ვცდილობ შევუპირისპირო პირველყოფილება და ცივილიზაცია და უპირატესობა ცივილიზაციას მივანიჭოო. ჩანდა, მკაფიოდ ჩანდა, რა ნესტრითაც დაჭრილიყო და ახლა ივანე ლიქოკელის „ხევსურები და ქაქუცა" თითქოს ამ რომანის ისტორიულ-დოკუმენტური ფონია, მის ვრცელ ექსკურსთა კრებული.

ეს განცდა რომ გიჩნდება, უკვე თავისთავად ნიშნავს ამ მონოგრაფიის ღირსებას, თორემ ამ რანგის რომანის ფონად თუ ვრცელ კომენტარებად ეგრე იოლად არაფერი გამოდგება.

და ამ მიმალული სამყაროს — 1922 წლის აჯანყების ეპოპეა რასაც შემოფარგლავს — აღსადგენად მკვლევარი იმ სიძნელის წინაშეც აღმოჩნდებოდა, რომ მემუარების ავტორები უკიდურესად ერიდებოდნენ პერსონალურ დეტალიზაციას — მებრძოლთა ბედზე ზრუნავდნენ და იმიტომ: ემიგრაციაში თავშეფარებულებმა ხომ აღარაფერი უწყოდნენ ამბოხებულებსა და მათ ოჯახებზე და, რა გასაკვირია, ეფრთხილათ, ჩვენდაუნებურად დამსმენები არ აღმოვჩნდეთო. ბოლშევიკურ-კომუნისტური ხელისუფლება როდის დაგიდევდა თუნდაც ხანგრძლივი დროის ჩავლას, ისედაც მიზეზებს დაეძებდნენ და ხელში თუ შეაჩეჩებდი გვარ-სახელებს, ან იმათ, ან მათი ოჯახის წევრებს რა ხეირი დაეყრებოდათ.

ამიტომ ერჩივნათ ვინაობის გასაიდუმლოება ანდა შეთხზული გვარ-სახელებით შემოყვანა თხრობაში — თითქოს ისტორიული დრამის კი არა, მხატვრული ქმნილების პერსონაჟები ყოფილიყვნენ.

გულუბრყვილო მკვლევარი იქნებ კიდეც წასდავებოდა, ვთქვათ, ალექსანდრე სულხანიშვილს, დიმიტრი ცისკარაულსა და აბიკა გიგაურს ჭინჭარაულებად რატომ იხსენიებს, ეჭვშეუვალად დასტურდებოდა მათი ნამდვილი ვინაობაო... მაგრამ ამ მოვლენის არსში გარკვეულთათვის ყოველივე ცხადზე ცხადია. ეგაა, დაზუსტებისას გექმნება დამატებითი სირთულე, ვითომ უამისოდაც არ გიძნელდებოდეს გზის გაგნება ჩამობურულ სივრცეში.

ველარც გაიმართებოდა წელში ხევსურეთი ამ რბევის შემდეგ, კაცთმოყვარეობისა და მხსნელთა ნიღბით შემოსული რუსეთი ერთბაშად რომ გაიშიშვლებდა თავს უმწეო, მშვიდობიან მცხოვრებთა დევნა-ანიოკებითა და სოფლებისა და სარჩო-საბადებელთა გადაწვით. რაზმებს ველარ მოუყრიდნენ თავს 1924 წლის აგვისტოსათვის, თუმც ჰეროიკულ სულს ჩაკვლით რა ჩაკლავდა და არაერთი ხევსური გამოჩნდებოდა ამბოხების ბაირაღის ქვეშ, წინასწარვე განწირული ბრძოლის ავანსცენაზე, და თავის სისხლს შეუერთებდა იმ მწუხარე ჟამის ტრაგიკულ სურათებს.

უკან მოეტოვებინათ დიდი დღეები, პირველ გამარჯვებათა სიხარულიც სადღაც ჩარჩენილიყო და ველარც გაიმეორებდნენ გველეშაპის წიაღში ჩანთქმულნი, ველარც იმ ზაფხულის ეპოპეის მთლიან სიუჟეტურ ქარგას შეინარჩუნებდნენ და ერთ ძაფად მიეკერებოდნენ 24 წლის მგზნებარე ამოფრქვევას, რომანიც სტრიქონთა და სტრიქონთა შუა რომ იგულისხმებდა და... მეტს ველარ გადაწვდებოდა.

მაინც არ განწირულა განგებისაგან, წუთისოფლისაგან განწირული, და ბოლოსდაბოლოს აღიდგენდა იმ სიუჟეტს, ისტორიამ რაც განუსაზღვრა.

სიუჟეტს — კიდევ ერთ მადლიან მასალას მწერლისათვის, თორემ სული სულად, მაგრამ მაინც დასანანია ამხელა მღელვარება და ისტორიულ პირთა ამისთანა გალერეა სტრიქონებს შორის ჩასაკარგავად.

გუბაზ მეგრელიძე

# გრიგოლ რობაქიძის უცნობი წერილი

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ქართველ მკითხველში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია მოსაძიებელი და გამოსაქვეყნებელი.

საზოგადოებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გრიგოლ რობაქიძის წერილი ცნობილი ქართველი მწერლის ეკატერინე გაბაშვილისადმი (საქ. ლიტერატურა და ხელოვნების სახ. არქივი. ფ. 177. ანაწერი 2ს, საქმე №1). იგი დაწერილია 1902 წელს და გვამცნობს უმაღლესი განათლების მისაღებად ავტორის სამზადისს ლაიფციგის უნივერსიტეტში გასამგზავრებლად, სადაც 1906 წლამდე სწავლობდა.

წერილის ბოლოს მოხსენიებულია ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი რევაზ გაბაშვილი (1882-1969). მან 1902 წელს დაამთავრა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია. იმავე წელს გრიგოლ რობაქიძის რჩევით გაემგზავრა ბელგიაში და შევიდა ლიეჟის მონტეფიორის სახელობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც 1905 წლამდე სწავლობდა (დაწვრილებით იხ. გ. შარაძის წერილი, „თბილისი", 1989 წ. 29 მაისი).

*16 აგვისტო 1902 წ.*

დიდათ პატივცემულო ეკატერინე!

ვისურვებ თქვენს მშვიდობას და კეთილად წარმატებას! ვისურვებ, რომ თქვენი კალამი ისევ მაკურნებლად ხვდებოდეს დაჩაგრულთ გულს... აქ ვსვამ წერტილს, მეტის თქმა არ შემიძლია...

პირველად უნდა ვაღიარო ჩემი დანაშაული, რომ წერილით არაფერი გაცნობეთ. მაგრამ, რა ვქნა, როცა ერთი ახირებული თვისება მჭირს: წერილი დაწერილიც რომ მქონდეს, მაშინაც კი მირჩება გაუგზავნელი... „დღეს-ხვალ... დღეს-ხვალ" — აი, ორი სიტყვა რომელიც საუკეთესოდ ახასიათებს ამგვარ მდგომარეობას... ვეცდები, შემდგომში მაინც გადავაგდო ეს ჩვეულება.

ჩემი საქმე ამგვარათაა. ივნისის შუა რიცხვებში „ირაკლის ფონდს" მივმართე და პირველად საერთოდ გადამიწყვიტეს ხუთმეტ თუმნამდე გერმანიაში ნასასვლელათ (სამგზავრო ფული). მეც ამ ფულს ველი დღე-დღეზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი მიმილია. ამ ბოლო ხანში ქუთაისში ვნახე ბ-ნი კიტა აბაშიძე და მან გადმომცა, რომ სანამ ყველა თბილისში არ შევიკრიბებით, მანამ ფულის გაცემა უხერხულიაო. მათი შეკრება კი ენკენისთვის შუა რიცხვებამდის არ მოხდება: უნდა ვუცადო, მეტი რა ღონეა!..

რაც შეეხება თვიურ სტიპენდიას, ამაზე ამ ფონდში ზოგი თანახმაა და ზოგი არა. დამაბრკოლებელი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მე უნივერსიტეტი არ დამიმთავრებია, რაც ეწინააღმდეგება მათ პრინციპიალურ დადგენილებას... ასე რომ ჯერ-ჯერობით ეს საკითხია და ვერაფერს ვიტყვი... თუ არაფერი იქნა, იმ შემთხვევაში იმედი მაქვს, ერთ პატარა წრიდგან 30-40 მან. მიგზავნონ თვიურად... ასე ამგვარადაა ჩემი საქმე. დოკუმენტები გამოვიწერე და კიდეც მომივიდა...

როგორც შევიტყვე, რეზიკო საზღვარგარეთ აპირებს წასვლას. ეს ძლიერ სასიამოვნოა და ჩემი მხრითაც ვურჩევ, მარტო იქ წავიდეს (ბელგიაში). აქ, რუსეთში მომავალი წლიდგან დიდი სისხლის ღვრა იქმნება. ეს ნამდვილ წყაროებიდან გავიგე. ესეც არ იყოს, იმისთანა ნიჭიერ ყმაწვილისათვის, როგორიც რეზიკოა, რუსეთი მხოლოდ ჯოჯოხეთი იქნება. მე თუ მომიცდის, კარგი იქნება — ერთად წავალთ. დაბრკოლებით არ დაბრკოლდება, რადგან იქ (ყველგან) ნოემბერშია მიღება...

თუ თქვენ მად დარჩებით ამ თვის ბოლომდი მაინც, შეიძლება მე ამოვიდე პირდაპირ ახალქალაქში. თუ არა, თბილისში მაინც გნახავთ...

ვიკითხავ ნრფელის გულით ყველას...

თქვენი პატივისმცემელი

**გრიგოლ რობაქიძე**

პარმენმა მოგიკითხათ. მარიამას ბულვარში თქვენი ძმის ქალიშვილი ვნახე და ისე გამეხარდა, რომ თქვენ სახლში მეგონა ჩემი თავი...

## ქრონიკა

2-7 დეკემბერს ვარშავის უნივერსიტეტიში მიმდინარე პოლონურ-კავკასიურ სემინარს ესწრება გორის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი. მასში მონაწილეობენ სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და საქართველოდან. კონფერენციის მიზანია კავკასიაზე რუსეთის გავლენის ანალიზი.

კონფერენციაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა გორის უნივერიტეტში მომზადებული სლაიდების პრეზენტაციას აგვისტოს მოვლენების შესახებ.



ზაზა ცოტნიაშვილი

4 აგვისტოს ვარშავის უნივერსიტეტში გაიხსნა წმინდა გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. საქართველოდან მოწვეულ სტუმრებს შორის იყვენე მეუფე ანდრია და პროფ. ზაზა ცოტნიაშვილი. დამსწრე საზოგადოებისათვის საინტერესო აღმოჩნდა მეუფე ანდრიას გამოსვლა და ყველასთვის მოულოდნელად აგვისტოს ომის დროს ნატყვიარევი გორის უნივერსიტეტის დროშის გამოჩენა დარბაზში, რომელიც უნივერსიტეტის რექტორს გადასცა ცნობლი ჰუმანიტარული ორგანიზაციის „მალტის ორდენის" თავმჯდომარემ პან ჰენრიკ ბიაზცკიმ. ზაზა ცოტნიაშვილმა დიდი მადლიერება გმაოხატა გორის უნივერსიტეტის სახელით ასეთი მნიშვნელოვანი რელიქვიის დაბრუნებისათვის და პოლონელი ხალხის მიერ გაწეული დიდ დახმარებისათვის ქართველი ხალხისადმი.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე პოლონურ უნივერსიტეტთან სამომვალო თანამშრომლობის შესახებ

ფრიდრიხ დიურენმატი

# მართლმსაჯულება

კოლერის ლია ბარათმა, რომელიც პიროშიმიდან გამომიგზავნა, საბოლოოდ დამამშვიდა. იქიდან სინგაპურში აპირებს წასვლას. ასე რომ, დრო საკმაოდ მაქვს. მოვასწრებ ყველაზე მთავარი გიამბოთ, თუნდაც ეს სისულელედ მოგეჩვენოთ. ასეთ სისულელისთვის ფინანსური პრობლემებიც კი არაა გამართლება. ჩემი ანგარიშები შტუსი-ლოიპინს გადავუგზავნე, რომელმაც ორი დღის შემდეგ მიმიღო თავის სასტუმრო ოთახში, ქალაქის ფარგლებს გარეთ. თუმცა "სასტუმრო ოთახი" ზუსტი ნათქვამი არაა, უფრო სწორი იქნებოდა, "არასტუმართმოყვარე დარბაზი" მეთქვა. იგი უზარმაზარია, ალბათ 20 მეტრი 20-ზე. სამი კედელი მთლიანად შუშისაა, ერთი კედლის იქით ძველებური პატარა ქალაქი მოჩანს, რომელსაც, მართალია, ავტობანი არ შეხებია, მაგრამ, სამაგიეროდ, მანქანებითაა სავსე და ღამით რაღაც არაამქვეყნიურ შუქშია გახვეული — ძველი კედლების გასწვრივ განათებულ წერტილთა ჯაჭვებია გაბმული. დანარჩენი ორი კედლის იქით ქვევიდან განათებული ლოდები და მრავალტონიანი ერატიული ბლოკები მოჩანს, რომლებსაც ოდნავ ეტყობა მოქანდაკის საჭრეთლის კვალი — ეს მოკის ნახელავია. მისი მეგალითები გრანიტის ღმერთები გეგონებათ, რომლებიც ოდესღაც ბატონობდნენ დედამიწაზე, მანამდე, სანამ მას ადამიანები დაეპატრონებოდნენ. ეს მათ აღმართეს მთები და ხმელეთი კონტინენტებად დაგლიჯეს. ქვის მონოლითებიდან სასტუმრო ოთახს გიგანტური ფალოსისმაგვარი ჩრდილები ეცემოდა. თვითონ ოთახში საკონცერტო როიალის გარდა მხოლოდ ორი სავარძელი იდგა. როიალი თითქმის შესასვლელთან მიეჩოჩებინათ — ინსტრუმენტისთვის უფრო შეუფერებელი ადგილი ძნელი წარმოსადგენია. ვიწრო ხის კიბე ანტრესოლში ადიოდა, სადაც, როგორც ჩანს, ძალიან პატარა ოთახები იყო, რადგან სახლი გარედან ერთსართულიანი ჩანდა, ქალაქის მხრიდან კი საერთოდ ბუნგალო გეგონებოდათ. ერთ-ერთ სავარძელში გაუნძრევლად იჯდა ჩემი ყოფილი შეფი და შლაფროკი ეფარა. ოთახს მხოლოდ ერთი ტორშერი ანათებდა. ჩავახველე. არც განძრეულა. ფერად, საგულდაგულოდ შერჩეულ მარმარილოს ფილებზე რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, შტუსი-ლოიპინი ისევ გაუნძრევლად იჯდა. მეორე სავარძელში ჩავჯექი და ტყავის ზღვაში ჩავიძირე. ჩემს ფეხებთან იატაკზე მოწნული კალათა დავინახე, შიგ წითელი ღვინის ბოთლი, ტიტას ფორმის ბროლის ჭიქა და თხილით სავსე თეფში იდო. ასეთივე კალათა შტუსი-ლოიპინის სავარძელთანაც აღმოვაჩინე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქვე ტელეფონიც იდგა. ყურადღებით დავაკვირდი მძინარე შტუსი-ლოიპინს. ვერლენის დახატული პორტრეტი გამახსენდა: წინათ ის უტრირებული მეგონა, ახლა კი მივხვდი, რომ მხატვარი ღრმად ჩასწვდა ადვოკატის ბუნებას. აწეწილი, ჭაღარა, მატყლის მსგავსი თმები გლეხის უხეშად გამოთლილ, კვადრატულ თავის ქალას უფარავდა. ცხვირი კოჟრიან კარტოფილს მიუგავდა, სახეზე ღრმა ნაოჭები ეტყობოდა, კუთხოვანი ქვედა ყბა და ჯიუტი პირი ჰქონდა. მის სახეს ნაცნობი და ამავე დროს იდუმალი პეიზაჟივით ვათვალიერებდი, რადგან პრინციპში შტუსი-ლოიპინის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წელი ვმუშაობდი მასთან, საქმის გარდა თითქმის არაფერზე ვსაუბრობდით. შეიძლება, ამიტომაც აღარ გავჩერდი მასთან.

მოთმინებით ველოდი მის გაღვიძებას. უეცრად სათვალის შუშებიდან მისმა გაოცებულმა ბავშვურმა თვალებმა შემომანათა.

— რატომ არ სვამთ, შპეტ? — მკითხა მხიარული ხმით, თითქოს წუთის წინ არ ეძინა (იქნებ არც ეძინა?).— დაისხით, მეც თქვენთან ერთად დავლევ.

დავლიეთ. უხმოდ მიყურებდა და რაღაცაზე ფიქრობდა.

ვიდრე შექმნილ სირთულეებზე ვილაპარაკებთ, დაიწყო მან, უნდა დავფიქრდეთ, საიდან წარმოიშვა ეს სირთულეები, თუმცა ეს კერძო შენიშვნაა, რომელიც იმ სირთულეებს ეხება, რომელთა გამოც მასთან მოვედი, აჰ, პარდონ, "პორშეთი" მოვსულვარ, ღმერთო, რა კეთილშობილურია.

გაიცინა, როგორც ჩანს, რაღაცამ გაამხიარულა, ღვინო მოსვა და მკითხა, ჩემი ცხოვრების ისტორიას თუ იცნობო. არა? გასაგებია. მაშ ასე, იგი მეშახტის შვილია. მისმა ოჯახმა შტუსი-ლოიპინის გვარი იმიტომ აიღო, რომ ვინმეს შტუსი-ბირლინებში არ შეშლოდა. შტუსი-ბირლინებთან კი მის ოჯახს საუკუნეების მანძილზე შუღლი ჰქონდა კარტოფილის მინდვრის გამო, ეს მინდორი ისეთ ციცაბოზე იყო, რომ ყოველ წელს მიწას თავიდან აყრიდნენ, მიწა კი ზურგით ამოჰქონდათ ბარიდან. მოსავალი იმდენი მოდიოდა, რომ უკეთეს შემთხვევაში სამი-ოთხი ტაფა შემწვარი კარტოფილისთვის კმაროდა, მაგრამ მაინც ამ მინდვრის გამო ჩხუბობდნენ, ერთმანეთს სასამართლოში უჩიოდნენ და ხოცავდნენ. ასეა დღემდე. მოკლედ, მან უნივერსიტეტი დაამთავრა და მშობლიურ სოფელ შტუსიში ადვოკატად დაბრუნდა, იქ ხომ მხოლოდ შტუსი-ლოიპინები და შტუსი-ბირლინები კი არ მტრობენ ერთმანეთს, არამედ შტუსი-მოოზებიც, შტუსი-ზიუტერლინებიც და საერთოდ ყველა შტუსი უკლებლივ. და ამ მთის ბუდეში, მისმინეთ, შპეტ, მკვლელობის, ქურდობის, ცრუმოწმეობის, ცილისწამების, სისხლის აღრევის ამ საზარელ გორგალში, მან, შტუსი-ლოიპინმა, თავისი კარიერის პირველი წლები გაატარა. ადვოკატი გახდა, ანუ, როგორც სოფლად იტყვიან, შუამავალი. მაგრამ ცივილიზაცია და მართლმსაჯულება კი არ შეჰქონდა მთის სოფელში, პირიქით, ზრუნავდა, არ შეაღწიოსო: რადგან გლეხი, რომელმაც განაცხადა, ჩემი დედაბერი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდაო, თვითონ კი მოსამსახურე გოგო მოიყვანა ცოლად, მაინც მეტ სარგებლობას მოიტანს თავის კარ-მიდამოში, ვიდრე ციხეში. ასევე გლეხის ქალი, რომელმაც თავის კანონიერ მეუღლეს დარიშხანი აჭამა და მეზობლის ბიჭთან დაიწყო ცხოვრება. გადავსებული ციხეები სახელმწიფოს ძვირი უჯდება, სამაგიეროდ, ცარიელ მინდვრებს და ბოსტნებს სარეველა ეპატრონება, ნიადაგი კი იფიტება და ბარში მეწყერად ჩამოდის.

* დასასრული იხ. „ჩვენი მწერლობა", № 23-25

ისევ გაიცინა.

— ღმერთო, რა დრო იყო, —თქვა გაოცებულმა. — რა ბზიკმა მიკბინა მაშინ, არ ვიცი, მაგრამ ფონ მელხიორის გვარის ქალზე ვიქორწინე. ჩვენს ქალაქში ჩამოვედი და წარმატებული ადვოკატი გავხდი. გარეთ რა ხდება?

— ფენია. დეკემბრისთვის ზედმეტად თბილა. გაზაფხულივით, — ვუპასუხე მე.

— გარეთ ხომ არ გავსულიყავით?

— სიამოვნებით.

— თუმცა "გავსულიყავით" მთლად სწორი ნათქვამი არაა.. —მითხრა შტუსი-ლოიპინმა და რაღაც ღილაკს დააჭირა თითი თავისი სავარძლის სახელურზე, რის შედეგადაც შუშის კედლები იატაკში ჩავიდა, პროჟექტორები კი, რომლებიც მონოლითებს ანათებდა, ჩაქრა. ჩვენ ჰაერში ჩამოკიდებულ ბეტონის ჭერქვეშ ამოვჩნდით, მართლაც გარეთ მხოლოდ ტორშერი გვინათებდა.

ეს კონსტრუქცია ძალიან ძვირი დაჯდა, შენიშნა შტუსი-ლოიპინმა, თან გაშტერებული წინ იყურებოდა, მე მგონი, ხანდახან თავი ფიურერი ჰგონია რეიხსკანცელარიაში. მაგრამ რას იზამ, შპეტ, სუპერადვოკატს ვან დერ ჰოისენის ფულიც უნდა ჰქონდეს, თუმცა პირადად მას ფრიდლი ურჩევნია. რას იზამ, მოდაა. ახლა კი აქ მარტო ზის, ოდესღაც ამ დარბაზში ქეიფებს აწყობდა, მაგრამ იმ პატარა ქალაქის მცხოვრებლებმა უჩივლეს, მოკლედ.. ეგ საქმეს არ ეხება, აქაური ავეჯი გაყიდა, სულ მოდერნული რამეები..

ისევ შეივსო ჭიქა და მითხრა:

— აბა, შპეტ, საქმეს მივხედოთ.

კოლერის შესახებ მოვუყევი.

შტუსი-ლოიპინმა დამთავრება არ მაცალა, მითხრა, კურსში ვარო, დასძინა, კნულპეები უკვე იყვნენ ჩემთანო. ჩემს შესახებ კი ელენმა უთხრა, გარდა ამისა, ლინჰარდის შეგროვილი მასალებიც წაკითხული აქვს.

ჩემი მოსაზრებები გავუზიარე კოლერის მოტივის შესახებ, ელენის ეჭვებზეც მოვუყევი, ვითომ კოლერი ვილაცამ აიძულა, მკვლელობა ჩაედინა. მოვუყევი ჩემი ვიზიტის შესახებ მონიკა შტაიერმანთან, ბოლოს ისიც ვუთხარი, როგორ გამომეცხადა ბენო ჩემს ოფისში.

— იშვიათი შანსი მოგეცათ, ახალგაზრდავ!— წამოიძახა შტუსი-ლოიპინმა და ღვინო მოსვა.

— რალაც არა მგონია, — წავიბურტყუნე.

— როგორ არა გგონიათ, აბა, ჩემთან რისთვის მოხვედით. მოდით ცოტა ხნით კოლერის თამაშის წესები მივილოთ. ვთქვათ, მას არ მოუკლავს ვინტერი, ახალი მკვლელის პოვნაზე ადვილი რაღაა! ეს მხოლოდ ბენო შეიძლება იყოს. იმიტომაც შეფუცხუნდა. 20 მილიონი გაფლანგა ცრუ-მონიკას ხელისშეწყობით, ნიშნობა ჩაიშალა. ბენო გაკოტრდა და ვინტერი მოკლა. Vოილთ! ასეთი ვერსია სავსებით დააკმაყოფილებს თქვენ შემკვეთს.

შტუსი-ლოიპინმა თავის ჭიქას შუქზე გახედა. ქალაქის მხრიდან მანქანების სიგნალთა ხმა მოგვესმა: ის რამდენიმე წუთს გაგრძელდა, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორ უძრავად იდგა ფარების სინათლეები, ორი შემხვედრი ავტოკოლონა შეეჯახა ერთმანეთს.

შტუსი-ლოიპინმა გაიცინა.

— მაინცდამაინც ამ ცხვირმოუხოცავს რომ ერგო ასეთი საინტერესო საქმე! ეს ხომ ერთ-ერთი საუკეთესო აპელაცია იქნება, რაც კი ოდესმე მინახავს.

— აპელაციის შეტანა ჩემთვის არავის არ დაუვალებია.

— მაგრამ საქმე აქეთკენ მიდის.

— ვინტერი კოლერმა მოკლა — ვუთხარი დაბეჯითებით.

შტუსი-ლოიპინს გულწრფელად გაუკვირდა.

— მერე რა? თქვენ რა, საკუთარი თვალით ნახეთ?

ხის კიბეზე რალაც შავი ფიგურა დაეშვა და ჩვენკენ წამოვიდა. ეს მღვდელი იყო, ხელში პატარა ჩანთა ეჭირა. შეჩერდა, ჩაახველა, შუშის კედლებმა ამასობაში თავისი ძველი პოზიცია დაიკავა, პროჟექტორები აინთო, გრანიტის ღმერთების ჩრდილები ისევ დაეცა ახლა უკვე ყოველი მხრიდან დახურულ ოთახს. მღვდელი მოხუცი იყო და ოდნავ კოჭლობდა, სახე დანაოჭებოდა.

— თქვენმა მეუღლემ უკანასკნელი ზიარება მიიღო, — თქვა მან.

— კარგია, — მიუგო შტუსი-ლოიპინმა.

— მისთვის ვილოცებ, —დაარწმუნა მღვდელმა.

— ვისთვის?— ჰკითხა შტუსი-ლოიპინმა.

— თქვენი მეუღლისთვის. — დააზუსტა მღვდელმა.

— ასეთია თქვენი პროფესია, — გულგრილად უთხრა შტუსი-ლოიპინმა ისე, რომ მისკენ თავიც კი არ მოუბრუნებია. მღვდელმა რალაც წაიბუტბუტა და კარისკენ წავიდა, იქ მოსამსახურე ქალი დახვდა, ის, რომელმაც კარი გამიღო, და გააცილა.

— ჩემი ცოლი კვდება, — თქვა შტუსი-ლოიპინმა.

— ღმერთო, თუ ასეა.. — დავიბენი და სავარძლიდან წამოვდექი.

— დაჯექით, შპეტ, რა ცერემონიებია, — მითხრა შტუსი-ლოიპინმა.

დავჯექი, შტუსი-ლოიპინმა ისევ შეივსო ჭიქა. კედლები დაეშვა, პროჟექტორები ჩაქრა, ჩვენ ისევ ბაღში აღმოვჩნდით. მასპინძელი გაშტერებული იყურებოდა პირდაპირ.

— ჩემს ცოლს კეთილშობილება ყოფნის, სიკვდილის სარეცელთან ჯდომის არასასიამოვნო მოვალეობისგან გამათავისუფლოს, — თქვა გულგრილად. —თანაც მღვდელმა უკვე მოინახულა, ახლა იქ ექიმი და მოწყალების და არიან. ჩემი ცოლი, რომ იცოდეთ, შპეტ, არა მარტო უბედურად მდიდარი და კათოლიკურად ღვთისმოსავი იყო, არამედ უბედურად ლამაზიც. რა სასაცილოა ჩვენი შვეიცარიული გერმანული, არა? მთელი ცხოვრება მატყუებდა. ექიმი, რომელიც ახლა მასთანაა, მისი უკანასკნელი საყვარელი იყო. თუმცა მისი მესმის, ჩემნაირი კაცი ქალისთვის ნამდვილი შხამია.

ისევ გაიცინა და ყოველგვარი შესავლის გარეშე შეცვალა თემა. მითხრა, რომ ნამდვილი სულელი ვარ, თუ დოქტორი ისააკ კოლერი მართლა დამნაშავედ მიმაჩნია. ისე სიმართლე რომ ვთქვათ, თვითონაც ასე თვლის. მართალია, მოწმეების ჩვენებებში ბევრი უზუსტობაა, იარალიც გაიკარგა, არც მოტივი ჩანს, მაგრამ კოლერი მაინც დამნაშავედ აღიარეს. მერედა რატომ? იმიტომ, რომ მკვლელობა ხალხით სავსე რესტორანში მოხდა. სასწაულით იქ მყოფებმა ეს რალაცნაირად შეამჩნიეს, თუმცა წი-

ნააღმდეგობრივ ჩვენებებს იძლევიან. ესე იგი, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად არ ვიცით, რა მოხდა, ბრალეულობა დამტკიცებულია. ამან ჯერ კიდევ სასამართლო პროცესის დროს გააკვირვა. არც რევოლვერი გახსენებია არავის, არც მოწმეები დაკითხეს ხეირიანად, მოსამართლე პოლიციის უფროსის ჩვენებით დაკმაყოფილდა, რომელიც თუმცა იქვე ახლოს იჯდა, მაგრამ დაბეჯითებით არც ერთხელ არ უთქვამს, რომ მკვლელობა საკუთარი თვალით ვნახეო. ადვოკატი ხომ საერთოდ ცარიელი ადგილი იყო, იემერლინი კი პირიქით, — მშვენიერ ფორმაში. ნესიერი ადვიკატი ქვას ქვაზე არ დატოვებდა ასეთი ბრალდებიდან. კოლერმა საინტერესო დავალება მომცა, რადგანაც მე ბილიარდის თამაში არ ვიცი.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა დამარწმუნა, რომ შტუსი-ლოიპინი ყურადღებით მისმენდა, როდესაც ჩემს მოსაზრებებს ვუზიარებდი მკვლელობის მოტივის შესახებ: ვამბობდი, კოლერმა იმიტომ ესროლა ვინტერს, რომ საზოგადოებრივი კანონების შესწავლა უნდოდა, მოტივი კი იმიტომ დამალა, რომ სასამართლო მაინც არ დაუჯერებდა. ძვირფასო მეგობარო, მას, შტუსი-ლოიპინს, ამ საკითხის ირგვლივ შემდეგის თქმა შეუძლია: ასეთ მოტივს მწერალი თუ გამოიგონებდა, თუმცა მე მართალი ვარ, როდესაც ვამტკიცებ, რომ კოლერისნაირ ადამიანს მოტივიც უცნაური უნდა ჰქონდეს. უცნაური კი ბატონო, მაგრამ უშუალოდ როგორი?

შტუსი-ლოიპინი ჩაფიქრდა.

— მცდარი დასკვნა გამოიგიტანიათ, — თქვა მან, — და იცით რატომ? იმიტომ, რომ ბილიარდს არ თამაშობთ. კოლერმა ა ლა ბანდე ითამაშა.

— დიახ, — გამახსენდა უცებ, — ერთხელ ზუსტად ასე მითხრა. "თეატრალურში". " ლა ბანდე, აი, როგორ უნდა გაუსწორდე ბენოს."

— მერე როგორ დაარტყა?— დაინტერესდა შტუსი-ლოიპინი.

— რა ვიცი, — ვცდილობდი გამეხსენებინა, — მგონი ბურთი ბორტს მიარტყა და იქიდან ბენოს ბურთს მოხვდა.

შტუსი-ლოიპინმა ღვინო მოსვა.

— კოლერმა ვინტერი იმიტომ მოკლა, რომ ბენოს განადგურება უნდოდა.

— კი მაგრამ, რატომ?— ვკითხე დაბნეულმა.

— შპეტ, თქვენ იმაზე გულუბრყვილო ყოფილხართ, ვიდრე მეგონა. — გაოცება ვერ დამალა შტუსი-ლოიპინმა. — არადა, ქალბატონმა შტაიერმანმა პასუხი გიკარნახათ. კოლერს მისი საქმეები მიყავს. ციხიდანაც კი, მარტო კალათებს კი არ წნავს! ერთმანეთი სჭირდებათ, ლუდევიცი დიდ როლს არ თამაშობს. კოლერის ქალიშვილი გარკვეულწილად მართალია. კოლერმა მკვლელობა ნაწილობრივ თავაზიანობის გამო ჩაიდინა. რატომაც არა? შანტაჟს ჰგავს. შტაიერმანს ურიცხვი მილიონები აქვს, ის 20 მილიონიც მისი იყო, კოლერმა, ალბათ, ცნობები შეკრიბა, მერე კი ბენო ვინტერის საშუალებით გაანადგურა. შტაიერმანის სურვილის თანახმად. შეიძლება მას ეს სურვილი ხმამაღლა არც გამოუთქვამს, მაგრამ კოლერი მიუხვდა.

— სიგიჟეა, — ვუპასუხე მე. — შტაიერმანს ბენო უყვარდა, რადგან იგი დაფნას უყვარდა, და მხოლოდ მას შემდეგ თქვა მასზე უარი, რაც დაფნამ გადაიყვარა.

— რეალობა კიდევ უფრო დიდი სიგიჟეა, — მითხრა შტუსი-ლოიპინმა.

— არც ერთი ადამიანი არ დაიჯერებს ამას, — ვთქვი მე.

— მართალია, არც ერთი ადამიანი, არც ერთი მოსამართლე, იემერლინიც კი. რადგან ჭეშმარიტება იუსტიციისთვის მიუწვდომელ დონეებზე თამაშდება. თუ ახალი პროცესი დაინიშნა, ერთადერთი, რაც მოსამართლეებმა შეიძლება გადაწყვიტონ, ესაა: ვინტერი ბენომ მოკლა. რადგან მხოლოდ მას აქვს მოტივი.

— უდანაშაულოც რომ იყოს?

— რა გაწუხებთ? მისი უდანაშაულობაც ხომ მხოლოდ ვარაუდია. ჩემო მეგობარო, ნუ იტყვით უარს ამ პროცესზე, რამდენიმე წელიწადში ისეთ კარიერას გაიკეთებთ, რომ მე გამიწევთ მეტოქეობას.

ტელეფონმა დარეკა. მან ყურმილი აიღო და ისევ ხმისამოუღებლად დადო.

—ჩემი ცოლი გარდაიცვალა.

— ვიზიარებ თქვენს მწუხარებას.

უნდოდა ჭიქა შეევსო, მაგრამ ბოთლი ცარიელი დახვდა. ავდექი და ჩემი ბოთლიდან დავუსხი.

— მე აღარ დავლევ, საჭესთან უნდა დავჯდე, — ვუთხარი.

— მესმის. "პორშე" ძვირი დაგიჯდათ?

— ბატონო შტუსი-ლოიპინ, მე მაგ პროცესში მონაწილეობას არ ვაპირებ. აღარც კოლერთან მინდა რაიმე საერთო მქონდეს. ამ ანგარიშებს კი უბრალოდ გავანადგურებ.

შტუსი-ლოიპინმა ჭიქას შუქზე გახედა.

— ავანსი რამდენი აიღეთ?

—15000, პლუს 10000 ხარჯებისთვის.

კიბეზე კაცი დაეშვა, ხელში ჩემოდანი ეჭირა, როგორც ჩანს, ეს ექიმი იყო. ბოლო საფეხურზე შეყოვნდა, ეტყობა, ფიქრობდა, მივუახლოვდე თუ არაო, მაგრამ ამ დროს მსახური ქალი გამოჩნდა და გააცილა.

— ვალის გადახდა გაგიჭირდებათ, — განაგრძო შტუსი-ლოიპინმა, — 40 ათასს მოგცემთ და ეგ მასალები დამითმეთ.

შევყოყმანდი.

— თქვენ რა, კოლერის დახმარებას აპირებთ?

დუმდა და ისევ შუქზე გაჰყურებდა თავის "ტალბოს".

— ეგ ჩემი საქმეა. აბა, რას იტყვით?

— ალბათ უნდა დაგითმოთ.

— "უნდა" კი არა, გინდათ.

—შტუსი-ლოიპინ, — ვუთხარი მე, თან ვგრძნობდი, რომ ჩვენს შორის უკვე თანასწორობა იყო, — თუ პროცესი შედგება, მე ბენოს ადვოკატი ვიქნები.

გავტრიალდი და წავედი. ერთ-ერთ მონოლითს რომ გავუსწორდი, შტუსი-ლოიპინის ხმა შემომესმა:

—რაც უნდა იყოს, შპეტ, თქვენ იქ არ ყოფილხართ, და არც მე..

ღვინი გადაკრა და ისევ ჩათვლიმა.

დოქტორ ისააკ კოლერმა დეპეშით შემატყობინა, რომ ზეგ ჩამოდის: მისი თვითმფრინავი 22 საათსა და 15 წუთზე ჩამოფრინდება სინგაპურიდან. მოვკლავ და მერე თავს მოვიკლავ. ასე რომ, მხოლოდ ორი ღამე მრჩება იმისთვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩემი ანგარიში დავამთავრო. კოლერის დეპეშა ჩემთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა, რადგან, სიმართლე რომ ვთქვა, გულის სიღრმეში აღარ მჯეროდა, ოდესმე თუ დაბრუნდებოდა. ვაღიარებ, დავთვერი. "ჰოკში" ვიყავი, ერთ-ერთ გრძელ ხის მაგიდასთან ვიჯექი სხვა ჩემნაირ მთვრალებთან ერთად. გიზელას და იმ გოგოების ხარჯზე ვცხოვრობ, მარკიზის სიკვდილის შემდეგ ჟენევასა და ბერნიდან რომ გადმობარგდნენ. სამაგიეროდ, ბევრი ჩვენი გოგო ჟენევაში და ბერნში წავიდა. უამრავი სამსახურეობრივი გადანაცვლება მოხდა, რომელიც პირადად მე არ მეხება, რადგან ოფიციალურად საქმეების წარმოების უფლება არ გამაჩნია, არაოფიციალურად კი სურვილიც არ მაქვს, მხოლოდ ვზივარ და ველოდები ზეგინდელ დღეს, 22 საათსა და 15 წუთს. ლაკის ადგილი ვინმე ნოლდიმ დაიკავა, მეტსახელად ორქიდეიანმა. მგონი, ზოლოტურნიდანაა, კარიერა ფრანკფურტში გაიკეთა და ახლა გაბლენძილი დადის, მის გოგოებს კი ორქიდეით იცნობ. პოლიცია ცოფებს ყრის, ორქიდეის ტარებას ხომ ვერ აკრძალავ. ერთი ქალბატონი, ბაზელელი იურისტი, ამის გამო დააკავეს: თურმე ღამის პირველ საათზე ბელვიუზე მიდიოდა — ტელედისკუსიიდან ბრუნდებოდა, რომელზეც ქალთა საარჩევნო უფლების შესახებ მსჯელობდნენ — და კაბაზე ორქიდეა ეკეთა. საბუთები თან არ ჰქონდა, საშინელი სკანდალი ატყდა, პოლიციის უფროსის სულელურმა ბოდიშმა კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება, მოკლედ, პოლიციამ თავი გაიმასხარავა. ნოლდიმ ადვოკატად ვიჰერტენი აიყვანა, რომელიც პირწმინდად სოციალური მოსაზრებებით აპირებს გოგოების დაცვას — ბოლოსდაბოლოს, ისინი პატიოსნად იხდიან გადასახადებს. მასაჟის სალონების გახსნის ინიციატივითაც კი გამოვიდა. პირადად მე ნოლდიმ მაგრძნობინა, რომ ჩემი "ცხოვრების წესის" ადამიანი მათ საქმეში არ გამოდგება, მაგრამ სულ რომ არ წავიდე ხელიდან, — ცხონებული ლაკის ხათრით — თავის პერსონალს დაელაპარაკა (ეს მისი სიტყვებია) და "ჰოკში" ჯდომის ნება დამრთო. პოლიციის უფროსსაც აღარ შევუწუხებივარ, როგორც ჩანს, ლაკის, მარკიზის და დაფნას სიკვდილი აღარავის ადარდებს. ასე რომ, მართალია, აღარ მარჩენენ, მაგრამ ცოტას მაინც მეხმარებიან. თუ "ჰოკში" კლიენტები რაღაც-რაღაც მისამართებს მთხოვენ, უსასყიდლოდ ვაძლევ და კლიენტები — უმეტესად ხნიერი ბატონები — სასმელზე მპატიჟებენ. აი, რითი აიხსნება ჩემი აკანკალებული ხელი, რადგან, გამოგიტყდებით, კოლერის ჩამოსვლის ამბავი რომ გავიგე, განუწყვეტლივ დავიწყე სმა, მერე როგორღაც მივაღწიე შპიგელგასეს, და ახლა, ოცი საათის შემდეგ, საწერ მაგიდასთან ვზივარ. საბედნიეროდ, ჩემდა გასაკვირად, შინ ერთი ბოთლი "ჯონი უოკერი" მქონია, თუმცა ბუნდოვნად მაგონდება ერთი კბილის ექიმი ტუნიდან, რომელიც "მონაკოში" გიზელას გავაცანი. გამოდის, რომ "მონაკოდან" დავბრუნებულვარ, და არა "ჰოკიდან", როგორც მეგონა. მოკლედ, ეს ბოთლი დავიმსახურე, გიზელას კი კბილის ექიმი არ მოეწონა, პირიქით, გული გაუსკდა, როდესაც "კლიკოს" მეორე ბოთლის სმის დროს პირიდან პროტეზი გამოიღო, რომელიც საკუთარი ხელით ჰქონია გაკეთებული, და ზედ ამოტვიფრული მონოგრამა გვაჩვენა — ც. ვ., მერე პროტეზით სცადა, გიზელასთვის მკერდზე ეკბინა. გვერდით მაგიდასთან მჯდომ ჰინდელმანს სიცილისგან ცრემლები წამოუვიდა, განსაკუთრებით, როდესაც დანტისტს პროტეზი ხელიდან გაუვარდა და მისი მაგიდის ქვეშ შესრიალდა. ჰინდელმანი მერილინთან ერთად იჯდა. ეს გოგო ახალი ჩამოსული იყო ოლტენიდან, ანუ ნოლდის თანამემამულე გახლდათ, თუმცა მეშლება, ნოლდი ზოლოტურნელია. თუ ოლტენელი? მოკლედ, დანტისტი ოთხზე დადგა და იატაკზე დაიწყო ხოხვა, მაგრამ ამაოდ — ყველანი ხარხარებდნენ და პროტეზს ფეხით აცურებდნენ აქეთ-იქით. ბოლოს გიზელას შეეცოდა, მეც ჩემი ბოთლი მივიღე, ჰინდელმანის სულელურმა ქიხვინმა კი საშინლად მომიშალა ნერვები — კოლერის პროცესზე იგი უსუსური ბრალდების მხარეს წარმოადგენდა. დიახ, არ შემშლია, ახალი პროცესი შედგა, შტუსი-ლოიპინმა აპელაცია შეიტანა იუსტიციის დეპარტამენტში. ისააკ კოლერს ერთხელაც არ უღიარებია, ცნობილი გერმანისტი, პროფესორი ადოლფ ვინტერი მოვკალიო. მხოლოდ მოწმეების ჩვენება არ კმარა, თუ თვითონ ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს, ბოლოსდაბოლოს, მოწმეებიც ადამიანები არიან, ისინი შეიძლება ცდებოდნენ კიდეც. ამიტომ კოლერის საქმე კანტონის სასამართლომ კი არა, ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ უნდა განიხილოს. ამიტომ ძველი განაჩენი უნდა გაუქმდეს და ახალი პროცესი შედგეს. შტუსი-ლოიპინის ამ აპელაციამ დიდი აურზაური გამოიწვია — დაიწყო ოქმების და აქტების გადასინჯვა, რომელმაც, ჩვენი იუსტიციის მეთაურის, მოსე შპრიუნგლინის, გულის გასახეთქად, დაადასტურა, რომ კოლერს ბრალი მართლაც არ უღიარებია. აღიარებად შეცდომით ჩაითვალა კოლერის ფილოსოფიური მიდებ-მოდება, ასე რომ, შპრიუნგლინმა პენსიაზე გაუშვა კანტონის სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე იეგერლენერი. სასამართლო კოლეგიის დანარჩენ ოთხ წევრს და პროკურორ იემერლინს კი საყვედური გამოუცხადა. კოლერის საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაეცა. იემერლინის გამწარებულმა კონტრშეტევამ შედეგი არ გამოიღო, პროტესტი, რომელიც მან ფედერალურ სასამართლოში შეიტანა, ისეთი სენსაციური სისწრაფით უარყვეს, როგორიც ჩვენ ორგანოებს ჩვეულებრივ არ ახასიათებს. ისინი ხომ მუდმივი გადატვირთულობის გამო კუსავით ნელა ირჯებიან. მოკლედ, ახალი პროცესი 1957 წლის აპრილში დაიწყო. იემერლინი ფარ-ხმალს არ ყრიდა და ამჯერადაც აპირებდა ბრალდების მხარეზე გამოსვლას, მაგრამ შტუსი-ლოიპინმა მას, როგორც დაინტერესებულ პირს, აცილება მისცა. იემერლინი გააფთრებული იბრძოდა და მხოლოდ მაშინ დაიხია უკან, როდესაც გაიგო, რომ შტუსი-ლოიპინი მთავარ მოწმედ ლინჰარდის მოყვანას აპირებს. შტუსი-ლოიპინს წინ ვერავინ დაუდგებოდა, თვით ფოიზერიც კი, თანაც მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ საკუთრივ პროცესის შესახებ ჯერ არაფერი მითქვამს, მაგალითად, იმ უბადრუკ როლზე, რომელიც მასში პოლიციის უფროსმა ითამაშა. მან განაცხადა, მკვლელობა საკუთარი თვალით არ მინახავს, უბრალოდ ვივარაუდე, რომ გასროლა კოლერმა მოახდინაო. ერთი სიტყვით. შტუსი-ლოიპინმა ყველა ღილაკს ერთდროულად დააჭირა თითი. ბრწყინვალედ მუშაობდა! მოწმეები ისეთ აბდაუბდას ყვებოდნენ, რომ ნაფიცი მსაჯულები სიცილს ძლივს იკავებდნენ. პუბლიკა

ხომ აღფრთოვანებული იყო. რევოლვერის ამბავი შტუსი-ლოიპინმა, როგორც ნოტებზე, ისე გაითამაშა, და ის, რომ წინა პროცესზე ამ გარემოებას არავინ მიაქცია ყურადღება, ანუ corpus delicti-ის* არარსებობა აინუნში არ ჩააგდეს, თავისთავად საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ ბრალდებული ნივთმტკიცებების სიმცირის გამო გაამართლონ. შტუსი-ლოიპინმა ნელ-ნელა დაიწყო ბენოს თემის წინ წამოწევა: მკვლელობისას ბენო "თეატრალურში" იმყოფებოდა, თანაც შვეიცარიის ყოფილი ჩემპიონია სროლაში, გარდა ამისა, შინ იარაღის კოლექცია აქვს, რომელსაც (ლინჰარდის ინფორმაციის თანახმად) გაყიდვას უპირებს ფინანსური სიძნელეების გამო; დარბაზში ჩურჩული ატყდა. შემდგომ შტუსი-ლოიპინი გადაკვრით შეეხო ბენოსა და ვინტერს შორის არსებულ უთანხმოებას. გადაწყდა, ბენო დაებარებინათ და დაეკითხათ, მაგრამ იგი სასამართლოში არ გამოცხადდა. მე თვითონ უშედეგოდ ვეძებდი. მინდოდა, მისი დაცვა მეკისრა, მაგრამ ამისთვის ბენოსგან გარკვეული ინფორმაციის მიღება მჭირდებოდა. მაგრამ "ცად ამაღლების" ბარში ბენოს ადგილსამყოფელის შესახებ არაფერი იცოდნენ. ფოიხტინგის აზრით, ბენოს დაფნა მალავდა. დაფნა კეთილი გოგოა და ყოფილ საყვარელს გაჭირვებაში არ მიატოვებდაო. ვინმე ემილ ე.-მ, დეზოდორანტების ფირმის კომივოიაჟერმა. რომელმაც ცოტა ხნის წინათ აურორაშტრასეზე დატოვა თავისი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი, თქვა, ჩემი აზრით, ბინაში მამაკაცი ცხოვრობსო. მაგრამ ბენოს ამაოდ ეძებდნენ. პოლიცია ფეხზე დადგა, საქმეში ინტერპოლიც ჩართეს, ანუ დაახლოებით იგივე ხდებოდა, რაც კოლერის დაპატიმრებამდე. დაფნამ პოლიცია ცოცხალი თავით არ შეუშვა შინ და ჩხრეკის ორდერი მოითხოვა. ამასობაში ერთ დილას ილზე ფროიდე სამსახურში მოვიდა, ცელტვეგზე ჩემი ოფისის კარი გააღო და ცნობილი მოფარიკავე და მსროლელი ჭაღზე ჩამოკიდებული იპოვა. ბენო ორპირში ირწეოდა, რადგან ფანჯარა ღია იყო, ილზემ კი, ბუნებრივია, კარიც გააღო. ეტყობა ბენოს ჩემი ოფისის გასაღები შენახული ჰქონდა, ღამით მოვიდა, საწერ მაგიდაზე აძვრა, რომელიც ოდესღაც მას ეკუთვნოდა, ამასობაში კი მე დაფნასთან ერთად... ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე დღე ამდიოდა ხსენებული ემილ ე.-ს ესენციების სუნი... ამიტომაც არ მიყვარს ამ პროცესის გახსენება: სასამართლოზე აუცილებლად გაირკვეოდა ჩემი და დაფნას ურთიერთობის ამბავი, თანაც ელენის თანდასწრებით, მაგრამ ბენომ მოვლენებს დაასწრო და თავი მოიკლა. მისი საქციელი იმ წამსვე აღიარებად შერაცხეს, და დოქტორ H. C. ისაკ კოლერი ზარ-ზეიმით გაათავისუფლეს. დარბაზის გასასვლელში ჩემს წინ გაჩერდა, ცივად შემომხედა და მითხრა, რომ ეს პროცესი სამარცხვინო სპექტაკლი იყო, და ძალიანაც კარგად ესმის, რატომ მაქვს ასეთი მძიმე ფინანსური პრობლემები, იმის მაგივრად, მასთან მისული ყავი, შტუსი-ლოიპინს გადავეცი მასალები, რომელმაც ეს საცოდავი იურიდიული ბალაგანი მოაწყო, გაამართლეს, თფუი, რა სამარცხვინოა, უცოდველ კრავად რომ გამოგიყვანენ, სადაა ჩვენს დროში კრავები; მერე კი ერთი ფრაზა დაურთო, რომელმაც საბოლოოდ გამაგიჟა და დამარწმუნა, რომ კოლერის მოკვლა ჩემი ვალია. აი, რა თქვა: მასალები შტუსი-ლოიპინისთვის კი არა, პირადად მისთვის რომ გადამეცა, ბენო ყველანაირი სასამართლოს გარეშე აღმოჩნდებოდა ჭაღზე. ამ სიტყვებით კოლერმა მათხოვარივით ხელი მკრა, მე მოკს დავეჯახე, რომელიც ჩემს უკან იდგა და სასმენ აპარატს ჯიბეში ინახავდა, და როდესაც მეც ხელი ვკარი, მითხრა: "აბა, რა, ასეაო", და დარბაზიდან გავიდა. პირდაპირ ბანკეტზე წავიდა გილდიების სახლში. ბანკეტზე ჩვენმა მერმა გალექსილი საზეიმო სიტყვა წარმოთქვა, იქიდან კი კოლერი აეროპორტში გაემგზავრა და ავსტრალიაში მიმავალ რეისზე დაჯდა, მე კი რევოლვერით ხელში დავრჩი ასაფრენ ბილიკზე. ეგ ამბავი თქვენ უკვე იცით. მას შემდეგ წელიწადნახევარი გავიდა, შემოდგომა დადგა, სულ შემოდგომაა... ღმერთო, რა მთვრალი ვარ... მეშინია, რომ ჩემს ნაწერს ვერ გაარჩევთ... 11 საათია — 35 საათი და 15 წუთი მრჩება, მეტი აღარ უნდა დავლიო. რა საშინელებაა, თუ ელენს ისევ ვუყვარვარ. მე კი ნამდვილად ვიცი, რომ მიყვარს, დღემდე მიყვარს, თუმცა იმ ბებერ დამპალ შტუსი-ლოიპინთან ძინავს. რამდენიმე დღის წინათ კი ფრიდლისთან ერთად ვნახე — მხარზე ჰქონდა მისთვის ხელი გადახვეული, თითქოს თავის საკუთრებად მიიჩნევდა. თუმცა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს. ჩემს სიყვარულზე ლაპარაკს აზრი არა აქვს, როგორც უაზრობა იყო ჩემი და სექტის წინამძღოლის ბერგერის საუბარი კიბეზე— მანამდე "ჰოკში" ვიყავი, მაგრამ ამაოდ, ვისკი ვერ ვიშოვე, კლიენტები ფეხბურთს უყურებდნენ და ცუდ გუნებაზე იყვნენ, რადგან ჩვენები აგებდნენ. "მონაკო" საერთოდ დაკეტილი აღმოჩნდა. მე უფულოდ ვიყავი, არადა, ვისკი სასწრაფოდ მჭირდებოდა, და "თეატრალურში" წავლასლასდი, იქაც არავინ არ დამხვდა, ალფრედომ რაღაც უცნაურად შემომხედა, ელა და კლარა სწრაფად წამოვიდნენ ჩემკენ დარბაზის სიღრმიდან, მაგრამ უცებ ვიღაცამ ჩემი სახელი ახსენა და მე შტუსი-ლოიპინი დავინახე, რომელიც იმ ადგილას იჯდა, სადაც ოდესღაც ჯეიმზ ჯოისს უყვარდა ჯდომა. მან ხელი დამიქნია. კლარას და ელას ეწყინათ, მაგრამ რას იზამდნენ, შტუსი-ლოიპინი შტუსი-ლოიპინია. მითხრა, შარვალზე გახსნილი ხვანჯრით ნუ დადიხარო. როდესაც მის გვერდით დავჯექი, ალუბლის ნაყენი დაიმატა ყავაში და თქვა, სულ ხელიდან წავედიო. ვუთხარი, ერთი ბოთლი ვისკი მჭირდება-მეთქი, თანაც პანიკურმა შიშმა მომიცვა — მივხვდი, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ვარ და ვისკის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. მეშინოდა, რომ ვისკის ვერ ვიშოვიდი, ვისკის მაგივრად ღვინოს, ან არაყს, ან სიდრს, რომელსაც კლოშარები სვამენ (და რისგანაც ღვიძლის ციროზი ემართებათ, თუმცა რევმატიზმს არ უჩივიან), ან რაიმე სხვა სასმელს რომ წარმოვიდგენდი, გული მერეოდა. ჩემი ადამიანური ღირსების ნარჩენები ვისკის მოითხოვდა, და ამ დროს ელამ ჭიქა დამიდგა წინ. სოფელ შტუსის ისევ სჭირდება ადვოკატი, ცივად დაიწყო შტუსი-ლოიპინმა, მისი მემკვიდრე, შუამავალი შტუსი-ზიუტერლინი, ნადირობის დროს მოკლეს, ვიღაცას შველი ეგონა, მგონი შტუსი-ბირლინს, თუ შტუსი-ფოიზის, თუმცა გამორიცხული არაა, რომ ეს შტუსი-მოოზი ყოფილიყო. ფლიოტიგენელმა გამომძიებელმა საქმე არქივს გადასცა. სწორედ ჩემთვის შესაფერი ადგილია, სო-

* corpus delicti - დანაშაულის შემადგენლობა (ლათ.).

ფელს პირველად ეყოლებოდა არაადგილობრივი შუამავალი, მერე კი რამე გამოჩნდება და პატენტსაც დავიბრუნებ. მე მთავაზობთ ამას? ვკითხე და ვისკი გადავკარი. დიახ, თქვენ, მიპასუხა მან, დროა დასკვნები გამოიტანოთ, შპეტ. და რადგან მას, შტუსი-ლოიპინს, დამნაშავეების გამოხსნა უყვარს იუსტიციის კლანჭებიდან, არც ახლა იტყვის უარს ამ ჰობიზე. ადვოკატი ხომ მოსამართლე არაა, სამართლიანობის და კანონის რომ სწამდეს, ბოლოსდაბოლოს ეს წმინდა წყლის მეტაფიზიკაა, მაგრამ ადვოკატი კლიენტის ინტერესებს უნდა იცავდეს იმისგან დამოუკიდებლად, დამნაშავეა იგი თუ არა. ელენმა მოუყვა თავისი ეჭვების შესახებ. ელენი მაშინ ბორტგამცილებელი იყო — ღმერთო, იმ დროს ხალხს ჯერ კიდევ ეგონა, რომ ეს სახარბიელო პროფესიაა — მაგრამ იმ რეისში არ ყოფილა, რომლითაც ინგლისელი მინისტრი შინ ბრუნდებოდა. მინისტრი ინგლისური სამხედრო თვითმფრინავით გაფრინდა, რაში სჭირდებოდა "სვისეირი". ელენმა ბუნდოვანი პასუხი გამცა მაშინ? ეგეც გასაკვირი არაა, იგი ჩემი კითხვის აზრს ვერ ჩაწვდა, რაც შეეხება კოლერის სიტყვებს— მოკმა გადასცა — პირადად მას კარგად არ ესმის, რისი თქმა უნდოდა ბებერ თაღლითს. თუ კრავის როლში ყოფნა არა სურს, ადგეს და აღიაროს პენ-კლუბელის მკვლელობა და ისიც გვითხრას, ეშმაკმა დალახვროს, სად გადამალა რევოლვერი. შტუსი-ლოიპინს ცუდი შეგრძნება აქვს: მოხუცის გადარჩენა მისი იურიდიული მოვალეობა იყო, მაგრამ ახლა, სიმართლე უნდა ითქვას, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ გარეული მხეცი გამოუშვა გალიიდან. კოლერის ქმედებების უკან მოტივი იმალება, მაგრამ რატომღაც მალავს, თავიდან შტუსი-ლოიპინს ეგონა, რომ კოლერი შტაიერმანის ნებას ასრულებდა, ახლა კი ჰგონია, რომ პირიქითაა. ვინტერი, ბენო, დაფნა, ლაკი, მარკიზი — ძალიან ბევრი გვამია, და თუ არ მოვისვენებ, მეც ერთ მშვენიერ დღეს ზილიდან თევზივით ამომათრევენ. ამის მერე ჩემი ბოთლი მივილე და შპიგელგასემდე როგორ მივაღწიე, არ მახსოვს. ვიდრე შტუსი-ლოიპინი ლაპარაკობდა, ელამ კიდევ ერთი ჭიქა მომიტანა — საკვირველია, საერთოდ რომ შევძელი რამის დაწერა. ახლა ღამის ორის ნახევარია. ეტყობა, ცოტა ხანი მეძინა, დაახლოებით ოცი საათი მრჩება, არა, ცხრამეტი... შემეშალა, სამის ნახევარი ყოფილა. სიმონ ბერგერს კი, როგორც ჩანს, კიბეზე ვესაუბრე, როდესაც ბოთლით ხელში შინ ვბრუნდებოდი. მგონი, უკვე რამდენიმე კვირაა, რაც ფსალმუნთა სიმღერის ხმა აღარ გამიგია. სწორედ იმ დღეს ჩემთან შტუბერი იჯდა და არაორაზროვნად მეუბნებოდა, რომ უფროსობა ჩემსა და ორგანიზებულ პროსტიტუციას შორის აშკარა კავშირს ხედავს — რომ ამ დროს ფსალმუნი უეცრად შეწყდა, ყვირილი, წივილი, ტირილის ხმა, ფეხების ბრახუნი გაისმა და შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. შტუბერმა მშვიდად განაგრძო საუბარი, ეტყობოდა საქმის კურსში იყო. აი, რატომ გამიკვირდა, როდესაც კიბეზე ბერგერს შევხვდი. იგი უძრავად იდგა და კარს მიყუდებოდა. უცებ დაბარბაცდა და ძირს დაეცემოდა, ხელი რომ არ შემეშველებინა. გულგახეთქილმა დავინახე, რომ სახე და თვალები დამწვარი აქვს. ხელი ვკარი და გაქცევა ვცადე, მაგრამ ბერგერი ჩამაფრინდა და არ მიშვებდა, ყვიროდა, რომ მზეს უყურებდა, რათა ღმერთი ეხილა, იხილა და თვალებიც აეხილა. წინათ ბრმა იყო, ახლა კი ხედავს, ხედავს, გესმით, ხედავს! რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დამქაჩა და ორივემ კიბეზე მოვადინეთ ბრაგვანი. აღარ მახსოვს, კიდევ რას მიყვიროდა, ძალიან მთვრალი ვიყავი, რაღაცას ბოდავდა მზის შიგთავსზე, სრულ სიბნელეზე, რომელიც იქ სუფევს, და მასთან დაკავშირებულ ღვთის არსსზე, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ მიხვდები, როდესაც მზე თვალებს დაგწვავს. მხოლოდ მაშინ აღიქვამ, რომ ღმერთი აბსოლუტური სიბნელის წერტილია, იგი მზის სიღრმეშია, მზეს ისრუტავს, როგორც უძირო ხვრელი, უფსკრულთა უფსკრული, და მზე ნელნელა ცარიელდება შიგნიდან, ეს ჯერ თვალით არ ჩანს, მაგრამ ხვალ, დაახლოებით საღამოს თერთმეტის ნახევარზე, მზე აფეთქდება, სინათლის სიჩქარით დაიწყებს ზრდას და ყველაფერს დაწვავს, დედამიწა აორთქლდება. დაახლოებით ასეთ რამეებს იძახდა, არ ვიცი, რატომ ვწერ აქ ამას, ალბათ ძალიან მთვრალი რომ ვარ, იმიტომ, თორემ რა საქმე მაქვს მოქადაგესთან, რომელიც თავის სექტას თავსაბურავით გამოეცხადა და სამყაროს დასასრული აუწყა. მერე ბრძანა, ყველამ მე მომბაძეთ და თვალები ამოიწვითო. თავსაბურავი მოიძრო და ატყდა ყვირილი, ტირილი, აქეთ-იქით სირბილი, რომელიც მაშინ მესმოდა და ვერ გამეგო, რას ნიშნავდა. დაწერილი გადავიკითხე. დაახლოებით სამ საათში აეროპორტში უნდა წავიდე, პოლიციის უფროსმა უკვე მომინახულა, დილის რვა საათზე რომ გავილვიძე, ჩემ დივანთან, სავარძელში დამხვდა, მართალი რომ გითხრათ, მხოლოდ მაშინ შევნიშნე, როდესაც გული ამერია და ბარბაცით დავბრუნდი ტუალეტიდან. პოლიციის უფროსმა მკითხა, ყავა ხომ არ მოვადუღოო, პასუხს არ დაელოდა, სამზარეულოში გავიდა და ცოტა ხანში ყავა მოიტანა. უხმოდ დავლიეთ. მერე პოლიციის უფროსმა მკითხა, ვიცი თუ არა, რომ მე ყოველი მეათე ვარ. ვერ გავიგე, რას მეკითხებოდა, მან კი ამიხსნა, რომ იგი ყოველ მეათე დამნაშავეს უშვებს, მე კი მეათე ვარ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაფნას დასაფლავებაზევე დამაპატიმრებდა. ისიც ჩემსავით ოდესღაც ადვოკატი ყოფილა, თანაც საკმაოდ წარუმატებელი, ზოგჯერ ოფიციალური დამცველის როლს ასრულებდა, მერე კი პოლიციაში წავიდა — პარტიულმა მეგობრებმა, სოციალისტებმა, რომლებიც ცხოვრებაში არ მოვიდოდნენ მასთან, როგორც ადვოკატთან, ქალაქის პოლიციის სისხლის სამართლის განყოფილებაში მოაწყვეს იურისკონსულტად. მისი წინსვლა პოლიციაში მისი განსაკუთრებული ნიჭის შედეგი როდია — აქ პოლიტიკურმა ინტრიგებმა ითამაშა როლი, ასევე ხდება იურიდიული აპარატის ყველა დონეზე, არა, კორუფციას კი არა გულისხმობს, მაგრამ შეცდომაა იუსტიცია ძალიან ობიექტურ ინსტიტუტად წარმოვიდგინოთო. იუსტიცია სტერილური ინსტრუმენტი კი არაა, რომელსაც არ ეხება არანაირი საზოგადოებრივი წინააღმდეგობები, ასეთი წარმოდგენა რეალობას არ შეესაბამება. ასე რომ, პოლიციის უფროსი ჩემზე უფრო მსუბუქად უყურებს კოლერის საქმეს; რა თქმა უნდა, შეცდომა მომივიდა, როდესაც ჯერ კოლერის დავალების შესრულება დავაპირე, მერე კი მასალები შტუსი-ლოიპინს გადავეცი, რომელმაც ბენო ქალზე ჩამოკიდა. მაგრამ იმისდა მიუხედავად, მართლა დამნაშავეა კოლერი თუ არა —

არადა ხომ ყველამ იცის, რომ ბატონმა კანტონის საბჭოს მრჩეველმა მოკლა ბატონი პროფესორი, მათ შორის თვით მან, პოლიციის უფროსმაც — მაგრამ ნახეთ, სადამდე მიმიყვანა ჩემმა ჭეშმარიტების ძიებამ. მართალია, კოლერის მეორე განაჩენი იურიდიული თვალსაზრისით უნიკალურია, ჭეშმარიტებას შამათი გამოუცხადეს, მაგრამ ჩემი თავი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავიყენე. სხვა გზა არ გამაჩნია, ახლა კოლერის მოკვლა მომიწევს, მერე კი თავის მოკვლა, იმ რევოლვერით, დივანის ქვეშ რომ მაქვს დამალული, თუმცა პირადად ის, პოლიციის უფროსი არ მეთანხმება — სამართლიანობის წინაშე, თუ მას თავისი აბსოლუტური მნიშვნელობით განვიხილავთ, ანუ როგორც იდეას, არც მე გამოვიყურები კოლერზე უკეთესად: თუნდაც დაფნას მკვლელობის საქმე გავიხსენოთ. მეც კოლერისნაირი მკვლელი ვარ, მოსამართლე კი სავსებით მართალია. მისი საქმეა, რომ იუსტიცია, ეს არასრულყოფილი ინსტიტუტი, მეტ-ნაკლებად ფუნქციონირებდეს. ადამიანური თამაშის წესები დაცული უნდა იქნას. მოსამართლე სულაც არ არის ვალდებული, სამართლიანი იყოს, როგორც რომის პაპი არაა ვალდებული, მორწმუნე იყოს. მაგრამ როდესაც ცალკეული ადამიანი აპირებს მართლმსაჯულების საკუთარი გაგებით აღსრულებას, ეს უკვე მეტისმეტია, ეს ადამიანურ კანონებს ეწინააღმდეგება. ეს ადამიანი არ ითვალისწინებს, რომ ზოგჯერ თაღლითობა უფრო ჰუმანურია, ვიდრე უბიწობა, რომ სამყაროს მექანიზმს ხანდახან დაზეთვა სჭირდება — ეს კი ჩვენი ქვეყნის გასაკეთებელია. სამართლიანობის ფანატიკური დამცველი თვითონაც სამართლიანი უნდა იყოს, მე კი რაც ვარ, თვითონაც ვიცი. როგორც ხედავთ, ბატონო პოლიციის უფროსო, მეტ-ნაკლები სიზუსტით გავიმეორე თქვენი სიტყვები, უფრო სწორად, თქვენი ლექციის შინაარსი, რადგან ერთი სიტყვაც კი არ მითქვამს, ვიწექი ჩემთვის და გისმენდით. არც ის გამკვირვებია, როგორ გაიგეთ ასე ზუსტად, რა მქონდა ჩაფიქრებული პირველივე დღიდან. ალბათ ამ ჩემი ჩანაფიქრის გამო მოვიძულე საკუთარი თავი, მის გამო დავეხმარე ლაკის და მარკიზს ყალბი ალიბის მოწყობაში, ამიტომ გავხდი ის, რაც ახლა ვარ — ორქიდეიანი ნოლდის თვალშიც კი ხელმოთავებული ადამიანი, რომელიც მის მფარველობაში მყოფი ქალების ღირსიც კი არაა — კოლერზე ნაკლები არა ვარ, ამიტომ უფლება მაქვს, კოლერი დავსაჯო, რადგანაც მართლმსაჯულება მხოლოდ თანასწორთა შორის შეიძლება აღსრულდეს. ასე, მაგალითად, იზენჰაიმის საკურთხევლის ერთ ჯვარცმაზე ჯვარზე გაკრული გოლიათია გამოსახული, საშინელი გვამი, რომლის სიმძიმისგანაც ძელები დალუნულა. აქ ქრისტე კიდევ უფრო საშინელია, ვიდრე ისინი, ვისთვისაც შეიქმნა ეს ჯვარცმა, ანუ კეთროვანები: როდესაც ისინი ამ ჯვარცმას უყურებენ, მათსა და იმ ღმერთს შორის, რომელმაც, მათი აზრით, კეთრი დაატეხათ თავს, სამართლიანობა მყარდება. არა, მთვრალი არ ვარ, ბატონო პროკურორო ფოიზერ, გთხოვთ, ნუ დასჯით პოლიციის უფროსს იმისთვის, რომ რევოლვერი არ ჩამომართვა. ეს ისტორიაც ყოველი მეათის შესახებ — დაე ვისაც უნდა, იმან დაიჯეროს, ნეტავ ყოველი მეათე დამნაშავის დაჭერა შეეძლოს — ალბათ პროვოკაცია იყო. ახლა ალბათ ნანობს, რომ მაშინ, სასაფლაოზე არ დამაპატიმრა სტილეტით ხელში. ვიცი, რატომაც შეიკავა თავი, მიხვდა, რომ ამ შემთხვევაში თავიდან უნდა დაეწყო დაფნა მიულერის საქმე და შესაძლოა მონიკა შტაიერმენზეც გასულიყო. რომელი ჭკუათამყოფელი აღუდგება წინ პროტეზების იმპერიას, რომელმაც ისევ დააპირა იარაღის გამოშვება? სამაგიეროდ, დოქტორ ისააკ კოლერს რომ მოვკლავ, პოლიციის უფროსი აქტიურად დაიწყებს მოქმედებას. მაგრამ მოდით შევთანხმდეთ, ბატონო პროკურორო: პოლიციის უფროსმა, თავისი ჭკუით, ჩემი რევოლვერი გააუვნებელჰყო. აი, რა მიზანი ჰქონდა მის გულისამაჩუყებელ მონოლოგს. მაგრამ ერთი რამე ვერ გაითვალისწინა: მე უკვე შევცვალე სასწავლო ტყვიები საბრძოლოებით. არასდროს არ მომიყოლია მეძველმანის შესახებ, ქვევით რომ ცხოვრობს? სწორადაც მოვქცეულვარ, არ მინდოდა, თქვენც დაინტერესებულიყავით მისი პერსონით. ეს ცალთვალა ტიპი დიდი ორიგინალია — მასთან ყველაფრის შეძენა შეიძლება. უფრო სწორად, შეიძლებოდა. მეძველმანე სამი კვირაა, რაც სხვაგან გადასახლდა. მეორე სართულის დარბაზიც ცარიელია — "იუტლის წმინდანები" არსად არ ჩანან, გუშინწინ კი ჩემს მაგიდაზე დაზღვეული წერილი აღმოვაჩინე, რომელიც რამდენიმე თვის წინათ მიმიღია, მაგრამ არ წამიკითხავს. წერილში ეწერა, რომ ჩვენი სახლი შპიგელგასეზე ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს, მას, როგორც არქიტექტურულ ძეგლს, სახელმწიფო იცავს, და ვინაიდან ავარიულ მდგომარეობაშია, სასწრაფოდ რესტავრაციას საჭიროებს; ფრიდლის თაოსნობით სახლს გაამაგრებენ, შიგნიდან გადააკეთებენ, ძველ კედლებში თანამედროვე, მდიდრულ ბინებს მოაწყობენ — ეს ფრიდლის მოღვაწეობის ახალი მიმდინარეობაა— მე კი 01.10-მდე სახლი უნდა დავცალო, და რადგანაც 01.10-მა დიდი ხანია გაიარა, ახლა მთელ ქალაქში დავეხეტები და ვისკის უკანასკნელი ბოთლის შოვნას ვცდილობ. ცალთვალა რომ ყოფილიყო, მასთან ვიშოვიდი — თუ ვისკის არა, გრაპას* მაინც. მის პატარა მაღაზიაში რას აღარ წააწყდებოდი, სწორედ იქ ვიპოვე ალპიურ საყვირში დამალული ტყვიები, ნამდვილები, ბატონო პოლიციის უფროსო, ამოვიღე, ჩემ რევოლვერში ჩავდე, თქვენი მოტანილები კი საყვირში ჩავყარე. ო, მეც და დოქტორი კოლერიც ხალხურ-მუსიკალურად მოვკვდებით, მშობლიური მელოდიების აკომპანიმენტით. არა, ჩემი სიფხიზლე უკვე საშიშ ხასიათს იღებს, ისე საშიშს, თითქოს ჩემს წინ მზე ამოდის, რომელსაც მე იმ შეშლილი მოქადაგის მსგავსად, გაშტერებულმა უნდა ვუყურო. ვიდრე აეროპორტში წავიდოდე — დაახლოებით ერთი საათი დამრჩა (ჩემი "ფოლკსვაგენით" — მან მთლად კარგად ვერ გადაიტანა რემონტი, უფრო სწორად, უსახსრობის გამო მისი ბოლომდე მიყვანა არ ვაცალე)— ბოლოჯერ მოგმართავთ, ბატონო პოლიციის უფროსო. თქვენ პატიოსანი ადამიანი ხართ. გინდოდათ, თვითონვე მიმეღო გადაწყვეტილება. ჩემი ადამიანური ღირსების შელახვას არ აპირებდით. ვწუხვარ, რომ ის გადაწყვეტილება არ მივიღე, თქვენ რომ გნებავდათ. ახლა კიდევ ერთი, უკანასკნელი აღიარება. ამ გიჟურ თამაშში მხოლოდ ჩემი თავი კი არა, ელენიც წავაგე, ჩემი მკვლელის და მსხვერ-

* გრაპა — იტალიური ჭაჭის არაყი.

პლის ქალიშვილი. მე ხომ თავი უნდა მოვიკლა, როდესაც იგი ჩემგან იქნება მოკლული. uturum exactum. ლათინურის გაკვეთილები მახსენდება, რომლებსაც ობოლთა თავშესაფარში ერთი მოხუცი პასტორი მიტარებდა — ქალაქის გიმნაზიისთვის მამზადებდა. ყოველთვის სიამოვნებით ვიხსენებ თავშესაფარს. მახსოვს, ერთხელ ერთი მწერალი თავისი დედის სიკვდილზე ლაპარაკობდა, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან უყვარდა, მე კი ობოლთა თავშესაფარზე მოვუყევი და ვთქვი, რომ იგი ნებისმიერ ოჯახს სჯობდა. ეს თქვენი ნაქები ოჯახური იდილია პირდაპირ გულისამრევია-მეთქი, ვუთხარი, და აშკარად ნერვები მოვუშალე. მოკი — ეს მოკთან ხდებოდა სახელოსნოში — უცებ ახარხარდა, ვერ გაიგებდი, ვის დასცინოდა; მაგისას ხომ ვერასდროს ვერაფერს გაიგებ; ეჭვი მაქვს, რომ ტუჩებით კითხულობს, რადგან თავისი სასმენი აპარატი არ ეკეთა (თუმცა თვითონ ამას მტკიცედ უარყოფს). საშინელებაა იმით ტრაბახი, რომ ობლად გავიზარდე, მითხრა მოკმა (მწერალი ამ დროს უკვე წასული იყო), საბედნიეროდ, მე იურისტი ვარ და პოლიტიკოსობას არ ვაპირებ, თუმცა ეს ბოლომდე გამორიცხული არაა, ადამიანი, რომელიც ობოლთა თავშესაფარს ხოტბას ასხამს, კიდევ უარესია, ვიდრე ადამიანი, რომელიც ახალგაზრდობაში დედას ან მამას უპირისპირდებოდა, როგორც, მაგალითად, თვითონ მოკი — ის თავის მოხუცებს ვერ იტანდა, თუმცა ისინი კეთილმორწმუნე ქრისტიანები იყვნენ, იმის გამო სძულდა, რომ მათ რვა ბავშვი გააჩინეს და ამ რაოდენობრივად არატიპური ჯგროდან ერთსაც კი არ ჰკითხეს, სურდა თუ არა ამქვეყნად მოვლინება და ცხოვრება; ბავშვების შობა ნამდვილი დანაშაულია, ახლა, როდესაც იგი გამწარებული ურტყამს საჭრეთელს Chemp-ს (მოკი ქვას გულისხმობდა), ყოველთვის წარმოიდგენს, რომ მშობლებს უხდის სამაგიეროს, მე კი ობოლთა თავშესაფრის გამო ცრემლებს ვღვრი! კარგი, მას, მოკს, სძულს ისინი, ვინც იგი ჩასახა, შობა და მერე კნუტივით არ დაახრჩო, იგი ქვაში კვეთს თავის სიძულვილს, ფორმას ანიჭებს მას, რომელიც, გრძნობები რომ ჰქონდეს, თავის მხრივ მოკს შეიძულებდა, მას სძულს მშობლები, რომლებსაც იგი უყვარდათ; ეს მარადიული წრებრუნვაა, შემქმნელის და ქმნილების სიყვარულის და სიძულვილის ჩაკეტილი წრე, მე კი ამ სიძულვილის მაგიერ ის დაწესებულება მიყვარს, რომელმაც გამზარდა და ჩამომაყალიბა, თანაც ადამიანურობას კი არა, იდეოლოგიას, გარკვეულ პრინციპებს ემსახურებოდა — ვთქვათ, სამართლიანობის პრინციპს, მაშ როგორი იქნება ასე გაზრდილი ადამიანი, როგორი დამოკიდებულება ექნება მომავალში სხვა ადამიანებთან, რომლებიც ამ პრინციპს არ ეთანხმებიან? ან მას არ ჰგვანან? საშინელებაა, მოკს ამის გაფიქრებაზე პირდაპირ ცივი ოფლი ასხამს! მისი, მოკის, სიძულვილი კონსტრუქციულია, ჩემი კი – დამანგრეველი, ეს მკვლელის სიძულვილია.

— შპეტ, მეგობარო, — დაასრულა მან თავისი გაუგებარი მონოლოგი, — მეცოდებით.

ამ საუბრის მერე მის სახელოსნოში სიარული შევწყვიტე. რატომ გიყვებით ამას, ბატონო პოლიციის უფროსო? იმიტომ, რომ ეს მოქანდაკე, ამას წინათ ვენეციაში რომ დააჯილდოვეს, მართალია. მე კოლბაში, სანიმუშო ლაბორატორიაში გამოყვანილი ადამიანი ვარ, პედაგოგიური და სოციალური პრინციპების შესაბამისად აღზრდილი, რომლებიც ჩვენი ქვეყანის დამახასიათებელი ნიშანია ზუსტი საათების, ფსიქოტროპულ საშუალებათა, გასაიდუმლოებული საბანკო ანაბრების და ნეიტრალიტეტის მსგავსად. ამ საცდელი მეურნეობის სანიმუშო პროდუქტი ვიქნებოდი, მაგრამ ბილიარდის მაგიდა მაკლდა. გარეთ ისე გამომიშვეს, რომ სამყაროს შეცნობის უნარი არ გამაჩნდა, მეგონა, აქაც საბავშვო სახლის კანონები სუფევს. ყოველგვარი მომზადების გარეშე შევეჯახე ჯუნგლების კანონს, რომელიც ადამიანებს შორის სუფევს, სიძულვილს, სიხარბეს, ეშმაკობას, პატივმოყვარეობას შევეჯახე. მაგრამ ასეთივე უსუსური აღმოვჩნდი იმ გრძნობების წინაშე, რომლებიც ადამიანურ თვისებებს ანიჭებს ცხოველს — ღირსების, ზომიერების შეგრძნების, გონების, პატიოსნების, სიყვარულის წინაშე. ცხოვრების დინებამ ამიტაცა, მე კი ცურვა არ ვიცოდი, გამწარებული ვიბრძოდი და მეც მხეცი გავხდი, ამ მხეცთან კი იმ ღამეს, როდესაც მასალები შტუსი-ლოიპინს გადავეცი, მკვლელის ქალიშვილი მოვიდა. დიახ, ელენი ცელტვეგზე მელოდა, ჩემს ბრწყინვალე სამოთახიან ოფისში, რომელიც ბენოსგან მერგო. გვიან შევნიშნე, რომ გარეთ კი არა, შიგნით, ოთახში დამხვდა! საწერ მაგიდასთან იჯდა, როგორც საკუთარ სახლში. თუმცა ბენო, ბენო — გასაგებია! ელენი მოვიდა, რადგან მენდობოდა, ჩემთან დაწვა, რადგან ასე მსურდა, მაგრამ იმ ღამეს გამბედაობა არ მეყო, მისთვის სიმართლე მეთქვა, არ ვენდობოდი, არ მჯეროდა, რომ მასაც ვუყვარდი. ასე ავუარეთ გვერდი ჩვენ სიყვარულს. დავუმალე, რომ არავინ არ აიძულა მამამისი, ვინტერი მოეკლა (თუნდაც ლილიპუტს რაიმე მსგავსი სურვილი გამოეთქვა), უბრალოდ მას ამ უბადრუკ პლანეტაზე ღმერთად წარმოედგინა თავი. რომ მე ორჯერ გავყიდე საკუთარი თავი — ერთხელ მამამისს მივეყიდე, მეორედ — ვარსკვლავთ-ადვოკატს, რომელმაც გროსმაისტერივით ბრწყინვალედ დაასრულა დილეტანტის წამოწყებული პარტია მართლმსაჯულებასთან. ხმისამოუღებლად ვიწექით ერთმანეთის გვერდი-გვერდ და არ ვიცოდით, რომ უსიტყვო ბედნიერება არ არსებობს. მხოლოდ წამიერი ბედნიერება არსებობს, რომელიც განვიცადე იმ ღამეს. თანდათან ვხვდებოდი, რა შეიძლება გავმხდარიყავი, რა განუხორციელებელი შესაძლებლობანი იყო ჩემში ჩადებული, მაგრამ რადგან მაშინ მთელი ღამე ბედნიერი ვიყავი, მეგონა, მაინც გავხდებოდი ის, რაც ვერ გავხდი. მაგრამ დილით, როდესაც ერთმანეთს შევხედეთ, გასაგები გახდა, რომ ყველაფერი დამთავრებულია. ახლა კი აეროპორტში უნდა წავიდე.

III

ავტორისეული ბოლოთქმა: უცნაურია, მაგრამ სრულიად შემთხვევით გავიცანი რამდენიმე ადამიანი, რომელთა შესახებ მოგვიანებით გავიგე, რომ ისინი ამ მრავალპლანიანი მოქმედების უშუალო მონაწილენი, მეტიც — მთავარი პერსონაჟები ყოფილან.

ეს დაახლოებით 1984 წელს მოხდა, მიუნჰენში. რადგან დღიურს არ ვაწარმოებ, ზუსტი თარიღის გახსენება გამიჭირდება. მგონი, მაისი იყო. შესანიშნავი პარკი, მაღალ

ხეებს შორის ჩაკარგული მყუდრო ვილა, სუფთა ჰაერზე, ბაღში გაშლილი სუფრა, სასიამოვნო დიასახლისი. გამომცემლები, ჟურნალისტები, ხელოვანნი, — მოკლედ, გონიერად დოზირებული კულტურული ცხოვრება. მე, ჩვეულებრივ, ადამიანები ერთმანეთში მერევა. ვიღაც ქალი სულ სხვა მგონია, მერე ირკვევა, რომ შემეშალა. მერე ვიღაც კაცთან დაკავშირებითაც იგივე მემართება. მერე საერთოდ გავაგიჟე ვიღაც რეჟისორი, რომლის თეატრშიც ოდესღაც ყველას ვიცნობდი, ახლა კი ვერავინ ვერ გავიხსენე. მგონი, იფიქრა, რომ ჩემი პიესის თავზე მოხვევას ვუპირებ. ვიღაც მსახიობი მეფე ლირივით აწყდება აქეთ-იქით: "თეატრი იღუპება, ახალი პიესები არ არის." კიდევ ერთი მსახიობი იმდენჯერ მყავს ნანახი ტელევიზორში, რომ ძველი ნაცნობი მგონია, ის კი გაოცებული მიყურებს, რადგან ვერ მცნობს. ვიღაც ქალი ინვალიდის ეტლით დაატარებს მოხუცს. ქალი ელეგანტური, ლამაზი და ქედმაღალია. დაახლოებით 50 წლის იქნება. მგონი ვიცნობ, მაგრამ მის სახელს ვერ ვიხსენებ. მესალმება, მაგრამ "შენობით" მომმართავს და "მაქსს" მეძახის. ვიღაცაში შევეშალე. იცინის, ბოდიშს მიხდის. ახლა "თქვენობით" მომმართავს. ეს მოხუცი ვინაა? მამამისი. რამდენი წლისაა? თითქმის ასის. მაგრამ საკმაოდ ყოჩაღადაა. ვარდისფერი კანი, თხელი თეთრი თმა და შეკრეჭილი ულვაში აქვს. ბავარიის პრემიერ-მინისტრს ესაუბრა. რაზე? პოლიტიკაზე? არა, ეფექტურ მეცნიერებათა ფონდის დაარსებაზე. ვერ გავიგე. დღეს უამრავი უსარგებლო მეცნიერება ვითარდება. გასაგებია. ჰგონია, რომ ვიცნობ, მე კი არ ვიცი, ვინაა. დიასახლისი მოხუცს ესაუბრება და იცინის. ეტყობა, მოხუცს იუმორის გრძნობა აქვს. უცნობ თანამოსაუბრესა და იტალიელი გამომცემლის გერმანელ ქვრივს შორის ვზივარ. ამ უკანასკნელს ნამდვილად ვიცნობ მილანიდან. ის ქალი ბოლოსდაბოლოს მიხვდა, რომ არ ვიცნობ, და გაჩუმდა. ქვრივი ერთი მსახიობი ქალის შესახებ მიყვება, რომელიც ოდესღაც მიყვარდა. მსახიობი ქალი მეხანძრესთან გაიქცა. ვახშმის შემდეგ სალონში გავედით. თეატრის და კინოს ხალხი მთავარ რეჟისორს შემოეხვია. დანარჩენები, ვისაც რეალობა აინტერესებს — ეტლში მჯდომ მოხუცს. ვიღაც ხელოვნებათმცოდნე მოკლე სამადლობელი სიტყვით მიმართავს დიასახლისს და რამდენიმე წუთით ორივე სფეროს აერთიანებს. მერე სფეროები ისევ იშლება — ერთნი ბოტო შრაუსზე მსჯელობენ, მეორენი — ფრანც იოსებ შტრაუსზე.



მხატვარი ნინო დვალი

მოხუცი რას იტყვის? ის ისტორიკოსია, მეტეოროლოგი კი არა. რისი თქმა უნდა ამით? ისტორიკოსი გრძელვადიან პროგნოზებს იძლევა, მეტეოროლოგი — მოკლევადიანს. ის კი მეტაფიზიკოსია. მეცნიერი. სინამდვილეში კი სამყარო ამოუცნობია. პოლიტიკას რა შეუძლია? სწრაფი ქირურგიული ჩარევა, მერე – არაპროგნოზირებადი შედეგის ლოდინი. რისი თქმა უნდა? კონცერნი, რომელსაც იგი უსასყიდლოდ ეხმარებოდა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. დეტალებს მნიშვნელობა არ გააჩნია, ეკონომიკური კანონები კიდევ უფრო რთულია, ვიდრე ატმოსფერული მოვლენები. მოხუცი ხმადაბლა და სხარტად ლაპარაკობდა. მაშინ აუცილებელი გახდა, ერთი ადამიანი მოეცილებინათ თავიდან ან ვიღაცისთვის დაევალებინათ მისი მოკვლა. ყველა გაჩუმდა. კულტურულმა სფერომაც ყურები ცქვიტა.

— შეუდარებელია, — ჩამჩურჩულა ერთმა მსახიობმა ქალმა, რომელიც აგრეთვე ტელევიზიით თუ კინოში მყავდა ნანახი. თუმცა დარწმუნებული არა ვარ, კინო- და ტელეეკრანი ყველა სახეს ერთიან მასად აქცევს. მოხუცმა შამპანური მოითხოვა. ერთი ჩემი ძველი ნაცნობი რეჟისორი მოვიდა, წარმოშობით — შვეიცარიელი. შესახედად — რუსეთის დიდი მთავარი, რომელსაც მთელი ცხოვრება ყმებთან ჰქონდა საქმე. მაღალი, წვერიანი, გაჯგიმული. მაგრამ უკვე მამულებჩამორთმეული. დიასახლისს ხელზე ემთხვია, საზოგადოების დაბნეულობა შენიშნა და მისთვის ჩვეული რიხით თქვა: "გამარჯობათ, ბატონო მრჩეველო! როგორა ხარ, ელენ? ვხედავ, ბატონი მრჩეველი თავის ამბავს ყვება – ფანტასტიკური ამბავია." შამპანური დაისხა და დაჯდა. მოხუცმა მოყოლა განაგრძო. იგი რაღაც ძალას ასხივებდა, რომელიც ყველას იმორჩილებდა. საქმე ის კი არ იყო, რას ყვებოდა, არამედ როგორ. ამიტომ ზუსტად ვერ გადმოგცემთ მის მონაყოლს. ნუ გაუწყრება დიასახლისი, რომ იგი პირდაპირ საუბრობს მკვლელობაზე. მას ჰკითხეს, რა არის შესაძლებელი პოლიტიკის თვალსაზრისით. პოლიტიკაც და ეკონომიკაც ერთსა და იმავე კანონებს ემორჩილება, სახელდობრ კი — ძალაუფლებას. ომიც ასეა. ანუ ეკონომიკაც ომის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა მეთოდებით. და როგორც სახელმწიფოები ომობენ, ასევე ომობენ კონცერნები. სამოქალაქო ომს კი კონცერნს შიგნით მიმდინარე ბრძოლა შეესაბამება. ასეთ ვითარებაში ზოგჯერ უპრიანია სწრაფი ქირურგიული ჩარევა. გამონაკლის შემთხვევაში მკვლელობის გარეშეც არ გამოდის.

თავისთავად ეს არაეფექტური მეთოდია, ტერორიზმიც ხომ მხოლოდ ნაკაწრებს ტოვებს სამყაროს სტრუქტურის ზედაპირზე. მის მიერ ჩადენილი მკვლელობაც აუცილებლობით იყო განპირობებული. რა თქმა უნდა, შეეძლო ეს საქმე სხვისთვისაც მიენდო. მაგრამ ის უკვე ასი წლისაა და თასმებსაც კი დამოუკიდებლად იკრავს. მერე კიდევ რამდენიმე მკვლელობა გახდა აუცილებელი, მაგრამ ეს უკვე რთული აღარ იყო. სამყაროს შესაქმნელად უფლის ჩარევა მხოლოდ ერთხელ გახდა საჭირო. ერთი ბიძგიც საკმარისია. მოხუცმა გაიღიმა. ოცდაათი წლის წინათ მას კერძო კლინიკიდან აეროპორტში მიყავდა ერთი იმ დროს ცნობილი და საკმაოდ არაპოპულარული პოლიტიკოსი. კლინიკაში რომ შევიდა, დაინახა, რომ პოლიტიკოსი დაბნეული სახით დგას ლოგინთან. მას სდევნიან, მის მიერ შემოღებულმა კანონმა მემკვიდრეობის შესახებ ბევრს შეუქმნა პრობლემები. იგი იძულებულია, თავი დაიცვას. ეს თქვა და პალტოს ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო. აი, ამით გაუსწორდება ყველა მემკვიდრეს, ვისაც მასთან პრეტენზია აქვს. მედდა კივილით გავარდა პალატიდან, ექიმმა მოირბინა. ეს გადამდგარი პოლკოვნიკი ნამდვილი ყასაბი იყო, მაგრამ დიაგნოზი უცებ დასვა: დაავადება ტვინსაც მოედო, არა, ისე პრობლემა არაა, ახლა ტრანკვილიზატორებს გაუკეთებს და ჯანდაბამდეც გზა ჰქონია, წავიდეს თავის სამშობლოში, აქ არ დაემართოს რამე. საბრალო დააშოშმინეს, ხანმოკლე შერკინება მოხდა, რის შედეგადაც ერთი სანიტარი ნოკაუტში ჩავარდა, მერე პალტო გახადეს, უკანალზე ნემსი დაარჭეს — აჰ, პარდონ, ეს რა წამოცდა ქალბატონებთან – ისევ ჩააცვეს და "როლს-როისში" ჩასვეს. ჰოდა, მოხუცმა შეირაღებული და შეშლილი სახელმწიფო მოღვაწე აეროპორტში წაიყვანა. გაზაფხულის მშვენიერი საღამო იდგა. ბინდდებოდა. რადგან ჩვენში დილით ადრე დგებიან ხოლმე, ადრეც ვახშმობენ. როდესაც რემიშტრასეზე გავიდნენ და მან რესტორნებში წასასვლელად გამზადებული ბრბო დაინახა, ბრწყინვალე აზრი მოუვიდა თავში, ელეგანტურად როგორ უნდა გადაჭრას ერთი პრობლემა. "ღმერთო!" — წამოიძახა იტალიელი გამომცემლის გერმანელმა ქვრივმა—"რა საინტერესოა!" პირი, რომლის გავლენაც, მისი აზრით, კონცერნისთვის საზიანო იყო, ერთ-ერთ რესტორანში იმყოფებოდა. მოხუცმა შამპანური მოსვა. მან მძღოლს გაჩერება უბრძანა, ფრთხილად ამოაცალა მთვლემარე პოლიტიკოსს ჯიბიდან რევოლვერი, რესტორანში შევიდა, დაინახა ხსენებული პირი, ესროლა, მოკლა, ისევ "როლს-როისში" ჩაჯდა და რევოლვერი ადგილზე დააბრუნა. მანქანის წუთში მიიყვანა მისი უდიდებულესობის მინისტრი აეროპორტში, იგი სპეცთვითმფრინავში ჩაჯდა და მშვიდობით დაეშვა მშობლიურ კუნძულზე, სადაც სულ მალე ფინანსურ კოლაფსამდე მიიყვანა ოდესღაც ძლევამოსილი იმპერია. კულტურის მოღვაწეთა მხრიდან ჩუმი ხითხითი გაისმა. ქალიშვილი ამაყ იერს ინარჩუნებდა. მამამისს რომ ეთქვა, საკონცენტრაციო ბანაკის ზადამხედველი ვიყავიო, ალბათ არც მაშინ შეიხრიდა წარბს. ჩვენ სუნთქვაშეკრულები ვუსმენდით. როგორც საშინელ ზღაპარს. თანაც მოხუცის მსუბუქი სარკაზმი, რომელიც ამბავს არარეალურობას, აბსტრაქტულობას ანიჭებდა, აშკარად სახალისო იყო. მხოლოდ ერთმა გამომცემელმა იკითხა: "მერე, თქვენ?.." "მეგობარო," — მიუგო მოხუცმა და პორტსიგარიდან სიგარა ამოიღო (ჩემი გამოცდილებით, რომელიც, როგორც მწეველმა, წლების მანძილზე დავაგროვე, ეს "ტოპერსი" იყო) — "თქვენ ორი გარემოება გამოგრჩათ. პირველი: რა წრეში ვტრიალებთ, მეორე: მართლმსაჯულება. რადგან მართლმსაჯულებაც, თუნდაც არაცნობიერად, საზოგადოებრივ ფენებზეა ორიენტირებული. თუმცა ზოგჯერ, განსაკუთრებით — პრივილეგირებული ადამიანების მიმართ, მას ზედმეტი სიმკაცრის გამოჩენა უყვარს, რათა თავი დაიზღვიოს შესაძლო ბრალდებებისგან, რომლებიც, მან ეს კარგად იცის, სიმართლეს შეესაბამება." მოკლედ იტყვის, თავი რომ აღარ შეგვაწყინოს: იგი დააპატიმრეს, კანტონის სასამართლომ 20 წელი მიუსაჯა, ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ კი მოგვიანებით გაამართლა, რადგან პირდაპირი მტკიცებულებანი არ არსებობდა. თუმცა მკვლელობა უამრავი მოწმის თვალწინ მოხდა. მაგრამ მათი ჩვენებები წინააღმდეგობებით იყო სავსე. იარაღი ვერ იპოვეს. მინისტრის პალტოში ვინ ჩაძვრებოდა? მკვლელობის მოტივიც ვერ გაარკვიეს. პროკურორისთვის კონცერნი ხელმიუწვდომელია. თანაც, სრულიად შემთხვევით, რესტორანში შვეიცარიის ჩემპიონი იმყოფებოდა სროლაში. მაგრამ როდესაც მისი დაკითხვა დააპირეს, მან თავი ჩამოიხრჩო, ნახეთ, როგორ გაუმართლა. თეორიულად გამორიცხული არ გახლდათ, რომ ჩემპიონმა მას გასროლა დაასწრო — ის ხომ მაშინ უკვე სამოცდაათის იყო. ერთადერთი რეალური ამ ამბავში გვამი იყო, რომელიც ფილე "ა ლა როსინიში" თავჩამხობილი დარჩა. და როგორ მოხდა ეს, ბოლოსდაბოლოს, არც ისე მნიშვნელოვანია. მოხუცმა სიგარას მოუკიდა, ზოგიერთებმა ტაშიც კი შემოკრეს, ერთმა სქელმა ჟურნალისტმა ფანჯარა გამოაღო, თავი გარეთ გაყო და ახარხარდა. "ძალიან მახვილგონიერია!" ყველა დარწმუნებული იყო, რომ მოხუცი უდანაშაულოა. ნეტავ რატომ? მისი ხიბლის გამო? ასაკის გამო? მშვენიერია! — გერმანელი ქვრივიც ღიმილს აფრქვევდა. დიასახლისმა თქვა, ცხოვრება ზოგჯერ ისეთ ამბებს თხზავსო! ქალიშვილმა დაჟინებით შემომხედა, თითქოს აინტერესებდა, დავიჯერე თუ არა. მოხუცი კი ეწეოდა და იმას აკეთებდა, რაც მე არასდროს არ გამომდიოდა: რგოლებს უშვებდა. ესმის, თქვა მან, რასაც ნიშნავს ეს აპლოდისმენტები, მას მთელი ცხოვრება უდანაშაულოდ მიიჩნევდნენ, ალბათ, ასეთია მისი ბედისწერა. აი, ალბათ არც მე მჯერა მისი — მოხუცი მე მომმართავდა — მე, რომელიც ჩემს კომედიებში ჯგუფ-ჯგუფად ვამგზავრებ პერსონაჟებს იმქვეყნად. ისევ სიცილი. ყავა და კონიაკი შემოიტანეს. მაგრამ მორალის საკითხი მაინც რჩება, თქვა მოხუცმა, რადგან არა აქვს მნიშვნელობა, მართლა მოკლა მან კაცი თუ მხოლოდ აპირებდა, მორალის თვალსაზრისით ეს ერთი და იგივეა. ამიტომ იგი არც ცდილობს, თავი გაიმართლოს. იგი კონცერნის ინტერესების თანახმად მოქმედებდა, რომელიც, სიმართლე რომ ვთქვათ, მოგვიანებით მაინც გაკოტრდა, ასე რომ მისმა მცდელობამ უქმად ჩაიარა. ამიტომ იგი დასმულ კითხვას პოლიტიკის შესაძლებლობათა შესახებ შემდეგნაირად უპასუხებს: თუკი რაიმე შემთხვევით მოხდა, ეს აუცილებლად იმის საწინააღმდეგო იქნება, რისი მიღწევაც გვსურდა. ამის შემდეგ მოხუცმა ბოდიში

მოიხადა, იგი სნუხს, მაგრამ კეთილ დიასახლისს უნდა გამოემშვიდობოს, კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო, ელენს კი სთხოვს, სასტუმროში მიიყვანოს, დიახ, იგი "თეთ სვონში" გაჩერდა. ქალიშვილმა მოხუცი წაიყვანა. ვიფიქრე, ყველაფერი მოიგონა-მეთქი. აბა, რომელი ჭკუათამყოფელი მოიქცევა ასე? ისე ცხადი გახლდათ, რომ მოხუცი ოდესღაც დიდი ძალაუფლების პატრონი იყო და ახლაც ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვს ძველი გავლენა. გადავწყვიტე, ალბათ მსხვილი მეწარმე იყო-მეთქი, სინდისზე ბევრი რამ აწევს, მაგრამ ბირჟებზე სპეკულაციების მაგივრად მკვლელობის ამბავს ჰყვება, რადგან დარწმუნებულია, რომ ამას, სპეკულაციების ამბისგან განსხვავებით, მაინც არავინ დაიჯერებს. ტაქსიში ჩავჯექი. მოხუცის დიალექტიკაზე ვფიქრობდი, რომელიც მან მორალს დაუქვემდებარა, და უცებ მისი სახელი გამახსენდა: კოლერი, ისააკ კოლერი. ერთხელ ერთ ბანკეტზე მის პირდაპირ, მისი ქალიშვილის გვერდით ვიჯექი. ეს დიდი ხნის წინათ იყო, რასთან დაკავშირებით მოეწყო ბანკეტი, აღარ მახსოვს. კოლერი მაშინ გარუჯული გახლდათ და ძალიან მხნედ გამოიყურებოდა. ქალიშვილმა თქვა, მან ახლახან იმოგზაურა დედამიწის გარშემოო.

მერე წელს ერთი ნაცნობი ქალის მამა გარდაიცვალა, ვინმე შტუსი-მოოზი. ეს ქალი დაახლოებით თხუთმეტი წლის წინათ ჩვენს სახლში მსახურობდა. ქალი სოფლად, შტუსიკოფენში მამისეული სახლისა და ეზოს გაყიდვას აპირებდა. გადავწყვიტე, მეყიდა. სახლი ზემო ალპებში იყო. იქიდან არაჩვეულებრივი ხედი იშლებოდა. ქვევით შტუსის ველი გადაჭიმულიყო, ფლიოტიგენი კარგად მოჩანდა. ძველი სახლები. პატარა ეკლესია, სადაც ხანდახან ფლიოტიგენელი პასტორი ქადაგებს. სასტუმრო საოცარია, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩა ჩვენ ქვეყანაში სოფლები, სადაც ტურისტები არ ჩადიან. კარ-მიდამოს შეძენის თაობაზე ადგილობრივ "შუამავალთან" უნდა მივსულიყავი, ასე ეძახიან აქ ადვოკატებს. ადვოკატი სასტუმროში ცხოვრობდა, საქმეებს კი სამიკიტნოში აგვარებდა. სოფლის მოსამართლის ფუნქციასაც ასრულებდა — ჩემი მისვლისას სწორედ მოჩხუბრებს აშოშმინებდა. ვილაც თავგატეხილმა გლეხმა ლანძღვა-გინებით დატოვა სამიკიტნო. ახლა მიჭირს ზუსტად გავიხსენო ადვოკატის გარეგნობა. დაახლოებით 50 წლის იქნებოდა, აშკარად ქრონიკული ალკოჰოლიზმით იყო დაავადებული. "ბეცის" სვამდა — ეს არყის ის სახეობაა, რომელსაც ხილის-კენკროვანს უწოდებენ. სახე დასიებოდა, მხრები — მოხრილი. წყლისფერი თვალები დაწითლებოდა და ოდნავ მოთაღლითო, მაგრამ თან მეოცნებე გამომეტყველება ჰქონდა. თავიდან ჩემი მოტყუება სცადა. ორჯერ იმაზე მეტი ფასი მოთხრა, ვიდრე ჩვენ ყოფილ მნეს უნდოდა. ზღაპრებს მიყვებოდა შტუსიკოფენის საზოგადოებრივი საბჭოს შესახებ, რომელიც ვითომ მიწების გასხვისების წინააღმდეგია. დაუწერელ კანონებზე მეუბნებოდა რალაცას. თქვა, ის სახლი დაწყევლილია, მისმა პატრონმა თავი ჩამოიხრჩო. ყველა შტუსი-მოოზი თავს იკლავსო. გლეხები თავხედურად უგდებდნენ ყურს ჩვენ საუბარს და ჟესტებით წარმოიდგენდნენ ჩამოხრჩობილს — ენას გარეთ ადგებდნენ, თვალებს აბრიალებდნენ, ყელში ხელებს იჭერდნენ და ა. შ. მივხვდი, რომ შუამავალს ჩემი მოტყუება კი არა, შეშინება სურს, რათა გარიგებაზე უარი ვთქვა. მოტყუებით კი შემდეგ მართლაც მოატყუა ჩვენი ყოფილი მსახურის ოჯახი და ჩალის ფასად მიყიდა სახლი ერთ-ერთ შტუსი-ზიუტერლინს. როდესაც მიხვდა, რომ გლეხების ასეთი უარყოფითი რეაქციის გამო სახლის ყიდვის სურვილი გამიქრა, უფრო თბილად დამიწყო ლაპარაკი. მთვრალი იყო, მაგრამ მაინც ვიგრძენი სიმპათია მის მიმართ. იუმორის გრძნობა აშკარად არ აკლდა, თუმცა ხანდახან სარკაზმში გადასდიოდა. როდესაც მოყოლა დაიწყო, გლეხებმა ახლოს მოიჩოჩეს. ეტყობა, კარგად იცოდნენ მისი ამბები, მაგრამ მაინც სიამოვნებით უსმენდნენ. შუამავალი ჰყვებოდა, რომ ოდესღაც დიდი ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადვოკატი ყოფილა. ფულს ბზესავით ხვეტდა. მდიდარ ხალხს, ბანკირებს ემსახურებოდა. მაგრამ ყველა კლიენტს კახპები ერჩივნა. "ჩემი გოგოები", ასე მოიხსენიებდა მათ. უამრავი ამბავი მოყვა, ვინმე ორქიდეიანი ნოლდი გაიხსენა, მისი მონაყოლის უმეტესობა მოგონილს ჰგავდა, მაგრამ საინტერესო მოსასმენი იყო. უპირველესად, მათში რაღაც ანარქისტული სოციალური კრიტიკა იგრძნობოდა. ჩახლართულ ამბავს ჰყვებოდა ვილაც მკვლელზე. გლეხები აღფრთოვანებულები იყვნენ და სიცილით კვდებოდნენ. ადვოკატმა პროცესი მოიგო, მაგრამ ბრალდებული სინამდვილეში დამნაშავე იყო. იგი სახელმწიფო მრჩეველი გახლდათ და იოლად მოატყუა კოლეგიის ხუთი წევრიც და ნაფიცი მსაჯულებიც. გლეხები "ბეცის" სვამდნენ და გაგრძელებას ითხოვდნენ. შუამავალი ჭირვეულობდა, არაყი მოითხოვა, როდესაც დაუსხეს, თქვა, უცხო კაცია და ეგებ სულაც არ აინტერესებსო, მაგრამ მე ვუთხარი, როგორ არა, ძალიანაც მაინტერესებს-მეთქი, და მეც დამისხეს ერთი ჭიქა. შუამავალმა მოყვა, როგორ სურდა, საქმე თავიდან აღეძრა, მაგრამ მთავრობამ ხელი შეუშალა. რას იზამ, სახელმწიფო მრჩეველი სახელმწიფო მრჩეველია. გლეხები ისევ ახარხარდნენ. "აი, ჩვენი თავისუფალი შვეიცარია!" —იყვირა ერთმა, შუამავალმა კი განაგრძო: ამის შემდეგ მან საკუთარი ინიციატივით დაიწყო მოქმედება. პრესის საშუალებით გაიგო, როდის ჩამოდიოდა მრჩეველი დედამიწის გარშემო მოგზაურობიდან. მერე პოლიციის უფროსს გაუზიარა თავისი გეგმები. მან პოლიციელები გაგზავნა აეროპორტში, შენობას ალყა შემოარტყეს, მაგრამ დამლაგებელი ქალის ტანსაცმელში გადაცმულმა შუამავალმა მაინც მოახერხა შიგნით შეღწევა, რევოლვერი ხელოვნურ ბიუსტში ჰქონდა დამალული, ერთმა პოლოციელმა მისი გაჩხრეკა სცადა და მკერდზე წაატანა ხელი, მან კი ისეთი კივილი ატეხა, თითქოს გაუპატიურებას უპირებდნენ. პოლიციის უფროსმა ბოდიში მოუხადა, ის პოლიციელი აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურის ოთახში გაიყვანეს. გლეხები ისე ხარხარებდნენ, რომ მუცლები ხელით ეჭირათ. მერე შუამავალმა მოგვიყვა, როგორ მოკლა მისივე გამოძიების შედეგად გამართლებული მკვლელი პირველი კლასის დარბაზში. მრჩეველი პირდაპირ ნაგვის ყუთში ჩაემხო თავით. როგორც ტელმა მოკლა გესლერი, წამოიძახა ერთ-ერთმა გლეხმა, დანარჩენებს სიხარულის შეძახილები აღმოხდათ. აი, ნამდვილი მართლმსაჯულება! შუამავალმა ახლა გაითამაშა თავისი ამბავი — აჩვენა, როგორ მოგლიჯა პოლიციის უფროსმა ხელოვნური ბი-

უსტი, მერე მაგიდაზე ავიდა და სასამართლო კოლეგიის ხუთი წევრის წინაშე წარმოთქმული სიტყვაც გაიმეორა, რომლითაც თავის დროზე მკვლელის გამართლება მოახერხა, შემდეგ კი თავიც იმართლა. პირდაპირ სახეში მიუხლია მოსამართლეებისთვის: "ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი და თქვენი მართლმსაჯულებაც!" მერე კი შტუსის შუამავალი გახდა. ამ სიტყვებით იგი სკამზე დაეშვა. ერთი გლეხი ფეხზე წამოდგა, ხელში "ბეცის" ნახევრად ცარიელი ბოთლი ეჭირა, შუამავალს მხარზე დაჰკრა ხელი და განაცხადა, მე შტუსი-შტუსი გახლავართ, შუამავალი კი ერთადერთი არაშტუსია მთელ შტუსიკოფენში, მაგრამ, ამის მიუხედავად, ნამდვილი შვეიცარიელიაო. მერე ბოთლი გამოცალა, მაგიდაზე დაემხო და ხვრინვა ამოუშვა. დანარჩენებმა გაუქმებული ჰიმნი შემოსძახეს: "იდიდე, ჰელვეცია!" შუამავლის მონაყოლი თითქოს სადღაც უკვე მომისმენია. რაღაც დეტალების გარკვევა მინდოდა, მაგრამ შუამავალი უკვე ძალიან მთვრალი იყო, გლეხები კი ისევ ჰიმნს გაჰყვიროდნენ. შუამავალი შემეცოდა. ბრწყინვალე პრიმა-ადვოკატმა ასე დაასრულა თავისი კარიერა. სახლის შეძენაზე აღარ ვფიქრობდი. აქაურებს, როგორც ჩანს, უცხოები არ უყვართ, განსაკუთრებით — ქალაქელები, და რადგანაც ჩემი მანქანის ნომრის მიხედვით ალბათ უკვე მიხვდნენ, რომ ნევშატელელი ვარ, ორმაგად ამითვალწუნეს. სამიკიტნოდან რომ გამოვდიოდი, მესმოდა, რომ გლეხებმა სხვა ჰიმნი წამოიწყეს.

ისევ დავიწყება: მოხუცი, მისი ელეგანტური ქალიშვილი, მთვრალი შუამავალი, სამიკიტნო, მთვრალი გლეხები — ყველაფერი ეს ქვეცნობიერში გადავიდა, ზევიდან კი უკმაყოფილება გადაეფარა, რომ სოფლის სახლი ვერ ვიყიდე. თანაც კაპრიზის გამო კი არ მინდოდა მისი შეძენა, ცვლილებები მჭირდებოდა. შინ რომ დავბრუნდი, დიდი რეორგანიზაცია წამოვიწყე. ძველი ნივთები გადავყარე, უამრავი ქაღალდი მოვსპე, მწერლობის 40 წლის მანძილზე რომ დამიგროვდა. წერილები, ანგარიშები, კორექტურები, უთვალავჯერ გადაწერილი ხელნაწერები, ჩანაწერები, ჩანახატები, კარიკატურები, ფოტოები... ერთ-ერთ წაუკითხავ ხელნაწერში ჩავიხედე, იმათი რიცხვიდან, რომელსაც დამწყები მწერლები მიგზავნიან ხოლმე. მართლმსაჯულება. ძირს მაკულატურა! მაგრამ თვალში სახელი მომხვდა: დოქტორ H. C. ისააკ კოლერი. ხელნაწერი ფაილიდან ამოვიღე. ვინმე დოქტორ ჰ.-მ გამომიგზავნა ციურიხიდან, მაგრამ გამოგზავნილ ხელნაწერებს არასდროს ვკითხულობ. ლიტერატურა არ მაინტერესებს. მე თვითონვე ვწერ. დოქტორი ჰ. გამახსენდა. კური. 1957 წელი. მოხსენება წავიკითხე და სასტუმროს ბარში შევედი. ბარმენი ქალის გარდა იქ ერთი მწერალი დამხვდა, რომელიც წამსვე მომიჯდა და გამომელაპარაკა. ეს დოქტორი ჰ. იყო, ციურიხის კანტონის პოლიციის ყოფილი უფროსი. ხნიერი, მასიური, ძველმოდურად ჩაცმული კაცი, ოქროს ძეწკვიანი საათი ეკეთა, ასეთს ახლა თითქმის აღარავინ ატარებს. უხეში თმა ჯერ კიდევ შავი ჰქონდა, ულვაში კი — საგულდაგულოდ დავარცხნილი. წითელ ღვინოს სვამდა, "ბაიანოსს" ეწეოდა და ბარმენ ქალს სახელით მიმართავდა. მეორე დილით ციურიხში წამიყვანა თავისი მანქანით. ხელნაწერი გადავფურცლე. ავტორი, ვიღაც ადვოკატი, მასალას აშკარად ვერ მოერია. წვრილმანებს გადაყვა, საქმის არსზე კი მხოლოდ ბოლოს დაიწყო საუბარი, მაგრამ აქ რატომღაც ძალიან იჩქარა. მოკლედ, დილეტანტური ნანარმოები გამოუვიდა. ბევრმა რამემ დამაბნია. მაგალითად, ერთ-ერთ თავს ასეთი სახელწოდება ჰქონდა: "არეულობაში წესრიგის შეტანის მცდელობა". მერე სახელები! ვინ იყვნენ ნიკოდემუს მოლხი, ან დაფნა მიულერი, ან ილზე ფროიდე? ვის ჰყავდა ბაღში გნომების მთელი არმია? პოლიციის უფროსმა თქვა, ჟან-პოლი მიყვარსო? მაგრამ მას უკვე ველარაფერს ვკითხავთ, რადგანაც 1970 წელს გარდაიცვალა. ამიტომ წერილი წავიკითხე, რომელიც მან ხელნაწერს დაურთო: "შტუსი-ლოიპინის დაკრძალვიდან დავბრუნდი. დაკრძალვაზე მხოლოდ მოკი მოვიდა. მასთან ერთად ვისადილე "თეატრალურში". სუპი, ფილე "ა ლა როსინი" და ლობიო ვჭამეთ. შემდეგ დიდხანს ვეძებდით მოკის სასმენ აპარატს. აღმოჩნდა, რომ მიმტანმა ქალმა მაგიდის ალაგებისას ჭურჭელს გააყოლა. რაც შეეხება ჩვენს ძვირფას სამართლის მაძიებელს, მან მაინც მოახერხა აეროპორტში შეღწევა. დამლაგებლის ტანსაცმელში გადაცმულმა. გაისროლა კიდეც, მაგრამ შიშისგან სანაგვე ყუთში ჩავარდა. საბედნიეროდ, კოლერს არაფერი შეუნიშნავს, რადგან ზუსტად ამ დროს ოთხტურბინიანი თვითმფრინავი აფრინდა. თუმცა ჩვენი ტერორისტი მაინც ვერ მიაყენებდა მას ზიანს — ერთი რამ ვერ გაითვალისწინა. მე მეძველმანეს თავის დროზე მივხედე, ასე რომ, ალპიურ საყვირში სასწავლო ტყვიები იდო. მერე კი მართლაც დავიბენი, არ ვიცოდი, რა მომეხერხებინა ამ ფანატიკოსისთვის. წყალწაღებული ადამიანი გახლდათ, მართლმსაჯულებისთვის მისი გადაცემა არ ღირდა. შტუსი-ლოიპინს შეეცოდა და სამუშაო მოუძებნა. მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. დოქტორი ჰ., პოლიციის ექს-უფროსი." შტუსიკოფენში დავრეკე, ტელეფონთან სასტუმროს პატრონი მოვიდა. შუამავალი ვიკითხე. გარდაცვლილილა. წინა კვირას. "ბეცი" ზედმეტი მოუვიდა. რა ერქვა? შუამავალს ეძახდნენ. სად დაასაფლავეს? ფლიოტიგენში. ფლიოტიგენში გავემგზავრე. სასაფლაო სოფლიდან მოშორებით იყო. ქვის ღობე, რკინის ჭიშკარი. ციოდა, პირველად ვიგრძენი წელს ზამთრის სუნთქვა. ბავშვობაში სასაფლაოზე მიყვარდა თამაში. იმ სასაფლაოს თავისი განუმეორებელი სახე ჰქონდა — უამრავი საფლავის ქვა, რკინის ჯვარი, პოსტამენტი და სვეტი, ერთი მარმარილოს ანგელოზიც იდგა ვინმე კრისტლი მოზერის საფლავზე. ფლიოტიგენის სასაფლაო კი სავსებით თანამედროვე იყო, დაახლოებით ათი წლის წინათ დაარსდა სოფლის საბჭოს თაოსნობით. ათი და უფრო მეტი წლის წინათ გარდაცვლილთა კვალი კი წაიშალა. რადგან ტერიტორია შეზღუდული იყო და სასაფლაოს გაფართოება არ შეიძლებოდა — აქ მიწის ფასები ძალიან მაღალია — გარდაცვლილს ათ წელიწადზე მეტხანს არ აჩერებენ მშობლიურ მიწაში. მერე პირდაპირ მარადისობაში გზავნიან. მაგრამ ნებადართული ათი წელიწადი გაჯგიმულები წვანან. ყველას ერთნაირი საფლავი ჰქონდა, ერთნაირი ქვები ედო და წარწერებიც ერთნაირი შრიფტით იყო გაკეთებული. მკვდრები სწორ რიგად ჩამწკრივებულიყვნენ, მათ შორის ისიც იყო, ვისაც ვეძებდი. ცხოვრება არეულ-დარეული ჰქონდა, სიკვდილის შემდეგ კი წესრიგი ეღირსა.

მწკრივში უკანასკნელი იწვა, ერთი ჯერ კიდევ თავისუფალი საფლავის გვერდით. ქვა ედო, ასტრები და ქრიზანტემებიც უკვე დაურგავთ. ქვაზე ეწერა: ფელიქს შპეტი, შუამავალი, 1930-1984.

შინ დავბრუნდი და ხელნაწერი კიდევ ერთხელ გადავიკითხე. შპეტის მონაყოლს რაც შეეხება, შტუსიკოფენში რომ მოვისმინე, მას, რა თქმა უნდა, არავინ არ მოუკლავს, კოლერმა კი მკვლელობა იმ ადამიანს გადააბრალა, ვისი მოცილებაც სურდა თავიდან. კოლერის მისამართი ტელეფონების ცნობარში ვიპოვე და ხელნაწერის ასლი გავუგზავნე. რამდენიმე დღეში ელენ კოლერის წერილი მივიღე. მთხოვდა, მინახულეთო. მამის მდგომარეობის გამო თვითონ არ შეუძლია შემხვდეს. დავურეკე და მეორე დღეს მასთან წავედი.

როდესაც რკინის აჟურულ ღობეს მივადექი, ისეთი გრძნობა მქონდა, ხელნაწერში მოთხრობილი ამბის მონაწილე ვხდები-მეთქი. აქ ბუნებაც კი მდიდრული გახლდათ. ოქტომბერს თავისი სილამაზე მთლიანად აქ გარმოუფრქვევია. ხეები მაღალი, მედიდური და ხშირფოთლიანი იყო. ფენი არ უბერავდა, ბუჩქები ლამაზად იყო გაკრეჭილი. შიშველი წვეროსანი ღმერთები ახალგაზრდული დუნდულებით. პატარა ტბები. ფარშევანგთა წყვილი. სიჩუმე, მხოლოდ ჩიტების გალობა ისმის. სახლის კედლები ხვიარა ვაზით, ფათალოთი და ვარდებითაა დაფარული. თვითონ ვილა დიდი, მასიური, ფრონტონიანი შენობაა. შიგნით კი — ვრცელი და მსუბუქი. ანტიკვარული ავეჯი, ყოველი ნივთი ხელოვნების ნიმუშია. კედლებზე ცნობილი იმპრესიონისტები კიდია, შემდეგ — ძველი ჰოლანდიელები (მოხუცი მსახური ქალი მიმიძღოდა წინ). დოქტორ კოლერის კაბინეტში მთხოვეს მოცდა. ვრცელი, მზით სავსე ოთახი იყო. ძვირფასი პარკეტი, გიგანტური საწერი მაგიდა, ტყავის სავარძლები. კედლებზე არც ერთი სურათი არ ეკიდა, მხოლოდ წიგნები — იატაკიდან ჭერამდე. სოლიდური ბიბლიოთეკა იყო, მხოლოდ მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ლიტერატურისგან შედგებოდა. ნიშაში ბილიარდის მაგიდა იდგა, რომელზეც ოთხი ბურთი დავინახე. ღია კარში ეტლი შემოგორდა, ეს კოლერი გახლდათ, კიდევ უფრო გამხდარი და ეფემერული, თითქმის ფანტომი. როგორც ჩანს, ვერ შემნიშნა, ბილიარდის მაგიდასთან მიგორდა, ჩემდა გასაოცრად ეტლიდან წამოდგა და თამაში დაიწყო. ოთახში ელენი შემოვიდა. სპორტული შესახედაობა ჰქონდა — ჯინსები, აბრეშუმის პერანგი და ხელით ნაქსოვი ჟაკეტი ეცვა. თითი ტუჩებთან მიიტანა და რაღაც მანიშნა. მივუხვდი და გავყევი. დიდ სასტუმრო ოთახში შევედით და გარეთ, ტერასაზე დავჯექით. უკანასკნელად ვიჯექი იმ წელს ღია ცის ქვეშ. ტერასაზე დაწნული სკამები და მაგიდა იდგა. გაზონზე — ბალახის საკრეჭი მანქანა, ირგვლივ კი შემოდგომის ფოთლები ეყარა. ელენმა თქვა, ბაღში ვმუშაობდიო. პარკის სიღრმეში ვილაც ახალგაზრდა კაცი მიწას თხრიდა და მხიარულად უსტვენდა. ფარშევანგების თავიდან მოცილება მოუწევს, მეზობლები ჩივიან. ალბათ უკვე 50 წელია ჩივიან. მაგრამ მამას უყვარს ფარშევანგები, მისი აზრით, მეზობლების ჯინაზე. ფარშევანგების კივილის გამო გარშემო მდებარე ნაკვეთების ფასიც კი დაეცა. მერე მამამ ყველა ნაკვეთი იყიდა. ელენმა ჩაი დამისხა, მე კი ვუთხარი, მამაშენი ნამდვილი მონსტრია-მეთქი. ელენმა არაფერი მიპასუხა. ვკითხე, წაკითხული აქვს თუ არა ხელნაწერი. გადავიკითხეო. ვუთხარი, შპეტს უყვარდით-მეთქი. აჰ, ძვირფასი შპეტი, მითხრა მან, ერთადერთი ქალი, რომელიც მას უყვარდა, დაფნა იყო, ჩემ მიმართ სიყვარულს კი უბრალოდ იგონებს. იგონებდა, შევუსწორე მე, შპეტი ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა. "ჩაი გაცივდა" — თქვა ელენმა და ჩაი გაზონზე გადააქცია. მერე ფარშევანგები აკივლდნენ. საერთოდ ამ დროს წყნარად არიან ხოლმე, ამიხსნა ელენმა, არა უშავს, ახლა გაჩუმდებიან. მაგრამ ფარშევანგები არ ცხრებოდნენ. "ოთახში შევიდეთ" — მითხრა ელენმა. ტერასის კარი გამოიხურა და სავარძელზე მიმითითა. კონიაკი? დიახ, გმადლობთ. მკითხა, თუ წავიკითხე, რაც იქ წერია ნამდვილ მონიკა შტაიერმანზე. ვუპასუხე, არარეალურად მეჩვენება-მეთქი. ისიც ერთხელ დაპატიჟეს მონიკასთან, დაიწყო მოყოლა ელენმა, ზაფხულის ერთ საღამოს. მაშინ 18 წლისაც კი არ ყოფილა, და როგორც ყველას, დაფნა მონიკა შტაიერმანი ეგონა, აღფრთოვანებული იყო მისით და ცოტა შურდა კიდეც ბენოს გამო. ბენო მას გაურბოდა, თუმცა მთელი ქალაქის ქალებს დასდევდა. იმ დროს ბენოსთან დაწოლა პრესტიჟულად ითვლებოდა, მაგრამ ის, ელენი, ასე თუ ისე კოლერის ქალიშვილი იყო, ამიტომ ხელშეუხებლად ითვლებოდა. ბენო შეგნებულად გაურბოდა, და ელენმა უყოყმანოდ მიიღო მონიკას მიპატიჟება, რადგან გულის სიღრმეში ეიმედებოდა, იქ ბენოს ვნახავო. მამამ ვახშმის დროს ჰკითხა, სად დაგპატიჟეს, აურორამტრასეზე? თან "მარკი" დაისხა, შინ ყოველთვის "მარკს" სვამდა. "მონრეპოში", მიუგო ელენმა. იქ მხოლოდ ის და ლუდევიცი დადიან, თქვა კოლერმა, შეიძლება ერთი რჩევა მისცეს? არავითარი რჩევა არ მჭირდება, გაჯიუტდა ელენი. ნუ წახვალ იქ, თქვა მამამ და "მარკი" გადაკრა. ეს იყო მისი რჩევა. მაგრამ ელენი მაინც წავიდა. ველოსიპედით მივიდა ვაგნერშტუცვეგზე, მერე ველოსიპედი პორტალთან მიაყუდა და ზარი დარეკა. არავინ გამოჩენილა. ელენმა შენიშნა, რომ ჭიშკარი ჩაკეტილი არაა და პარკში შევიდა. იქ აუხსნელმა შიშმა მოიცვა, უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ ჭიშკარი ველარ გაალო. აქამდე ელენი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, ამ ადგილიდან კი თამამად დაიწყო მოყოლა, თითქოს ეს ყველაფერი ვილაც სხვას გადახდენოდეს თავს. ახლა ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ხაფანგში შეიტყუეს, განაგრძობდა ელენი. გაპარტახებული პარკი ჩამავალი მზის წითელი შუქით განათებულიყო, რომელიც ავის მომასწავებელ ნიშნად ეჩვენა. ავტომატურად მიიწევდა წინ ვილასკენ. უცებ ბაღის გნომი შენიშნა, მერე კიდევ ერთი, მერე მთელი ჯგუფი, ლოყებდაბერილი სახეების მიუხედავად გნომები საშიში და ბოროტები ჩანდნენ, მერე დიდთავა გნომი-ქალებიც დაინახა, თითოეული ოთხი წლის ბავშვისხელა მაინც იქნებოდა. დაინახა, რომ ერთ-ერთმა გაუცინა და კინაღამ გული წაუვიდა. გულგახეთქილი გაქანდა და სახლის შესასვლელთან აღმოჩნდა. აქოშინებულმა უკან მოიხედა, იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერი მოელანდა და კოშმარი უკვე დასრულდა. მაგრამ ქალი-გნომი მისკენ კოჭლობით მოიწევდა და იცინოდა. ელენი ვილაში შევარდა, დერეფანი და დარბაზი გაირბინა, სადაც ბუხარში შეშა ტკაცუნობდა, თუმცა გარეთ

ზაფხულის ცხელი დღე იდგა, და რაღაც კაბინეტისმაგვარ ოთახში აღმოჩნდა. კედლები ბენოს სურათებით იყო დაფარული. უკან გამოვარდა და დარბაზში ჯუჯას შეეჯახა — მას მელოტი თავი, ბრჭყვიალა თვალები და პატარა, დანაოჭებული სახე ჰქონდა. ელენი კაბინეტში ჩაიკეტა. მარტო იყო, შიშისგან აკანკალებდა. უცებ უცნაური, მოტკბო სუნი იგრძნო და გონება დაკარგა. გონს რომ მოეგო, დაინახა, რომ თავზე ოთხი შიშველი გიგანტი ადგას. მერე გაიხსენა, რომ სრულიად უთმოები იყვნენ და ზეითუნის ზეთის სუნი ასდიოდათ, რომლითაც, ეტყობა, ტანს იზელდნენ. ელენიც შიშველი იყო. უცებ სიცილი მოესმა და ქალი დაინახა, რომლისაც შურდა და რომელიც მონიკა შტაიერმანი ეგონა. დაფნა სავარძელში იჯდა. საიდანღაც შიშველი ღიპიანი პროფესორი ვინტერიც გამოჩნდა, სატირს ჰგავდა. მის ზურგს უკან ელენმა ჯუჯა დაინახა. კარადის თავზე შემომჯდარიყო და საზეიმო იერით გადმოსცქეროდა ოთახს. როდესაც სატირი ელენს დაეუფლა, ელენს აზრმა გაუელვა — ეს ყველაფერი იმ ჯუჯას სურვილით ხდება, მას იმის ყურება უნდა, რისი განცდაც თვითონ სურს, მაგრამ არ შეუძლია. როდესაც მას ბენო ეცა, შემდეგ კი ოთხმა თავგადაპარსულმა შეცვალა, დაფნას სიცილი კი არ წყდებოდა, ელენის არსება სურვილმა მოიცვა, ეს ერთადერთი იარაღი, წინააღმდეგობის ერთადერთი საშუალება იყო. იგი სიამოვნებისგან კვნესოდა და ხედავდა, როგორ შეეცვალა გამომეტყველება ჯუჯას — მის სახეზე ახლა შურს და რისხვას ამოიკითხავდი. ჯუჯა მთელი ტანით კანკალებდა, მისი სახე ახლა უკვე უსაზღვრო მწუხარებას გამოხატავდა, რადგან იცოდა, იგი ვერასდროს ვერ განიცდის ასეთ სიტკბოებას, რომელსაც ახლა ის ქალი გრძნობს, მისივე ბრძანებით მისივე მსახურები რომ აუპატიურებენ. "შეწყვიტეთ!" –აყვირდა უცებ, ელენს თავი დაანებეს, ჯუჯა ოთახიდან გაიყვანეს. ელენი მარტო დარჩა კაბინეტში. ტანსაცმელი ნამოკრიფა, ჩაიცვა, დარბაზი და დერეფანი გაიარა, პარკში გავიდა. ჭიშკარი ღია დახვდა და ველოსიპედით დაბრუნდა შინ.

მკითხა, შოკირებული ხომ არ ხარო. "არა, — მივუგე, — მაგრამ კონიაკზე უარს არ ვიტყოდი ". ელენმა ჭიქები შეავსო. როდესაც შინ დაბრუნდა, განაგრძო ელენმა, მამა კაბინეტში იჯდა. ყველაფერი უამბო. კოლერი ადგა, ბილიარდის მაგიდასთან მივიდა და თამაში დაიწყო. ჰკითხა, ახლა რა გინდაო. შურისძიება, მიუგო ელენმა. დაივიწყე, უთხრა მამამ. მაგრამ ელენს შურისძიება სწყუროდა. მაშინ მამამ ყურადღებით შეხედა და უთხრა, რომ მან მისი რჩევა ყურად არ იღო. ეს მისი საქმეა, არავინ არაა ვალდებული, რჩევები გაითვალისწინოს, თორემ ეს უკვე რჩევა კი არა, ბრძანება გამოვა. ვისაც დავიწყება არ შეუძლია, მას ცხოვრება გაჭყლეტს. შვილო, უთხრა მამამ, ცხოვრებაში პირველად მიმართა ასე, რაც ახლა თქვა, ესეც მხოლოდ რჩევა იყო. კარგი, ვიძიოთ შური. ის თვითონ მიხედავს ამ საქმეს. მერე ბილიარდის ოთხი ბურთი გარკვეული ნესით დაალაგა და მხოლოდ ერთხელ დაარტყა. ერთი ბურთი ბორტს მიეჯახა, უკუიქცა, მეორე ბურთი ლუზაში აღმოჩნდა, მერე მესამე, მეოთხე. ვინტერი, თქვა მამამისმა. ბენო. დაფნა. ბოლოს — შტაიერმანი. ეს რომ თქვა, მაგიდაზე აღარც ერთი ბურთი აღარ იყო. მერე მონიკა? იკითხა ელენმა. მონიკა კია იყო, უპასუხა მამამ. კია კი მხოლოდ ერთხელ დასჭირდა. რა მოუვათ? იკითხა ელენმა. ყველა მოკვდება, თქვა მამამ. და ზუსტად ამ თანმიმდევრობით. "ახლა კი წადი და დაიძინე, მამას სამუშაო აქვს".

მეზობელი ოთახიდან ბილიარდის ბურთების ხმა ისმოდა. ეს საუბარი მას უფრო მეტად დაამახსოვრდა, ვიდრე "მონ-რეპოში" მომხდარი ამბავი, თქვა ელენმა. მოგვიანებით თავის ოთახში დიდხანს იჯდა ღია ფანჯარასთან, ვარსკვლავებს უყურებდა და ფიქრობდა: მათ, ვარსკვლავებს, არ ენაღვლებათ, არის თუ არა სიცოცხლე ამ უბადრუკ პლანეტაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ცალკეული ადამიანის ბედზე. ბრაზი ახრჩობდა: მამას ალბათ თვითონაც უნდოდა, რომ იქ წასულიყო, ფიქრობდა, ცნობისმოყვარეობა წასძლევს და მაინც წავაო. მაგრამ რას ერჩოდა ჯუჯა პირადად მას? ვისი დამცირება სურდა: ელენის თუ მამამისის? თუ მამამისის, მაშინ რატომ ეუბნებოდა მამა თავიდან, შურისძიებაზე ნუ ფიქრობო? საერთოდ რის გამო მიდიოდა ეს ბრძოლა? ვინ ვის უპირისპირდებოდა? ალბათ აგურის ტრესტის უკან, რომელსაც მამა ყოველთვის აგდებულად მოიხსენიებდა, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი იმალება. ხშირად სმენია მამისგან სილიკონზე, რომელსაც, მისი თქმით, მომავალი ეკუთვნის. თუმცა ვისაც ჰკითხა ამის შესახებ, ყველა ამბობდა, სილიკონზე არაფერი ვიცითო. იქნებ მამა ლუდევიცს ებრძოდა? და შტაიერმანმა ელენზე ამოიყარა ჯავრი?

ელენის ნათქვამს დავუფიქრდი. ერთი რამ არ მესმის, ვუთხარი მას, როდესაც მამათქვენი მიუნხენში მკვლელობის ამბავს ჰყვებოდა, თქვა, რომ ინგლისელი მინისტრის რევოლვერი გამოიყენა, თანაც ეს აზრი სპონტანურად მოუვიდა თავში. არა, დაუჯერებელია. ელენმა დაკვირვებით შემომხედა. საოცრად ლამაზი ქალი იყო ეს წყეული! მართალი ბრძანდებით, მიპასუხა მან, მამამ ტყუილი თქვა. მამა-შვილმა ერთად დაგეგმა ეს მკვლელობა. საბრალო შპეტი ამას მიხვდა. მამამ ვინტერი საკუთარი რევოლვერით მოკლა, მერე იარაღი მინისტრს ჩაუდო ჯიბეში, მან კი ამოიღო და ლონდონში ხიდიდან გადააგდო. მაგრამ მინისტრს "სვისეირით" არ უფრენია, ვუთხარი მე. დიახ, შტუსი-ლოიპინი მართალი იყო, მაგრამ მან ერთი რამ არ იცოდა — ელენი მინისტრთან ერთად გაფრინდა მისივე თხოვნით. ელენი მას მუდმივად აკითხავდა კლინიკაში. მე შპეტთან ჩემი შეხვედრის შესახებ მოვუყევი. შპეტს მასზე მცდარი შეხედულება შეექმნა, მიპასუხა ელენმა მშვიდად, აი, ახლა მეც ასეთივე შეხედულება მექმნება. რამდენიმე დღეში იგი ვინტერის საყვარელი გახდა, მერე კი — ბენოსი. აქედან მომდინარეობს უთანხმოება მათ შორის. და დაფნასა და ბენოს შორისაც. კიდევ ვისი საყვარელი იყო, ამას მნიშვნელობა არ გააჩნია, ვისი აღარ იყო! მას თვითონაც არ ესმის საკუთარი თავის. ირაციონალურ საკითხთა რაციონალურ ახსნას ეძებს, ალბათ მისი ქცევა გონებაზე არცაა დამოკიდებული. შეიძლება ამით თავის უარყოფით თვისებათა გამართლებას ცდილობს, რომლების მაშინ, "მონ-რეპოში", განსაკუთრებით ძლიერ გამოვლინდა. ალბათ გულის სიღრმეში მოეწონა კიდეც ძალადობა. რადგან ადამიანი მხოლოდ ამ დროსაა ბოლომდე

თავისუფალი — საკუთარი ნებისგანაც კი. მაგრამ მაინც არასდროს არ ტოვებდა შეგრძნება, რომ იგი მხოლოდ იარალი გახლდათ მამის ხელში. ყველა ზემოხსენებული ადამიანი მამამისის დაწესებული თანმიმდევრობით მოკვდა. ბოლო მონიკა იყო. ორი წლის წინათ. კოლერის რჩევით, "ტრიოგი" იარალის კონცერნს შეუერთდა და გაკოტრდა. მონიკა მკვდარი ნახეს საკუთარ კუნძულზე, საბერძნეთში. მისი ოთხი მცველი კი — დაცხრილული. თანაც მონიკა მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ იპოვეს. თავდაყირა ეკიდა ზეთისხილის ხეზე. არ წამიკითხავს ეს ამბავი გაზეთებში? როდესაც პრესაში პირველი ცნობა გაჩნდა მონიკას გაუჩინარების შესახებ, ელენმა მამის მაგიდაზე დეპეშა იპოვა. მასში მხოლოდ ციფრები იყო: 11711953. ეს მისი გაუპატიურების თარიღია. მაგრამ ვინ დაიქირავა მამამ მონიკას მოსაკლავად? იყო თუ არა ეს რაღაც ეკონომიკური ომის დასასრული? თუ ეს ძალაუფლებისთვის ბრძოლა გახლდათ? რა ხდება საერთოდ სამყაროში? მას ვერ გაუგია. არც მე ვიცოდი.

"შპეტს დავუბრუნდეთ" — ვუთხარი მე. რა თქმა უნდა, მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო. როდესაც შპეტმა მამამისის დავალების შესრულება იკისრა, ელენს იმედი ჰქონდა, სიმართლეს გაარკვევსო. რომელ სიმართლეს? ვინ უბიძგა მამამისს მკვლელობისკენ. "ალოგიკურია, თქვენ თვითონ უბიძგეთ" — ვუთხარი მე. ჩვენ ორივენი დამნაშავენი ვართ, თქვა ელენმა, ერთმანეთს ვუბიძგეთ. მაშინ ჩაკეტილი წრე გამოდის, ვთქვი მე, ეს რაღაც სიგიჟეა. სწორედ ასეა, მიპასუხა მან, მას მერე, რაც მამა გაამართლეს და ის სამოგზაუროდ წავიდა, შპეტი ელენს ეჩხუბა, ბევრი უხეში სიტყვა უთხრა, თითქმის გაარკვია სიმართლე, ელენი კი პოლიციის უფროსთან წავიდა და ყველაფერი აღიარა. "მერე?" პოლიციის უფროსმა "ბაიანოსი" გააბოლა და უთხრა, რომ მისი აღიარება ჩირადაც არ ღირს. ბენომ საკუთარი ხელით მოიკლა თავი, ახლა ვერავინ ველარ გაიგებს, მან ისროლა თუ არა, არც ტემზაში ჩაძვრება არავინ რევოლვერის საძებრად. ზოგჯერ მართლმსაჯულებას აზრი ეკარგება და ფარსად იქცევა. ელენს ურჩევნია შინ წავიდეს და ყველაფერი დაივიწყოს. რატომ არ ახსენა მამამისმა არც ერთხელ შპეტი? — ვკითხე მე. დაავიწყდა, მიპასუხა ელენმა. იგი ახლა ერთადერთია, ვინც სიმართლე იცის ამ მკვლელობის შესახებ. ზუსტად იცის, თუ მაინც შესაძლებელია, რომ მკვლელი ბენოა? — ვკითხე მე. ელენმა თავი გააქნია. არა, მან თვითონ დაათვალიერა რევოლვერი, როდესაც მინისტრს ამოუღო ჯიბიდან, მანამდე კი, შინ, ტყვიებიც ჩადო შიგ. ვკითხე, რატომ მიყვებით-მეთქი ამ ყველაფერს? გაკვირვებულმა შემომხედა. მაშინ რატომ გამოვუგზავნე ხელნაწერი? სიმართლე მაინტერესებდა? მე, უპირველეს ყოვლისა, მწერალი ვარ, რომელსაც სხვისი კი არა, საკუთარი სიმართლე აინტერესებს, მხოლოდ იმას ვფიქრობ, როგორ დავწერო რომანი, და თუ ოდესმე წიგნი გამოიცემა, მას ჩემი სახელი ეწერება, და არა შპეტის. ხელნაწერი ვის ეკუთვნის, მე თუ შპეტს, ეს მხოლოდ მე ვიცი, მე კი ვამბობ, რომ იგი პოლიციის უფროსისგან მივიღე. ისიც იცნობდა ბებერ ყბედს, თქვა ელენმა, ხშირად მოდიოდა სტუმრად მამამისთან. მაგრამ თუ ელენის პროტოტიპის მიხედვით პერსონაჟის შექმნას ვაპირებ, გოეთეს ქალად ნუ წარმოვადგენ, ვერ იტანს მათ, ისინი ისეთი მოსაწყენები არიან, ყველანი, ფილინას გარდა, ალბათ ეს მისი ერთადერთი ქმნილება იყო, რომელთანაც მოხუცი სიამოვნებით დაწვებოდა. ელენი გაშტერებული იყურებოდა წინ. ფანჯარას სტვენით ჩაუარა ბალში მომუშავე ბიჭმა. ვიპოვი გასასვლელს პარკიდან? გამოვემშვიდობე და წავედი. მოხუცი ისევ ბილიარდს თამაშობდა. ლა ბანდე.

ორს თხუთმეტი უკლია. ჩემს კაბინეტში შევდივარ. როდესაც ეს სახლი შენდებოდა, ფანჯრიდან ჯერ კიდევ ტბა ჩანდა. ახლა ხედი ხეებმა დაფარა. რამდენიმე ხის მოჭრაც მომიწია. ეს ძალიან სამწუხაროა, მკვლელობას ჰგავს. მუხა კი უზარმაზარი და მძლავრი გახდა. ხეების ზრდის მიხედვით დროის დინებას ვგრძნობ. ოღონდ სხვაგვარად, ისე არა, როგორც ვარსკვლავთა ყურებისას. ნალვლიანი შევცქერი პლეადებს, ალდებარანს, კაპელას — ეს ზამთრის ვარსკვლავებია, თუმცა გარეთ ჯერ ზაფხულია. ეს იგი, კიდევ ერთი წელი გასულა. ცაში ობიექტური დრო ბრუნავს, რომელიც ზუსტ აღრიცხვას ემორჩილება, სუბიექტური დრო კი ჩემსა და ხეებთან ერთად მიედინება სიკვდილისაკენ. აქ მისი გაზომვა შეუძლებელია, მას მხოლოდ შეიგრძნობ. როგორ აღიქვამს დროს დედამიწა? ობიექტურად? საკუთარი თავი მოხუცი ჰგონია? ოთხნახევარი მილიარდი წლის? თუ სუბიექტურად თვლის, რომ ჯერ ახალგაზრდაა, რადგან კიდევ შვიდი მილიარდი წელი გაივლის, ვიდრე მზე დასწვავდეს? თუ დროის ელვისებურ სვლას აღიქვამს, როდესაც იგი საშინელ ძალად იქცევა, დუღს და გადმოდუღს, კონტინენტებს ერთმანეთს აცილებს, მთებს აღმართავს, ქანებს აზანზარებს, ზღვას ხმელეთს ახლის, და ჩვენი დგომა თითქოსდა მყარ საფუძველზე სინამდვილეში ილუზია ხომ არ არის? არამყარ ნიადაგზე ხომ არ ვდგავართ, რომელიც ყოველ წამს შეიძლება უფსკრულში დაინთქას? დაბოლოს, როგორ აღიქვამს დროს კაცობრიობა? ის თითქოს ყველანაირი, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მეთოდებით და ობიექტურობით გავზომეთ, დავყავით ძველ სამყაროდ, შუა საუკუნეებად, ახალ და უახლეს ისტორიად, და კიდევ უფრო ახლის იმედიც გვაქვს; არსებობს უფრო რთული დაყოფაც, მაგალითად, ასეთი: აღმოსავლეთის მემკვიდრეობას ბერძნების ეპოქა მოყვება, რომელშიც კეისარი და ქრისტე ერთიანდებიან, მას რწმენის ეპოქა მოსდევს, რენესანსი სიხარულით გვაუწყებს რეფორმაციის დადგომას, მას მოსდევს საუკუნე, რომელიც გონების ტრიუმფით აღინიშნა, იგი პრაქტიკულად დღესაც გრძელდება, წვრილმანებს ნუ მიაქცევთ ყურადღებას. პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ოსვენციმი და ბუხენვალდი მხოლოს ეპიზოდებია, ხალხი ჩაპლინს უფრო კარგად იცნობს, ვიდრე ჰიტლერს, სტალინისა დღეს მხოლოდ ალბანელებს სჯერათ, მაოსი კი — რამდენიმე პერუელ ტერორისტს, მშვიდობის 40 წელი ცოტა არაა, მართალია, იგი ყველგან არაა, მხოლოდ ზესახელმწიფოებში, კიდევ ევროპაში, იაპონიაში, რომელმაც ნებისმიერი ცოდვის მიტევება მიიღო ჰიროშიმას შემდეგ, ჩინეთიც კი კარს აღებს უამრავი ტურისტული სააგენტოს წინაშე. როგორ აღიქმება დრო ამ მოკლე მშვიდობიან ხანაში? ხომ არ გაი-

ყინა დრო? ხომ არ გაურბის საკუთარ თავს? თუ უბრალოდ მიქრის ტორნადოსავით, ავტომობილებს ერთმანეთს ახლის, მატარებლები რელსებიდან გადაყავს, გიგანტურ ლაინერებს კლდეებზე ამსხვრევს, ქალაქებს ანადგურებს? როგორ მიქრის ბოლო ათწლეულთა ობიექტური დრო, დრო, როდესაც მომავალი ომი, რომლის გამოც გამალებული ატომური შეიარალება მიმდინარეობს, წარმოუდგენელი გვეჩვენება? ხომ არ მიიღო ჩვენმა მშვიდობიანმა დრომ, რომლის შესანარჩუნებლად მილიონობით ადამიანი ტრანსპარანტებით გამოდის ქუჩაში და როკ-ჯგუფების სიმღერებს ბანს აძლევს, ფარულად მიმდინარე ომის სახე? ისტორია ადამიანს უსასრულო დროს პირდება, დედამიწისთვის კი კაცობრიობის ისტორია მხოლოდ მცირე ეპიზოდია, ნაკლებიც — პატარა ინციდენტი კოსმიური წამის ფარგლებში, რომელიც არანაირ კვალს არ ტოვებს. ძლივს გადავრჩით გამყინვარებას და უკვე ერთმანეთს ყელში ვწვდით, ერთმანეთს ვანადგურებთ მშვიდობიან დროსაც კი, კაცები ქალებს, ქალები კაცებს, კაცები კაცებს, ქალები ქალებს, ინსტინქტით ვხელმძღვანელობთ, და არა გონებით, რადგან ინსტინქტს უფრო მეტი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე გონებას, მილიონობით წლით მეტი, და მისი მოტივები ამოუცნობია. ატომური თუ წყალბადის ბომბებით ვემუქრებით ერთმანეთს, ანუ გორილებივით მუშტებს ვიბრაგუნებთ მკერდში, რათა სხვა გორილათა ჯოგები დავაფრთხოთ. დაღლილი მივუჯექი საწერ მაგიდას — ჩემი ბრძოლის ველს, ჩემი ქმნილებების სამყაროს. თუმცა ისინი ჩემზე არ არიან დამოკიდებულნი — მათ საკუთარი რეალობა თვითონვე შექმნეს, რომლიც ჩემი ფანტაზიიდან აილეს, ანუ ფაქტობრივად ჩემი რეალური ცხოვრებიდან. ასე რომ, ისინი ჩვენი ცხოვრების ნაწილი გახდნენ და, შესაბამისად, მსოფლიო ისტორიის ერთი შესაძლო ვარიანტიც. მაგრამ ნუთუ ამბავი, რომელიც მხოლოდ ჩემი ფანტაზიის წყალობით გახდა რეალობა, ნაკლებად აზრიანია, ვიდრე მსოფლიო ისტორია? და ნაკლებად მყარ ნიადაგზეა დაფუძნებული, ვიდრე ის, რომელზეც ჩვენ ჩვენს ქალაქებს ვაშენებთ? ღმერთი? განა იგი დაახლოებით ისევე არ მოიქცა, როგორც დოქტორი ისააკ კოლერი? განა შპეტს არ შეეძლო მის დავალებაზე უარი ეთქვა? განა იგი იძულებული არ გახდა, არარსებული მკვლელი ეპოვა, როგორც ადამი, რომელმაც კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი იგემა და ღმერთი და ეშმაკი აღმოაჩინა? ვინაა დამნაშავე — ვინც დავალებას იძლევა თუ ვინც მის შესრულებას კისრულობს? ვინც რაიმეს კრძალავს თუ ვინც წესებს არღვევს? ვინც თავისუფლებას ანიჭებს თუ ვინც ამით სარგებლობს? ჩვენ თავისუფლება გვღუპავს. კაბინეტს ვტოვებ: იგი ჩემი ქმნილებებისგან გათავისუფლდა და დაცარიელდა. ხუთის ნახევარია. ცაზე ორიონს ვხედავ. ნეტავ ვის მისდევს?

*22.09.85*

ბოლოთქმა

„მართლმსაჯულების" წერას 1957 წელს შევუდექი. რომანის დასრულებას რამდენიმე თვეში ვაპირებდი. მაგრამ გარემოებებმა ხელი შემიშალა — "ფრანკ V"-ზე დავიწყე მუშაობა. რომანის დასრულების მომდევნო მცდელობებიც წარუმატებელი გამოდგა, უკანასკნელი — 1980 წელს. "მართლმსაჯულება" ჩემს თხზულებათა ოცდამეათე ტომში უნდა შესულიყო, მაგრამ რომანი ვერაფრით ვერ მივიყვანე ბოლომდე: აღარ მახსოვდა, როგორ მქონდა ჩაფიქრებული სიუჟეტის განვითარება. 1985 წლის ზაფხულში დანიელ კილმა შემომთავაზა "მართლმსაჯულება" ფრაგმენტის სახით გამომექვეყნებინა. დავთანხმდი და პირველი თავი დავასრულე, მერე კი სამუშაომ გამიტაცა და რომანმა ცოტა სხვა სახე მიიღო, ვიდრე თავიდან ვაპირებდი. ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეუღლეს შარლოტა კერს, რომლის რჩევები დიდად დამეხმარა რომანის დასრულებაში.

გერმანულიდან თარგმნა
**ნინო სილაგაძემ**

ლიტერატურული ცხოვრება

# სასჯელი — ღვთის წყალობად

ლიტერატურულ კაფე "ამირანში" გაიმართა ახალგაზრდა მწერლის ეკა ფხალაძის პირველი წიგნის წარდგინება. ერთ-ერთი მოთხრობის სათაური –"ჟამი დაფიონისა" – კრებულის საერთო სახელწოდებად შეურჩევია ავტორს. პრეზენტაციას უძღვებოდა ქეთი მაჩიტიძე. "ეკა ფხალაძის პერსონაჟები თითქოს რეალურ ცხოვრებაში ცხოვრობენ. ეკა კარგად იცნობს ადამიანის ფსიქოლოგიას და ამიტომაც მის მოთხრობებში პერსონაჟთა სულიერი სამყარო ნათლად, დამაჯერებლად არის დახატული. ვკითხულობთ ამ პატარა წიგნს და ვგრძნობთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენც გვაწუხებს, მაგრამ ვერ გამოგვითქვამს, ეკამ კი თითქოს ყველას სათქმელი თქვა,"- აღნიშნა თავისი გამოსვლაში წამყვანმა.

პირველი წიგნის გამოსვლით გამოწვეული სიხარული იმ დღეს ეკას მეგობრებმაც გაიზიარეს. ახალგაზრდა მწერლებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ეკას მოთხრობების კითხვისას ავიწყდებათ ყოველგვარი პირობითობა და თავი რეალურ სამყაროში ჰგონიათ. მათ წაიკითხეს ნაწყვეტები მოთხრობებიდან, რასაც დარბაზი ინტერესითა და სიამოვნებით შეხვდა. გამოიკვეთა საერთო შეხედულება მოთხრობაზე "ჟამი დაფიონისა." ეს ნაწარმოები იმდენად ნაზი და ქალურია, ისეთი სიღრმით არის გადმოცემული ახალგაზრდა ქალის გრძნობები, რომ ნებისმიერმა ქალმა შეიძლება საკუთარი თავი იპოვოს მასში, - ასეთი იყო გამომსვლელთა პათოსი.

შეხვედრას ესწრებოდა ცნობილი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე. მან აღნიშნა: „ეკა ფხალაძე არის ახალი, განსხვავებული სახე თანამედროვე ქართულ მწერლობაში. მისი პროზა იკითხება დიდი ინტერესით. მიუხედავად იმისა, რომ მოცულობით პატარაა, ამ წიგნს აქვს სიღრმე და დიდი გრძნობები, მამაკაცისთვის უცნობი ქალური სინაზე. გრძნობ თრთოლვას მისი კითხვისას." რეზო ჩხეიძემ ამ წიგნს ქართული მწერლობის შენაძენი უწოდა.

დასასრულს ავტორმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას. თუ მწერლობა კატორღაა, -თქვა მან-როგორც ბევრს ჰგონია, მაშინ შთაგონება სასჯელი ყოფილა. მაგრამ რადგან მწერლობას ადამიანის ტკბილად მოშხამვა შეუძლია, მაშინ ეს სასჯელი ღვთის წყალობა ყოფილა და ასეც ვილებო.

**თეკლე ჯანელიძე**

# პირველი ლექსი

ირაკლი აბაშიძე თავის მემუარულ თხზულებაში „ზარები ოცდაათიანი წლებიდან" მოგვითხრობს: „ეს იყო, როგორც მახსოვს, 1933 წლის დასაწყისში. მწერალთა კავშირში მოვიდა პარტიის წარმომადგენელი და მწერალთა სპეციალურ კრებაზე განაცხადა, რომ თუ მანამდე აკრძალულივით იყო, დღეიდან ნებადართულია და უკვე არამცთუ სასურველი, არამედ საჭიროც, დაიწეროს მხატვრული ნაწარმოებები დიდ ბელადზე, ამხანაგ იოსებ ბესარიონის ძე სტალინზე. ამ სიტყვებმა მწერლებზე ისე იმოქმედა, როგორც ამნისტიამ. ახლა მე მიჭირს ასე ირონიულად თქმა ამისა, მაგრამ სწორედ იმის შემდეგ გაიხსნა ნამდვილი ლიტერატურული მარათონი, ვინ ვის... ყველა მწერლის პატრიოტულ, მორალურ მოვალეობად იქნა აღქმული იმჟამად ე.წ. „სტალინის თემა".

მაგრამ ცხოვრობდა საქართველოში პოეტი, რომელმაც მთელი შვიდი წლით გაასწრო ამ „ლიტერატურულ მარათონს" და სტარტის ასაღებად მსაჯის სიგნალი არ დასჭირვებია. საკუთარი მუზის მბრძანებელიც და მსაჯულიც თვითონ იყო.

ტიციან ტაბიძეს სტალინზე ლექსის დასაწერად ოფიციალური ნებართვა არ უთხოვია, ისევე როგორც იმის სათქმელად: დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელიო (ბურჟუაზიული ნაციონალიზმი!) ანდა: საბჭოთა მინავ, გიკოცნი ფესვებს, ახალ ცხოვრების ვარ ალავერდიო (საბჭოთა პატრიოტიზმი!).



ტიციან ტაბიძე

ტიციან ტაბიძეს არასოდეს თრგუნავდა სულშემხუთველი ფიქრი — რამდენად ეამებოდათ მისი ლექსი აქაურებსა თუ იქაურებს. თავისუფალი სულის პატრონი იყო.

ტიციან ტაბიძის ლექსი „სტალინი" დათარიღებულია 1926 წლის სექტემბრით. მთელს საბჭოეთში, ალბათ, ესაა პირველი ლექსი სტალინზე და იგი სულაც არ ჩამოუვარდება გიორგი ლეონიძისა და ბორის პასტერნაკის გახმაურებულ ლექსებს იმავე თემაზე, ოღონდ გაცილებით ადრეა დაწერილი.

ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რომელმა მოვლენამ თუ მოვლენათა ჯაჭვმა უბიძგა ტიციან ტაბიძის ამ ლექსის დაბადებას. უდავოა მხოლოდ ერთი რამ: ლექსის დაწერის თარიღი ემთხვევა საქართველოში სტალინის ვიზიტის თარიღს.

1926 წლის 1 ივნისს სტალინი ჩამოსულა თბილისში. 2 ივნისს ათვალიერებს ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს (ზაჰესი) და საპატიო სტუმართა წიგნში ქართულად წერს: „გაუმარჯოს ჩვენს ალმშენებლებს, მუშებს, ტეხნიკოსებსა და ინჟინრებს!"

3 ივნისს ესწრება თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის სპექტაკლს. ანტრაქტში ესაუბრება კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძეს მისი ოპერის „თამარ ცბიერისა" და ქართული საოპერო მუსიკის შესახებ.

8 ივნისს სტალინი რკინიგზის მთავარ სახელოსნოთა მუშების კრებაზე გამოდის სიტყვით: „ამხანაგებო, ნება მომეცით, პირველ ყოვლისა, გამოგიცხადოთ ამხანაგური მადლობა მისალმებებისათვის. მე არ დამიმსახურებია იმ ქების ნაწილიც კი, რომელიც აქ ისმოდა. თურმე მე გმირიც ვყოფილვარ, კომპარტიის ხელმძღვანელიც, კომინტერნის ბელადიც და სხვა. ეს ქება ზედმეტია. ხოლო ზედმეტი ქება მოჰკლავს ადამიანს. ასე გადამეტებულად მხოლოდ ახლად გარდაცვლილ რევოლუციონერებს შეაქებენ ხოლმე. მე კი არ ვაპირებ სიკვდილს, უკეთ რომ ვსთქვა, სიკვდილისათვის არ მცალია".

დამსწრეთა ოდენობა, თურმე, ათი ათასს აღემატებოდა. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის იყო ტიციან ტაბიძეც.

იმხანად ქვეყანას მართავდა ე.წ. „ტრიუმვირატი" (ზინოვიევი, კამენევი, სტალინი), რომელსაც ჯერ კიდევ არ დაეჩოქებინა ტროცკი, ოქტომბრის რევოლუციასა და სამოქალაქო ომში თავის დამსახურებათა წყალობით ლენინის ბუნებრივ მემკვიდრედ რომ მიიჩნევდა თავს და აუღელვებლად ელოდა, როდის მიართმევდნენ ხონჩით ძალაუფლებას; ხოლო სტალინის სახელი, სტატისტიკოსთა გამოთვლით, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ერთ პროცენტზე მეტს არ ეცოდინებოდა. ამიტომაც უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველი პოეტი ლამის წინასწარმეტყველად გვევლინება: „ვინ გამოუშვა ეს გრიგალი პირცეცხლიანი. ლენინის შემდეგ ვის უჭირავს ქვეყნის სადავე?"

XX საუკუნის პოეტის ლექსში უეცრად შემოიჭრება სახელი მითიური გმირისა, რომელიც განასახიერებდა გულადობას, ძალმოსილებას, მამულიშვილობასა და პატიოსნებას: „შენ ხარ ფოლადი, კახაბერი, მართლა სხვა კაცი, რკინის პალოთი ეს ქვეყანა დააბარბაცე".

იმ გრანდიოზულ ქარტეხილთა გახსენებისას, რომლებიც თავს დაატყდა რუსეთის ვეებერთელა მიწა-წყალს, ნებსით თუ უნებლიეთ, პოეტს ბიბლიური ასოციაციები უჩნდება; ტიციან ტაბიძე გამჭვირვალე პარალელს ავლებს წარყვნილი, უსამართლობით შეპყრობილი ქვეყნის დასასჯელად უფლის მიერ მოვლენილ წარღვნასა და იმ რევოლუციას შორის, რომელმაც წალეკა ხალხთა საპყრობილედ გადაქცეული რუსეთის იმპერია: „გათავდა — წარღვნა, კიდობანი დადგა არარატს. ძველი ქვეყანა ველარ იკრებს ბრძოლის არაქათს. მოდის გრიგალი, გრიგალებზე გადაგრაგნილი, და ამ სტიქიას დირიჟორობს კობა სტალინი".

სასაცილოც კი იქნება, რომ ახალთა ქართა კარნახით ტიციან ტაბიძეს დავწამოთ კონიუნქტურული პათოსი ანდა ე.წ. „ხარკის მოხდა". სხვას რომ თავი დავანებოთ, აგერ თავად პარტიის წარმომადგენლის სიტყვით, ეს თემა 1933 წლამდე აკრძალულივით ყოფილა, ლექსი კი 1926 წლით არის დათარიღებული.

ისევ და ისევ უნდა დავიმოწმოთ ილია ჭავჭავაძის ბრძნული შეგონება: „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა".

ტიციან ტაბიძე ჯერ კიდევ 1921 წლის ოქტომბერში წერდა: „ყოველი დროისა და ყველა ქვეყნის პოეტები ყოველთვის იდგნენ რევოლუციის მხარეზე და ბევრი პოეტიც სამუდამოდ ყოფილა შთაგონებული რევოლუციის ცეცხლით".

ვაგლახ, რევოლუცია თავისი შვილებისა თუ შვილობილების ხორცითაც იტკბარუნებდა პირს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კიდევ ერთი გამოცანა

ჯალალედინის ტყვედ ქცეულ შალვა ახალციხელს ისევ და ისევ აგონდება გარნისის ომის უცნაური მსვლელობა. ხვარაზმელთა ლაშქარს, რომელიც ჯიუტად მობობლავს მაღლობის ასაღებად, ჩვეული მხნეობითა და თავდადებით ებრძვიან წინამბრძოლნი შალვას სარდლობით და უკვე შეჭირვებულნი შეწევნას ევედრებიან საქართველოს ჯარის მთავარსარდალს. მაგრამ პასუხი არ ისმის, არც საქმითა და არც სიტყვით.

შალვა ახალციხელს ვერ აუხსნია ივანე მხარგრძელის გაუგებარი გულქვაობა ანდა დანარჩენ დიდებულთა უსიტყვო მორჩილება მთავარსარდლისა. განა არ შეეძლოთ მის დაუკითხავადაც მიშველებოდნენ ბრძოლაში ჩაბმულ მოძმეთ? რით უნდა აიხსნას მათი უდარდელობა? ვთქვათ, შურით იყო შეპყრობილი ივანე მხარგრძელის გული და ღალატსაც არ თაკილობდა, ოღონდ კი შალვასთვის ევნო, მაგრამ წყეული სენი ღალატისა ნუთუ მუცლის სახადივით გადაედო ყველას, დიდსა თუ მცირეს?

ტყვეობაში მყოფ შალვა ახალციხელს ვერ აუხსნია — რატომ უღალატა ივანე მხარგრძელმა წინამბრძოლებს, რატომ შეაკლა ისინი მტერს? ეს ხომ მეფის ღალატია, რჯულის ღალატია, სამშობლოს ღალატია. საქართველოში ჩასული მთავარსარდალი რა პასუხს გასცემს მეფეს, ხალხს, ღმერთს? ნუთუ არ ეშინია ამქვეყნიური სასჯელისა? ეტყობა, არ ეშინია. რა პასუხი უნდა მოსთხოვონ ხანდაზმულს? მონასტრიდან იხმეს მრავალნაცადი მხედართმთავარი, არ გაუმართლდათ არჩევანი და ისევ მონასტერში უკრავენ თავს, ლოცვით რომ მოინანიოს ცოდვები, გამოისყიდოს დანაშაული. მაგრამ განა არსებობს ამქვეყნად ლოცვა, რომელიც სამშობლოს ღალატს გააქარწყლებს? ნუთუ არც იმქვეყნიური სასჯელისა ეშინია?

ათასგვარი ღალატი ახსოვს საქართველოს ისტორიას... ღალატი მამისა, ძმისა, სიძისა, მოყვრისა და ძმადნაფიცისა, რჯულსაც ღალატობდნენ, ზოგჯერ მოჩვენებითად, ზოგჯერაც — მთელი სულითა და გულით. არც სამშობლოს ღალატი ეუცხოებოდათ, თუკი პირადი ინტერესები და ძალაუფლების მომაჯადოებელი სიამტკბილობა აცდუნებდათ, მაგრამ თითქოს ერთადერთი შემთხვევა უნდა იყოს, რომ საომრად გამზადებული ჯარის მთავარსარდალი შორიდან უდრტვინველად უმზერს, თუ როგორ იჟლიტება ქართველ მეომართა რჩეული რაზმები და იმის ნაცვლად, რომ სისხლისმღვრელ ომში ჩაებას და ეგებ თავის სასარგებლოდ გადახაროს გამარჯვების სასწორი, გულგრილად და თითქოს ნიშნისმოგებით ადევნებს თვალს თვისტომთა მარცხს. უსაზღვრო კმაყოფილება ეუფლება, რადგანაც დამარცხებულ წინამბრძოლთა რაზმების სათავეში დგას კაცი, რომელიც თავისი სამხედრო ნიჭითა და მხნეობით უკვე ჩრდილში აყენებს ხანდაზმულ მთავარსარდალს.



გარნისი XIII საუკუნის რუკაზე

ერთი ღირსეული კაცის შურით ათასთა განწირვა ამოსანყვეტად, ესოდენ საარაკო სამაგიეროს გადახდა სამაგალითო გმირობისათვის, ეშმას მეცადინეობით სულში ჩაბუდებული ბოროტების დაკმაყოფილება, ბუნებრივია, ჩვენს დაეჭვებას იწვევს და რაღაც ზღაპრულ, დაუჯერებელ, წარმოუდგენელ ამბად გვეჩვენება ქართველი ჟამთაალმწერლის ნაამბობი.

მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ გავწიროთ მრავალგზის დადებითად შეფასებული და უტყუარ მოწმედ აღიარებული მემატიანე, რომელიც არ ერიდება სახელოვანი თამარ მეფის შვილთა გაკილვას, აუგად იხსენიებს ცოდვებით დამძიმებულსა და ღვთისგან შერისხულ საზოგადოებას, და ამავე დროს არ ეჩოთირება ჩვენი ქვეყნის დამაქცევარ მონღოლთა ზოგიერთი სანაქებო თვისების აღნიშვნა, არც პირსისხლიან ჯალალედინს უკარგავს ვაჟკაცობას, არა ჩქმალავს მის თავგანწირვას და გმირულ ბრძოლას მრისხანე მონღოლებთან.

მას ეჭვმიუტანლად სწამს, რომ „ჟამთაალმწერელობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თვალ-ახმა ვისიმე".

და ჩვენ კი გავწიროთ მხოლოდ იმიტომ, რომ არა გვჯერა ადამიანის სულში ჩამალული სიავის გამოტანა მზის სინათლეზე, საქვეყნოდ გამომჟღავნება თავისი უკეთურებისა?

გარნისის ომის ამბავი მართლაც რომ ყველაზე ძნელად გამოსაცნობი გამოცანაა ჩვენი წარსულის გამოცანათა შორის.

## ქრონიკა

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზი 11 დეკემბერს დაეთმო ტარიელ ხარხელაურის ახალი პოეტური კრებულის „მინდვრის ფსალმუნების" წარდგინებას.

კიდევ ერთი მშვენიერი წიგნის გამოცემა პოეტს მიულოცეს და შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს: ვაჟა ოთარაშვილმა, ზურაბ ქაფიანიძემ, ამირან არაბულმა, ნოდარ ტაბიძემ, თემურ ჩალაბაშვილმა, ერეკლე საღლიანმა, ირაკლი წერეთელმა და დავით შემოქმედელმა.

მსახიობმა ჯემალ მელქაძემ წაიკითხა ნიმუშები ახალი პოეტური კრებულიდან. მომღერალთა ანსამბლმა თიანეთიდან ომახიანი ჰანგები მოჰფინა დარბაზს, ხოლო პატარა რატიმ ლექსით დაუდასტურა პაპას ახალი წიგნის გამოცემით გამოწვეული სიხარული.

# სიმბოლო ჩვენი სარწმუნოებისა

იგი ისევ ჩვენთან არის – **წმინდა ნინო**, სიმბოლო საქართველოს ეკლესიისა. ისევ განაგრძობს თავის მისიას, ისევ მოაქცევს ქართველობას.

ამის დასტურად გამოდგება ეს სამეცნიერო კრებულიც.

წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის **ილია მეორის** აღსაყდრების 30-ე და დაბადების 75-ე წლისთავს

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია **რევაზ სირაძე**

სარედაქციო საბჭო: **რევაზ სირაძე, ზაზა სხირტლაძე, გრიგერ ფარულავა, მანანა ტუსკია**

შემდგენელ-კოორდინატორი – **მანანა ტუსკია**

წიგნში დაბეჭდილია:
**რევაზ სირაძის წინათქმა, „ცხორება წმიდისა ნინოისი“, ნაწყვეტი გიორგი მცირის თხზულებიდან „ცხორებაი გიორგი მთაწმიდელისაი“, ეფრემ მცირის „უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“, ნიკოლოზ გულაბერისძის „აღწერა სუეტისა ცხოველის სასწაულებისა“, ილია ჭავჭავაძის „წმინდა ნინო“, კორნელი კეკელიძის „მოქცევაი ქართლისაის“ შესახებ“,
ივანე ჯავახიშვილის „ქართველთა გაქრისტიანება და ბაკურ მეფე“, ნიკო მარის „წარმართული საქართველოს ღმერთები“, პავლე ინგოროყვას „პოლემიკა არიანობასთან“, ანტონ ნატროევის „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი“,
ექვთიმე თაყაიშვილის „ქართულ მატიანეთა წყაროები“, მიხეილ თარხნიშვილის „წმინდა ნინოს ლეგენდა და ქართული ეროვნული შეგნების ისტორია“, მიშელ ვან ესბროკის „უდაბნოს მრავალთავის შედგენილობა და სტრუქტურა“,
ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას „ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად ქართლში“, სიმონ ყაუხჩიშვილის „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, დევიდ ლანგის „ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი და ლეგენდები“.**

ამას გარდა წარმოდგენილია სამეცნიერო შრომები, რომელთა ავტორები არიან:
**ზაზა ალექსიძე, გიორგი ალიბეგაშვილი,
ალექსანდრე გვახარია, ვახტანგ გოილაძე,
ნანა გონჯილაშვილი, ლაურა გრიგოლაშვილი,
ზურაბ კიკნაძე, გოჩა კუჭუხიძე,
ნოდარ ლომოური, მარიამ ლორთქიფანიძე,
თამილა მგალობლიშვილი, ნიკოლოზ
ნიკოლოზიშვილი, რუსუდან ნიშნიანიძე,
ლალი ოსეფაშვილი, საბა-ფირუზ მეტრეველი,
ლელა პატარიძე, ტრიფონ რუხაძე, რევაზ სირაძე,
ნესტან სულავა, მზია სურგულაძე, ლევან მენაბდე,
გრიგერ ფარულავა, ციალა ქურციკიძე,
ნინო ლამბაშიძე, ეკა ჩიკვაიძე,
მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან ცხადაძე,
ლია წერეთელი, ლაშა ჯანაშია,
ქეთევან ხითარიშვილი, დარეჯან მენაბდე.**




წიგნი გამოიცა "ბანკი რესპუბლიკას"
სამეთვალყურეო საბჭოსა და
ბატონ ლაშა პაპაშვილის შეოხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დილის საარი

ნუკრი შავგულიძე